



არჩევნები და პოლიტიკა

დამხმარე სახელმძღვანელო
პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთათვის



პრევენები და პოლიტიკა

ავტორი - ლაშა მელაძე

საარჩევნო ექსპერტი, პროგრამა BRIDGE - დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების შექმნა - სრულად აკრედიტებული ფასილიტატორი

დამხმარე სახელმძღვანელო მომზადებულია განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მიერ სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე სახელმძღვანელოში თავმოყრილი დოკუმენტების შინაარსზე პასუხისმგებელია განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD). მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს დონორი ორგანიზაციის თვალსაზრისს.

© განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2016



ა. შანიძის ქ. N 8, 0179, თბილისი

www.CDD.ge | info@CDD.ge

ტელ: +995 790 333 111

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	3
არჩევნები და დემოკრატია	
არჩევნების ცნება, სახეები და პერიოდულობა	6
დემოკრატიის ფორმები	8
საქართველოს საარჩევნო ისტორია და სამართალი	
საქართველოს საარჩევნო ისტორია	12
საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები	13
საარჩევნო სისტემები	
მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები	19
პროპორციული საარჩევნო სისტემები	20
შერეული საარჩევნო სისტემები	22
საარჩევნო პროცესი და მისი ადმინისტრირება	
საარჩევნო პროცესი.....	26
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია	29
საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები და მუშაობის წესი	33
ამომრჩეველთა რეგისტრაცია	36
არჩევნების ფინანსური უზრუნველყოფა	40
არჩევნებში ჩართული მხარეები	
სადამკვირვებლო სპექტრი	43
საარჩევნო სუბიექტი	48
მედია	49
წინასაარჩევნო კამპანია	
წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება.....	51
წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა	55
საარჩევნო დავები, სტანდარტები და კონფლიქტების მართვა	
საარჩევნო დავები და მისი გადაჭრის მექანიზმები.....	62
კონფლიქტები საარჩევნო პროცესში და მისი მართვა	64
საარჩევნო დავების საერთაშორისო სტანდარტები	68
არჩევითი სახელმწიფო ინსტიტუტები	
საქართველოს პრეზიდენტი	84
საქართველოს პარლამენტი	87
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	95
ადგილობრივი თვითმმართველობა	100

პოლიტიკური პარტიები

112	მოკლე მიმოხილვა
113	პოლიტიკური პარტიის მიზანი, არსი და დანიშნულება
115	პოლიტიკური პარტიის ფუნქციები დემოკრატიულ საზოგადოებაში
117	პარტიული და პოლიტიკური სისტემები
118	პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის წინაპირობები
120	პოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაციის აკრძალვა
121	პარტიის საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება
123	პარტიის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები
126	პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი

პოლიტიკური კამპანია

128	პოლიტიკური კამპანიის ჩატარების სპეციფიკა
129	პოლიტიკური კამპანიის ძირითადი მახასიათებლები
130	მასობრივი პოლიტიკური კამპანია
131	ტრადიციული პოლიტიკური კამპანია
131	პოლიტიკური კამპანიის მარკეტინგული მოდელი
132	პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარების ფაქტორები
133	წარმატებული კამპანიის დამახასიათებელი ელემენტები
134	ტელევიზია როგორც პოლიტიკური კამპანიის ორგანიზების საშუალება

პოლიტიკური პარტიების ქსევის კოდექსი

136	ზოგადი ინფორმაცია
136	ნებაყოფლობითი „ქცევის კოდექსი“
138	ქცევის კოდექსის შეთანხმება
139	ქცევის კოდექსი
143	ქცევის კოდექსის პრაქტიკული მაგალითები

ბიბლიოგრაფია

წინასიტყვაობა

საქართველო დემოკრატიული რეფორმებისა და გარდაქმნების პროცესშია. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის და დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი საფუძველი, საზომი და მნიშვნელოვანი საწყისი კი დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებია.

არჩევნების დემოკრატიულობის შესაფასებლად არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული ზოგადი პრინციპები: საყოველთაო, თანასწორი, სამართლიანი, ფარული, თავისუფალი, ღია და ანგარიშვალდებული. მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკამ ასევე აჩვენა, რომ დემოკრატიული არჩევნები არ მოიცავს მხოლოდ საარჩევნო ნორმების დაცვას, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესსა და სამართლიან ქცევას. დემოკრატიული არჩევნები ამავდროულად ნიშნავს მაღალ საარჩევნო კულტურასა და ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს.

სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემო ნებისმიერი სახელმწიფოსათვის დემოკრატიული წყობისა და განვითარების საუკეთესო ინდიკატორია, ხოლო ამ პროცესის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია ძლიერი, განვითარებული პოლიტიკური პარტიების არსებობა ქვეყანაში.

პოლიტიკური პარტიები თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რამეთუ სწორედ ისინი: ასრულებენ საკვანძო როლს კარგად განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ერთგვარად ახდენენ ქვეყნის მოქალაქეების ინტერესების კონცენტრირებას და წარმოდგენენ მათ ინტერესებს და პოზიციას, ასევე ქმნიან პოლიტიკურ პროგრამებს, რომლებიც საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებისკენაა მიმართული. პარტიული სისტემის ეფექტიანი ინსტიტუციონალური ფუნქციონირების დონე ხშირად ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის საზომდაც გამოიყენება.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა კვალიფიკაციების ამაღლება, შიდა პარტიული დემოკრატიის ნახალისება, პოლიტიკური პარტიების ეფექტური და გამართული მუშაობა, როგორც ქვეყნის დედაქალაქში, ასევე რეგიონებში ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების, პოლიტიკური კულტურის დახვეწისა და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

სათანადო ცოდნისა და უნარების არარსებობა დიდი ალბათობით საარჩევნო პროცესების ეფექტურ განხორციელებას უქმნის საფრთხეს საქართველოში. „პოლარიზებული ამომრჩეველი“, „პოლარიზებული მედია“, „პოლარიზებული პოლიტიკური სუბიექტები“ ხშირად გვხვდება საქართველოს პოლიტიკური ანალიზის ანგარიშებში. უმნიშვნელოვანესი როლი საზოგადოებაში დაძაბულობის განმუხტვის, პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების გზაზე სწორედ პოლიტიკური კულტურის დახვეწამ უნდა შეასრულოს. ამ მიზნით კი პარტიების წარმომადგენელთა კვალიფიკაციების ამაღლებასთან ერთად უმნიშვნელოვანესია ერთმანეთის პატივისცემისა და მრავალპარტიულ გარემოში მშვიდობიანი თანაარსებობის კულტურის ჩამოყალიბება.

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) პროექტი „პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში“ რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.

აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების რეგიონალურ წარმომადგენელთა შესაძლებლობების გრძელვადიან განვითარებას ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების, პოლიტიკური კულტურის დახვეწისა და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნისათვის.

სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის მიზანია, ჩვენი ქვეყნის განვითარებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, მიაწოდოს ის თეორიული ცოდნა და კონკრეტული მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ისინი შეძლებენ თავიანთ ორგანიზაციების შიგნით დემოკრატიული მართვის პრინციპებისა და გამჭვირვალობის კომპონენტის რეალიზაციას.

ამ ცოდნის გამოყენებით, ისინი კიდევ უფრო უკეთესად შეძლებენ პარტიის პრიორიტეტების პრაქტიკაში ხორცშესხმას და საკუთარი რეგიონში საარჩევნო და პოლიტიკური კულტურის დონის გაუმჯობესებას.

დამხმარე სახელმძღვანელო, პარტიების წარმომადგენელთა გარდა, ასევე განკუთვნილია ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის, ასევე ყველა იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით, მონაწილეობას იღებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ საარჩევნო პროცესებში და აქვს მზადყოფნა, თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენს საზოგადოებაში მმართველობის დემოკრატიული გარემოს ფორმირებაში.

გვჯერა, რომ განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის ცოდნაზე, გამოცდილებაზე და რესურსებზე დაყრდნობით სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები გაიზიარებენ პოლიტიკური პარტიების შესაძლებლობათა განვითარების გრძელვადიან იდეას და უზრუნველყოფენ ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი პროგრამების შემდგომ განვითარებასა და განხორციელებას.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) მაღლობას უხდის პოლიტიკური პარტიებს მჭიდრო თანამშრომლობისა და პროექტში აქტიური ჩართულობისთვის.

გვსურს განსაკუთრებული მაღლობა გადავუხადოთ სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს“ ფინანსური მხარდაჭერისთვის და პროექტში მონაწილე ყველა თანამშრომელსა და ექსპერტებს შეტანილი წვლილისთვის.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი



**არჩევნები და
დემოკრატია**



დემოკრატია არის სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელშიც უმაღლესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის და რომლის მიზანია ადამიანთა თანასწორობის იდეის ცხოვრებაში გატარება და მათი, მხოლოდ საყოველთაო თანხმობით მიღებული კანონებით შეზღუდული, თავისუფლების უზრუნველყოფა. დემოკრატია ხალხის ნებას ემყარება და იგი არის ხალხის ხელისუფლება, განხორციელებული ხალხის მიერ და ხალხისთვის. მაგრამ, როგორ გამოხატავს ხალხი თავის ნებას? როგორ იქცევა იგი ხელისუფლების წყაროდ სახელმწიფოში?

ხალხის მიერ რაიმე საკითხზე საკუთარი ნების გამოხატვა (კენჭისყრა) ორგვარად შეიძლება მოხდეს და ამის მიხედვით დემოკრატიაც ორი სახისაა: **უშუალო ანუ პირდაპირი და წარმომადგენლობითი.**

პირველ შემთხვევაში მოქალაქეები კენჭისყრით პირდაპირ წყვეტენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საკითხებს, ხოლო წარმომადგენლობითი დემოკრატის შემთხვევაში, მოქალაქეები ირჩევენ თავის წარმომადგენლებს. არჩეული წარმომადგენლები სწორედ ხალხის სახელით იღებენ გადაწყვეტილებებს და მართავენ ქვეყანას.

წარმომადგენელთა არჩევნები არის პროცედურა, რომლითაც თითოეული ადამიანი ახორციელებს თავის ერთ-ერთ ძირითად უფლებას – უფლებას მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვაში და თანამოქალაქეებთან ერთად განსაზღვრავდეს სახელმწიფო ხელისუფლებასა და მის პოლიტიკურ კურსს.

არჩევნები ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიულობის, ხალხის ნების გამოხატვის ინსტრუმენტი, იგი დემოკრატის არა მარტო არსებითი ნიშანი და ატრიბუტია, არამედ მისი ქვაკუთხედი და აუცილებელი პირობაცაა.

არჩევნების ცნება, სახეები და პერიოდულობა

არჩევნებსა და საარჩევნო პროცედურებს კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ინსტიტუტი ანტიკური ეპოქიდან არსებობს, მეცნიერება არჩევნების შესახებ – **პსეფოლოგია** (ბერძნ. «psephos» – ნიშნავს კენჭს, რომელსაც დემოკრატიულ ათენში არჩევნების დროს აგდებდნენ საარჩევნო ურნაში) – XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იმკვიდრებს თავს (1952 წლიდან). პსეფოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს არჩევნები, მისი როლი და ადგილი საზოგადოების განვითარების პროცესში.

არჩევნების ცნება. არჩევნები არის პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების ორგანოების ფორმირება. არჩევნების მეშვეობით ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს და ანიჭებს მათ თავის სუვერენულ უფლებათა განხორციელების მანდატს.

არჩევნები, პოლიტიკური უფლებები და ქვეყნის მართვაში მოსახლეობის მონაწილეობა დემოკრატის უმთავრესი კომპონენტებია. მოქალაქის უფლება აირჩიოს ხელისუფლება ანუ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით განახორციელოს ძალაუფლება, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება. **გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად**, “ხელისუფლების საფუძველი ხალხის ნება უნდა იყოს; ეს ნება უნდა გამოვლინდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომელიც უნდა გაიმართოს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველყოფით სხვა წესით”.

არჩევნების სოციალური ფუნქცია. აღსანიშნავია არჩევნების სოციალური ფუნქციაც. არჩევნები, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი, ამომრჩეველს საშუალებას აძლევს გააანალიზოს არჩევნებში ჩართულ პარტიათა და პოლიტიკოსთა საქმიანობა, შეაფასოს მათი სამომავლო პროგრამები, გააკეთოს გააზრებული არჩევანი და სახელმწიფოს მართვის უფლება გადასცეს მათ, ვისაც უფრო ენდობა და ვისი სამომავლო ხედვებიც შეესაბამება ამომრჩეველთა ინტერესებს. მეორე მხრივ, არჩევნების სოციალური ფუნქცია გულისხმობს, არჩევნების შედეგების საფუძველზე შევაფასოთ ქვეყანაში სხვადასხვა პარტიის გავლენის დონე, ამომრჩეველთა განწყობა

და პოლიტიკური ტენდენციები. საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო პერიოდში მისი მოთხოვნების დაცვის ხარისხი საშუალებას იძლევა შევადაროთ ქვეყანაში დემოკრატიის დონე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნები მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს თავის სოციალურ ფუნქციას, თუ დაცულია საარჩევნო სამართლის ძირითადი პრინციპები. ამ პრინციპებიდან პირობითად ორი ჭკუფი შეიძლება გამოიყოს: ამომრჩევლის სტატუსის განმსაზღვრელი პრინციპები და არჩევნების ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები (იხ.ქვემოთ, მე-2 თავი).

არჩევნების სახეები და პერიოდულობა. თავისი სახის მიხედვით, არჩევნები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ, საყოველთაო და შუალედურ (ნაწილობრივ), მორიგ, რიგგარეშე და ხელახალ, ერთტურიანი და ორტურიანი არჩევნებად, აგრეთვე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ არჩევნებად.

პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევნები. პირდაპირი არჩევნების დროს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წევრებსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირებს. არაპირდაპირი არჩევნების დროს კი ამომრჩეველთა ნების პირდაპირი რეალიზება არ ხდება. არჩევის საკითხს წყვეტენ არა უშუალოდ მოქალაქეები, არამედ მათ მიერ არჩეული პირები დეპუტატები, ამრჩევები და ა.შ.

საყოველთაო (საერთო) არჩევნები. საყოველთაო არჩევნები, რომელში მონაწილეობის უფლებაც აქვს ქვეყნის ყველა ამომრჩეველს. საყოველთაო არჩევნებს მიეკუთვნება რეგიონის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებაც, რომლებში მონაწილეობის უფლებაც, შესაბამისად, რეგიონისა და ადმინისტრაციული ერთეულის ყველა ამომრჩეველს აქვს.

შუალედური (ნაწილობრივი) არჩევნები. შუალედურია (ნაწილობრივია) არჩევნები, რომელიც იმართება წარმომადგენლობითი ორგანოს ნაწილობრივი განახლებისათვის (როტაციისათვის) ან მისი შემადგენლობის შესავსებად (როდესაც ამ ორგანოს ვადამდე გამოაკლდება ერთი ან რამდენიმე წევრი).

მორიგი, რიგგარეშე და ხელახალი არჩევნები. მორიგია არჩევნები, რომელიც ტარდება კონსტიტუციით ან კანონით დადგენილ ვადაში, შესაბამისი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო. რიგგარეშე არჩევნები, რომელიც ტარდება წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. თუ არჩევნები არ შედგა ან მისი შედეგი ბათილად იქნა ცნობილი, ამ შემთხვევაში იმართება ხელახალი არჩევნები ანუ საარჩევნო პროცესი თითქმის თავიდან იწყება.

ერთტურიანი და ორტურიანი არჩევნები. არჩევნები ერთ ტურად იმართება, თუ არჩევნების საბოლოო შედეგი დგინდება ამომრჩეველთა ერთჯერადი ხმის მიცემის გზით, ხოლო თუ საბოლოო შედეგის დასადგენად ერთზე მეტი ტურია საჭირო, არჩევნები ორ ან მეტ ტურად იმართება.

ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი არჩევნები. არჩევნებს განასხვავებენ აგრეთვე იმ ტერიტორიის მიხედვით, რომლებზეც იგი იმართება. ამ თვალსაზრისით, არჩევნები:

- ✦ **ეროვნულია**, როდესაც იგი მთელ ქვეყანაში იმართება ქვეყნის ხელისუფლების ასარჩევად,
- ✦ **რეგიონულია**, როდესაც იგი მხოლოდ ქვეყნის ცალკეულ რეგიონში იმართება რეგიონის ხელისუფლების ასარჩევად,
- ✦ **ადგილობრივია**, როდესაც იგი ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებში იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ასარჩევად.

არჩევნების პერიოდულობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ხელისუფლების საფუძველია ხალხის ნება, რომელიც უნდა გამოვლინდეს პერიოდულ არჩევნებში. ე.ი სახალხო სუვერენიტეტის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის არჩევნების პერიოდულობა. იგი განისაზღვრება წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით, რომელიც კონსტიტუციით ან კანონით არის დადგენილი. არჩევნების პერიოდულობა ამომრჩეველს არჩეულ პირებზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს: მას საშუალება ეძლევა ზუსტად დადგინდეს პერიოდულობით განახლოს წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა, ხელახლა აირჩიოს ადრე არჩეული პირი, თუ კმაყოფილია მისი საქმიანობით, ან აირჩიოს სხვა, თუ მან მისი ნდობა დაკარგა. იგივე უნდა ითქვას, როდესაც საქმე ეხება საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის

არჩევნებს. ასეთი წესი აიძულებს პოლიტიკურ პარტიებსა და არჩეულ პირებს, მუდმივი კავშირი ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები, დაარწმუნონ ისინი თავისი პოლიტიკის სისწორეში და ა.შ.

წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა, ჩვეულებრივ, 4-5 წელია, პრეზიდენტის 4-7 წელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა 2-6 წელი. უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვეულებრივ, არ იკრძალება ერთი და იმავე პირის მრავალჯერ არჩევა პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში. პრეზიდენტად არჩევის შესაძლებლობა კი, როგორც წესი, ორი ვადით იზღუდება. ამის უმთავრესი მიზეზი ერთი პირის, პრეზიდენტის, ხელში თავმოყრილი დიდი ძალაუფლება (საპრეზიდენტო და შერეული მართვა-გამგეობის ფორმის მქონე რესპუბლიკებში) და, მაშასადამე, მისი არამართლზომიერად გამოყენების საშიშროებაა.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, პარლამენტს უფლება არ ეძლევა გაიგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას კი არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კონსტიტუცია შესაძლებლად მიიჩნევს პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას ან პირდაპირ კრძალავს არჩევნების გამართვას ომიანობისა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დროს. მთელი რიგი დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა ასევე იცნობს პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ხოლო პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, როგორც წესი, ყველა კონსტიტუცია ითვალისწინებს.

დემოკრატიის ფორმები

დემოკრატიის ფორმებში იგულისხმება საზოგადოების სხვადასხვა ფენის ნებისა და ინტერესების გამოხატვის ისტორიულად ჩამოყალიბებული მეთოდები და საშუალებები. ამ მეთოდებისა და საშუალებების მიხედვით განასხვავებენ: წარმომადგენლობით დემოკრაციას, რომლის დროსაც ხალხი ხელისუფლებას თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს (სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები, საზოგადოებრივი და პარტიული წარმომადგენლობითი ორგანოები), და პირდაპირ დემოკრაციას, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად საკითხებს უშუალოდ ხალხი წყვეტს (რეფერენდუმი, პლემბისციტი, სახალხო კრება).

პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი სახეა რეფერენდუმი. მისი დემოკრატიულობა იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი საყოველთაო კენჭისყრის გზით აცნობებს სახელმწიფოს (საერთაშორისო საზოგადოებას) თავის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხზე (ლათ. Referendum – „ის, რაც უნდა ეცნობოს“).

რეფერენდუმი. რეფერენდუმს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. დღესაც შეინიშნება მისი გამოყენების სფეროს გაფართოება და მისი მნიშვნელობის ზრდის ტენდენცია. არსებობს ქვეყნები, სადაც ვერისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები უპირატესად რეფერენდუმის ან პლემბისციტის გზით წყდება (ამის მაგალითია შვეიცარიის კონფედერაცია, სადაც მხოლოდ საერთო-ეროვნულ დონეზე წელიწადში საშუალოდ 5–10 რეფერენდუმი ტარდება). ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ იცნობს რეფერენდუმს (ასეთია აშშ, სადაც რეფერენდუმი ფედერალურ დონეზე არ ჩატარებულა), თუმცა არსებობს ისეთი ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს რეფერენდუმსა თუ პლემბისციტს, მაგრამ იგი იშვიათად ტარდება (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი).

არჩევნებისაგან განსხვავებით, რთული და მრავალფეროვანია რეფერენდუმის დანიშვნის პროცედურა. ზოგადად, საერთო-ეროვნული რეფერენდუმის დანიშვნის უფლებამოსილება აქვს სახელმწიფოს მეთაურს (საფრანგეთი, სლოვაკეთი, სომხეთი, ყირგიზეთი) ან პარლამენტს (ბულგარეთი, პოლონეთი, მაკედონია, ტაჯიკეთი, უნგრეთი, ყაზახეთი), ზოგიერთ შემთხვევაში კი – ორივეს (ალბანეთი, ხორვატია).

სახელმწიფოთა დიდ ნაწილში რეფერენდუმის დანიშვნის პროცედურაში ინიციატორის სახით აქტიურად არიან ჩართული არა მხოლოდ ამომრჩევლები, არამედ ფედერაციის სუბიექტები (შვეიცარია) ან ავტონომიური ფორმირებები (იტალია).

რეფერენდუმის პროცედურული უზრუნველყოფისათვის სრულად გამოიყენება საარჩევნო სისტემის ინფრასტრუქტურა.

რეფერენდუმის დემოკრატიული პოტენციალის სრული გახსნა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც კენჭსაყრელი საკითხი გასაგებია საზოგადოებისთვის. ამ მიზნით რეფერენდუმის ჩატარებას წინ უსწრებს სააგიტაციო კამპანია, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

რეფერენდუმის შედეგების განსაზღვრისას, როგორც წესი, არჩევნებისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგია მეორდება. რაც შეეხება რეფერენდუმის განხილვის საგანს, ის არ შეიძლება განუსაზღვრელი იყოს. ამიტომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რეფერენდუმის განხილვის საგანი არ შეიძლება უკავშირდებოდეს ბიუჯეტს, ამნისტიას, შეწყალებას და ზოგიერთ სხვა საკითხს.

პლებისციტად მეტწილად იწოდება მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის გასარკვევად ჩატარებული გამოკითხვა იმ ტერიტორიის პოლიტიკური ბედის თაობაზე, რომელზედაც იგი ცხოვრობს (ლათ. plebiscitum – „ის, რაც თქვა ხალხმა“). პლებისციტის პროცედურული ორგანიზება რეფერენდუმისაგან არ განსხვავდება. ორივე შემთხვევაში მათ ასამოქმედებლად ქვეყანაში არსებული საარჩევნო სამართლის ნორმები და საარჩევნო სისტემა გამოიყენება.

საქართველოში რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადების, ჩატარებისა და შედეგების დადგენის წესები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

სარეფერენდუმო საკითხები. რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული საკითხებისა და პრინციპების შესახებ.

რეფერენდუმის მოწყობა არ შეიძლება:

- ⊗ კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად;
- ⊗ ამნისტიისა და შეწყალების გამო;
- ⊗ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ;
- ⊗ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

რეფერენდუმის მოწყობა. საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. საქართველოში რეფერენდუმი მზადდება და იმართება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნით, იქმნება საინიციატივო ჯგუფი. სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი საინიციატივო ჯგუფმა მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს. საინიციატივო ჯგუფი ცესკოს მიმართავს თხოვნით, რეგისტრაციაში გაატაროს საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი. ცესკო სარეფერენდუმოდ შემოთავაზებულ საკითხს და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას რეგისტრაციაში ატარებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ამის შესახებ ინფორმაციას და საინიციატივო ჯგუფის მისამართს.

რეგისტრაციის მოწმობა საინიციატივო ჯგუფს მიეცემა რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ერთ თვეში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ დარღვეულია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები. საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან. ხელმოწერები უნდა შეგროვდეს საინიციატივო ჯგუფთან შეთანხმებული და ცესკოს მიერ დადგენილი ნიმუშის ფურცლებზე. ყოველ ასეთ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არაუმეტეს 50-მა მოქალაქემ, რომლებმაც თავად უნდა ჩაწერონ სახელი, გვარი, დაბადების წელი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი, მისამართი და ხელმოწერის თარიღი. ზემოაღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს საკუთარი მისამართის მითითებით ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი. მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. შევსებული ხელმოწერების ფურცლების საფუძველზე საინიციატივო ჯგუფი ადგენს შეჯამებულ მონაცემებს ხელმოწერების შეგროვების შედეგების შესახებ და ხელმოწერების ფურცლებთან ერთად უგზავნის ცესკოს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან არაუგვიანეს

3 თვისა. რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნას ცესკო წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს მასალების შემოსვლიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ⇒ რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ;
- ⇒ რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე მოტივირებული უარის თქმის შესახებ.

რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში (საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება საჭიროებს საქართველოს პრემიერმინისტრის კონტრასიგნაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეფერენდუმი ინიშნება საქართველოს მთავრობის მოთხოვნით). რეფერენდუმის გამართვის შესახებ ბრძანებულებაში მოცემული უნდა იყოს მისი მოწყობის თარიღი და სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის ზუსტი ფორმულირება. ეს ბრძანებულება მოსახლეობას ეცნობება ოფიციალური პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ბრძანებულების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს მთავრობა იღებს დადგენილებას რეფერენდუმის მოწყობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება დაფინანსებისა და რეფერენდუმის მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

რეფერენდუმი იმართება არაუადრეს 2 თვისა და არაუგვიანეს 6 თვისა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. გამონაკლის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დაადგინოს რეფერენდუმის გამართვის სხვა ვადა. რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოითხოვოს საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს მთავრობამ, საინიციატივო ჯგუფმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.


რეფერენდუმის გამართვა არ შეიძლება:

- ✗ საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში;
- ✗ ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნისას;
- ✗ მასობრივი არეულობის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არ აქვთ კონსტიტუციური უფლებამოსილებების ნორმალურად განხორციელების შესაძლებლობა.

რეფერენდუმის შედეგების შეჯამება და გადაწყვეტილების ძალაში შესვლა. სარეფერენდუმო საკითხი დადებითად გადაწყვეტილად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა. რეფერენდუმის დანიშნიდან რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნებამდე დაუშვებელია სარეფერენდუმო საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, აქვს იურიდიული ძალა და საბოლოოა. რეფერენდუმის შედეგებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, 1 თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით. რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

პლებისციტის დანიშვნა და მისი ჩატარების წესი. პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად.


პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. პლებისციტის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. პლებისციტის მომზადებას, ჩატარებას და მისი შედეგების დადგენას უზრუნველყოფს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია.



**საქართველოს
საარქივო ისტორია
და სამართალი**

საქართველოს საარჩევნო ისტორია

საქართველოში არჩევნების ისტორია სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული ფორმის დამკვიდრებასთან ერთად იწყება. საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ (გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა) 1918 წლის 26 მაისს მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობას და ხალხს საშუალება მიეცა საკუთარი ძალისხმევა დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ახალი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიემართა. ამ ღირებულებებიდან ერთ-ერთი უმთავრესი იყო სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირება პერიოდული არჩევნების გზით.



პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები 1919 წლის 14–16 თებერვალს ჩატარდა. ამდენად, საქართველოში არჩევნების ისტორია 1919 წლიდან იწყება.

პირველ არჩევნებს საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს მიღებული „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება“, რომელიც საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 130 წევრის არჩევას (პარტიული სიებით) ითვალისწინებდა.

მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალებს ხმის უფლებაც კი არ ჰქონდათ, დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიებში კანდიდატებად ოცამდე ქალი დარეგისტრირდა.



საქართველოს დამფუძნებელ კრებაში კი ხუთმა ქალმა დაიკავა ადგილი. პირველი ქართველი ქალი პარლამენტარები იყვნენ ელისაბედ ბოლქვაძე, ელენორა ტერპარსეგოვა-მახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ანა (ოლღა) სოლოღაშვილი.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ თითქმის 70 წლის განმავლობაში საქართველოში თავისუფალი არჩევნები არ გამართულა. არჩევნები წინასწარ, კომუნისტური პარტიის უმაღლეს ორგანოებში იგეგმებოდა და პრაქტიკულად უალტერნატივო იყო.

XX საუკუნის 70-იან წლების დასასრულისა და 80-იანი დამდეგისათვის საბჭოთა სისტემის კრიზისმა ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო. 1985 წელს საბჭოთა ხელისუფლებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ახალმა ხელისუფლებამ აღიარა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი. აღიარებული იქნა ქვეყნის არადემოკრატიულობა და ქვეყანაში დამყარებული დიქტატურა.



1988 წლიდან საქართველოში ანტისაბჭოთა მიტინგები და დემონსტრაციები ძლიერდება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი დღითიდღე იზრდება, ეს იდეა სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოს მოსახლეობაში, ძლიერდება ეროვნული მოძრაობა. ამ პროცესების პარალელურად, 1990 წლის 20 ივნისს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ორგანოები, რადგან ისინი არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნებასურვილს. უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა ყველა აქტი, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ინსტიტუტებს.

1990 წლის 18 აგვისტოს, ეროვნული მოძრაობის ზეწოლით, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომელიც არასაბჭოური და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა. არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს

დაინიშნა და მას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ არჩევნები, ნაცვლად „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა“.

არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდა. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩა 125 დეპუტატი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ასევე 125 დეპუტატი. ყოველ ამომრჩეველს ჰქონდა 2 ხმა, რომელთაგან ერთს პარტიულ სიას აძლევდა, მეორეს – ერთმანდატიან ოლქში წარდგენილ კანდიდატს.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში 14 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა. არჩევნებში გაიმარჯვა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო“ (54%), რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. უზენაესი საბჭოს წევრები გახდნენ ასევე კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები (30%), განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინების წევრები (3,4%), დამოუკიდებელი კანდიდატები (12,6%).



დამოუკიდებელი ფორმით არჩეული ხელისუფლების პირობებში, **1991 წლის 31 მარტს** საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა **1918 წლის 26 მაისის** დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის (მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის) საერთო რაოდენობის 90,3%-მა, რომელთაგან 98,9 %-მა კითხვას დადებითად უპასუხა. რეფერენდუმის საფუძველზე, **1991 წლის 9 აპრილს** მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პირველი არჩევნები.

1991 წლის 14 აპრილს შემოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და იმავე წლის 26 მაისს საქართველოში ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის პირველი არჩევნები. პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია.

ამ დროიდან მოყოლებული საქართველოში პერიოდულად ტარდება პრეზიდენტის, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები.

1990 წლიდან დღემდე 28 არჩევნები ჩატარდა, მათ შორის: **8** – საპარლამენტო; **6** – საპრეზიდენტო; **6** – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები; **7** – აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; **1** – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

ასევე 1990 წლიდან დღემდე საქართველოში ჩატარდა **2** – რეფერენდუმი და **1** – პლებისციტი.

საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები

საარჩევნო სამართალი კონსტიტუციური სამართლის შემადგენელი ნაწილია, იგი სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევნებთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს პირის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევნებში და ადგენს ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევის წესს, აგრეთვე რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვის წესს.

საარჩევნო სამართლის წყაროებს მიეკუთვნება შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შესაბამისი ნორმები, რომელთა შორის უპირველესი ადგილი საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციას უჭირავს. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების აუცილებელი პირობაა. არჩევნების მარეგულირებელი

სამართლებრივი აქტების იერარქიაში მეორე ადგილი საერთაშორისო აქტებს¹ უჭირავს, ხოლო მომდევნო ადგილი საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ უკავია.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას განეკუთვნება საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, სხვა საკანონმდებლო აქტები, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საარჩევნო სამართლის პრინციპები. საარჩევნო სამართალი ხუთ ძირითად პრინციპს ეყრდნობა.

ეს პრინციპებია:

- საყოველთაო საარჩევნო უფლება;
- თანასწორი საარჩევნო უფლება;
- პირდაპირი საარჩევნო უფლება;
- კენჭისყრის ფარულობა;
- ნების თავისუფალი გამოვლენა.



თითოეული პრინციპის განმარტებამდე აუცილებელია განიმარტოს ამ პრინციპებთან დაკავშირებული აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ცნებები. აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს არჩევით სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში კანდიდატების არჩევის უფლებას, აგრეთვე რეფერენდუმსა და პლემბისციტში მონაწილეობის უფლებას. პასიური საარჩევნო უფლება ნიშნავს მოქალაქის უფლებას, იყოს არჩეული არჩევით სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.



საარჩევნო სამართლის პრინციპი – საყოველთაო საარჩევნო უფლება

ამ პრინციპის თანახმად, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლემბისციტში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს (ასეთია საარჩევნო უფლების საყოველთაოობის პრინციპის ზოგადი განმარტება), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლემბისციტში, ვინაიდან საარჩევნო სამართალს შემოაქვს საარჩევნო პროცესის მარეგულირებელი **შემზღუდველი** ნორმების მთელი სისტემა ე. წ. ცენზების სახით. აქტიური საარჩევნო უფლება უმნიშვნელოდ, პასიური საარჩევნო უფლება კი არაერთი ცენზით არის შემზღუდული. ამრიგად, **საარჩევნო ცენზი** არის კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი შემზღუდველი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრეს.



¹ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950 წ.), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (1966 წ.), საერთაშორისო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ (1965 წ.), ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია (1979 წ.), ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (1985 წ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

მოქალაქეობის ცენზის თანახმად, საქართველოში საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს.

ბინადრობის ცენზი გულისხმობს სახელმწიფოში ან მის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრების მინიმალურ დროს, რომლის შემდეგაც პირი იღებს საარჩევნო უფლებას. საქართველოს კანონმდებლობით ბინადრობის ცენზი აქტიური საარჩევნო უფლებისთვის პირდაპირ არ არის განსაზღვრული, თუმცა იგი რეალურად არსებობს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აქტიური საარჩევნო უფლებისაგან განსხვავებით, პასიური საარჩევნო უფლებისთვის კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს ბინადრობის ვადებს. მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში; საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არცერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად და აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის მერად და თვითმმართველი თემის გამგებლად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წელი მაინც, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

ასაკობრივი ცენზი გულისხმობს კონკრეტულ ასაკს, რომლის მიღწევს შემდეგაც მოქალაქე იძენს საარჩევნო უფლებას. საქართველოს მოქალაქე აქტიურ საარჩევნო უფლებას იძენს 18 წლის ასაკიდან. რაც შეეხება პასიურ საარჩევნო უფლებას, მას პირდაპირი კავშირი აქვს საჯარო ხელისუფლების ცალკეული ორგანოების არჩევნებთან. მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან; საქართველოს პარლამენტის წევრად და თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან; თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს–თვითმმართველი ქალაქის მერად, თვითმმართველი თემის გამგებლად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

განათლების ცენზი. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განათლების ცენზს, გარდა სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნისა. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა.

დისკრიმინაციული ცენზი. დისკრიმინაციული ცენზი მოიცავს **ქმედუნარიანობისა და მორალურ ცენზებს**. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, აქტიური საარჩევნო უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული. აგრეთვე იმ პირს, რომელიც სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო და მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

მორალური ცენზი კი უზღუდავს პასიურ საარჩევნო უფლებას მოქალაქეს, რომელიც არის ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი. მაგალითად: საქართველოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად „საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი, ხოლო თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, ცნოს მისი უფლებამოსილება.“

დამცავი ცენზი. დამცავი ცენზი მოიცავს **აურჩევლობისა და შეუთავსებლობის ცენზებს**. ამ ცენზების დანესების აზრი ის არის, რომ არ მოხდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების აღრევა.

აურჩევლობის ცენზი განსაზღვრავს იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, რომლებიც საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებამდე უნდა გადადგინდნ დაკავებული თანამდებობიდან.

შეუთავსებლობის ცენზი უზღუდავს არჩევითი თანამდებობის პირებს გარკვეულ საქმიანობას. მაგალითად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, ხოლო საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.



საარჩევნო სამართლის პრინციპი – თანასწორი საარჩევნო უფლება

თანასწორი საარჩევნო უფლება ნიშნავს ყველა ამომრჩევლისთვის კანონის ფარგლებში თანასწორ უფლებებს და საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის თანასწორ პირობებს. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.



საარჩევნო სამართლის პრინციპი – პირდაპირი საარჩევნო უფლება

თუ ამომრჩეველი უშუალოდ იმ კანდიდატს აძლევს ხმას, რომელმაც კონკრეტული თანამდებობა უნდა დაიკავოს, მაშინ არჩევნები პირდაპირია, ხოლო თუ მოქალაქეები ირჩევენ ამომრჩევლებს ან სპეციალურ ორგანოს, რომელიც შემდგომ ირჩევს კანდიდატს, მაშინ საქმე არაპირდაპირ (ირიბ) არჩევნებთან გვაქვს.

საქართველოში არჩევნები პირდაპირია. ამომრჩევლები საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრსა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის მერს, თვითმმართველი თემის გამგებელს უშუალოდ ირჩევენ.



საარჩევნო სამართლის პრინციპი – კენჭისყრის ფარულობა

საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი ფარული კენჭისყრით ტარდება. არჩევნების ფარულობის პირობებში თითოეულ ამომრჩეველს გარანტირებული აქვს იმის შესაძლებლობა, რომ კენჭისყრის კაბინაში (ან სხვა ადეკვატურ პირობებში) თავისი ხელით შეავსოს ყველასთვის ერთნაირი საარჩევნო ბიულეტენი და პირადად ჩააგდოს ის საარჩევნო ყუთში.



საარჩევნო სამართლის პრინციპი – ნების თავისუფალი გამოვლენა

იგი ეხება მხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირებს. აღნიშნული უფლების საფუძველზე ამომრჩეველი თავად წყვეტს, მივიდეს თუ არა არჩევნებზე და დააფიქსიროს თუ არა საკუთარი პოზიცია. თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობაში ხმის მიცემა არის უფლება და არა მოვალეობა. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, და ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე კონტროლი. რაც, თავის მხრივ, პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში ჩაურევლობას გულისხმობს.




**საპროგრამო
სისტემები**

ტერმინი „საარჩევნო სისტემა“ ორი მნიშვნელობით გამოიყენება. საარჩევნო სისტემა ფართო გაგებით, სახელმწიფოს არჩევითი ორგანოს ფორმირების წესია. საარჩევნო სისტემა, ვიწრო გაგებით – კენჭისყრის შედეგების მიხედვით საჯარო ხელისუფლების ორგანოში ასარჩევ კანდიდატთა შორის მანდატების განაწილებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევის წესია.

საარჩევნო სისტემას აწესრიგებს **საარჩევნო სამართალი**. თუმცა, საარჩევნო სამართლებრივ ნორმათა გარდა, საარჩევნო სისტემის მოწესრიგებაში სხვა სამართლებრივი (სამოქალაქო, შრომის, სისხლის, ადმინისტრაციული და საპროცესო სამართლის ცალკეული ნორმები) და არასამართლებრივი ნორმებიც (პოლიტიკურ პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა წესდებები, პოლიტიკური და პროფესიული მორალისა და ეთიკის ნორმები, ტრადიცია და სხვ.) მონაწილეობს.

იდეალური საარჩევნო სისტემა არ არსებობს. ამა თუ იმ სისტემის არჩევა ქვეყანასა და პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მიზანი, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემამ. ეს მიზანი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე მოსახლეობის სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევის უზრუნველყოფაა. სამართლიანად კი ისეთი შედეგია მიჩნეული, როდესაც გამარჯვებულად ის ცხადდება, ვინც მეტი ხმა მიიღო (მაჟორიტარული პრინციპი), ან როდესაც პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა მიღებული ხმების რაოდენობის პროპორციულია (პროპორციული პრინციპი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საარჩევნო სისტემები ორ ძირითად ჯგუფად – **მაჟორიტარულ და პროპორციულ საარჩევნო სისტემებად** – იყოფა. მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მოგვიანებით შერეული საარჩევნო სისტემები გაჩნდა. დროთა განმავლობაში ეს კლასიფიკაცია კიდევ უფრო დაიხვეწა და ამჟამად მსოფლიოში გავრცელებული საარჩევნო სისტემები 4 ოჯახად იყოფა².



თითოეულ ამ სისტემას, თავის მხრივ, აქვს მრავალი სახესხვაობა, რომლებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

საარჩევნო სისტემების საკვანძო განმასხვავებელი ნიშნებია:

- ↳ **ოლქის სიდიდე** (ერთმანდატიანი/მრავალმანდატიანი), იგი გულისხმობს არჩეული წარმომადგენლების რაოდენობას ყოველ საარჩევნო ოლქში და არა ამომრჩეველთა რაოდენობას;
- ↳ **ბიულეტენის სტრუქტურა** (კატეგორიული/პრეფერენციული), იგი გულისხმობს რამდენი ხმა აქვს ამომრჩეველს; ბიულეტენი კანდიდატზეა ორიენტირებული, თუ პარტიაზე, ანუ ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად კანდიდატს, პარტიას, თუ ორივეს; ამომრჩეველი აკეთებს ერთ არჩევანს თუ რამდენიმე პრეფერენციულ არჩევანს;
- ↳ **საარჩევნო ფორმულა**, რომელიც განსაზღვრავს თუ რა პირობებია საჭირო გამარჯვების მოსაპოვებლად (უბრალო უმრავლესობა, აბსოლუტური უმრავლესობა, მიღებული ხმების წილის პროპორციულად).

2 Electoral System Design: The New International IDEA Handbook. 2005 – International Institute for Democracy and Electoral Assistance;

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გამოყენებისას დეპუტატის მანდატებს მხოლოდ ის კანდიდატები მოიპოვებენ, რომლებმაც კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობა მიიღეს. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა უმეტესად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება, თუმცა შესაძლებელია მისი მრავალმანდატიან ოლქებში გამოყენებაც. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისგან იმითაც განსხვავდება, თუ როგორ განისაზღვრება კანდიდატის ასარჩევად საჭირო ხმების უმრავლესობა.

ყველა აღნიშნული კრიტერიუმის გათვალისწინებით გამოიყოფა 5 ძირითადი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა:

- ▶ ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა (FPTP);
- ▶ ბლოკური კენჭისყრა (BV);
- ▶ პარტიულ-ბლოკური კენჭისყრა (PBV);
- ▶ ალტერნატიული კენჭისყრა (AV);
- ▶ ორტურიანი სისტემა (TRS).

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებულად ის კანდიდატი მიიჩნევა, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს. შედეგის დასადგენად საკმარისია ერთი ტურის გამართვა. როდესაც ამ სისტემის გამოყენებით იმართება კენჭისყრა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, იგი ბლოკურ კენჭისყრად გარდაიქმნება.

ბლოკური კენჭისყრით ჩატარებულ არჩევნებში თითოეულ ამომრჩეველს აქვს იმდენი ხმა, რამდენი კანდიდატიც არის ასარჩევი მოცემულ საარჩევნო ოლქში. საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები მიიღებენ მანდატებს, მიუხედავად მათი ხმების პროცენტული მაჩვენებლებისა.

თუ ამომრჩევლები მრავალმანდატიან ოლქში ხმას არა კანდიდატებს, არამედ, პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს აძლევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები პარტიულ-ბლოკური კენჭისყრით ტარდება (ესაა სისტემა, რომლის დროსაც „გამარჯვებული ისაკუთრებს ყველა მანდატს“). ამ სისტემით გამართულ არჩევნებში გამარჯვებულად ის პარტია მიიჩნევა, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს.

ალტერნატიული კენჭისყრისას და ორტურიან სისტემაში არჩეულად ის კანდიდატი მიიჩნევა, რომელიც ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ანუ ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს (50% + 1) მიიღებს.

ორტურიან სისტემაში ამომრჩევლები ხმას მხოლოდ ერთ კანდიდატს აძლევენ. ალტერნატიული კენჭისყრის დროს ამომრჩეველი ხმას ერთ კანდიდატს აძლევს, მაგრამ სხვებსაც მიუთითებს (შეუძლია არც მიუთითოს), უპირატესობის რიგითობის მიხედვით მინიჭებით – გვარების გასწვრივ შესაბამისი ციფრების დაწერით: ამომრჩეველი მისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატის გვარის გასწვრივ წერს ციფრს 1, შემდეგი სასურველი კანდიდატის (ანუ ვის ისურვებდა იმ შემთხვევაში, თუ პირველი ვერ გავიდოდა) გასწვრივ წერს ციფრს 2 და ა. შ. (ხმათა დათვლის დროს საარჩევნო ბიულეტენები ამა თუ იმ კანდიდატის პირველი ხმების მიხედვით ლაგდება).

თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, გამარჯვებულის გამოსავლენად ორტურიან სისტემაში მეორე ტური გამოიყენება (კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს, რომელთაგან გამარჯვებული ფარდობითი უმრავლესობის პრინციპით განისაზღვრება), ხოლო ალტერნატიული კენჭისყრის დროს, თუ პირველი დათვლით ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ის კანდიდატი, რომელმაც ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო, სიიდან ამოიღება. ამასთანავე, მისი მეორე ხმები დარჩენილ კანდიდატებზე გადანაწილდება. ეს პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ ხმათა ასეთი გადანაწილებით რომელიმე კანდიდატი მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიიღებს.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დადებითი მხარეები:

- ☞ ის გასაგებად მარტივია (ამომრჩეველი ხმას კონკრეტულ კანდიდატს აძლევს და ნათლად ჩანს, სხვებს ვინ აჭობა);
- ☞ შედარებით მცირეა იმის ალბათობა, რომ არჩეული ორგანო პოლიტიკურად „ჭრელი“ აღმოჩნდეს.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის უარყოფითი მხარეები:

- ე. წ. დაკარგული ხმების რაოდენობა (იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც სხვა კანდიდატებს, ანუ გამარჯვებულის წინააღმდეგ, მისცეს ხმა) შეიძლება საგრძნობი აღმოჩნდეს – გამარჯვებულის მიერ მიღებულ ხმებზე მეტიც კი (ეს სისტემის მოდიფიკაციაზეა დამოკიდებული);
- მხარდამჭერთა რაოდენობით მეორე პარტიამ, თუნდაც ის ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფ პარტიას უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდეს, შეიძლება ვერცერთი (ან ძალიან ცოტა) მანდატი მიიღოს – თუ ორივე პარტიის მხარდამჭერები თანაბრად არიან განაწილებული საარჩევნო ოლქებში;
- მხარდამჭერთა რაოდენობით პირველმა პარტიამ შეიძლება უფრო ნაკლები მანდატი მიიღოს, ვიდრე გავლენით მეორე პარტიამ, თუ მის მხარდამჭერთა დიდი რაოდენობა რამდენიმე მსხვილ საარჩევნო ოლქშია კონცენტრირებული, უფრო მეტ ოლქში კი მის მხარდამჭერთა რაოდენობა ოდნავ ნაკლებია მეორე პარტიისაზე.

ამრიგად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ არჩეულ ორგანოში მანდატების უმრავლესობა მოსახლეობის უმცირესობის (შესაძლოა, მნიშვნელოვანი უმცირესობის) წარმომადგენელთა ხელში აღმოჩნდეს. ეს კი ეწინააღმდეგება დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს – ხალხის უმრავლესობის მმართველობის პრინციპს. საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ გაურკვეველი პოლიტიკური შეხედულებების, მაგრამ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისთვის კარგად ცნობილმა ან დიდი ფინანსური შესაძლებლობის მქონე (თუნდაც სათანადო განათლების, გამოცდილებისა და უნარის არმქონე) პირმა გაიმარჯვოს, თანაც შეიძლება მას მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდეს (ასეთი მდგომარეობა ე. წ. „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი).

პროპორციული საარჩევნო სისტემები

პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენებისას საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია და პარტიებს შორის მანდატები ამ ოლქში³ მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ როგორ აძლევს ხმას ამომრჩეველი; როგორ ნაწილდება მანდატები პარტიებს შორის; როგორია საარჩევნო ზღურბლი; მთელი ქვეყანა ერთი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქია თუ რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად არის დაყოფილი.

პროპორციული საარჩევნო სისტემის ძირითადი სახეობებია:

- სიითი პროპორციული წარმომადგენლობა (List PR);
- ერთი გადაცემადი ხმის სისტემა (STV).

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს საარჩევნო ზღურბლის (ბარიერის) მნიშვნელობა. პროპორციული საარჩევნო სისტემის შეუზღუდავი გამოყენება ხშირად არჩევით ორგანოში მრავალი პატარა პარტიის ნაკლებად გავლენიანი, მაგრამ ამბიციური წარმომადგენლების მოხვედრას იწვევს. საარჩევნო ზღურბლი არის პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა (არჩევნების ან კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობიდან), რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში. მისი დაწესება ხელს უშლის წარმომადგენლობით ორგანოში ძალიან სუსტ პარტიათა წარმომადგენლების მოხვედრას, რომლებიც, ცხადია, ამ ორგანოში ამინდს ვერ შექმნიან, მაგრამ შეიძლება პრობლემები შეუქმნან არა მარტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას, მთავრობის შექმნას და შემდგომ საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებას, არამედ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც. თუმცა საარჩევნო ზღურბლის დაწესებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მაღალი ზღურბლის შემთხვევაში შეიძლება ზღურბლგადალახულ პარტიათა მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა მათ მონაწილედგეთა რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს და არჩეულ ორგანოში მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენლები მოხვდნენ; მით უმეტეს, რომ ზღურბლის მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმები გამარჯვებულ პარტიებზე ნაწილდება⁴.

3 საარჩევნო ოლქის შექმნის ორი მეთოდი არსებობს: პირველი (უფრო გავრცელებული) – როდესაც საარჩევნო ოლქის საზღვრები ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებს ემთხვევა; მეორე (უფრო იშვიათი; ძირითადად პრეზიდენტის არჩევნისას გამოიყენება) – როდესაც მთელი ქვეყნის ტერიტორია ერთი საარჩევნო ოლქია.

4 დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური (პარტიული) სისტემა ჩამოყალიბებულია და არჩევნებში ძირითადად ორი-სამი ძლიერი პარტია მონაწილეობს, საარჩევნო ბარიერი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ამომრჩეველთა წარმომადგენლობაზე; გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებისათვის კი სასურველია, რომ საარჩევნო ზღურბლის სიდიდე 3-5%-ს არ აღემატებოდეს.

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის (List PR) დროს იქმნება ერთი მრავალმანდატიანი ოლქი (ქვეყნის მასშტაბით). ამომრჩეველი ხმას აძლევს ერთ პარტიულ სიას (პარტიას). გამარჯვებულად მიიჩნევა ის ერთი ან რამდენიმე პარტია, რომლებიც საარჩევნო ბარიერს გადალახავენ. ბარიერგადალახული პარტიები მანდატებს მიღებული ხმების პროპორციულად მოიპოვებენ.

მანდატების განაწილების წესი. საერთაშორისო პრაქტიკაში მანდატების განაწილების მეთოდთა ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყენება:

- ⇒ კვოტირების მეთოდი;
- ⇒ გამყოფთა მეთოდი.

კვოტირების მეთოდი. ამ მეთოდით დათვლისას თითოეული სია მანდატებს საარჩევნო კვოტის მიხედვით იღებს. ეს ორსაფეხურიანი პროცესია: ჯერ განისაზღვრება საარჩევნო კვოტა – ერთი მანდატის მისაღებად საჭირო ხმათა ყველაზე მცირე რაოდენობა (ე. ი. მანდატის „კუთრი წონა“) – და შემდეგ კვოტის საშუალებით მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება მანდატები.


საარჩევნო კვოტა სხვადასხვა ფორმულის მეშვეობით განისაზღვრება. მარტივი, ანუ ჰარეს კვოტის მეთოდით კანდიდატის არჩევისთვის აუცილებელი კვოტა სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე გაყოფით გამოითვლება. მაგალითად, თუ საერთო ჯამში 100 (მოქმედი) ხმაა მიცემული და 20 დეპუტატის ადგილი უნდა შეივსოს, ცხადია, ერთი მანდატის მისაღებად სიამ არანაკლებ 5 ($100:20=5$) ხმა უნდა დააგროვოს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ გამოთვლით ყველაზე პროპორციული შედეგის მიღებაა შესაძლებელი.

გამყოფთა მეთოდი. ამ მეთოდის არსი ისაა, რომ ყოველი სიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა რიცხვთა ზრდად მწკრივზე იყოფა. მიღებული განაყოფები კლებადობით ლაგდება. ის განაყოფი, რომლის რიგითი ნომერი გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის ამსახველ რიცხვს ემთხვევა, იქნება საარჩევნო კვოტა. ფაქტობრივად, კვოტა განაყოფთა მიღებულ მწკრივში უმცირესი რიცხვია. მისი ტოლი და მასზე მეტი განაყოფების მქონე სიები პროპორციულად ინაწილებენ მანდატებს. მანდატების განაწილების პროცესი პრაქტიკულად ერთ ეტაპად ხორციელდება. გამყოფთა მეთოდები ერთმანეთისგან მხოლოდ გამყოფთა მწკრივის ტიპით განსხვავდება: დ'ჰონტის ფორმულის გამოყენებისას თითოეული პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის შესაბამის ნატურალურ რიცხვთა მწკრივზე (1, 2, 3, 4 და ა. შ.).

გასანაწილებელია 4 მანდატი	პარტიული სიების მიერ მიღებული ხმებია:			
გამყოფი	I პარტია – 12 000	II პარტია – 10 000	III პარტია – 7 000	IV პარტია – 5 000
1	12 000	10 000	7 000	5 000
2	6 000	5 000	3 500	2 500
3	4 000	3 333,30	2 333,30	1 666,60
4	3 000	2 500	1 750	1 250
მიღებული მანდატები	2	1	1	0

ერთი გადაცემადი ხმის სისტემა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება. ამომრჩეველს რამდენიმე ხმა აქვს, მაგრამ ფაქტობრივად მათ იყენებს, როგორც ერთ გადაცემად ხმას. ამომრჩევლები ახდენენ საარჩევნო ბიულეტენებში კანდიდატთა რანგირებას უპირატესობების მიხედვით. ეს სისტემა ითვალისწინებს არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე უპირატესობებსაც.

ხმების დათვლის პირველ ეტაპზე შემონმდება კანდიდატთა პირველი უპირატესობები და კანდიდატები განლაგდებიან მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით (პირველი უპირატესობების შესაბამისად). შემდეგ დადგინდება პირველი უპირატესობების საერთო რაოდენობა და გამოითვლება საარჩევნო კვოტა.



აღნიშნული სისტემით კანდიდატი არჩეულად მიიჩნევა, თუ იგი საარჩევნო კვოტის საშუალებით მიღებულ ხმათა რაოდენობას დააგროვებს (კვოტის გამოსათვლელად ძირითადად დრუპის კვოტა გამოიყენება. არჩევისთვის საჭიროა კანდიდატმა მიიღოს იმ განაყოფზე თუნდაც ერთი მთელი ხმით მეტი, რომელიც ამომრჩეველთა საერთო ხმების რაოდენობის ერთი ერთეულით გაზრდილ მანდატების რაოდენობაზე გაყოფით მიიღება. მაგალითად, თუ საერთო ჯამში 105 (მოქმედი) ხმაა

მიცემული და 20 დეპუტატის ადგილი უნდა შეივსოს, ცხადია, ერთი მანდატის მისაღებად კანდიდატმა არანაკლებ 5 $(105/(20+1)+1=5)$ ხმა უნდა დააგროვოს). ჩვეულებრივ, პირველი დათვლის შემდეგ რამდენიმე გაუნაწილებელი მანდატი რჩება. ასეთ შემთხვევაში არჩეული კანდიდატის ზედმეტი/ჭარბი საარჩევნო ბიულეტენები/ხმები სხვებს გადაუნაწილდება. ამისთვის გადამწყვეტია ამ კანდიდატის საარჩევნო ბიულეტენებში არსებული მეორე უპირატესობები.

ზოგადად, პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

დადებითი მხარეები:

- ☞ უზრუნველყოფილია სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე მოსახლეობის სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევა. სახელდობრ, პარტიის მიერ მოპოვებულ მანდატთა რაოდენობა მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია;
- ☞ „დაკარგული“ ხმების რაოდენობა ძალიან მცირეა;
- ☞ პარტიას შეუძლია პარტიული სიის მეშვეობით უზრუნველყოს სათანადო განათლების, გამოცდილებისა და უნარის მქონე, მაგრამ ამომრჩევლებისთვის ნაკლებად ცნობილი პირის არჩევა.

უარყოფითი მხარეები:

- ☞ ამომრჩევლისთვის რთულია პარტიული სიებით წარდგენილი კანდიდატების ვინაობის გარკვევა. გადანყვებილებას იგი, ჩვეულებრივ, პარტიის ლიდერთა მიმართ თავისი დამოკიდებულების მიხედვით იღებს. ამის გამო კი, არცთუ იშვიათად, არჩეულ პირთა შორის ისეთებიც ხვდებიან, რომელთა ფუნქციაც ფაქტობრივად, მხოლოდ კვორუმის შექმნა და კენჭისყრაში მონაწილეობაა (ასეთი მდგომარეობა ე. წ. „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი);
- ☞ იმ პირობებში, როდესაც პარტიების შიგა მოწყობა საკმაოდ ხშირად არადემოკრატიულია, პარტიულ სიებს მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელები (და არა პარტიის წევრები) ადგენენ. გამორიცხული არაა, რომ მათ ეს სიები პირადი ერთგულების პრინციპით შეადგინონ (თუმცა ეს შინაპარტიული პრობლემაა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი რამ იშვიათად ხდება);
- ☞ თუ ქვეყანაში პოლიტიკური სიჭრელეა, წარმომადგენლობითი ორგანოც ძალიან „ჭრელი“ გამოვა, რაც, როგორც წესი, პოლიტიკურ არასტაბილურობას იწვევს. თუმცა არსებობს მეთოდი, რომლითაც „სიჭრელის“ თავიდან აცილება ხდება. ესაა ე. წ. საარჩევნო ზღურბლის შემოღება.

შერეული საარჩევნო სისტემები

არაერთ ქვეყანაში სხვადასხვა საარჩევნო სისტემის დადებით მხარეთა გაერთიანების და ნაკლოვანებათა შემცირების მიზნით გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემა, რომელიც მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების უბრალო გაერთიანებით ან ამ სისტემათა ცალკეული ელემენტების გაერთიანებით მიიღება. შერეულ საარჩევნო სისტემაში სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემის ელემენტები.

შერეული საარჩევნო სისტემის ყველაზე მარტივი ფორმაა **პარალელური კენჭისყრა (Parallel)**. ამ სისტემით წარმომადგენლობითი ორგანო სანახევროდ მაჟორიტარული, სანახევროდ კი – პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული დეპუტატებით კომპლექტდება. პარალელური კენჭისყრის სისტემა ითავსებს პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების დადებით ნიშნებს. ის იმ საარჩევნო სისტემების ვარიანტია, რომლებშიც წარმომადგენლები აირჩევიან როგორც გეოგრაფიული საარჩევნო ოლქებიდან, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით პროპორციული საარჩევნო სისტემით, პარტიული სიებით. ამომრჩეველს აქვს ორი ხმა – ერთი პარტიული სიისთვის და მეორე – საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისთვის. საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი ძირითადად ფარდობითი უმრავლესობის პრინციპით აირჩევა. პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატებს პარტიის მიერ მიღებული ხმებიდან გამომდინარე ირჩევენ. ეს კანდიდატები მანდატებს იმ რიგითობის მიხედვით მიიღებენ, რომელიც პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნების დაწყებამდე წარადგინა.

შერეული წევრობის სისტემა (MMP). ეს სისტემა გამოიყენება გერმანიაში. იგი ცდილობს მაჟორიტარული და პროპორციული წარმომადგენლობების დადებითი ასპექტები გააერთიანოს. აღნიშნული სისტემა სტრუქტურით პარალელური კენჭისყრის მსგავსია, თუმცა მისი გამორჩეული მახასიათებელი არის ის, რომ სიითი პროპორციულობით მიღებული მანდატები ერთმანდატიანი მაჟორიტარული არჩევნებით გამოწვეული ნებისმიერი დისპროპორციის კომპენსირებას ახდენს.

მაგალითი: გასანაწილებელია 100 მანდატი, მათ შორის, 50 მაჟორიტარული

საარჩევნო სუბიექტი	მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მიღებული ხმები	პროპორციული საარჩევნო სისტემით მიღებული ხმების %	პროპორცია, გამოსახული მანდატებში	მანდატები პარტიული სიდან	მიღებული მანდატების საერთო რაოდენობა
ა	9	25	25	16 (25-9)	25
ბ	9	10	10	1 (10-9)	10
გ	19	23	23	4 (23-19)	23
დ	2	22	22	20 (22-2)	22
ე	5	13	13	8 (13-5)	13
ვ	6	7	7	1 (7-6)	7
სულ	50				100

სხვა საარჩევნო სისტემები


ამ სისტემების თავისებურება ისაა, რომ ისინი ერთი ნიშნით (მრავალმანდატიანი ოლქი) პროპორციული საარჩევნო სისტემის მსგავსია, მაგრამ, მეორე მხრივ, კენჭისყრის პროცესი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მსგავსად მიმდინარეობს. აღნიშნულ სისტემებს განეკუთვნება: ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა (SNTV), შებლუდული კენჭისყრა (LV), ბორდას დათვლა (BC).

ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა მრავალმანდატიან ოლქში გამოიყენება. ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს და, ამდენად, ხმას მხოლოდ ერთ კანდიდატს აძლევს. საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები მიიღებენ მანდატებს მოცემულ საარჩევნო ოლქში.

შებლუდულ კენჭისყრას მრავალმანდატიან ოლქში იყენებენ. ამომრჩეველს შეუძლია ხმა რამდენიმე კანდიდატს მისცეს. ხმების რაოდენობა შებლუდულია – იგი გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე ნაკლები უნდა იყოს. გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

ბორდას დათვლა არის პრეფერენციული სისტემა, რომელიც გამოიყენება როგორც ერთმანდატიან, ისე მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში. ამომრჩეველი კანდიდატებს პრეფერენციებს (უპირატესობებს) (1, 2, 3, 4 და ა. შ.) ანიჭებს. დათვლის დროს კანდიდატებს ქულები ენიჭებათ, მაგალითად, ვინც პირველი პრეფერენცია მიიღო – 1 ქულა, ვინც მეორე პრეფერენცია მიიღო – 2 ქულა და ა. შ. ყველა ქულა ჯამდება და გამარჯვებულად ყველაზე ნაკლები ქულების მქონე კანდიდატები ცხადდებიან.


საარჩევნო სისტემების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება მსოფლიოში (მონაცემები 216 ქვეყნის მიხედვით)



საარჩევნო სისტემების რაოდენობრივი განაწილება კონტინენტების მიხედვით

საარჩევნო სისტემა	აფრიკა	ამერიკა	აზია	ევროპა	ზღვისპირა ქვეყნები	ჯამი
პროპორციული	17	19	10	36	1	83
პლურალურ/მაჟორიტარული	27	22	19	6	13	87
შერეული	8	3	11	7	1	30
სხვა სისტემები			3	1	3	7
ცვლილების ეტაპზე	2		3			5
არჩევნები არ ტარდება	1		2	1		4
ჯამი	55	44	48	51	18	216

სახარჯვენო სისტემების განხილვა მსოფლიოს მასშტაბით



FPTP – ფუნდითი უზრუნველების მავრიტული სისტემა	MMP – შერეული წყობის სისტემა
TRS – თრეტონი სისტემა	List PR – სითი პოპულარული ნაბიზი, დეცლუსი
AV – ალტერნატიული კანტატი	STV – ერთი გადაცემა სისტემა
BV – ბოლუკი კანტატი	SNTV – ერთი არავადეცემა სისტემა
PBV – პარტულ-ბოლუკი კანტატი	LV – გეგულული კანტატი
Parallel – პარალელური ვეგეტატი	Modified BC – პორტალ დათვა

არ ირჩევა პირდაპირი წესი



**საპროექტო
პროცესი და მისი
ადმინისტრირება**

საარჩევნო პროცესი

საარჩევნო პროცესი არის ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ცალკეული ჯგუფების მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიზნით განხორციელებული საქმიანობა. საარჩევნო პროცესი რეგულირდება სამართლებრივი აქტებისა და სოციალური ნორმების (მაგალითად, ტრადიციების) მეშვეობით. მაშასადამე, საარჩევნო პროცესი არის გარკვეული აქტივობა და სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც ამ აქტივობას არეგულირებს.

განასხვავებენ საარჩევნო პროცესის ორ მხარეს: **ოფიციალურსა და არაოფიციალურს**. ოფიციალურ მხარეში იგულისხმება სახელმწიფო ორგანოების მიერ არჩევნების ჩასატარებლად განხორციელებული ღონისძიებები, მაგალითად: საარჩევნო კომისიების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების ჩატარებასა და ამ პროცესის ზედამხედველობას, უზრუნველყოფენ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციას და ა.შ. არაოფიციალურ მხარეში იგულისხმება ისეთ მოქმედებები, რომელთაც პოლიტიკური პარტიები ან სხვა არასახელმწიფო ორგანოები (მაგალითად, დამკვირვებლები, მასმედიის წარმომადგენლები და ა.შ.) განახორციელებენ.

საარჩევნო პროცესის ძირითადი ეტაპები. საარჩევნო პროცესი შესაძლებლობას იძლევა იგი დაიყოს შედარებით დამოუკიდებელ, ერთმანეთის შემცვლელ სტადიებად, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის საარჩევნო პროცესის სტრუქტურას. დროითი თანამიმდევრობისა და გადასაწყვეტი ამოცანების თავისებურებებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესში პირობითად გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ეტაპები: არჩევნების დანიშვნა; საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნა; საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანოების შექმნა; ამომრჩეველთა რეგისტრაცია; კანდიდატების წარდგენა/რეგისტრაცია; საარჩევნო კამპანია; კენჭისყრა; კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დადგენა; განმეორებითი კენჭისყრა, არჩევნების მეორე ტური, ხელახალი არჩევნები; არჩევნების შედეგების დადგენა და გამოქვეყნება.

საარჩევნო პროცესის ადმინისტრირება. არჩევნების მომზადების, გამართვისა და არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესში ძირითად როლს **არჩევნების მარეგულირებელი ორგანოები** ასრულებენ.

მსოფლიოში არსებული პრაქტიკით, არჩევნების მარეგულირებელი ორგანოები (საარჩევნო ადმინისტრაცია) შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივ მოქმედი. დროებითი ორგანო იქმნება კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად და აქვს უფლებამოსილების განსაზღვრული ვადა. რაც შეეხება მუდმივმოქმედ ორგანოს, ეს არის ინსტიტუცია, რომელსაც გააჩნია ჩამოყალიბებული სტრუქტურა და ფუნქციონირებს საქმიანობის შეუწყვეტლად.

აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის ხარისხის მიხედვით მსოფლიოში არსებული არჩევნების მარეგულირებელი ორგანოები სამ ძირითად მოდელად იყოფა:



დამოუკიდებელი მოდელის შემთხვევაში არჩევნების ხელმძღვანელობასა და მართვას ახორციელებს არჩევნების მართვის ორგანო, რომელიც ხელისუფლების აღმასრულებელი შტოსაგან ინსტიტუციურად დამოუკიდებელი და ავტონომიურია. ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ანგარიშვალდებულია მხოლოდ ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე. დამოუკიდებელი მოდელი მოქმედებს როგორც საქართველოში, ისე ბევრ სხვა ქვეყანაში, როგორცაა სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა, რუმინეთი, კანადა, ინდოეთი, ურუგვაი, კოსტა-რიკა და სხვა.

სამთავრობო მოდელის შემთხვევაში არჩევნების ხელმძღვანელობასა და მართვას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება სამინისტროს (მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს) ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საშუალებით. სამთავრობო მოდელი მოქმედებს ბელგიაში, გერმანიაში, აშშ-ში, ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთში, დანიასა და უნგრეთში.

შერეული მოდელი დამოუკიდებელი და სამთავრობო მოდელის კომბინაციაა. დამოუკიდებელი კომპონენტი წარმოდგენილია საარჩევნო ადმინისტრაციის სახით, რომელიც ზედამხედველის ფუნქციას ასრულებს, ხოლო სამთავრობო კომპონენტი – სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახით (დევცენტრალიზებული საარჩევნო მმართველობა), რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებას. შერეული მოდელი მოქმედებს იაპონიაში, სენეგალსა და ესპანეთში.


უფლებამოსილების ვადის მიხედვით დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება არსებობდეს მუდმივმოქმედი ან დროებითი ორგანოს სახით. გარდა აღნიშნულისა, ქვეყნების უმეტესობა პრიორიტეტს ანიჭებს ე. წ. შერეული ტიპის საარჩევნო ადმინისტრაციას, სადაც ზედა რგოლი (მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისია) მუდმივმოქმედია, ხოლო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები – დროებითი.

დაკომპლექტების წესის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება შედგებოდეს პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული წევრებისგან, რომლებიც არიან პროფესიული ნიშნით შერჩეული პირები ან საზოგადოებისთვის მისაღები უპარტიო ექსპერტები, პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული წევრებისგან, სადაც წევრებს პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ და ასევე შერეული ტიპის, როდესაც კომისიაში პროფესიული ნიშნით შერჩეულ წევრებთან ერთად შედიან პარტიული ნიშნით დანიშნული წევრებიც. აღნიშნული კომისიის წევრები შესაძლებელია იყვნენ როგორც მუდმივმოქმედი, ისე დროებითი. რაც შეეხება საარჩევნო ტრიბუნალს, ის მოსამსართლეებისგან შედგება და მათი უფლებამოსილების ვადაც არის მუდმივმოქმედი ან დროებითი. ეს მოდელი გამოიყენება კოსტა-რიკასა და მექსიკაში.


რაც შეეხება **შემადგენლობას (წევრების რაოდენობას)**, ის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. მაგალითად: ისრაელის არჩევნების მარეგულირებელი ორგანო არაუმეტეს 31 წევრისაგან შედგება,

 ნიგერია - 30


 კენია - 22


 კონგო - 21

 მოზამბიკი – 19

 უკრაინა, ტაჯიკეთი და რუსეთი – 15

 საქართველო – 13

 კოლუმბია, მექსიკა, მალტა, ერაყი, მოლდოვა, პალესტინა და ლატვია – 9


 ფილიპინები, სომხეთი, თურქეთი და უგანდა – 7

 ჰონდურასი – 3

 კანადა, ახალი გვინა და სეიშელი - 1 .

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელს აქვს ძირითადი მახასიათებლები, სხვადასხვა ქვეყანაში ისინი შეიძლება განსხვავებული ვარიაციით იყოს წარმოდგენილი, რაც დამოკიდებულია ქვეყნის კანონმდებლობაზე, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორებზე. სწორედ ამიტომ, თითოეული ქვეყანა თავად ირჩევს არჩევნების მართვის ორგანოს რომელი მოდელია მისთვის მისაღები.

არჩევნების მრავალრიცხოვანი ორგანიზების მონაწილეებს მოვლით მსოფლიოს მასშტაბით



სამსოვრობო

ერთიველ დროზე არჩევნები
ან მხარდობა

დამოუკიდებელი

შედეგი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების მართვის **დამოუკიდებელ მოდელს** განეკუთვნება. იგი სამ დონეზეა. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანოებია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია დროებითი. საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილებია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიებიც (უსკო).

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია **დაკომპლექტების წესის** მიხედვითაც შერეული ტიპის საარჩევნო ადმინისტრაციებს განეკუთვნება. საარჩევნო კომისიებში 6 წევრი პროფესიული ნიშნით ირჩევა, ხოლო 7 წევრი პარტიული ნიშნით ინიშნება. საარჩევნო კომისიის წევრი, მიუხედავად იმისა, პროფესიული ნიშნითაა შერჩეული თუ პარტიული ნიშნითაა დანიშნული, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონს და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს.



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო)

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა. იგი უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის გამართვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აკონტროლებს საქართველოს

საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას, ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი სისტემის საქმიანობის ორგანიზებასა და კონტროლს (არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ცესკოს აპარატი, რომლის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ცესკოს რეგლამენტით), ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.

ცესკო შედგება **თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან**. ცესკოს 5 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. 7 წევრს ნიშნავენ ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, დაფინანსებას იღებენ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ცესკოს ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი. ცესკოს თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. ცესკოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევენ ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა). ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, აგრეთვე აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს⁵.

ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 დღისა, ხოლო უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში – შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15 დღისა საქართველოს პრეზიდენტი ადგილობრივ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგენს 3 კანდიდატურას.

ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კანდიდატურების წარდგინებიდან 5 დღის ვადაში. სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს ცესკოში პარტიების მიერ დანიშნულ წევრთაგან უხუცესი წევრი. კენჭისყრა ფარულია. სამივე კანდიდატს ერთდროულად ეყრება კენჭი. ცესკოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ რომელიმე კანდიდატმა მიიღო 4 ან 4-ზე მეტი ხმა. ცესკოს მიერ ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ განკარგულება 7 დღის ვადაში ეგზავნება საქართველოს პარლამენტს. თუ დადგენილ ვადაში წარდგენილი 3 კანდიდატურიდან ცესკოს თავმჯდომარე ვერ აირჩა, საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, იმავე კანდიდატურებისგან, 7 დღის ვადაში ირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში წარედგინება ცესკოს.

5 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი.

ცესკოს თავმჯდომარის მოადგილეს და ცესკოს მდივანს კომისიის წევრთაგან, წევრობის უფლებამოსილების ვადით ირჩევს კომისია. კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე/ცესკოს მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსაკო)



უსაკო ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა. იგი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას კონტროლს (არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს უსაკოს აპარატი, რომლის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება უსაკოს რეგლამენტით), აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

უსაკო შედგება **თავმჯდომარისა და კომისიის 5 წევრისაგან**, რომელთაც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. 7 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამოცხადების შემდეგ ნიშნავენ ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებსაც ჰყავთ დანიშნული წევრები ცესკოში (უფლებამოსილება უწყდებათ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე).

უსაკოს ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი. უსაკოს თავმჯდომარეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. უსაკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, აგრეთვე აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს⁶.

უსაკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეირჩევა ღია კონკურსის წესით. კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკონკურსო კომისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს უსაკოში ასარჩევ ვაკანსიაზე წარუდგენს არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კანდიდატს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე შეარჩევს უსაკოს თავმჯდომარეობის კანდიდატს. კანდიდატების შერჩევიდან/წარდგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს უსაკოს თავმჯდომარეობის კანდიდატს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ უსაკოს თავმჯდომარეობის კანდიდატების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 14 დღისა უმაღლესი საბჭო ფარული კენჭისყრით ირჩევს უსაკოს თავმჯდომარეს. თითოეულ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი. უსაკოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. თუ კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენამდე.

უსაკოს თავმჯდომარის მოადგილეს და უსაკოს მდივანს შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს უსაკო. უსაკოს ხელმძღვანელ პირთა კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა უსაკოს

⁶ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტები და მე-13 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი.


თავმჯდომარის მოადგილე/უსკოს მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში არჩევნები ამ ეტაპზე არ ტარდება, რის გამოც აფხაზეთის უმაღლესი საარჩევნო კომისია არ ფუნქციონირებს.

საოლქო საარჩევნო კომისია

საოლქო საარჩევნო კომისია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანოა და თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში საარჩევნო ოლქში უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის გამართვას, აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას.

საოლქო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისაგან:



საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნის ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ცესკო უფლებამოსილია განკარგულებით შექმნას თითო საოლქო საარჩევნო კომისია ერთ ან ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის საზღვრებში, ხოლო ათი საოლქო საარჩევნო კომისია ქალაქ თბილისში, ამასთან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ცესკო განკარგულებით განსაზღვრავს იმ საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომლებიც საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს სრულად განახორციელებენ საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას, და მათ სამოქმედო ტერიტორიებს, ასევე იმ საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომლებიც ნაწილობრივ განახორციელებენ დადგენილ უფლებამოსილებას, და მათი უფლებამოსილებების ფარგლებს.



საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით ადგენს საარჩევნო ბიულეტენების ტექსტებს საარჩევნო ოლქში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის; განკარგულებით ანიჭებს არჩევნების/რეფერენდუმის/ პლემბისციტის ადგილობრივი დამკვირვებლის სტატუსს ადგილობრივ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს; უზრუნველყოფს არჩევნებთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გამოქვეყნებას; განიხილავს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას; განკარგულებით ქმნის და აზუსტებს საარჩევნო უბნების საზღვრებს; თუ ქვემდგომი საუბნო საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია ცესკოს წინაშე დასვას ამ კომისიისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/ მოადგილე/მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

საუბნო საარჩევნო კომისია

კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქი იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 20 და არაუმეტეს 1500 ამომრჩევლისთვის⁷. საარჩევნო უბნის ფარგლებში არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის გამართვის მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისია ქმნის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებით ტერიტორიულ ორგანოებს – საუბნო საარჩევნო კომისიებს.

საუბნო საარჩევნო კომისია შედგება **13 წევრისაგან**:

-  6 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია;
-  7 წევრს ნიშნავენ ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, დაფინანსებას იღებენ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.




პარტიის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.

საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის გამართვას, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას, კენჭისყრის დროს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვას, ამომრჩეველთა, წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გარანტირებული უფლებების გამოყენებასა და დაცვას; ამომრჩეველთა სიების სისწორეს, განიხილავს სიებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს და შეცდომებისა თუ უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში არაუგვიანეს მომდევნო დღისა მიმართავს გემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას სიებში ცვლილების შეტანის წინადადებით; ამომრჩეველთა განცხადებებისა და განაცხადების საფუძველზე ადგენს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას; ადგენს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო უბანში, რის თაობაზედაც დგება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. სხდომას იწვევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (არანაკლებ 7 წევრი). სხდომას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევამდე ხელმძღვანელობს კომისიის უხუცესი წევრი.

ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე/მდივანი ირჩევა პირველივე სხდომაზე კომისიის წევრთაგან სახელობითი კენჭისყრით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

-  კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს;
-  ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ;
-  დასახელებულ კანდიდატს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და ხმა მისცეს საკუთარი კანდიდატურის სასარგებლოდ.

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი) არ შეიძლება იყვნენ ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები.

თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე/მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

⁷ გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბანი შეიძლება შეიქმნას სამხედრო ნაწილში, საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში, რომელშიც არის 50-ზე მეტი ამომრჩეველი.

საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები და მუშაობის წესი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები, მათი უკეთ გააზრების მიზნით, პირობითად შეიძლება დაგყოს რამდენიმე კატეგორიად:

- ☛ არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის მომზადებისა და ჩატარებასთან დაკავშირებული კომპეტენციები;
- ☛ ზედამხედველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული კომპეტენციები;
- ☛ დამატებითი წესებისა და რეგულაციების დადგენასთან/დაზუსტებასთან დაკავშირებული კომპეტენციები;
- ☛ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კომპეტენციები.

არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის მომზადებისა და ჩატარებასთან დაკავშირებულ კომპეტენციებში მოიაზრება:

- Ⓣ) **არჩევნების გამოცხადებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები** (ცესკო ნიშნავს რიგგარეშე, ხელახალ და შუალედურ არჩევნებს, განმეორებით კენჭისყრას და არჩევნების მეორე ტურს; ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს; განსაზღვრავს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს);
- Ⓣ) **საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები** (ცესკო ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს (საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ცესკოს დადგენილი წესით განკარგულებით განსაზღვრავს საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებას და სამოქმედო ტერიტორიებს). ხოლო საარჩევნო უბნების საზღვრებს განკარგულებით ქმნის და აზუსტებს საოლქო საარჩევნო კომისიას);
- Ⓣ) **ამომრჩეველთა სიების ფორმირებასთან/გამოქვეყნებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები** (საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს. შემოწმების შედეგებს განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისია. ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია ამომრჩეველთა ერთიანი სია, საჯარო გაცნობისათვის, გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში);
- Ⓣ) **საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები** (ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის), მათ წარმომადგენლებს ცესკოში; საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს, პარტიულ სიებსა და ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატებს; საოლქო საარჩევნო კომისია, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო ოლქში წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატებს, აგრეთვე პარტიულ სიებს და მერობის/გამგებლობის კანდიდატებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისათვის (გარდა ქალაქ თბილისის საკრებულოს და ქალაქ თბილისის მერის არჩევნებისა));
- Ⓣ) **საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის ფორმის დადგენასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები** (ცესკო ადგენს საარჩევნო/სარეფერენდუმო/საპლემბისციტო ბიულეტენების ფორმას, ბიულეტენების ტექსტებს, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების სახეებს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საარჩევნო ოლქში, საარჩევნო ბიულეტენების ტექსტებს ადგენს საოლქო საარჩევნო კომისია);
- Ⓣ) **კენჭისყრასთან, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამებასთან, საბოლოო შედეგების დადგენასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები** (საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმის, პლემბისციტის გამართვას და ადგენს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო უბანში. საარჩევნო ოლქში, საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს აჯამებს/ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, ადგენს არჩევნების საბოლოო შედეგებს).

ზედამხედველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ფარგლებში ცესკო წარმართავს საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობას და პერიოდულად ისმენს მათ ანგარიშებს, უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, შეამოწმოს ქვემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერება და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები.

ანალოგიური უფლებამოსილებითაა აღჭურვილი საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც, ზედამხედველობას უწევს საუბნო საარჩევნო კომისიებს. თუ ქვემდგომი, საუბნო საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია ცესკოს წინაშე დასვას ამ კომისიისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. ასეთ შემთხვევაში, ცესკოს გადაწყვეტილებით კომისიას შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელახლა შექმნამდე დროებით ჯგუფს დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება.

დამატებითი წესებისა და რეგულაციების დადგენასთან/დაზუსტებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ფარგლებში ცესკო უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში, დადგენილებით განსაზღვროს ჩასატარებელი არჩევნების/გასამართი კენჭისყრის საარჩევნო ღონისძიებები და ვადები თუ შეუძლებელი გახდა საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება/ვადების დაცვა; ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის თაობაზე.

საარჩევნო კოდექსით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში ცესკო უფლებამოსილია გამოსცეს დადგენილებები, მათ შორის, განსაზღვროს მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესი, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების დამატებითი წესი, კენჭისყრის პროცედურები, არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცესკო უფლებამოსილია დადგენილება მიიღოს ცესკოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელ საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზეც.

გარდა დადგენილებისა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში ცესკო გამოსცემს განკარგულებებს (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), მაგალითად, განკარგულებით განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების პირობებსა და წესს; საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში არჩევნების ჩატარების ვადებსა და წესს და სხვა საკითხებს.



„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ცესკო კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე გასცემს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხებს.





საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესი. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს ცესკო. მუშაობის წესში კი იგულისხმება კომისიის სხდომის ორგანიზება და მიმდინარეობა, სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირთა წრის განსაზღვრა და მათ უფლებრივი მდომარეობა, დოკუმენტაციის წარმოების წესი, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სხვა.

საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა ხდება მხოლოდ შესაბამის სხდომებზე, მაგრამ, ცხადია, მათი დამუშავება და სხდომისთვის მომზადება სხდომებამდე ხდება.

საარჩევნო კომისიის სხდომა. საარჩევნო კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან თავისი მოადგილის მოთხოვნით.

საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა, სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ:

-  ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს და კომისიის წარმომადგენლებს;
-  შესაბამისი და ზემდგომი საარჩევნო კომისიების აპარატების თანამშრომლებს;

-  შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს;
-  საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში;
-  შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს;
-  ცესკოში რეგისტრირებულ საერთაშორისო ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს თარჯიმანთან ერთად.

სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე ან, მისი დავალებით – მისი მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე საკითხებს კენჭისყრაზე აყენებს წინადადებათა შემოსვლის რიგითობის მიხედვით. კომისიის ყველა წევრს აქვს უფლება, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდეს 2 წუთის განმავლობაში. მათ ასევე აქვთ უფლება, იმავე საკითხთან დაკავშირებით დამატებით გამოვიდნენ სიტყვით კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.

კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირები სხდომაზე სიტყვით გამოდიან სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, კომისიის წევრების შემდეგ.

კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა (თუ კანონით უფრო მაღალი კვორუმი არ არის დადგენილი⁸), მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

კომისიის იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის სხდომის ოქმს. ამასთანავე, განსხვავებული აზრის მქონე წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მას არა აქვს უფლება, თავისი ქმედებით თუ უმოქმედობით ხელი შეუშალოს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

საარჩევნო კომისიის სხდომაზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა აისახება **სხდომის ოქმში**. სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან 1 დღის ვადაში. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

კომისიას უფლება აქვს, სხდომის მიმდინარეობისას წესრიგის დარღვევისა და კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში დამრღვევი გააძევოს სხდომიდან, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს. ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა და მათი თანამდებობის პირების მიერ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა შესაბამისად საქართველოს, საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე.

ცესკოს სამართლებრივი აქტებია:

- ⇒ ცესკოს დადგენილება – იგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია და მიიღება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში; ის მიიღება აგრეთვე გამონაკლის შემთხვევაში, არჩევნების დაწყებიდან მათ დასრულებამდე, თუ აუცილებელი აღმოჩნდა კანონით განუსაზღვრელი და არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი საკითხების გადაწყვეტა. აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება კენჭისყრამდე არაუგვიანეს 4 დღისა;
- ⇒ ცესკოს განკარგულება;
- ⇒ ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება (გამოიცემა შიდაუნებრივ, მათ შორის, საკადრო საკითხებთან დაკავშირებით);
- ⇒ ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება;
- ⇒ ცესკოს მდივნის განკარგულება;
- ⇒ ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

⁸ ცესკოს დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ ცესკოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეეხება ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მათ შორის, საარჩევნო ოლქის/უბნის შედეგების გაუქმებას, საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნას და საარჩევნო ბიულეტენების გადათვლას, იღებს სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ ორი მესამედი.

უსკოს სამართლებრივი აქტებია:

- ⇒ უსკოს დადგენილება;
- ⇒ უსკოს განკარგულება;
- ⇒ უსკოს თავმჯდომარის ბრძანება;
- ⇒ უსკოს თავმჯდომარის განკარგულება;
- ⇒ უსკოს მდივნის განკარგულება;
- ⇒ უსკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

საოლქო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებია:

- ⇒ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება;
- ⇒ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება;
- ⇒ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულება;
- ⇒ საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები.

საუბნო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებია:

- ⇒ საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება;
- ⇒ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება;
- ⇒ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

საარჩევნო კომისიის/თავმჯდომარის/მდივნის განკარგულება და კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

საარჩევნო კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, ხოლო სხვა განკარგულებას ხელს აწერს მისი გამომცემი პირი. კენჭისყრის/არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს ხელს აწერენ კომისიის წევრები, მათ შორის, თავმჯდომარე/მოადგილე/მდივანი.

საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და გაცემა. საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემასა და რეგისტრაციას ახორციელებს სამუშაო დღის 18 საათამდე.

განცხადების/საჩივრის მიღებისას საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალსა და განმცხადებლისთვის/ მომჩივნისთვის გადაცემულ ცნობაში აღინიშნება მისი მიღების თარიღი და დრო. კომისია განიხილავს განცხადებას/საჩივარს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. საარჩევნო კომისიისგან რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი ადასტურებს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.

საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი პირია საარჩევნო კომისიის მდივანი. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული და პირადი საიდუმლოებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს, ხოლო ასლების მოთხოვნის შემთხვევაში საფასურის ოდენობა და გადახდის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა სიების შედგენა საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ამომრჩეველის საარჩევნო უფლების განხორციელება. იმის მიხედვით, თუ ვის ეკისრება ამომრჩეველთა რეგისტრაციის ტვირთი, რეგისტრაცია შეიძლება იყოს საჯარო ან პირადი.

საჯარო ანუ სავალდებულო რეგისტრაციის დროს ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, დაადგინონ ყველა ამომრჩეველი და შეიყვანონ ისინი ამომრჩეველთა ერთიან სიაში. სავალდებულო რეგისტრაციას შეიძლება ჰქონდეს ორი სახესხვაობა: პერიოდული რეგისტრაცია სახელმწიფოს ინიციატივით (საარჩევნო კომისიის თანამშრომელი დადის სახლებში და აღრიცხავს ამომრჩეველებს ყოველი არჩევნების წინ ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ) და მუდმივი რეგისტრაცია სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების საფუძველზე (ამომრჩეველთა სიები დგება სახელმწიფოს მიერ მუდმივად განახლებადი სიების ან სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა საფუძველზე).

პირადი ანუ ნებაყოფლობითი რეგისტრაცია გულისხმობს ამომრჩეველთა ინიციატივით რეგისტრაციას. ნებაყოფლობითი რეგისტრაცია შეიძლება იყოს ორი სახის: პირველი – პერიოდული რეგისტრაცია ამომრჩევლის ინიციატივით (მოქალაქეები ყოველი არჩევნების წინ ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ მიდიან სპეციალურ სარეგისტრაციო ცენტრებში და გადიან რეგისტრაციას) და მუდმივი რეგისტრაცია ამომრჩევლის ინიციატივით (ამომრჩევლები მიდიან სპეციალურ სარეგისტრაციო ცენტრში, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს, და გადიან რეგისტრაციას).

საქართველოში, როგორც წესი, საჯარო ანუ სავალდებულო რეგისტრაცია გამოიყენება. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის, მისი კომპიუტერული დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნიებული ნაწილის ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებისათვის.

ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს, სხვა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახური; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური; საქართველოს საკონსულო დანესებულებები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; სოციალური მომსახურების სააგენტო).

საქართველოში ამომრჩეველთა სიები მუდმივია და პერიოდულად ხდება მისი განახლება. პასუხისმგებელი დანესებულებები წელიწადში ოთხჯერ – ყოველი წლის 1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისს და 1 ნოემბერს – საარჩევნო უფლების მქონე პირთა შესახებ, ასევე საარჩევნო უფლების არმქონე პირთა შესახებ განახლებულ ან ახალ მონაცემებს გადასცემენ ცესკოს. ამ მონაცემების საფუძველზე ცესკო უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემთა ელექტრონული ბაზის განახლებას.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება ამომრჩევლის შესახებ შემდეგი მონაცემები:

- ❑ გვარი, სახელი;
- ❑ დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
- ❑ მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის („ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზის“ მიხედვით);
- ❑ საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი;
- ❑ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის აღინიშნება დროებითი საცხოვრებლის მისამართი; სხვა სახელმწიფოში მყოფი პირისთვის მიეთითება „საკონსულო აღრიცხვაზე“, ხოლო თუ ასეთი პირი არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე – „იმყოფება უცხოეთში“);
- ❑ ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი;
- ❑ ფოტოსურათი;
- ❑ სქესი.

ამ ჩამონათვალიდან საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება მოქალაქის პირადი ნომერი და სქესი.

ამომრჩეველთა სიების მონაცემთა გადამოწმების და მონაცემთა სისწორის კონტროლის მექანიზმი. როგორც საარჩევნო, ისე არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, დამკვირვებელ ორგანიზაციას და ამომრჩეველს უფლება აქვთ, გაეცნონ ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნიებულ ვერსიას (ამომრჩეველს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ მის და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილებების შეტანა) და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა, ხოლო არასაარჩევნო პერიოდში – ნებისმიერ დროს, მოითხოვონ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა. მონაცემების გაცნობა და ასლის გაცემა ხდება საჯარო ინფორმაციის გაცნობისა და გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაინტერესებული პირის განცხადებას განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო არჩევნების პერიოდში – არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-14 დღისა. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ 2 დღის ვადაში გადაეცემა ცესკოს და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო პერიოდში).

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს. ეს განკარგულება მისი გამოცემიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

არჩევნების დღემდე მე-13-დან მე-10 დღემდე ამომრჩეველთა სიებში ცვლილება შეიტანება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა არჩევნების დღემდე ბოლო 10 დღის განმავლობაში, გარდა საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კერძოდ, თუ ამომრჩეველმა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა ვერ მოასწრო ამომრჩეველთა სიაში რეგისტრაციის მიზნით საარჩევნო კომისიისთვის მიმართვა იმის გამო, რომ იმყოფებოდა საზღვარგარეთ, საავადმყოფოში ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ამომრჩევლის მიმართვის საფუძველზე (განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების (საქართველოს მოქალაქის პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან განთავისუფლების ცნობა) წარდგენის შემთხვევაში) მისი რეგისტრაციის საკითხს განკარგულებით წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ. უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამომრჩეველს. თუ ასეთი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართავს კენჭისყრის დღეს, მას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია და ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის პარალელურად, საარჩევნო პერიოდში, კონკრეტული შემთხვევებისთვის იქმნება **ამომრჩეველთა სპეციალური და გადასატანი ყუთის სიები**.

ამომრჩეველთა სპეციალური სია. ამომრჩეველთა სპეციალური სია დგება მხოლოდ საარჩევნო პერიოდში. მას ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა. ამომრჩეველთა სპეციალური სია დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავს:

- **საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები**, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;
- **ამომრჩევლები, რომლებიც სამკურნალო-ლოდ წვანან საავადმყოფოში** ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭის-ყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი ამ დაწესებულებიდან;
- საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებელი) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების **სამხედრო მოსამსახურეები**, რომელთა სამსახურის პირობები მოითხოვს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისაგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც სხვა საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება;
- კენჭისყრის დღეს **სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლები**, რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აგრეთვე ამომრჩევლები, რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 21-ე დღისა რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში;
- ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს **პატიმრობაში იმყოფებიან**.

ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი მონაწილეობს, როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ადგილსამყოფელს იცვლის ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას – ერთი და იმავე ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე (გარდა საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეებისა); პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებსა და რეფერენდუმში, თუ იგი ხმას აძლევს სხვა საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილი თავდაცვის სამინისტროს **სამხედრო მოსამსახურე**, რომელიც კენჭისყრის დღეს განთავსებულია შესაბამის დისლოკაციის ადგილზე, არჩევნების დღისთვის მუდმივი წესით **1 წლით ან 1 წელზე მეტი ვადით**, მონაწილეობს საკრებულოს, როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებსა და მერის/ გამგებლის არჩევნებში.

სპეციალურ სიაში შეყვანილი თავდაცვის სამინისტროს **სამხედრო მოსამსახურე**, რომელიც კენჭისყრის დღეს განთავსებულია მუდმივი დისლოკაციის ადგილზე, არჩევნების დღისთვის **1 წელზე ნაკლები ვადით**, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურე რომელიც კენჭისყრის დღეს განთავსებულია შესაბამის დისლოკაციის ადგილზე, მონაწილეობს საკრებულოს პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში, ხოლო მერის/გამგებლის არჩევნებსა და საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დისლოკაციის ადგილი მიეკუთვნება იმ ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებს, რომელშიც ის არის რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადასატანი საარჩევნო ყუთის სია. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირებისთვის პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისია.

გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ:

- ☑ ამომრჩეველს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილი ასეთი კატეგორიის ამომრჩეველების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩეველების 3 პროცენტს. აღნიშნული რაოდენობის შევსების შემდეგ ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის შესახებ გადანაცვლებას იღებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სხდომაზე დამსწრეთა ორი მესამედით);
- ☑ ამომრჩეველი იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას;
- ☑ ამომრჩეველი იმყოფება პატიმრობაში;
- ☑ ამომრჩეველი სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი;
- ☑ ამომრჩეველი სამხედრო მოსამსახურეა, მსახურობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული, და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაში გაატარებს ამომრჩეველის წერილობით განცხადებას ან სატელეფონო ზეპირ განცხადებას, სატელეფონო შეტყობინების ზუსტი დროისა და შესაბამისი ტელეფონის ნომრის მითითებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ამომრჩეველი გადასატანი ყუთის სიაში შეჰყავს იმ შემთხვევაში, თუ იგი შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან სიაში და მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი მიეკუთვნება იმ საარჩევნო უბნის ტერიტორიას, სადაც იგი რეგისტრირებულია.

გადასათანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილზე.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს გადასათანი საარჩევნო ყუთის სიაში შეაქვს ამომრჩევლის შესახებ იგივე მონაცემები, რომლებიც არის ამომრჩეველთა ერთიან სიაში (გარდა ფოტოსურათისა), და დამატებით აღნიშნავს მის რიგით ნომერს ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში.

გადასათანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილი ამომრჩეველი მონაწილეობს პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემებით ჩატარებულ არჩევნებში, თუ ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი და ამომრჩევლის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩეველს ეძლევა მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნება საარჩევნო პერიოდში. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი კომისიის პირველივე შეკრების დღეს, ხოლო გადასათანი საარჩევნო ყუთის სია – მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი მონაცემების შემოწმების საფუძველზე, გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“, იმ ამომრჩევლის გვარის გასწვრივ, რომელიც:

- ✎ სხვა სახელმწიფოში დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აღინიშნება „**საკონსულო აღრიცხვაზე**“;
- ✎ იმყოფება სხვა სახელმწიფოში, მაგრამ არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აღინიშნება „**იმყოფება უცხოეთში**“;
- ✎ იმყოფება საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიან და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში, აღინიშნება „**სამხედრო სამსახურშია**“;
- ✎ შეყვანილია ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში, აღინიშნება „**კომისიის წევრია**“, „**საავადმყოფოშია**“ ან „**პატიმრობაშია**“;
- ✎ შეყვანილია გადასათანი საარჩევნო ყუთის სიაში, აღინიშნება „**გადასათანი ყუთი**“.

არჩევნების ფინანსური უზრუნველყოფა

არჩევნების მომზადება და ჯეროვანი ჩატარება მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული. მათ შორისაა ფულადი სახსრები. არცერთი დემოკრატიული სახელმწიფო, როგორც გამოცდილებაც არ უნდა ჰქონდეს მას, ვერ უზრუნველყოფს არჩევნების სრულფასოვან ჩატარებას შესაბამისი სახსრების გარეშე.

საქართველოში არჩევნების დაფინანსების საკითხები მოცემულია საქართველოს საარჩევნო კოდექსის VII თავში, რომელიც არეგულირებს, როგორც არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსების საკითხებს, ასევე ცალკე საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის საკითხებს.

არჩევნების/რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების ფინანსური უზრუნველყოფა. არჩევნების, რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ცესკო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 55 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარუდგენილი გეგმის შესაბამისად კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50 დღისა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს ცესკოს ანგარიშზე. თავის მხრივ, ცესკო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.

საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან არაუგვიანეს 30 დღისა წყვეტს ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და 10 დღის ვადაში ცესკოს ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

არჩევნების ხარჯთაღრიცხვა	2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები	2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები
	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	34673300	34,466,703
ხარჯები	34,026,703	34,026,703
შრომის ანაზღაურება	19,809,457	19,809,457
საქონელი და მომსახურება	7,387,456	7,387,456
სხვა ხარჯები	6,829,790	6,829,790
არაფინანსური აქტივების ზრდა	440	440
არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	27,174,500	29,104,640
ხარჯები	26,734,500	28,664,640
შრომის ანაზღაურება	17,748,500	19,656,577
საქონელი და მომსახურება	6,670,800	6,692,913
სხვა ხარჯები	2,315,200	2,315,150
არაფინანსური აქტივების ზრდა	440	440
არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება	825,5	847,423
ხარჯები	847,423	847,423
შრომის ანაზღაურება	131	152,88
საქონელი და მომსახურება	694,5	694,543
საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსება	1,200,000	1,200,000
ხარჯები	1,200,000	1,200,000
სხვა ხარჯები	1,200,000	1,200,000
საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება	5,473,300	3,314,640
ხარჯები	5,473,300	3,314,640
სხვა ხარჯები	5,473,300	3,314,640

**მსოფლიოს საარჩევნო ხარჯების სტატისტიკა,
საშუალოდ მერყეობს \$1-\$7 თითოეულ ამომრჩეველზე:**

პაკისტანი	(\$0.50)	ავსტრალია	(\$3.20)
განა	(\$0.70)	ურუგვაი	(\$3.70)
ინდოეთი	(\$1.00)	უგანდა	(\$3.70)
ჩილე	(\$1.20)	ელსალვადორი	(\$4.10)
სენეგალი	(\$1.20)	მექსიკა	(\$5.90)
ბენინი	(\$1.60)	ლიბერია	(\$6.10)
კოსტარიკა	(\$1.80)	საქართველო	(\$6.30)
ბრაზილია	(\$2.30)	ლესოტო	(\$6.90)
ბოტსვანა	(\$2.70)	რუსეთი	(\$7.50)



**პრევენციის
ჩართული
მხარეები**

არჩევნებში ჩართულ მხარეებზე მოიაზრება საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილე (საარჩევნო ადმინისტრაცია, პარტიები/საარჩევნო სუბიექტები, მედია, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, სხვა საჯარო დაწესებულებები და ამომრჩეველი), რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხს. ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები კანონითაა განსაზღვრული.

არჩევნებში ჩართულ ძირითად მხარეებად შეიძლება მოვიხაროთ: საარჩევნო ადმინისტრაცია, სადამკვირვებლო სპექტრი, პარტიები/საარჩევნო სუბიექტები და მედია. საარჩევნო ადმინისტრაციაზე უკვე წინა თავში ვისაუბრეთ, ამიტომ განვიხილოთ დანარჩენი მათგანი.

სადამკვირვებლო სპექტრი

მსოფლიო პრაქტიკაში არჩევნებზე დაკვირვებას ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები ახორციელებენ. დამკვირვებელი ორგანიზაციები, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართული მიუკერძოებელი და ნეიტრალური ინსტიტუტები, უზრუნველყოფენ არჩევნების მონიტორინგს, მოსახლეობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას.

არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ შეფასებებზე. სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების აქტიური და ინტენსიური თანამშრომლობის შესაძლებლობა შესაბამის სტატუსთან და გამოცდილებასთან არის დაკავშირებული.

არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ **ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ** ორგანიზაციებს, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესის შესაბამისად (დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესი მოცემულია აღნიშნული კანონის V თავში).



ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 1 წლისა რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამფუძნებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს

ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის - ადგილობრივი დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა:

- ✘ მოსამართლისა;
- ✘ სახელმწიფო - პოლიტიკური თანამდებობის პირისა;
- ✘ საქართველოს პარლამენტის წევრისა;
- ✘ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრისა;
- ✘ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისა და მისი მოადგილისა;
- ✘ საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;
- ✘ პროკურატურის თანამდებობის პირისა;
- ✘ საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;
- ✘ საარჩევნო კომისიის წევრისა.



საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების

მონიტორინგს, ადამიანის უფლებათა დაცვას და რომლის საქმიანობაც ეფუძნება შემდეგ **საერთაშორისო ალიარებულ პრინციპებს:**

- ☑ საქართველოს კანონმდებლობის, სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების პატივისცემა;
- ☑ საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლისგან თავის შეკავება;
- ☑ პოლიტიკური მიუკერძოებლობა;
- ☑ საარჩევნო პროცესის მონაწილეებისაგან ფინანსური დამოუკიდებლობა და დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობა;
- ☑ საერთაშორისო საარჩევნო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციით ალიარებული დებულებების დაცვა.

საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას და იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე უსკო, თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, დამკვირვებელი ორგანიზაცია, თუ იგი რეგისტრირებულია ცესკოს მიერ, უსკოში დამატებით რეგისტრაციას არ საჭიროებს). ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა **საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ** ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია დამკვირვებელთა შესახებ და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (თუ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს თან ახლავთ თარჯიმანი, საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ მათი სიაც უნდა წარადგინოს).

ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა **ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ** ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია (სია უნდა დაერთოს დამკვირვებლების საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლები).

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია (სიაში უნდა აღინიშნოს დამკვირვებლის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი).

საარჩევნო კომისიის უფლება არაა აქვს, დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

არჩევნების მონიტორინგის მეთოდები და მნიშვნელობა. არჩევნებზე დაკვირვება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ელემენტისაგან შედგება. მხოლოდ კენჭისყრის დღეს მონიტორინგის წარმოება სრულყოფილ დაკვირვებად მიჩნეული ვერ იქნება, ვინაიდან არჩევნები იწყება არჩევნების თარიღის გამოცხადებისთანავე (ე. წ. „კენჭისყრის დღემდე პერიოდი“) და მთავრდება საარჩევნო პროცედურების დასრულებიდან (კენჭისყრის დღიდან) რამდენიმე კვირის შემდეგ.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების გლობალური ქსელის (GNDEM—Global Network of Domestic Election Monitors) ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შემუშავდა სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაცია და ქვევის კოდექსი, რომლის შესრულება ხელმომწერი ორგანიზაციებისთვის სავალდებულოა. მიუკერძოებელი დაკვირვების განხორციელებისთვის შემუშავდა დამკვირვებელთა ფიცი.

სადამკვირვებლო მონიტორინგის პრინციპებია:

- ☞ **კანონის უზენაესობა** – დამკვირვებელი თავისი საქმიანობისას მკაცრად იცავს კანონს და პატივს სცემს მის აღსრულებას;
- ☞ **მიუკერძოებლობა** – დამკვირვებელი საჯაროდ არ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მიმართ და ობიექტურია თავის შეფასებებში;
- ☞ **პროფესიონალიზმი** – დამკვირვებელი მის მიერ საარჩევნო დაკვირვებასა და მონიტორინგთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებისას, ხელმძღვანელობს სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიით და ზუსტად ასრულებს მას. პატივს სცემს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებას და არ იქცევა უკანონოდ და არაეთიკურად;
- ☞ **გამჭვირვალობა** – სადამკვირვებლო ორგანიზაცია საარჩევნო პროცესების მონაწილეებისგან ფინანსურად დამოუკიდებელია და ყოველთვის ღიად უთითებს მისი დაფინანსების წყაროზე;
- ☞ **ანგარიშვალდებულება** – დამკვირვებელი ზუსტად, ფაქტებზე დაყრდნობით და მიუკერძოებლად ახორციელებს ანგარიშვალდებულებას.

ადგილობრივმა და საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა არჩევნებზე დაკვირვება შეიძლება აწარმოონ **გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის** მეშვეობით. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია მოიცავს დაკვირვებას წინასაარჩევნო პერიოდიდან კენჭისყრის შედეგების შეჯამების პერიოდის ჩათვლით. ამ პერიოდში დამკვირვებელთა ყურადღება გამახვილებულია საარჩევნო პროცესში ჩართული საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო ადმინისტრაციებისა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობასა და გადანყვეტილებებზე. მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია ორიენტირებულია კენჭისყრის დღის დაკვირვებაზე და იგი კენჭისყრის დღეს მოიცავს საარჩევნო უბნის გახსნიდან საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების შეჯამების ჩათვლით.

როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კენჭისყრის დღის პროცედურების მიმდინარეობას, დაწყებული საარჩევნო უბნების გახსნიდან, დამთავრებული საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანით და ოქმების გემდგომი საარჩევნო კომისიებისთვის მიწოდებით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვირვებელს უფლება აქვს:

- ☞ დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- ☞ კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
- ☞ კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ☞ მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;
- ☞ დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემას და მათ დამოწმებას კენჭისყრის პროცესისათვის ხელის შეუშლელად;
- ☞ დაესწროს ამომრჩეველთა ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;
- ☞ დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესს;
- ☞ დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას;
- ☞ დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- ☞ განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე და კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს რეაგირება;



- ⦿ მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში;
- ⦿ გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ⦿ დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმების შედგენას;
- ⦿ გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიისგან მოითხოვოს და მიიღოს ამ ოქმების ასლები.

ფართო უფლებების მიუხედავად, დამკვირვებლები მაინც შეზღუდული არიან და ამ შეზღუდვის მთავარი განმსაზღვრელი მათი ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობაა. კერძოდ, დამკვირვებელს არა აქვს უფლება:

- ✗ ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- ✗ გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- ✗ აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
- ✗ ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
- ✗ კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.

სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარმატებული დაკვირვების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ეფექტური საადვოკაციო კამპანიის წარმოება. სწორედ ამ პროცესში ხდება იმ პრობლემური საკითხების წამოჭრა და ადვოკატირება, რომელიც სადამკვირვებლო მისიის პროცესში გამოვლინდა.

საერთაშორისო ორგანიზაციები და სტანდარტები. არჩევნების შეფასება ძალიან რთული პროცესია, რომელიც ტექნიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებას საჭიროებს. საარჩევნო პროცესის ანალიზის დროს პოლიტიკური მიკერძოებულობის საფრთხის თავიდან არიდების ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებულ გარკვეულ სახელმძღვანელო ნიშნულებს მოიცავს. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელია საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების გაზიარება, რომლებიც საფუძვლად უდევს ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს ძირითად კომპონენტებს (ქვეყნის საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნისა და მუშაობის წესი, საარჩევნო საზღვრების დადგენა, პოლიტიკური კამპანიების წარმოების წესები, მედია ხელმისაწვდომობა, კამპანიის დაფინანსება, კანდიდატებისა და პარტიების რეგისტრაციის წესები, კენჭისყრის შედეგების შეჯამება და გამოცხადება, და ა.შ.). საერთაშორისო სტანდარტები დაინტერესებულ პირებს პროცესის ობიექტური შეფასების საშუალებას აძლევს.

არჩევნების შეფასების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

- ⦿ საარჩევნო პროცესის შეფასების კრიტერიუმები ცნობილია და წინასწარაა შეთანხმებული, რაც მხარეებს საშუალებას აძლევს იცოდნენ როგორ შეაფასონ არჩევნები;
- ⦿ დასკვნები უფრო მრავალმხრივი, სანდო და სასარგებლოა, ნაკლებია სუბიექტურობა და ცდომილება;
- ⦿ დასკვნებისა და რეკომენდაციების შესრულების მზაობა უფრო მაღალია, როდესაც არჩევნების ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების, განსაკუთრებით კი ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში მოცემული ვალდებულებების მიხედვით ხდება.

საერთაშორისო სტანდარტების აღიარება უზრუნველყოფილია სახელმწიფოთა მიერ სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან მიერთებით ან/და საუკეთესო საარჩევნო პრაქტიკის გამოყენებით.

საქართველო აღიარებს ისეთი საერთაშორისო შეთანხმების შესრულების სავალდებულობას, როგორცაა: გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948წ.), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია (1950წ.), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966წ.), საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965წ.), ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (1985წ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი და სხვ.

ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრული და აღიარებულია შემდეგი ძირითადი **საერთაშორისო ორგანიზაციების** მიერ:




გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - **გაერო** (United Nations, UN) - საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. ამჟამად გაეროს წევრია 193 სახელმწიფო, საქართველო ორგანიზაციას 1992 წელს შეუერთდა.




ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, **ეუთო** (OSCE) - ჩამოყალიბდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს საფუძველზე პარიზის 1990 წლის და ვენისა და ჰელსინკის 1992 წლის დეკლარაციების საფუძველზე. ფუნქციონირებს 1995 წლიდან.


ეუთოს უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, წარმოადგენს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი - ODIHR (Office for Democratic Institutions and Human Rights);



ევროპის საბჭო - Council of Europe (CoE) - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შედგება ევროპის 47 სახელმწიფოსგან. მისი მიზნებია: ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა; ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება; ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება. საქართველო ევროპის საბჭოს წევრი 1999 წელს გახდა;



ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად - ცნობილი როგორც ვენეციის კომისია (Venice Commission), დაარსდა 1990 წელს და არის ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო კონსტიტუციურ საკითხებში, რომლის საქმიანობის ერთ - ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას არჩევნები და რეფერენდუმები წარმოადგენს. კომისია შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან;



ევროპის კავშირი (European Union, შემოკლებით ევროკავშირი - EU) – ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება. მისი წევრია ევროპის 28 სახელმწიფო.

საარჩევნო პროცესის შეფასების დროს არჩევნების ყველა მიმართულება ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და სხვა იმ საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში უნდა იქნას განხილული, რომელიც ადგენს დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ზოგად პრინციპებს.



საარჩევნო სუბიექტი

საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო პროცესების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, სწორედ მის მიერ წარდგენილი კანდიდატი/კანდიდატები შეიძლება აირჩიოს ამომრჩეველმა მომავალ პარლამენტში, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, საკრებულოში, თვითმმართველი ქალაქის მერად/გამგებლად თუ პრეზიდენტად.

საარჩევნო სუბიექტი შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობას ახორციელებს წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას ასევე პრეზიდენტობის კანდიდატს.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვთ, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნონ ორ-ორი წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში, ხოლო საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, **ორ-ორი წარმომადგენელი** დანიშნოს შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადება წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას, კერძოდ:

- ✎ ცესკოში პარტიის/საარჩევნო ბლოკის, საინიციატივო ჯგუფის (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს ცესკოს თავმჯდომარეს;
- ✎ საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის/საარჩევნო ბლოკის, საინიციატივო ჯგუფის (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს ცესკოს მდივანს;
- ✎ საოლქო საარჩევნო კომისიებში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლების დანიშვნის თაობაზე, განცხადებით უნდა მიემართოს იმ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს, რომელ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერაც იქნა რეგისტრაციაში გატარებული ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი;
- ✎ საუბნო საარჩევნო კომისიაში პარტიის/საარჩევნო ბლოკის/საინიციატივო ჯგუფისა და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს.

სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარე/შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი 24 საათის განმავლობაში განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს და გასცემს წარმომადგენლის მოწმობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი. საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს (გარდა კენჭისყრის დღისა) შეცვალოს ან/და გამოიწვიოს თავისი წარმომადგენელი, რასაც იგი აცნობებს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული წარმომადგენლები არ შეიძლება იმავდროულად დაინიშნონ სხვა საარჩევნო კომისიაში.

საარჩევნო სუბიექტის **მხოლოდ 1 წარმომადგენელს** აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს; მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა, აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი კენჭისყრის დღეს შეუზღუდავად სარგებლობს დამკვირვებლის ანალოგიური უფლებებით. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ეკრძალება საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა, ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე გავლენის მოხდენა, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ამომრჩევლისთვის აგიტაციის განწევა, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკისა და ნიშნის ტარება, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში სამკერდე ნიშნის გარეშე ყოფნა.



მედია

მედიის როლი საარჩევნო პროცესში საზოგადოებისათვის არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მინოდებას უკავშირდება, რითაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინფორმირებული ელექტორატის ჩამოყალიბებასა და ამომრჩევლის მიერ გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას.

მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს აქვთ უფლება დაესწრონ კომისიის სხდომებს, ასევე კენჭისყრის დღეს ისარგებლონ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლებით. განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა.

განცხადების წარდგენიდან 1 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მონობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას.

რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ ცესკოს მდივანი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე – უსკოს მდივანი) ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს **არაუმეტეს 3 წარმომადგენლისა**.

კენჭისყრის დღეს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. კენჭისყრის შენობაში ფოტოვიდეოგადაღება უნდა წარმოებდეს კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი სპეციალური ადგილიდან, საიდანაც ჩანს საარჩევნო პროცესი⁹.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებთან ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის შენობის გარეთ. კომისიის წევრების მიერ ინტერვიუების მიცემა უნდა განხორციელდეს კენჭისყრის პროცესში მისთვის განკუთვნილი მოვალეობების შესრულების შეფერხების გარეშე.



ერთიდაიგივე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას უფლება აქვს ერთ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის განმავლობაში ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს **ერთხელ არაუმეტეს 10 წუთისა**, ხოლო, თუ აღნიშნულ წარმომადგენელს აქვს სურვილი ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ ის ვალდებულია დაიკავოს კენჭისყრის შენობაში გამოყოფილი სპეციალური ადგილი.

კენჭისყრის შენობაში დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით ისეთი ინფორმაციისა თუ მასალის გადაღება, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება, მათ შორის ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსია.

⁹ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის № 42/2012 დადგენილება «ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ»



**წიგნის სპარჩევანო
კამპანია**

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება

წინასაარჩევნო კამპანია კანონმდებლობით დადგენილ დროის შუალედში განხორციელებული კოორდინირებული, მიზანმიმართული საჯარო ღონისძიებების სისტემაა, რომლის მიზანია კანდიდატის მხარდამჭერთა მობილიზება და არჩევნებში მისი გამარჯვების უზრუნველყოფა.

წინასაარჩევნო კამპანია იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. სწორედ ამ დროიდან პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტების კანდიდატებსა და საარჩევნო სუბიექტებს აქვთ უფლება, არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით, ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიებები. საქართველოს კანონმდებლობით, წინასაარჩევნო აგიტაციის განვითარების და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა:

- ✗ საარჩევნო კომისიის წევრისა;
- ✗ მოსამართლისა;
- ✗ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებისა;
- ✗ გენერალური აუდიტორისა;
- ✗ საქართველოს სახალხო დამცველისა;
- ✗ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა;
- ✗ საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა;
- ✗ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა;
- ✗ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს (ეს შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე¹⁰).

აკრძალულია საარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარება შემდეგი დაწესებულებების შენობებში:

- ⊖ სასამართლოები;
- ⊖ სამხედრო ნაწილები;
- ⊖ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების ფორმები. წინასაარჩევნო კამპანია შეიძლება განხორციელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები, შეკრებები და მანიფესტაციები), ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გამოცემითა და გავრცელებით, ხმის გამაძლიერებელ საშუალებათა გამოყენებით ან სხვა ფორმით.

ბეჭდვითი სააგიტაციო მასალა. არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე პოლიტიკურ პარტიას/საარჩევნო სუბიექტების კანდიდატს/საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, დაამზადოს წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, ფოტომასალები და სხვა. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ კრძალავს ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელებისათვის ხელის შეშლას და მათ ჩამორთმევას, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევას ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლას.

ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები, სააგიტაციო მასალის გამოშვების თარიღიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა უნდა წარედგინოს იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია. ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს:

- ☑ დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები;
- ☑ ინფორმაცია მასალის ტირაჟის, რიგითი ნომრის და გამოშვების თარიღის შესახებ.

¹⁰ პოლიტიკური თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი (საქართველოს საარჩევნო კოდექსი–მუხლი 49.1.გ).

სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში. ამასთანავე, აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა:

- ✚ საკულტო ნაგებობებზე;
- ✚ კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე;
- ✚ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების,
- ✚ პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
- ✚ საგზაო ნიშნებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი აკრძალვების გათვალისწინებით განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია. მათ ასევე ევალებათ, განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი.

სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

დაუშვებელია და საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ისჯება საარჩევნო პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის გაკრული. საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

კრებები, შეხვედრები ამომრჩევლებთან. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებათა უსაფრთხოება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა გაასაჯაროოს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, უზრუნველყოს ამ შენობა-ნაგებობების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო სუბიექტისათვის და მათთან შეთანხმებით შეადგინოს საარჩევნო ღონისძიებათა გამართვის განრიგი (თუ ღონისძიებები ერთმანეთს დაემთხვა და საარჩევნო სუბიექტები ვერ შეთანხმდნენ, ღონისძიებათა თანამიმდევრობა წილისყრით განისაზღვრება). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე ცესკოს ვებგვერდზე. საოლქო საარჩევნო კომისიამ შენობა-ნაგებობის გამოყენების მოთხოვნის თაობაზე საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას წერილობით, დასაბუთებულად უნდა უპასუხოს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამ ვადაში პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე თანხმობად.

საარჩევნო პროგრამა. პოლიტიკური პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატისა და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით. საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს:

- ✘ ომისა და ძალადობის პროპაგანდას;
- ✘ არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ მოწოდებას;
- ✘ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.

ამომრჩევლის მოსყიდვა. არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე საარჩევნო სუბიექტებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს და მათ წარმომადგენლებს ეკრძალებათ პირადად ან ვინმეს მეშვეობით:

- ⊗ საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა);
- ⊗ საქართველოს მოქალაქეებისათვის შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა;
- ⊗ საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება;
- ⊗ საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა).

არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განწვევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების განწვევისა), რომელიც განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ზემოთ აღნიშნულ აკრძალულ საქმიანობას, ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა. ადმინისტრაციული რესურსი არის მატერიალური ფასეულობა – ქონება, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირებს ეკრძალებათ სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. კერძოდ, იკრძალება:

- ⊗ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;
- ⊗ სახელმწიფო ხელისუფლების დანესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;
- ⊗ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება (ეს შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შემთხვევაზე, რომელთა დაცვას კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური).

უწყებათაშორისი კომისია. საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციის და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება უწყებათაშორისი კომისია.

უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ხოლო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის წესი – კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები¹¹, აგრეთვე პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც უწყებათაშორის კომისიას მიაწვდიან ინფორმაციას საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

¹¹ პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა არჩევნებში, თუ მან ან შესაბამისმა საარჩევნო ბლოკმა ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნებში მიიღო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან 3%-ზე მეტი (ხმათა ეს რაოდენობა გამოიანგარიშება მთელ ქვეყანაში პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით).

საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად და კომისიის დებულების მიზნიდან გამომდინარე, კომისია:

- ⇒ უზრუნველყოფს უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციას და ხელს უწყობს დიალოგს მთავრობასა და არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. ამ მიზნით, კომისია თანამშრომლობს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან/საარჩევნო ბლოკებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამკვირვებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- ⇒ უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისგან საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ მიღებული ინფორმაციის, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმებას;
- ⇒ განიხილავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იმ დარღვევების შესახებ ინფორმაციას, რომელთაც კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან დამკვირვებელი ორგანიზაციები.
- ⇒ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, კომისია შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურეების, ადმინისტრაციული ორგანოების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ.

უწყებათაშორისი კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ არანაკლებ კვირაში ერთხელ. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადანყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარის გადანყვეტილებით, კომისიის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც.

კომისია თანამშრომლობს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებთან. აღნიშნული პირები სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ და კომისიას მიაწვდიან ინფორმაციას საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) უზრუნველყოფს სხდომის ოქმის გადაგზავნას კომისიის წევრებისა და კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირებისათვის.

საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება იმ სახსრებით, რომლებიც დამტკიცებული ხარჯების გასაწევად შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გამოყოფილი იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით (აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება).

არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით (აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება).

ზემოთ აღნიშნული აკრძალვები არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ საარჩევნო უბნების მოწყობის მიზნით განეული ხარჯების დაფინანსებაზე (შუალედური არჩევნების დროს მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქებთან მიმართებით, სადაც ტარდება შუალედური არჩევნები).

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზედაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას. აღნიშნულ პერიოდში ასევე აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გულისხმობს:

- ✚ სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;
- ✚ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის განწვევას;
- ✚ წინასაარჩევნო აგიტაციის განწვევას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას (ეს შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, აგრეთვე იმ შემთხვევაზე, როცა ხდება ტელერადიო მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის გამოყენება).

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა

დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა. რაც გულისხმობს ხალხის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვას. აღნიშნული კი შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებებით ხორციელდება. თანამედროვე ეპოქაში კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას მედია წარმოადგენს, საარჩევნო პერიოდში მისი როლი განსაკუთრებით იზრდება. ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა ეცნობა ინფორმაციას საარჩევნო პროცესის შესახებ, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებს, რომელიც მას მედიის საშუალებით მიეწოდება.

მედია საარჩევნო პროცესში საზოგადოებას არჩევნების შესახებ ობიექტურ ინფორმაციას აწვდის, რითაც ის ხელს უწყობს ამომრჩევლის ინფორმირებულობის გაზრდას და ამომრჩევლის მიერ გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას.

მედიის როლი საარჩევნო პროცესში დეტალურად არის განვიხილავთ საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ასე მაგალითად: კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლებამოსილებით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის მხოლოდ ის საშუალებები სარგებლობენ, რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტაცია შესაბამის საარჩევნო კომისიაში (აკრედიტაციის შესახებ იხ. თავი 5). აღნიშნული დათქმა წარმოადგენს დემოკრატიული კანონმდებლობის ერთ-ერთ არსებით შემადგენელ ელემენტს, ვინაიდან მედია კენჭისყრის მომენტში გვევლინება არა მხოლოდ

როგორც ინფორმაციის გამავრცელებელი, არამედ, ამავდროულად როგორც დამკვირვებელი. ნებისმიერი დარღვევის არსებობის შემთხვევაში მედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჯაროონ და მიაწოდონ ინფორმაცია მოსახლეობას.

აღნიშნული საპასუხისმგებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის მედია უნდა ხელმძღვანელობდეს მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული შემდეგი პრინციპებით¹²:

- ❑ **კანონის პატივისცემის დემონსტრირება** დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა;
- ❑ **პროფესიონალიზმი** – საქმიანობა განხორციელოს საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ყველა ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით;
- ❑ **მიუკერძოებლობა** – თავი შეიკავოს მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაციისა და ფაქტების დამახინჯებისაგან;
- ❑ **„ამომრჩევლის სამსახურში“** – ხელი შეუწყოს ამომრჩევლისთვის ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას;
- ❑ **სამართლიანი მოპყრობა** – დაიცვას სამართლიანობა და ყველას პატივისცემით მოეპყროს; არჩევნების პერიოდში რომელიმე პარტიისთვის საეთერო დროის გამოყოფისას არ დაუშვას დისკრიმინაცია.

პოლიტიკური რეკლამა. ისევე, როგორც უცხო ქვეყნებში, საქართველოშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სარეკლამო რგოლების განთავსებით ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა კი საარჩევნო სუბიექტს ხელს უწყობს ამომრჩევლის აზრის ფორმირებაში.

პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევნისთვის ხელის შეწყობას ან ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ თუ საპლემბისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

საბაუწყებლო და ბეჭდვითი მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების გობალი რეგულაციები

ბეჭდვითი მედია. ბეჭდვითი მედიის მიერ არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებული წესები მოცემულია საქართველოს ორგანულ კანონში¹² „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, რომლის თანახმად:




1. არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჭამებამდე გაზეთმა, რომელიც ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში იმავე გაზეთში ყოველკვირეულად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია:
 - ⇒ რომელი რიცხვიდან, რა პერიოდულობით და რა დრომდე გამოყოფილი გაზეთის ფართობი;
 - ⇒ გაზეთის 1 ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე;
 - ⇒ უფასო ფართობის გამოყოფის შემთხვევაში – მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე;
 - ⇒ ფართობის ტარიფი;
 - ⇒ განუული მომსახურება.
2. არცერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის 1 ნომერში ან 1 კვირის განმავლობაში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ერთ მესამედზე მეტი. ფართობის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს. თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა თავისი წილი გაზეთის ფართობი, გაზეთს უფლება აქვს, ეს ფართობი თანაბრად გადაუნაწილოს დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.
3. სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

¹² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“; საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“; „მაუწყებლობა ქვეყნის კოდექსი“; Guidelines on Media analysis during election observation missions. OSCE/ODIHR and the Venice Commission. Adopted by the Council for Democratic Elections (Venice, 2009).

გაზეთს, რომელიც არ ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, უფლება აქვს, წინასაარჩევნო რეკლამა ნებისმიერი პირობით გამოუყოს ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს.

სამაუწყებლო მედია. საქართველოს ორგანულ კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გაცილებით ფართო რეგულაციებს ანებს სამაუწყებლო მედიის მიმართ. აღნიშნულის თანახმად:



1. ტელე და რადიოკომპანიებმა (სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებმა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ და რადიომ) კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჭაროდ უნდა გამოაცხადონ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველკვირეულად უნდა გადასცენ ინფორმაცია:

- ⇒ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო;
- ⇒ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი;
- ⇒ საეთერო დროის ტარიფი;
- ⇒ განუული მომსახურება.

2. ტელე ან რადიოკომპანიის მიერ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 % და არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი. ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის (როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური სუბიექტებისათვის) ერთნაირი უნდა იყოს. თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა თავისი წილი საეთერო დრო, ტელე ან რადიოკომპანიას უფლება აქვს, ეს დრო თანაბრად გადაუნაწილოს დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

3. აკრძალულია:

- ⊗ **კენჭისყრის დღეს** წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში;
- ⊗ ტელე და რადიოკომპანიების მიერ **პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს**, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა;
- ⊗ ფასიანი და უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნება შესაბამისი მითითების გარეშე (კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „**ფასიანი პოლიტიკური რეკლამა**“ ან „**უფასო პოლიტიკური რეკლამა**“, ასეთ რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფაც რეკლამის წერმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა).

4. **წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა, ფასიანი და უფასო სარეკლამო დრო.** წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების წესების ამოქმედება (საეთერო დროის თანაბრად განაწილება, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენა და ა.შ.) სხვადასხვა ფაქტორზე დამოკიდებული, მათ შორის, იმაზე, თუ რომელ მაუწყებელთან გვაქვს საქმე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების, გადაცემებისა და არჩევნების გაშუქების დროს ყველა მაუწყებელმა¹³ უნდა დაიცვას მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი „**მაუწყებლობის შესახებ**“ საქართველოს კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ამასთან საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ეთერში გაშვებულ არჩევნებთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდო-თარგმანიც“.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის ვალდებულება ეხება მხოლოდ ისეთ მაუწყებლებს როგორცაა: საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მაუწყებელი, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ეროვნულ მაუწყებელი. ასეთი ვალდებულებები მათ წარმოეშობათ მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებაში.

¹³ მაუწყებელი - საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს: საერთო (ეროვნული) მაუწყებელი; საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო; სათემო მაუწყებელი; ადგილობრივი მაუწყებელი და სხვა მაუწყებელი (კერძო ტელეკომპანიები, სატელევიზიო მაუწყებლობები და ა.შ.), რომელიც ფლობს შესაბამის ლიცენზიას.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელნი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, თავის ეთერში, **ყოველ საათში, მაგრამ არაუმეტეს 60 წამით**, უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად განათავსონ თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მათთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა.

საარჩევნო კამპანიის დროს, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია, თავის ეთერში **ყოველ 3 საათში არანაკლებ 90 წამით** უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა.

არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის.

საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ვალდებულია, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების გარდა, ყველა სხვა პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით გამოეყოს დრო, რომელიც თანაბრად განაწილდება ამ საარჩევნო სუბიექტებს შორის.

რაც შეეხება სხვა დანარჩენ მაუწყებლებს, მათ საეთერო დროის თანაბრად განაწილების, საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვალდებულება წარმოეშობათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს განათავსებენ იმ საარჩევნო სუბიექტების ფასიან წინასაარჩევნო რეკლამას, რომლებსაც საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნების წელს საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოეყოფათ დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად („მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტი). ასეთ შემთხვევაში საეთერო დროის თანაბრად განაწილების, საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ მაუწყებლის ვალდებულება შეეხება სხვა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებსაც (არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცესკოში რეგისტრირებული კვალიფიციური პარტია ან საარჩევნო ბლოკი, რომელშიც გაერთიანებულია კვალიფიციური პარტია (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.61.გ); საარჩევნო სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის "საარჩევნო კოდექსის" 51-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს).

ამ შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია უსასყიდლოდ განათავსოს წინასაარჩევნო რეკლამა **არჩევნების დღემდე ბოლო 30 დღის განმავლობაში** შემდეგი წესების დაცვით:

- ☒ სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტებისთვის მაუწყებელმა უნდა გამოეყოს საარჩევნო სუბიექტის მიერ შეძენილი ფასიანი სარეკლამო დროის ტოლი დრო, რომელიც ისე უნდა განაწილდეს, რომ **3 საათში 90 წამზე** მეტი არ დაიკავოს;
- ☒ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის (საარჩევნო სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის "საარჩევნო კოდექსის" 51-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს), გარდა სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტებისა, მაუწყებელმა უნდა გამოეყოს დრო რომელიც ტოლია, ფასიანი საეთერო დროის შემძენი საარჩევნო სუბიექტის მიერ შეძენილი ჯამური სარეკლამო დროს განაყოფისა ამ სუბიექტთა რაოდენობაზე. ეს დრო თანაბრად უნდა განაწილდეს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებს შორის, იმ პირობით, რომ ერთი სუბიექტისთვის გამოეყოფილმა დრომ **3 საათში 90 წამზე მეტი** არ დაიკავოს;
- ☒ სხვა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისათვის (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.61.გ) მაუწყებელმა უნდა გამოეყოს დრო, რომელიც ტოლია, ფასიანი საეთერო დროის შემძენი საარჩევნო სუბიექტის მიერ შეძენილი სარეკლამო დროს ორმაგი ოდენობის. ეს დრო თანაბრად უნდა განაწილდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის, იმ პირობით, რომ ერთი სუბიექტისთვის გამოეყოფილმა დრომ **3 საათში 90 წამზე მეტი** არ დაიკავოს.

უფასო სარეკლამო დროის მიღების უფლების მქონე სუბიექტმა შესაბამის მაუწყებელს რეკლამის განთავსების დღემდე სულ ცოტა 2 დღით ადრე უნდა აცნობოს თავისი კუთვნილი სარეკლამო დროის გამოყენების სურვილის შესახებ და მასთან შეთანხმებულ დროს გადასცეს სარეკლამო რგოლი.

მაუწყებელი, რომელსაც სურს განათავსოს იმ საარჩევნო სუბიექტების ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამა, რომლებსაც საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის დამატებით გამოიყოფათ დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად, ვალდებულია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 55-ე დღისა, ცესკოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გადასცეს ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების შეთავაზებული გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ.

საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის შეძენის შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 38-ე დღისა ცესკოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გადასცეს ინფორმაცია რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად გამოყოფილი დროის შესახებ (თარიღები, დღის განმავლობაში განსათავსებელი რეკლამის განთავსების დროის შუალედები და სარეკლამო დროის ხანგრძლივობა), აგრეთვე თითო კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილ სარეკლამო დროში რეკლამის განთავსების გრაფიკის თაობაზე.

სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტმა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა ცესკოს და შესაბამის მაუწყებელს უნდა გადასცეს ინფორმაცია ყოველ კონკრეტულ მაუწყებელში, გრაფიკის გათვალისწინებით, სარეკლამო დროის შეძენის შესახებ (მითითებული უნდა იქნეს თარიღები, დღის განმავლობაში განსათავსებელი რეკლამის დროის შუალედები და შესაძენი დროის ხანგრძლივობა).

გემოთ აღნიშნული ყველა მონაცემები 1 დღის ვადაში უნდა განთავსდეს ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნებისთვის, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტი (პარტია ან საარჩევნო ბლოკი, რომელში გაერთიანებული პარტიაც აკმაყოფილებს ქვემოთ მითითებულ მოთხოვნებს) რომელიც:

- ▶) დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4 %
- ▶) დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში და მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3 % ქვეყნის მასშტაბით;
- ▶) გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში, რომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4 % და იყო ამ ბლოკის პირველი ნომერი;
- ▶) გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში, რომელმაც ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3 % ქვეყნის მასშტაბით, და იყო ამ ბლოკის პირველი ნომერი.

საპრეზიდენტო არჩევნებზე კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად მიიჩნევა ასევე, იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილი კანდიდატი, რომელიც, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, დაფინანსებას იღებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.7).

მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 % მხარდაჭერით.

ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია, გემოთ აღნიშნული სუბიექტების გარდა, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს ასევე პოლიტიკური პარტია/ბლოკი:

- ⇒ რომლის კანდიდატმა (კანდიდატებმა) მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა (გაიმარჯვეს), არჩევნების მეორე ტურში გავიდა (გავიდნენ) ან მიიღო (მიიღეს) ხმების არანაკლებ 25 %.
- ⇒ რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 25 %.

ადგილობრივი მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს:

- ⇒ პოლიტიკური პარტია, რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 10 %.
- ⇒ პოლიტიკური პარტია, რომელიც, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 % მხარდაჭერით;
- ⇒ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელიც, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 % მხარდაჭერით.

საზოგადოების ინფორმირება. საზოგადოების ინფორმირების მიზნით, არჩევნების დანიშნვიდან არჩევნების დღემდე პერიოდში (ასევე, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნისას – კენჭისყრის დღემდე, ხოლო შუალედური არჩევნების დროს – შესაბამისი ვადით) მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულია მომხმარებლისათვის შეთავაზებულ პაკეტში განათავსოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, რომელიც მაუწყებლობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან/და რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20 პროცენტისათვის. აღნიშნული პირი ვალდებულია მაუწყებლების არხები თანაბარი და არადისკრიმინაციული ფინანსური პირობებით მიაწოდოს მომხმარებელს. ამასთანავე, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს შეუძლია უფასოდ, შესაბამისი მაუწყებლის ნებართვის გარეშე განახორციელოს ზემოაღნიშნული მაუწყებლობის ტრანზიტი.


საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი ვალდებულება მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულმა პირმა უნდა შეასრულოს არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის მომენტიდან 3 დღის ვადაში. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან 1 თვის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს:

- ✎ გამოკითხვის დამკვეთი (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი, თუ დამკვეთი იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანოა; გვარი, სახელი და მისამართი მოქალაქის პირადობის მონმობის მიხედვით, თუ დამკვეთი ფიზიკური პირია);
- ✎ გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო;
- ✎ ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი);
- ✎ გამოკითხვის თარიღი;
- ✎ გამოკითხვის მეთოდი;
- ✎ გამოკითხვაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება;
- ✎ შესაძლო ცდომილების ფარგლები.

აკრძალულია კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა.

მედია მონიტორინგი. საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და სამაუწყებლო დროის სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უზრუნველყოფს მაუწყებლის მიერ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილ ნორმათა დაცვის მონიტორინგს და ახდენს შესაბამის რეაგირებას სამართალდარღვევის ფაქტებზე.



**საარჩევნო დავები,
სტანდარტები და
კონფლიქტების
მართვა**

საარჩევნო დავები და მისი გადაჭრის მექანიზმები

საარჩევნო დავა არის არჩევნებში ჩართული მხარის მიერ უფლების მოპოვების ან დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით ინიცირებული საჩივარი. იდეალური იქნებოდა, საარჩევნო დავა არ ყოფილიყო, მაგრამ, უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, დავა შეიძლება მაინც წარმოიშვას, რამდენადაც იგი საარჩევნო პროცესის ბუნებრივი ნაწილია.

საარჩევნო დავების თავიდან ასაცილებლად და გადასაჭრელად არსებობს რამდენიმე ეფექტიანი მექანიზმი:

- ▶) დავების პრევენცია;
- ▶) დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმი;
- ▶) დავების გადაჭრის ფორმალური მექანიზმი.

დავების პრევენცია¹⁴. პრევენცია ნიშნავს წინასწარი ზომების მიღებას რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად. საარჩევნო დავის წარმოშობის რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია, წინასწარ განისაზღვროს:

- ↳ მისი წარმოშობის შესაძლო მიზეზები (დავა შეიძლება წარმოიშვას ხარვეზის მქონე საარჩევნო კანონმდებლობის, ადამიანური შეცდომის ან საარჩევნო პროცედურის განზრახ დარღვევის გამო);
- ↳ მისი წარმოშობის შესაძლო პერიოდი (დავა შესაძლებელია წარმოიშვას წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების პერიოდში ან არჩევნების შემდგომ პერიოდში),
- ↳ დავაში ჩართული შესაძლო მხარეები (დავაში ჩართულ მხარეებად ძირითადად პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები და დამკვირვებელი ორგანიზაციები გვევლინებიან)¹⁵.

დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმი. საარჩევნო დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმი გულისხმობს დავის სასამართლოს გარეშე, არაფორმალური, არაიურიდიული მეთოდების გამოყენებით მოგვარებას. მაგალითად, დავა მოგვარებულად მიიჩნევა, თუ მოდავე მხარე შეწყვეტს დავას ან გაიზიარებს სადავო სიტუაციას (დავის მოგვარებისთვის საკმარისია მოდავე მხარის მიერ გამოხატული ცალმხრივი ნება). დავა მოგვარებულად მიიჩნევა ასევე იმ შემთხვევაში, თუ მხარეები კომპრომისს მიაღწევენ ან მშვიდობიანად დათანხმდებიან სადავო სიტუაციაზე (დავის მოგვარებისთვის აუცილებელია მოდავე მხარეების მიერ გამოხატული ორმხრივი ნება). დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის საუკეთესო მაგალითია მოდავე მხარეების მიერ საკითხის გადასაწყვეტად პროცესში მესამე მხარის ჩართვა. ესაა შემთხვევა, როდესაც მხარეები არბიტრს ან მედიატორს მიმართავენ (შუამდგომლობა (მედიაცია) მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მოდავე მხარეებს საკითხის ისეთ გადაწყვეტაში, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება).

დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის არსებობის მიზანი არ არის მათი გადაჭრის ფორმალური მექანიზმების ჩანაცვლება. დავის გადაჭრის ალტერნატიულ მექანიზმს მოდავე მხარეები მაშინ მიმართავენ, როდესაც სანდოობის დეფიციტია ან სადავო სიტუაცია დროულ რეაგირებას საჭიროებს.

მოდავე მხარეებს დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შემთხვევაშიც კი აქვთ საშუალება, საჭიროებიდან გამომდინარე, მათი გადაჭრის ფორმალური მექანიზმები გამოიყენონ.

დავების გადაჭრის ფორმალური მექანიზმი. საარჩევნო დავის გადაჭრის ფორმალური მექანიზმი გულისხმობს დავის საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლო ორგანოების და საერთაშორისო ორგანოების მეშვეობით გადაჭრას.

საარჩევნო დავების გადასაჭრელად მთავრობები სხვადასხვა საკანონმდებლო და პოლიტიკური ტრადიციებით გაჭერებულ მრავალფეროვან მიდგომებსა და მექანიზმებს მიმართავენ. არსებობს საარჩევნო დავების მოგვარების რამდენიმე ყველაზე გავრცელებული მოდელი. ეს მოდელებია:

- ⊕ საარჩევნო ადმინისტრაცია;
- ⊕ საარჩევნო დავების განმხილველი კომისია;
- ⊕ საარჩევნო ადმინისტრაცია სასამართლოს უფლებამოსილებით – საარჩევნო ტრიბუნალი.

14 Copyright BRIDGE Project 2007 და Electoral Dispute Resolution

15 საარჩევნო დავებში ჩართული მხარეების მიერ განზრახ გამონეული საარჩევნო დარღვევების პრევენციის ერთ ერთი მექანიზმია ქვეყნის კოდექსის შემოღება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელეს არ აქვს გამოყენებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში ერთჯერადად ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა (ანუ მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციაში ერთჯერადი გასაჩივრების შემდეგ არის შესაძლებელი, რომ პირმა სასამართლოს მიმართოს). ამასთანავე, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრავს იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება პირდაპირ რაიონულ/საქალაქო სასამართლოში საჩივრდება (მაგალითად, ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმა, დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის თქმა, კენჭისყრის დღის განცხადებებთან/საჩივრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ა. შ.).

საარჩევნო დავების მოგვარების ასეთ, ორსაფეხურიან მექანიზმს თავისი დადებითი მხარე აქვს – ის, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სასამართლოების განტიერთვას, მეორე მხრივ კი, საარჩევნო ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას, გადახედოს საკითხს და, საჭიროების შემთხვევაში, ხარვეზები სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც გამოასწოროს.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი და ვადები.

საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. ცესკოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში საჩივრის განხილვის წესი და პირობები. საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარი შეტანილად ითვლება შესაბამის საარჩევნო კომისიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საარჩევნო კომისია ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 საათისა. თუ საჩივრის ავტორია:

- საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაცია ან მისი წარმომადგენელი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ ორგანიზაციის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ შესაბამის დამკვირვებელს ან ამ ორგანიზაციას;

- ☑ საარჩევნო სუბიექტი ან მისი დანიშნული წარმომადგენელი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ სუბიექტის დანიშნულ წარმომადგენელს;
- ☑ საარჩევნო კომისიის წევრი, საჩივრის განხილვის შესახებ პირადად მას უნდა ეცნობოს.

საჩივრის განხილვისთვის მხარეები შეიძლება დაბარებულ იქნენ როგორც წერილობით, ისე ტელეფონით (მათ შორის, მობილური ტელეფონით; მოკლე ტექსტური შეტყობინებით), ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით.

ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარებისას დგება აქტი, რომელიც უნდა დაერთოს საარჩევნო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ საჩივარს. კომისია გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, საარჩევნო კომისიის რეგლამენტით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში. მხარეს, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, სხდომის დაწყების წინ უნდა გადაეცეს მისი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული, კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები და ასლები. მხარის გამოუცხადებლობა არ ქმნის საჩივრის განხილვის გადადების საფუძველს.

მხარეს, რომელიც მონაწილეობს საჩივრის განხილვაში, მისი მოთხოვნის შემთხვევაში საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება (გარდა კომისიის სხდომის ოქმისა) უნდა ჩაჰბარდეს ამ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღის 12 საათამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის ვადების გათვალისწინებით.

საჩივრის განხილვის დროს მხარის საარჩევნო კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი დოკუმენტის მისთვის ჩაბარების თარიღი არ არის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის ვადის ათვლის საფუძველი.

საარჩევნო კომისია ვალდებულია მიღებულ გადაწყვეტილებაში მხარეს მიუთითოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და ადგილი (დანესებულების დასახელება და მისამართი), სადაც შეიძლება მისი გასაჩივრება.

სასამართლოში სარჩელის განხილვის წესი და პირობები. სასამართლოში სარჩელი/საჩივარი შეტანილად ითვლება სასამართლოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას/ცესკოს სარჩელის/საჩივრის მიღების შესახებ.

სასამართლო დავას განიხილავს მხარეთა დასწრებით. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების გამოკვლევის საფუძველზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-17 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით¹⁶. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას/ცესკოს გადაწყვეტილების შესახებ. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეთ.

კონფლიქტები საარჩევნო პროცესში და მისი მართვა

არჩევნების შეფასებისა და შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებისათვის, მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესების სამართლიან და მშვიდ ვითარებაში წარმართვა, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს, აგრეთვე თვითონ საზოგადოებას და ცალკეულ ამომრჩეველს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეებმა კარგად გააცნობიერონ მათი წილი პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით და იმოქმედონ შესაბამისად.

მსოფლიოში არსებული საარჩევნო პრაქტიკის გათვალისწინებით, საარჩევნო პროცესების დადგენილი წესით ჩატარებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ პროცესების მონაწილეთა შორის ეფექტური კომუნიკაცია, კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი ეფექტურად მოგვარების უნარი. მხარეებს შორის ელემენტარული უთანხმოება შესაძლოა გახდეს საარჩევნო პროცედურების მნიშვნელოვანი დარღვევის წინაპირობა და დიდი ალბათობაა ამან ხელი შეუშალოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენას.

¹⁶ მუხლი 4. შეჯიბრებითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ; მუხლი 17. მტკიცების ტვირთი; მუხლი 19. მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ.

კონფლიქტის წარმოშობის წინაპირობა შესაძლებელია გახდეს როგორც საარჩევნო პროცედურების არცოდნა, ასევე არჩევნებში მონაწილე მხარეების მიერ გამოხატული ზედმეტი აგრესია და ურთიერთშორის ცუდი დამოკიდებულება, რომელიც ძირითადად არაერთგვაროვანი პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარეობს. საუბნო საარჩევნო კომისიებში ასევე ხშირია შიდა დაპირირისპირებები და უთანხმოება, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება კომისიის გამართულ მუშაობაზე. თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის ძირითად მხარეებად გვევლინებიან ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლები და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები.

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ძირითად შემთხვევაში იცავს პარტიულ ინტერესს და მისი მთავარი მიზანია საარჩევნო სუბიექტის გამარჯვება. აღნიშნული მიზნის მიღწევა რიგ შემთხვევებში შესაძლოა გადაიზარდოს აგრესიაში, რომელსაც უარყოფით გავლენას ახდენს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაზე და საპასუხო რეაქციის სახით იწვევს უკუ აგრესიას. ამ ვითარებაში რათქმუნდა შესაძლოა რეალური საფრთხე დაემუქროს ამომრჩევლის თავისუფალი ნების დაფიქსირებას. ამ ვითარებაში საარჩევნო ადმინისტრაცია კარგად უნდა ერკვეოდეს საარჩევნო პროცედურებსა და საკუთარ უფლებებში ვინაიდან სწორად განსაზღვროს, თუ სად გადის ზღვარი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლებებსა და ადმინისტრაციის მუშაობაში ჩარევას შორის, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენელს მიეცეს სრული თავისუფლება რათა განახორციელოს თავისი უფლებები და ადმინისტრაციისგან მიიღოს მაქსიმალური მხარდაჭერა.

საარჩევნო პრაქტიკიდან გამომდინარე, კონფლიქტი ხშირად წარმოიშობა მაშინ, როდესაც დამკვირვებელი ითხოვს კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებას, იგი არ ამეტებს თავის უფლებამოსილებას, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაცია აღნიშნულს არასწორად იგებს და არაადეკვატურად პასუხობს თუნდაც ელემენტარულ მოთხოვნაზე.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საკმაოდ სერიოზული უსიამოვნება და ხანდახან კენჭისყრის შეჩერებაც მოყოლია კანონიერ მოთხოვნას – კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ჩვენების თაობაზე. საარჩევნო ადმინისტრაციამ ნაცვლად იმისა, რომ უპრობლემოდ ეჩვენებინა აღნიშნული წიგნი, დაიწყო გამოკითხვა, თუ რისთვის სჭირდება დამკვირვებელს წიგნის ნახვა, ხშირად ეს მოთხოვნა ინტრიგობადაც წოდებულა და ამგვარი ურთიერთობა ხდება უთანხმოებისა და დაძაბულობის საფუძველი. ნებისმიერი მსგავსი ფაქტი უარყოფითად აისახება კომისიის მობილიზებულ მუშაობაზე, ვინაიდან პრაქტიკულად 24 საათიან რეჟიმში უწევთ მათ მუშაობა, ხოლო ამგვარი დაძაბულობა იწვევს ზედმეტად გადაღლასა და ხარვეზებს ისეთ მნიშვნელოვან და სკურპულოზურ პროცედურაში როგორცაა ხმების დათვლა და შემაჯამებელი ოქმის შედგენა.

მსგავსი ტიპის პრობლემების მოგვარებაში არსებითი როლი ენიჭება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პროფესიონალიზმს, მის კანონიერ ქმედებას და ურთიერთობის მშვიდობიანად დარეგულირების ტექნიკას. მნიშვნელოვანია თავმჯდომარე კარგად ერკვეოდეს როგორც დამკვირვებლის, ასევე საკუთარი უფლებებში, ის რომ თავმჯდომარე ვალდებულია გააფრთხილოს დამკვირვებელი, თუ იგი ერევა კომისიის მუშაობაში, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში თავმჯდომარეს უფლება აქვს კენჭისყრის შენობიდან გააძეოს იგი.

საარჩევნო ადმინისტრაციას, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელსა და დამკვირვებელთან აქტიური ურთიერთობა ძირითადად უწევს კენჭისყრის დღეს, ხოლო კენჭისყრის დღემდე იგი ამომრჩევლებს ემსახურება. ამომრჩევლისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ურთიერთობა უმეტესწილად შემოიფარგლება საარჩევნო სიების დაზუსტებით, კერძოდ გამოტოვებული ამომრჩევლის შეყვანა საარჩევნო სიაში, ამომრჩევლის არასწორი მონაცემების შესწორება და გარდაცვლილ ამომრჩეველთა ამოღება საარჩევნო სიებიდან. უთანხმოების ხშირი საფუძველია ასევე ამომრჩევლის არაკანონიერი მოთხოვნა მისი მეზობლებისა და ნაცნობების სიიდან ამოღების თაობაზე, ვინაიდან ისინი დიდი ხანია იმყოფებიან საზღვარგარეთ, ან არიან გარდაცვლილნი. პრაქტიკაში ყოფილა ხშირი შემთხვევები, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაცია ვერ უმარტავს და უსაბუთებს ამომრჩეველს, თუ რატომ არ შეუძლია მას მოითხოვოს გარდაცვლილი მეზობლის სიიდან ამოღება, ადმინისტრაცია ვერ უსაბუთებს, რომ ამომრჩეველს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ მისი, ან მისი ოჯახის წევრის თაობაზე არსებული ინფორმაციის შესწორება. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ამომრჩეველთა რეგისტრაცია, კერძოდ ამომრჩეველი საკუთარ მისამართზე ნახულობს ისეთ ადამიანს, რომელიც აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს, თუმცა კი მან არ იცის, რომ ამ ადამიანის რეგისტრაციიდან მოხსნა ბინის მესაკუთრის პრეროგატივაა. ანუ მესაკუთრის მიერ ასეთი პირების რეგისტრაციის მოხსნის გარეშე საარჩევნო ადმინისტრაცია არ არის უფლებამოსილი საარჩევნო სიისგან ამოიღოს ამ კატეგორიის ამომრჩეველი.

ყველაზე მნიშვნელოვან როლს საარჩევნო ადმინისტრაციის გამართულ მუშაობაში თამაშობს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა შორის ურთიერთობა. შიდა დაპირისპირება ძირითადად პარტიულ კუთვნილებას უკავშირდება და მნიშვნელოვნად ამცირებს კომისიის მუშაობის ხარისხს. ვინაიდან კომისია არის კოლექტიური ორგანო, კოლექტიურად იღებს გადაწყვეტილებას და უშუალო შეხებაშია ამომრჩეველთან, მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ უზრუნველყოს ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება. შიდა დაპირისპირება და კონფლიქტები ადმინისტრაციის წევრთა შორის კი პირდაპირპროპორციულად უშლის ხელს ერთსულოვნებას და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნულ საკითხში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული კომისიის ნეიტრალური წევრების ქმედება, ვინაიდან ამ წევრებს არანაირი პარტიული ინტერესი არ გააჩნიათ და მათ მიერ მხარდაჭერილი გადაწყვეტილება ხშირ შემთხვევაში მიუკერძოებელია.

ქცევითი სტრატეგიები კონფლიქტში, შემუშავებული კ.ტომასის მიერ (1977)

1. **განრიდება.** ამ სტრატეგიას ასევე ეწოდება პრობლემის გაქცევის სტრატეგია. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე არც კოოპერაციაზეა ორიენტირებული და არც მიზანზე. მოქმედებას წარმართავენ იქითკენ, რომ კონფლიქტს გაექცნენ, გამოვიდნენ კონფლიქტური სიტუაციიდან.
2. **კონკურენცია.** ამ სტრატეგიას ასევე უწოდებენ დომინირებულს, რომელშიც შედის შეჭიბრი, ბრძოლა, თამაში და სხვ. სტრატეგია გულისხმობს ერთი მხარის დომინირებას და უმეტეს შემთხვევაში მეორე მხარის განადგურებას.
3. **თანამშრომლობა.** ამ სტრატეგიას ასევე ინტეგრირებულს უწოდებენ, სადაც მიზნებზე და კოოპერაციაზე ორიენტაცია მაღალი ერთეულებით ხასიათდება. ამ სტრატეგიით მხარეები მოლაპარაკების საფუძველზე თანხმდებიან გადაწყვეტილებებზე, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს დააკმაყოფილებს.
4. **შეგუება.** ამ სტრატეგიას ასევე უწოდებენ დათმობას. ამ შემთხვევაში მიზანზე ორიენტაცია ნაკლებია, ხოლო ურთიერთობაზე ორიენტაცია მაქსიმუმს აღწევს. კოოპერირების შესანარჩუნებლად ერთი მხარე თმობს თავის ინტერესებს, რათა მეორე მხარის კეთილგანწყობა შეინარჩუნოს.
5. **კომპრომისი.** ეს სტრატეგია გულისხმობს რესურსების 50/50 განაწილებას, სადაც მიზანზე და კოოპერაციაზე ორიენტაცია საშუალო დონით ვლინდება. აქ ურთიერთ დათმობა ხორციელდება გარკვეული ხარისხით, ანუ დავის მიზეზი იყოფა ორივე მხარეზე ერთნაირი დოზით. ორივე მხარე ირჩევს საშუალო პოზიციას, სადაც შეთანხმება უშუალო მოლაპარაკებით მიიღწევა. ამ სტრატეგიის ძირითადი ფორმულაა `რამე, რომ მივიღოთ, ყოველმა ჩვენგანმა რაღაც უნდა წააგოს.

კონფლიქტური სიტუაციების მართვა

როგორც აღვნიშნეთ საარჩევნო პერიოდში ხშირია კონფლიქტური სიტუაციები კანდიდატებს, პარტიებს, დამკვირვებლებს, მოქალაქეებს, მედიასა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის.

ძირითადად უთანხმოება ხდება კენჭისყრის დღეს. მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, რომელმაც შესაძლოა წარმოქმნას უთანხმოება, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა პირებმა მკაცრად უნდა აკონტროლონ კენჭისყრის პროცესი, ვინაიდან რიგ შემთხვევებში რთულია დაკვირვების პროცესისა და პროცესში მონაწილეების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. დროულად უნდა იქნეს აღკვეთილი ნებისმიერი ინციდენტი საარჩევნო უბანზე, რადგანაც არ მოხდეს მისი კონფლიქტში გადაზრდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რამოდენიმე რჩევის გათვალისწინება:

კენჭისყრის დღეს კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნისას აუცილებლად გამოიყენეთ კომპრომისის სტრატეგია. რომლის დროსაც, რომელიღაც მხარე რაღაცას თმობს და ორივე მხარე თანხმდება დროებით გადაწყვეტილებაზე.

- ☞ შეეცადეთ, რომ ოპონენტის ქცევამ არ განსაზღვროს თქვენი ქცევა (არ მოექცეთ ზეგავლენის ქვეშ);
- ☞ მაქსიმალურად გაითვალისწინეთ მოდავე მხარის ინტერესები;
- ☞ გამოხატეთ თქვენი გრძნობები საყვედურების გარეშე;
- ☞ ნუ განავრცობთ საკამათო საკითხს, ისაუბრეთ კონკრეტულ პრობლემებზე;
- ☞ ნუ ჩაუდგებით მონინააღმდეგეს ჭიბრში;
- ☞ შეინარჩუნეთ რაციონალურობა და სიმშვიდე ნებისმიერი კონფლიქტის დროს;
- ☞ ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას გაუაზრებლად.

კონფლიქტის მოგვარების პრაქტიკული უნარები:

- ⊕ კარგი კომუნიკაციის უნარი—აქტიური მოსმენის უნარი და კითხვების სწორად დასმის უნარი.
- ⊕ დიპლომატიური უნარი—ტაქტი საუბრისას, ნდობა, სიმწიფე გადანყვეტილების მიღების დროს, ნაჩქარევი დასკვნებისგან თავის შეკავება.
- ⊕ მოლაპარაკების უნარი—საერთო ენის გამონახვა, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინება, სიტუაციის პრობლემისგან განყენებულად განხილვა.

კონფლიქტის მოგვარების რვა ნაბიჯი¹⁷

ნაბიჯი 1. განსაზღვრეთ კონფლიქტში ჩართული ადამიანების, თითოეული მხარის პოზიციები (“რას ამბობენ ისინი”).

ნაბიჯი 2. გაიგეთ უფრო მეტი თითოეული მხარის უკან მდგომი ნამდვილი მოთხოვნებისა და სურვილების შესახებ.

ნაბიჯი 3. დასვით დამაზუსტებელი კითხვები უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად.

ნაბიჯი 4. კოლექტიურად განიხილეთ კონფლიქტის მოგვარების შესაძლო ვარიანტები.

ნაბიჯი 5. განიხილეთ, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს კონფლიქტის მოგვარების თითოეული მეთოდი თითოეულ მხარეზე და გამოთვალეთ შესაძლო კომპრომისები.

ნაბიჯი 6. შეთანხმდით გამოსავალზე.

ნაბიჯი 7. განახორციელეთ შეთანხმებული გამოსავლის გეგმა.

ნაბიჯი 8. თუ საჭიროა, გადაათვალიერეთ გამოსავლის ვარიანტები.

კონფლიქტის გადაწყვეტის ერთობლივი მოდელი¹⁸

ნაბიჯი 1: წარდგენა

- ☞ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც გაამარტივებს პრობლემის გადაწყვეტას
- ☞ პრობლემის არსის განსაზღვრა
- ☞ კონფლიქტის არსებული სიმპტომების დადგენა (შესაძლო დავა ან ინციდენტი)

ნაბიჯი 2: დიაგნოსტიკა

- ☞ კონფლიქტის მიზეზების დადგენა
- ☞ თითოეული პრობლემის მხარეთა პოზიციების განსაზღვრა
- ☞ მხარეთა ინტერესებისა და საჭიროებების დადგენა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით

ნაბიჯი 3: გადაწყვეტა

- ☞ ყველა შესაძლო გადაწყვეტილების ჩამოწერა
- ☞ თქვენი იდეების გაზიარება ჯგუფისათვის
- ☞ ჯგუფის თითოეული წევრის მიერ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით
- ☞ გამოთქმული გადაწყვეტილებების ჩამოწერა
- ☞ მსჯელობა თითოეული პრობლემის შესაძლო გადაწყვეტილებაზე, შეფასების გარეშე
- ☞ თითოეული შესაძლო გადაწყვეტილების შესაფასებლად ობიექტური კრიტერიუმის მომზადება, მაგ: პრაქტიკულობა, რამდენად აკმაყოფილებს საჭიროებებს, მიზეზებთან კავშირი, მანიფესტაციებთან კავშირი
- ☞ კრიტერიუმის შეთანხმება პრობლემის შესაძლო გადაწყვეტილების შესაფასებლად
- ☞ თითოეული გადაწყვეტილების შეფასება, მათი ერთობლივი შეფასება

ნაბიჯი 4: შეთანხმება

- ☞ მისაღები სამოქმედო ფაზების განსაზღვრა გადაწყვეტილების შესასრულებლად
- ☞ მისაღები პასუხისმგებლობებისა და ვადების დადგენა
- ☞ მისაღები მონიტორინგისა და უკუკავშირის ფაზების განსაზღვრა

¹⁷ ბონერის სასწავლო კურსი: კონფლიქტის მოგვარება

¹⁸ ამონარიდი “საარჩევნო კონფლიქტების მართვიდან”, მომზადებულია სამხრეთ აფრიკის საარჩევნო ინსტიტუტის მიერ დამოუკიდებელი საარჩევნო კომიტეტისათვის, 1999 წელი .

გამოუვალი სიტუაციის მოგვარება¹⁹

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი გამოცდილი მეთოდი, რომლებსაც შეუძლიათ დაგეხმარონ გამოუვალი სიტუაციის მოგვარებაში:

1. **კოალიციის შექმნა** – შექმენით ვალდებულებებზე დაფუძნებული ძლიერი კოალიცია იმათ შორის, ვისაც მოლაპარაკებების შეფასება შეუძლია.
2. **არაოფიციალური არხები** – არაოფიციალურ არხებს, როგორც იყო კემპ დეივიდის “ტყეში გასეირნება”, შეუძლიათ უფრო ოფიციალური არხების შევსება და ყოველთვის შეუძლიათ მათი შემოვლა. რაც უფრო მეტად გრძელდება მათი არსებობა, მით უფრო ადვილია ისეთი პრობლემის განხილვის გაგრძელება, რომელზეც ოფიციალურად ღიად მოლაპარაკება არ შეიძლებოდა.
3. **ქვეჯგუფები** – როდესაც კონკრეტული დაბრკოლება ქმნის გამოუვალ სიტუაციას დღის წესრიგის რომელიმე პუნქტთან დაკავშირებით, ქვეჯგუფებს ან ქვეკომიტეტებს შეუძლიათ პრობლემის უფრო სწორხაზოვანი (ღია) ტერმინებით განხილვა, ფორმალური მაგიდის ფარგლებს გარეთ.
4. **მედიაცია “მოდრაობაში”** – ერთდროული საუბრები თავმჯდომარეს ან შუამავალს და ერთ მხარეს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ თემასთან დაკავშირებით მოცემული მხარის პოზიციის გარკვევის პროცესს, და ამავე დროს ზუსტად გადმოსცემს სხვა მხარეების პოზიციებს და განმარტავს თითოეული მხარის მოთხოვნილებებს, იმედებს და შესაძლებლობებს გამოუვალი სიტუაციის საკითხის გარშემო.
5. **არაპირდაპირი მოლაპარაკებები** – მხარეების დელეგაციები ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, შესაძლოა, ერთი და იმავე შენობის სხვადასხვა ოთახებში, მაგრამ უკავშირდებიან ერთმანეთს მხოლოდ თავმჯდომარესთან ორმხრივი მოლაპარაკებების მეშვეობით.
6. **რეფერენდუმები, კონსულტაციები და მანდატები** – მხარეები შეიძლება შეეცადონ, რომ შემოთავაზებული სვლის უფრო ფართო მხარდაჭერა მიიღონ, მაგალითად, რეფერენდუმების საშუალებით, სანამ ძალიან შორს წავიდოდნენ საკუთარი ელექტორატის მკაფიო მხარდაჭერის გარეშე.
7. **მოლაპარაკების არაოფიციალური დამატებები** – ქვეყნის უფრო ფართო სამოქალაქო საზოგადოებას, რელიგიური ორგანიზაციების და ლიდერების, საქმიანი წრეების, სასწავლო დაწესებულებების, მშრომელთა წრეების, სამშვიდობო ჯგუფების, საზოგადოებათშორისი კოოპერატიული საწარმოების, და ა. შ. ჩათვლით, შეუძლია თავად მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერების, ან ალტერნატივის ფუნქცია შეასრულოს.

სასარგებლო იქნებოდა სასწავლო დაწესებულების მომსახურების გამოყენება, მაგალითად, განსახილველი საკითხის გარშემო პრობლემის გადაჭრის შესახებ სემინარის მოსაწყობად, სადაც წარმომადგენელთა მცირე ჯგუფს შეუძლია შეიკრიბოს თემის ნეიტრალურ გარემოში განსახილველად და ეცადოს, რომ გამოიყენოს ერთობლივი ანალიზი გამოუვალი სიტუაციის ახალი ალტერნატივების შესაქმნელად. ამგვარი არაოფიციალური სუბიექტების გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის ხელმისაწვდომი მოცემულ სიტუაციაში. მაგრამ მხარეებმა უნდა იცოდნენ ამ პერსპექტივების შესახებ, მზად იყვნენ მათი გამოყენების შესაძლებლობებისთვის და, საერთოდ, დააკვირდნენ ნებისმიერ დამატებით ხელმისაწვდომ საშუალებებს, რომლებიც შეავსებს უფრო მეტ ოფიციალურ პროცესს მოლაპარაკებების ადგილზე.

საარჩევნო დავების საერთაშორისო სტანდარტები

საარჩევნო დავების გადანყვეტა მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოძიებულ უნდა იქნეს საარჩევნო უფლებებისა და წესების, კანონის სათანადო აღსრულებასთან და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული უფლებების უფრო ფართო სპექტრში.

ხმის მიცემასთან დაკავშირებული უფლებების აღიარება, მოითხოვს იურიდიული ან ადმინისტრაციული რეაგირების ზომების არსებობას, ამ უფლებების პოტენციური დარღვევის შემთხვევებისათვის. ამდენად არჩევნებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების, მოქმედებებისა თუ უმოქმედობის გასაჩივრების უფლება, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ამ უფლებების ნაწილი.

თუმცა, შესაბამისი რეაგირების მოთხოვნის უფლებას ნაკლები ფასეულობა გააჩნია, სხვა ფაქტორებთან ერთად, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გარეშე,

¹⁹ წყარო: პარრისი, პ. და რაილი, B (ედს.) დემოკრატია და ღრმა ფესვების მქონე კონფლიქტი – ვარიანტები მოლაპარაკების მონაწილეებისთვის საერთაშორისო IDEA (დემოკრატიის და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი), სტოკჰოლმი, 1998 წ.

რომელსაც შეუძლია კანონის სამართლიანად და ეფექტურად აღსრულება. აღნიშნული ასევე ნიშნავს იმას, რომ კანონის სათანადოდ აღსრულებისათვის უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი სამართლიანი პროცედურები, მათ შორის, მოპასუხისათვის შეტყობინების გაგზავნა, ღია სასამართლო განხილვა კომპეტენტური სასამართლოს მიერ და დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება.

აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული საერთაშორისო ტექსტები და კონვენციები წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განმარტებულია არჩევნებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების სტანდარტები, ხოლო მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია იმ სტანდარტებზე, რომლებიც ეხება კანონის სათანადოდ აღსრულებას და სასამართლოს დამოუკიდებლობას. აღნიშნულ ნაწილში მოცემულია საარჩევნო დავების გადაჭრასთან დაკავშირებული უფლებებისა და პრინციპების მიმოხილვა.

ქვემოთ მოცემული სტანდარტები ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ვალდებულებებს და, ზოგადად მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (1966) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950) და მისი შესაბამისი ოქმები.

I. არჩევნებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები

ა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
3. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხის ნებაა: ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი თავისუფალი ხმის მიცემის პროცედურების გამოყენებით.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

მუხლი 25

ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა, მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე:

- ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლის საშუალებით;
- ბ) მისცეს ხმა ან არჩეული იქნეს თავისუფალ და პერიოდულ არჩევნებში, რომელიც ეწყობა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოხატვას.
- გ) თავის ქვეყანაში თანასწორობის საერთო პირობებით შეეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

ბ. ევროსაბჭო

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმი N1 (პარიზი, 20 მარტი, 1952 წ.)

მუხლი 3

უზენაესი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები გონივრული ინტერვალებით, ფარული კენჭისყრით, ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის ნების თავისუფალ გამოხატვას საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას.

პარიზის ქართულ-ახალი ევროპისათვის – ეუთო-ს საბიძო (21 ნოემბერი, 1990 წ.)

ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა

დემოკრატიული მთავრობა ეფუძნება ხალხის ნებას, რომელიც გამოიხატება თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში.

ყველა ადამიანს ასევე აქვს უფლება (...) მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში.

ეუთო-ს ადამიანური განზომილების კონფერენციის კოვენკაბენში გამართული შეხვედრის დოკუმენტი (29 ივნისი, 1990 წ.)

(5) ისინი საზეიმოდ აცხადებენ, რომ სამართლიანობის იმ ელემენტთა რიცხვში, რომლებიც აუცილებელია ყველა ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების სრულად გამოსახატავად, შედის შემდეგი:

(5.1) – თავისუფალი არჩევნები, რომლებიც ჩატარდება დროის მისაღები შუალედებით, ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის სხვა ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურის გამოყენებით, ისეთ პირობებში, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს ამომრჩეველთა აზრის თავისუფალ გამოხატვას თავიანთი წარმომადგენლების არჩევისას;

(6) მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ხალხის ნება, თავისუფლად და სამართლიანად გამოხატული პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, სახელმწიფო ხელისუფლების და მისი ლეგიტიმურობის წყაროა. მონაწილე სახელმწიფოები, ამდენად, პატივს სცემენ თავიანთი მოქალაქეების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქვეყნის მართვაში, უშუალოდ, ან მათ მიერ სამართლიანი საარჩევნო პროცესების გზით თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.

ისინი აღიარებენ თავიანთ მოვალეობას, დაიცვან და შეინარჩუნონ, თავიანთი კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა დარგში თავიანთი საერთაშორისო მოვალეობებისა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად, დემოკრატიული წესწყობილება, თავისუფლად დამყარებული ხალხის ნებით, იმ პირობების, ჭკუფების ან ორგანიზაციების ქმედებათაგან, რომლებიც ეწევიან ან არ უარყოფენ ტერორისტულ საქმიანობას ან ძალადობას, ამ სახელმწიფოს ან სხვა მონაწილე სახელმწიფოს წესწყობილების დასამხობად.

(7) იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხალხის ნება ხელისუფლების წყარო იქნება, მონაწილე სახელმწიფოები:

(7.1) – ჩაატარებენ თავისუფალ არჩევნებს კანონით დადგინილი დროის მისაღები შუალედებით;

(7.2) – დაუშვებენ ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს მინიმუმ ერთი პალატის დაკომპლექტებას თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე პირდაპირი არჩევნების გზით;

(7.3) – მისცემენ სრულწლოვან მოქალაქეებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების გარანტიას;

(7.4) – უზრუნველყოფენ, რომ ხმის მიცემა განხორციელდება ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის სხვა ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურის გამოყენებით, და რომ მათ სამართლიანად დაითვლიან და შეატყობინებენ, ოფიციალური შედეგების საჯარო გამოქვეყნებით;

(7.5) – პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას, დაიკავონ პოლიტიკური თუ სახელმწიფო თანამდებობები, ინდივიდუალურად ან როგორც პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;

(7.6) – პატივს სცემენ ინდივიდუალური პირების და ჭკუფების უფლებას, სრული თავისუფლების პირობებში, დააარსონ თავიანთი საკუთარი პოლიტიკური პარტიები ან სხვა ორგანიზაციები და მისცემენ ამგვარ პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს, თავისუფალი კონკურენციისათვის, კანონისა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანასწორი მოპყრობის პირობებში;

(7.7) – უზრუნველყოფენ, რომ კანონისა და სახელმწიფო პოლიტიკის მოქმედებამ შესაძლებელი გახადოს პოლიტიკური კამპანიის ჩატარება თავისუფალ და სამართლიან ატმოსფეროში, რომლის დროსაც არც ადმინისტრაციული ჩარევა და არც ძალადობა ან დაშინება ხელს არ უშლის პარტიებსა და კანდიდატებს თავიანთი შეხედულებებისა და შესაძლებლობების შეუზღუდავად წარმოდგენაში, და აგრეთვე ხელს არ უშლის ამომრჩევლებს მათ გაცნობასა და განხილვაში, ან ხმის მიცემაში მოსალოდნელი შურისგების შიშის გარეშე;

(7.8) – ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ არანაირი ბარიერი არ ეღობებოდეს წინ მედიის დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას, დისკრიმინაციის გარეშე, ყველა პოლიტიკური დაჯგუფებისა და ინდივიდუალური პირისთვის, რომელთაც საარჩევნო პროცესში მონაწილეობა სურთ;

(7.9) – უზრუნველყოფენ, რომ კანდიდატები, რომლებიც მოიპოვებენ ხმათა კანონით დადგენილ საჭირო რაოდენობას, სათანადო წესით ოფიციალურად იქნებიან თანამდებობაზე დანიშნულნი და უფლება მიეცემათ თანამდებობაზე დარჩენენ მანამ, სანამ მათი ვადა არ ამოიწურება, ან სხვაგვარად არ დასრულდება ისე, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, თანახმად დემოკრატიული საპარლამენტო და კონსტიტუციური პროცედურებისა.

II. კანონის სათანადო აღსრულებასა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები

ა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს დარღვეული უფლებების აღდგენის უფლება, კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისას და მისთვის წაყენებული სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დადგენისას, მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონით დადგენილი წესით, საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.
2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ეროვნული კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის გამოყენება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩადენილ იქნა დანაშაული.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

მუხლი 2.3

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:
 - ა) უზრუნველყოს ყველა პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი შელახულია, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს დარღვევა დაუშვეს ოფიციალურმა პირებმა.
 - ბ) უზრუნველყოს, რომ თითოეული პირის სამართლებრივი დაცვის უფლებას, ვინც კი ასეთ დაცვას მოითხოვს, აღდგენენ კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფლებანი ან სახელმწიფო სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული ყოველი სხვა კომპეტენტური ორგანო და განავითაროს სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობანი.
 - გ) უზრუნველყოს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა აღასრულონ დაცვის საშუალებით სარგებლობის უფლება.

მუხლი 9

1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ უნდა იქნას დაპატიმრებული ან დაკავებული დაუსაბუთებლად. არავის არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი და თავისუფლების აღკვეთა უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
2. ნებისმიერი პირის, დაპატიმრებისას უნდა განემარტოს მისი დაპატიმრების მიზეზი და მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების არსი.
3. ნებისმიერი პირი, რომელიც დაპატიმრებული ან დაკავებულია სისხლის სამართლის ბრალდებით, დაუყოვნებლივ უნდა წარსდგეს მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც კანონით არის უფლებამოსილი, აღასრულოს სასამართლო ხელისუფლება. სასამართლო განხილვა უნდა დაინიშნოს გონივრული ვადაში ან დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი უნდა განთავისუფლდეს. სასამართლო განხილვის მოლოდინში მყოფი პირის დაკავება არ უნდა წარმოადგენს ზოგად წესს, მაგრამ მისი გათავისუფლება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გარანტია, რომ ის წარსდგება სასამართლოს წინაშე, სასამართლო წარმოების ნებისმიერ ეტაპზე და საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის აღსრულებისას.
4. ნებისმიერ პირს, რომელსაც თავისუფლება აღეკვეთა დაპატიმრების ან დაკავების გზით, აქვს უფლება წარსდგეს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ, დაყოვნების გარეშე, მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკავების მართლზომიერების შესახებ და გასცეს ბრძანება მისი განთავისუფლების თაობაზე, თუკი დაკავება არ არის მართლზომიერი.
5. ნებისმიერ პირს, რომელიც აღმოჩნდა არამართლზომიერი დაპატიმრების ან დაკავების მსხვერპლი, აქვს სრული უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია.

მუხლი 14

1. ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალის წინაშე. ყველა პირს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად დასაჯაროდ განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნას დაშვებული სასამართლო განხილვაზე, ან მის ნაწილზე, მორალის, დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგსა თუ სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით, ან როდესაც ამას მოითხოვს მხარეთა პირადი ცხოვრების ინტერესები ან თუ სასამართლოს თავლსაზრისით არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც საჭარობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს; მაგრამ, ნებისმიერ სისხლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ცხადდება საჭაროდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანთა ინტერესები მოითხოვს საპირისპიროს ან სასამართლო წარმოება ეხება ოჯახურ დავას ან ბავშვზე მეურვეობას.
2. ნებისმიერ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება, ჩაითვალოს უდანაშაულოდ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
3. ყველას აქვს უფლება, სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, სრული თანასწორობის საფუძველზე მიიღოს შემდეგი მინიმალური გარანტიები:
 - ა) იყოს ინფორმირებული დაუყოვნებლივ, დეტალურად და მისთვის გასაგებ ენაზე, მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ხასიათის შესახებ;
 - ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა იმისათვის, რომ მოამზადოს თავისი დაცვა და შეხვდეს მის მიერ არჩეულ დამცველს;
 - გ) წარსდგეს სასამართლოს წინაშე გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე;
 - დ) სასამართლო პროცესი ჩატარდეს მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად, ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით; თუ მას არ ჰყავს დამცველი, ინფორმირებულ იქნას ამ უფლებების შესახებ; დაენიშნოს სამართლებრივი დამცველი ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები და, მას არ მოეთხოვოს ამ დახმარების ანაზღაურება, თუ არ გააჩნია ამისათვის საკმარისი საშუალება;

- ვ) დაკითხოს ან დააკითხინოს მოწმენი, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ჰქონდეს თავისი მოწმეების იმავე პირობებში გამოცხებისა და დაკითხვის შესაძლებლობა, რა პირობებშიც ხდება მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეების გამოცხება და დაკითხვა.
 - ვ) მიიღოს თარჯიმნის უფასო მომსახურება, თუ მან არ იცის ენა, რომელზეც წარიმართება სასამართლო;
 - ზ) არ აიძულონ, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ ან აღიაროს დანაშაული.
4. არასრულწლოვანი პირების შემთხვევაში, პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს მათ ასაკს და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის შესაძლებლობას.
 5. ნებისმიერ პირს, რომელიც მსჯავრდებულია დანაშაულისათვის, აქვს უფლება, რომ, მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი განიხილოს ზემდგომმა სასამართლომ კანონის შესაბამისად.
 6. როდესაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების თანახმად, პირი აღიარებულ იქნა დანაშაულზე, ხოლო შემდეგ მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი გაუქმდა, ან მოხდა მისი შეწყალება, იმის გამო რომ ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე დადგინდა სასამართლოს შეცდომის არსებობა, პირი, რომელიც იხდის სასჯელს ამგვარი განაჩენის საფუძველზე, მიიღებს კომპენსაციას კანონის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცდება, რომ უცნობი ფაქტები დროულად არ გამოვლენება მთლიანად ან ნაწილობრივ მისი მიზეზით.
 7. არავინ არის ვალდებული წარსდგეს სასამართლოს წინაშე ან მოიხადოს სასჯელი დანაშაულისათვის, რომლისათვისაც ის უკვე საბოლოოდ მსჯავრდებული ან გამართლებული იყო ნებისმიერი ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შესაბამისად.

ბ. ევროსაბჭო

აღნიშნის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
(რომი, 4 ნოემბერი, 1950 წ.)

მუხლი 6—სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

- ა. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება, კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ სახელმწიფოში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, ან როდესაც ამას მოითხოვენ არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან მაშინ როდესაც სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა ზიანს მიაყენებს მართმსაჯულების ინტერესებს.
- ბ. ყველა პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
- გ. ყველა პირს, ვისაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, აქვს სულ მცირე, შემდეგი უფლებები:
 1. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს მისთვის წარდგენილი ბრალდების არის და საფუძველი.
 2. ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.
 3. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართმსაჯულების ინტერესები.
 4. დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები, და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.
 5. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ისაუბროს ამ ენაზე.

მუხლი 7 – არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.
2. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს ნებისმიერი პირის გასამართლებას და დასჯას რომელიმე მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის მიიჩნეოდა დანაშაულად ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 13 – სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება

ყველას, ვისაც დაერღვა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩადენილ იქნას იმ პირის მიერ, რომლებიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდნენ.

გ. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ევთო)

ვენის დასკვნითი დოკუმენტი: მისამე შეხვედრა (19 იანვარი, 1989 წ.)

(13.9) – უზრუნველყონ ეფექტური დაცვის საშუალებების და მათ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის, ვინც აცხადებს, რომ მათი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები დაირღვა; სხვებთან ერთად, მათ ეფექტურად უნდა გამოიყენონ დაცვის შემდეგი საშუალებები:

6. პიროვნების უფლება, შეიტანოს საჩივარი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში;
7. სამართლიანი და საჯარო მოსმენის უფლება, გონივრული ინტერვალებით, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე, მათ შორის, სამართლებრივი არგუმენტების წარდგენისა და საკუთარი ნებასურვილით არჩეული დამცველის უფლება;
8. უფლება, იყოს დაუყოვნებლივ და ოფიციალურად ინფორმირებული ნებისმიერი საჩივარის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მათ შორის, სამართლებრივი საფუძვლის შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც იყო მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება. ეს ინფორმაცია უნდა მიენოდოს, როგორც წესი, წერილობით და, ნებისმიერ შემთხვევაში, ისეთი ფორმით, რომელიც მისცემს მას საშუალებას, ეფექტურად გამოიყენოს დაცვის შემდგომი ხელმისაწვდომი საშუალებები.

ევთო-ს ადამიანური განზომილების კონვენციის კოვენკაბენში გახართული შეხვედრის დოკუმენტი (29 ივნისი, 1990 წ.)

(5.10) – ყველას ექნება სამართლიანობის ეფექტურად აღდგენის საშუალება ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ძირითადი უფლებების პატივისცემის გარანტირებისა და იურიდიული სისტემის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით;

(5.11) – ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები პირის წინააღმდეგ სრულებით დასაბუთებული უნდა იყოს და, როგორც წესი, უნდა მიუთითებდეს სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივ ხელმისაწვდომ ზომებს;

(5.12) – მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და სახელმწიფო სასამართლო სისტემის მიუკერძოებელი ფუნქციონირება გარანტირებული იქნება;

(5.14) – სისხლის სამართლებრივ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ ნორმებში მოცემულ იქნება უფლებამოსილებათა მკაფიო განსაზღვრა სასამართლო დევნასთან და სასამართლო დევნის წინამავალ და თანმხლებ ზომებთან დაკავშირებით;

(5.15) – ნებისმიერ პირს, დაპატიმრებულს ან დაკავებულს სისხლის სამართლებრივი ბრალდებით, უფლება ექნება, დაუყოვნებლივ იქნეს წარდგენილი მოსამართლის ან სხვა ოფიციალური პირის წინაშე, რომელიც კანონით არის უფლებამოსილი, აღასრულოს ეს ფუნქცია, იმისთვის რათა გაირკვეს მისი დაპატიმრების ან დაკავების კანონიერება.

(5.16) – ყველას ექნება უფლება, მის წინააღმდეგ წაყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრის ან სასამართლო პროცესისას მისი უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მისი საქმე განხილულ იქნას ღია და სამართლიანი მოსმენის საფუძველზე კანონით დადგენილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ორგანოს მიერ;

(5.17) – სასამართლო წესით დევნილ ნებისმიერ პირს უფლება ექნება, დაიცვას თავი პირადად, ან მის მიერვე არჩეული დაუყოვნებელი იურიდიული დახმარების მეშვეობით, ან, თუკი მას ამგვარი იურიდიული დახმარების საფასურის გადასახდელად საკმარისი სახსრები არ გააჩნია, მიიღოს იგი უფასოდ, როდესაც ამას სამართალწარმოების ინტერესები მოითხოვს;

(5.18) – არავინ არ იქნება ბრალდებული, გასამართლებული ან მსჯავრდებული სისხლის სამართლებრივი დანაშაულისთვის, თუკი ეს დანაშაული გათვალისწინებული არ არის კანონით, რომელიც მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრავს ამ დანაშაულის ელემენტებს;

(5.19) – ყველა უდანაშაულოდ იტვლება მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცებული არ იქნება კანონით დადგენილი წესით;

პარიზის ძარბია ახალი ევროპისათვის – ეუთო-ს საბიძი (21 ნოემბერი, 1990 წ.)

ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა

ყველა ადამიანს ასევე აქვს უფლება: (...) სამართლიანი და საჯარო მოსმენის, თუ მას ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში. ჩვენ (ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოები) უზრუნველვყოფთ, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს დაცვის ეფექტური საშუალებებით სარგებლობის უფლება, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, მათი უფლებების ნებისმიერი დარღვევის წინააღმდეგ.

ეუთო-ს ადამიანური განზომილების კონფერენციის მოსკოვში გამართული შეხვედრის დოკუმენტი (3 ოქტომბერი, 1991 წ.)

(18.2) – ყველა ადამიანს აქვს უფლება ისარგებლოს დაცვის ეფექტური საშუალებებით, ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიმართ, რათა გარანტირებულ იყოს ფუძემდებლური უფლებების დაცვა და სამართლიანობის უზრუნველყოფა;

(18.3) – ასევე უნდა არსებობდეს დაცვის ეფექტური საშუალებები ადმინისტრაციულ რეგულაციებთან მიმართებით, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ ამ რეგულაციების ზეგავლენით დაზარალებულ ცალკეულ პირებს.

(18.4) – მონაწილე სახელმწიფოები ყველა ღონეს იხმარენ, რათა უზრუნველყონ ამგვარი რეგულაციებისა და გადაწყვეტილებების სასამართლო განხილვა.

(19) მონაწილე სახელმწიფოები:

(19.1) – დაიცავენ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსამართლეთა და იურისტ პრაქტიკოსთა დამოუკიდებლობასთან და საჯარო სასამართლო სამსახურის მიუკერძოებელ განხორციელებასთან, მათ შორის, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს;

(19.2) – სათანადო სტანდარტებისა და ვალდებულებების განხორციელებისას, უზრუნველყოფენ რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა განმტკიცებული იქნება ქვეყნის კონსტიტუციით ან სხვა კანონებით, და რომ აღნიშნული დაცული იქნება პრაქტიკაში, ყურადღებას გაამახვილებენ სასამართლო სტრუქტურის დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებზე, რომელიც, სხვასთან ერთად, უზრუნველყოფს შემდეგს:

(1) აკრძალულ იქნება მოსამართლეებზე არასათანადო ზეგავლენა;

(2) თავიდან იქნება აცილებული სასამართლოს გადაწყვეტილებების გადახდევდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, გარდა კომპეტენტური ორგანოების უფლებისა, შეამსუბუქოს ან შეცვალოს მოსამართლის მიერ დადგენილი სასჯელი, კანონის შესაბამისად;

(3) დაცულ იქნას მოსამართლეთა გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლება, მხოლოდ იმ შემთხვევებით, რომლებიც შეესაბამება მათ ფუნქციებს;

(4) უზრუნველყოფილ იქნება კვალიფიციური მოსამართლეების შერჩევა, რომლებიც სათანადოდ არიან მომზადებული და შერჩეული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

(5) უზრუნველყოფილ იქნება მათ მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება უფლებამოსილების ვადის განმავლობაში და საქმიანობის სათანადო პირობები, მათ შორის, მოსამართლეთა დანიშნულების საკითხში, საჭიროებისამებრ;

(6) დაცული იქნება იმუნიტეტის პირობები;

(7) უზრუნველყოფილ იქნება, რომ მოსამართლეების მიმართ დისციპლინური საქციების გამოყენება, მათი საქმიანობის შეჩერება ან გადაყენება განხორციელდება კანონის შესაბამისად.

(20) სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შემდეგს:

(20.1) – აღიარებენ მოსამართლეთა და ადვოკატთა ეროვნული და საერთაშორისო ასოციაციების მნიშვნელოვან ფუნქციას მათ წევრთა დამოუკიდებლობის გაზრდის, აგრეთვე სასამართლო სისტემის როლსა და საზოგადოებაში იურიდიული პროფესიის საკითხებზე ტრენინგისა და განათლების უზრუნველყოფის საკითხებში.

(20.2) – ხელს შეუწყობენ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერებით და ადვოკატთა დაცვით დაინტერესებულ ეროვნულ ასოციაციებსა და სხვა ჯგუფებს შორის დიალოგს, გაცვლასა და თანამშრომლობას;

(20.3) – ითანამშრომლებენ ერთმანეთთან დიალოგის, კონტაქტებისა და გაცვლის გზით, რათა განსაზღვრონ პრობლემური სფეროები მოსამართლეთა და იურიდიულ სპეცილისტთა დამოუკიდებლობის დაცვის სფეროში და შეიმუშაონ ამ პრობლემების გადაჭრის გზები;

(20.4) – ითანამშრომლებენ მიმდინარე რეჟიმში ისეთ სფეროებში, როგორცაა მოსამართლეთა და იურიდიულ სპეციალისტთა განათლება და ტრენინგი, მათი დამოუკიდებლობისა და სასამართლო სისტემის მიუკერძოებელი საქმიანობის გაძლიერებაზე მიმართული კანონმდებლობის შემუშავება.

(23.1) – მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შემდეგს:

(1) არავის არ აღეკვეთება თავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ამის საფუძველი და კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;

(2) ნებისმიერ პირს, რომელიც დაპატიმრებულია, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ მიეწოდება ინფორმაცია მისი დაპატიმრების მიზეზების შესახებ და ის ინფორმირებული იქნება მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების თაობაზე;

(3) ნებისმიერ პირს, რომელსაც აღეკვეთა თავისუფლება, დაუყოვნებლივ განემარტება მისი უფლებები, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;

(4) ნებისმიერ პირს, რომელიც დაპატიმრებული ან დაკავებულია, აქვს უფლება, იყოს დაუყოვნებლივ წარდგენილი მოსამართლის ან სხვა კანონით უფლებამოსილი თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც უფლებამოსილია განსაზღვროს მისი დაკავების ან დაპატიმრების მართლზომიერება და გაანთავისუფლოს ის დაყოვნების გარეშე, თუ დაკავება ან დაპატიმრება არაკანონიერია;

(5) ნებისმიერ პირს აქვს უფლება, დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუკი მას არ აქვს საკმარისი სახსრები იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, მას დახმარება გაენწევა უფასოდ, თუკი მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს;

(6) ნებისმიერ პირს, რომელსაც აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, დაუსაბუთებელი გაჭიანურების გარეშე, შეატყობინოს, ან მოითხოვოს კომპეტენტური ორგანოებისაგან, რომ მათ შეატყობინონ სათანადო პირებს, მისი არჩევანის შესაბამისად, მისი დაპატიმრების, დაკავების, ციხეში მოთავსების და ადგილმდებარეობის შესახებ; ამ უფლებით სარგებლობის ნებისმიერი შეზღუდვა განსაზღვრული უნდა იყოს კანონით და უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს;

(7) მიღებული იქნება ეფექტური ზომები, თუ უკვე მიღებული არ არის, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა არ ისარგებლონ დაკავებულის ან დაპატიმრებულის მდგომარეობით, რათა აიძულონ ის, აღიაროს თავი დამნაშავედ ან მისცეს ჩვენება სხვა პირის წინააღმდეგ;

(8) ნებისმიერი დაკითხვის ხანგრძლივობა და ინტერვალები დაკითხვებს შორის უნდა იქნას ჩანერილი და დადასტურებული, ადგილობრივი კანონის შესაბამისად;

(9) დაკავებული პირი ან მისი დამცველი უფლებამოსილია განაცხადოს ან წარადგონოს საჩივარი მის მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში. განაცხადი უნდა გაკეთდეს იმ ორგანოებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაკავების დაწესებულების ადმინისტრირებაზე ზემდგომი ორგანოების წინაშე და, აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო ორგანოებთან, რომელთაც მინიჭებული აქვთ გადახედვის უფლებამოსილება;

(10) ამგვარი განაცხადი ან საჩივარი დაუყოვნებლივ განიხილება და გაეცემა პასუხი დაუსაბუთებელი გაჭიანურების გარეშე; თუკი განაცხადი ან საჩივარი უარყოფილია ან იმ შემთხვევაში, თუ აღგილი აქვს დაუსაბუთებელ გაჭიანურებას, მომჩივანს შეუძლია წარადგინოს განაცხადი ან საჩივარი სასამართლო ან სხვა ორგანოს წინაშე; არც დაკავებულ, არც დაპატიმრებულ პირს და არც მომჩივანს არ უნდა ჰქონდეს პრეიუდიცია განცხადების ან საჩივარის წარდგენასთან დაკავშირებით;

(11) ნებისმიერ პირს, რომელიც არამართლზომიერი დაპატიმრების ან დაკავების მსხვერპლი გახდა, აქვს კანონიერი უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია.

III. სხვა დოკუმენტები და პრინციპები

შემდეგი დოკუმენტები და პრინციპები არ არის იურიდიულად სავალდებულო, მაგრამ ისინი მიუთითებს „საუკეთესო პრაქტიკაზე“ იმ სფეროში, რომელსაც ისინი მოიცავს. მათი უმეტესობა მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში.

ა. არჩევნები

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კრიტერიუმების დეკლარაცია – საპარლამენტთაშორისო საბჭო (მიღებულია პარიზში, 1994 წლის 26 მარტს; საპარლამენტთაშორისო საბჭო წარმოადგენს საპარლამენტთაშორისო კავშირის, სუვერენული სახელმწიფოების პარლამენტთა მსოფლიო ორგანიზაციის პოლიტიკის შემამუშავებელ ორგანოს)

2. ხმის მიცემისა და საარჩევნო უფლებები

(4) ყველა პირს, რომელსაც უარი ეთქვა ხმის მიცემის ან ამომრჩევლად დარეგისტრირების უფლებაზე, აქვს უფლება, საჩივარი შეიტანოს კომპეტენტურ ორგანოში, რათა მოხდეს აღნიშნული გადანყვეტილების გადახედვა და შეცდომის გასწორება სწრაფად და ეფექტურად.

4. კანდიდატებთან, პარტიებთან და კამპანიასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები

(6) ყველა პირს და ყველა პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს, დაცული იყოს კანონით და ისარგებლოს დაცვის საშუალებებით მათი პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

(8) ყველა პირს და ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომლის კანდიდატურის, პარტიის ან კამპანიის უფლებები უარყოფილია ან შეზღუდული, უფლება აქვს საჩივარი წარადგინოს კომპეტენტურ ორგანოში, რათა მოხდეს ამგვარი გადანყვეტილების გადახედვა და შეცდომის გასწორება სწრაფად და ეფექტურად.

5. სახელმწიფოთა უფლებები და ვალდებულებები

(9) სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები და საჩივრები, განიხილებოდეს სწრაფად, საარჩევნო პროცესის ვადის ფარგლებში და ეფექტურად, დამოუკიდებელი და მიუკერძოვებელი ორგანოს მიერ, როგორცაა, მაგალითად, საარჩევნო კომისია ან სასამართლო.

პოლიტიკური უფლებების საკითხში თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აპრძალვის ზოგადი პრინციპების პროექტი გაეროს უმცირესობების დაცვისა და დისკრიმინაციის პრევენციის ქვე-კომისიის მიერ 1962 წელს, მეთოთხმეტე სხდომაზე მიღებული 1 (XI) რეზოლუციის დანართი. იხილეთ მეთოთხმეტე სხდომის ანგარიში (E/CE.4/830- E/CN.4/sub.2/218), პუნქტი 159.)

VIII. არჩევნებისა და სხვა საჯარო კონსულტაციების სამართლიანობა

(დ) არჩევნებისა და სხვა საჯარო კონსულტაციების განხორციელება, მათ შორის საარჩევნო სიების პერიოდული გადახედვა, უნდა მოხდეს იმ ორგანოების ზედამხედველობით, რომელთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა უზრუნველყოფილია და რომელთა გადანყვეტილებებიც ექვემდებარება გასაჩივრებას სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოებში.

XIX. დამოუკიდებელი სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

ამ უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი უარყოფა ან დარღვევა აძლევს უფლებას დაზარალებულ პირს, მიმართოს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს.

პერიოდული და სამართლიანი არჩევნების პრინციპის ეფექტურობის გაუმჯობესება (გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუცია 1989/51, 7 მარტი, 1989 წ., დანართი (ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ოფიციალური ჩანაწერი, 1989 წ., დამატება #2(ე/1989/20), თავი II, სექცია ა)).

III. პროცედურული ასპექტები: ეროვნული ინსტიტუტები

ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება და არჩევნების მიუკერძოებლად ჩატარება. არსებობს დამოუკიდებელი ზედამხედველობის, ამომრჩეველთა სათანადო რეგისტრაციის, კენჭისყრის სანდო პროცედურებისა და მეთოდების განსაკუთრებული საჭიროება, რათა თავიდან იქნას აცილებული არჩევნების გაყალბება და შესაძლებელი იყოს დავების გადანაცვება.

ადამიანის უფლებები და არჩევნები – არჩევნების სამართლებრივი, ტექნიკური და ადამიანის უფლებების ასპექტების სახელმძღვანელო, პროფესიული ტრენინგი, სერია N2 – ადამიანის უფლებათა ცენტრი – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – 1994.

IV. საარჩევნო კანონებისა და პროცედურების საერთო ელემენტები

დ. წარდგენა, პარტიები და კანდიდატები

107. საარჩევნო კანონი და პროცედურები უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ არ მოხდება რაიმე უპირატესობის მინიჭება ხელისუფლების კანდიდატებისათვის. კანდიდატთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული დებულებები უნდა იყოს მკაფიო და არ უნდა ახდენდეს ქალების, გარკვეული რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების დისკრიმინაციას. უნდა იყოს შესაძლებელი დისკვალიფიკაციის შესახებ გადანაცვებების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობა.

ვ. საჩივრები, პეტიციები და სარჩევნები

113. არჩევნების შედეგების გასაჩივრების და წაგებული პარტიებისათვის დაცვის ეფექტური საშუალებით სარგებლობის უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს კანონით. გასაჩივრების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს განხილვის ფარგლებს, განხილვის მოთხოვნის პროცედურებსა და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებას. ასევე აღწერილი უნდა იყოს გასაჩივრების მრავალსაფეხურიანი სისტემა, სადაც ამგვარი სისტემა არსებობს.

114. არჩევნების შედეგებზე დარღვევების მიერ გავლენის მოხდენის შესაძლებლობა განსაზღვრული უნდა იყოს კანონით. ნებისმიერ პირს, რომელიც აცხადებს რომ მას არ მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლების ან სხვა პოლიტიკური უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, ხელი უნდა მიუწვდებოდეს დამოუკიდებელ განხილვაზე და უნდა სარგებლობდეს დაცვის ეფექტური საშუალებით.

ზ. დარღვევები, სანქციები და წესრიგის დაცვა

118. ეროვნული საარჩევნო კანონი ასევე უნდა იცავდეს პოლიტიკურ პროცესს კორუფციის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, უკანონო ზეგავლენის, მექრთამეობის, ამომრჩევლების მოსყიდვის, დაშინების, უკანონო და კორუმპირებული პრაქტიკის სხვა ფორმებისაგან. მართლმსაჯულების განხორციელებისას სამართლებრივი დევნა, სანქციები და პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს.

119. კენჭისყრის ადგილებში წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული გადანაცვებები უნდა ეფუძნებოდეს ბალანსს უსაფრთხოების პრობლემებსა და პოლიციის, უშიშროებისა და სამხედრო ძალების საარჩევნო უბანში ყოფნის პოტენციური ნეგატიურ ეფექტს შორის. საარჩევნო უბანში მომუშავე პერსონალს დელეგირებული უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, დაიცვან წესრიგი. სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს საარჩევნო მოხელეებს დარღვევების, მოვალეობათა შეუსრულებლობის და დანაშაულებრივი ქმედებებისათვის.

8. წინასაარჩევნო ფაზა: გრძელვადიანი დამკვირვებელი

გ. ამომრჩევლის იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია

(...) ამდენად, ამომრჩეველთა სიები წინასწარ უნდა იქნას გამოქვეყნებული, რათა არასწორი ჩანაწერის შემთხვევაში, იყოს გასაჩივრების შესაძლებლობა.

უნდა არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი დებულებები, რომლებიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: რეგისტრაცია, რეგისტრაციის განრიგი, არსებობს თუ არა შეზღუდვები ეროვნების, ასაკის, ბინადრობის, დროებითი არყოფნის მიხედვით, იდენტიფიკაციის საშუალებები, რეგისტრაციის ფორმა, სიების ფორმატი, წინასწარი ვერსიის გამოქვეყნება, საჩივრებისა და დავების პროცედურები, საბოლოო სიის გამოქვეყნება, და სიების ხელმისაწვდომობა და მათი გადამოწმების უფლება. (...)

დ. კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია

(...) რეგისტრაციის მოთხოვნები უნდა იყოს მკაფიო და პრაქტიკული და არ უნდა შეიცავდეს პოტენციურად დისკრიმინაციულ მოთხოვნებს, როგორცაა, ზედმეტად დიდი ოდენობის დეპოზიტები ან მხარდამჭერთა ხელმოწერების არაგონივრული რაოდენობა. პარტიის ან კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში უნდა არსებობდეს გასაჩივრების უფლება. (...)

ი. საჩივრები და მათი განხილვის პროცესი

დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ ეროვნულ სასამართლო ორგანოში გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა პარტიისათვის. საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცედურა უნდა იყოს ჩამოყალიბებული განხილვის კონკრეტული მექანიზმის სახით, დავების განხილვის საბოლოო ინსტანციის განსაზღვრით. დამკვირვებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ განმხილველი ორგანოს წარმომადგენლების შერჩევასა და მის შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და მის ინსტიტუციონალური ავტონომიას, რამდენადაც, საარჩევნო პროცესის სამართლიანობა შეიძლება დაცული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხილვის მექანიზმი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია.

კანდიდატების და ამომრჩევლების მიერ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრები უნდა განხილვობდეს თანაბარი ყურადღებით და კანონის სათანადო პროცედურების შესაბამისად. პროცედურები და ვადები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული საარჩევნო კოდექსში. ასევე, უნდა არსებობდეს საარჩევნო კანონით უფლებამოსილ სასამართლო ორგანოებში საჩივრის შეტანის ხელმისაწვდომი და ადექვატური საშუალებები.

რეაგირება უნდა მოხდეს დროულად და ყველა წესის დაცვით, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და უნდა გამოქვეყნდეს.

საჩივრები, რომლებიც დარეგისტრირებულია კამპანიის მიმდინარეობის პროცესში, შეიძლება გამოყენებულ იქნას ინდიკატორებად იმ საკითხებისათვის, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ გამოკვლევას გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ.

9.2. საარჩევნო კამპანია

ა. პოლიტიკური კამპანია

(...) კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ ამომრჩევლისათვის თავიანთი პროგრამების მიწოდების თავისუფლება, ისე, რომ არ მოხდეს მათი კამპანიის შეხვედრებისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა და ხელისუფლების მიერ გეოგრაფიული შეზღუდვების დანესება, აკრძალული ადგილების სახით. უნდა არსებობდეს საჯარო მსვლელობების, პოლიტიკური შეკრებებისა და დაფინანსების მოძიებაზე მიმართული საქმიანობისათვის ნებართვების გაცემის მკაფიოდ განსაზღვრული პროცესი. უნდა არსებობდეს სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა იმ შემთხვევისათვის, თუ ადგილი ექნება აღნიშნული ნებართვების გაცემის დაუსაბუთებელ დაგვიანებას ან მათ გაცემაზე უარის თქმას. (...)

12. არჩევნების შემდგომი ფაზა: გრძელვადიანი დამკვირვებლები

12.2. საჩივრები და განხილვის პროცესი

დამკვირვებლებმა უნდა მისდიონ ყველა სასამართლო და სხვა პროცესს, რომელიც ეხება არჩევნებთან დაკავშირებით შეტანილ საჩივრებს და ნებისმიერ განხილვებს. (...)

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები (მიღებულია გაერთიანებული ერების "დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის" მეშვიდე კონგრესზე-მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო – 6 სექტემბერი; დამტკიცდა გენერალური ასამბლეის 40/32 რეზოლუციით (1985 წლის 29 ნოემბერი) და 40/146 რეზოლუციით (1985 წლის 13 დეკემბერი).

ადასტურებენ რა, მსოფლიოს ერები, გაერთიანებული ერების წესდებაში, თავიანთ სურვილს დაამკვიდრონ სამართლიანობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და განვითარების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;

განსაზღვრავს რა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, კანონის წინაშე თანასწორობის, უდანაშაულობის პრეზუმპციის, კანონის შესაბამისად შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საჭარო განხილვის პრინციპებს;

უზრუნველყოფენ რა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტები აღნიშნული უფლებების დაცვას; დამატებით განსაზღვრავს რა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი სასამართლო განხილვის უფლებას დაუსაბუთებელი გაჭიანურების გარეშე; კვლავაც არსებობს რა შეუსაბამობა აღნიშნულ პრინციპებსა და რეალურ სიტუაციას შორის;

უნდა ითვალისწინებდეს რა აღნიშნულ პრინციპებს თითოეული ქვეყნის სასამართლო სისტემა და იღებდეს შესაბამის ზომებს აღნიშნული პრინციპების რეალობაში გასატარებლად.

უნდა ითვალისწინებდნენ რა დებულებები, რომლებიც შეეხება სასამართლო ხელისუფლების განხორციელებას, მოსამართლეების აღნიშნული პრინციპებით საქმიანობის შესაძლებლობას;

ეკისრებათ რა მოსამართლეებს პასუხისმგებლობა საბოლოო გადაწყვეტილებაზე მოქალაქეთა სიცოცხლის, თავისუფლების, უფლებების მოვალეობების და ქონების მიმართ;

მიეცა რა პრიორიტეტული დავალება დანაშაულის პრევენციისა და კონტროლის კომიტეტს, გაერთიანებული ერების "დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის" მეექვსე კონგრესის 16 გადაწყვეტილებით, შეიმუშაოს ინსტრუქციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მათი შერჩევის, პროფესიული მომზადების, მოსამართლეთა და პროკურორების სტატუსის შესახებ;

უნდა გამახვილდეს რა ყურადღება, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეთა როლზე სასამართლო სისტემაში, აგრეთვე, მათ შერჩევის, მომზადებისა და საქმიანობის მნიშვნელობაზე;

ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი პრინციპები მონაწილე სახელმწიფოებში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულ და შესრულებულ უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნების მთავრობების მიერ, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნულ პრინციპებს უნდა გაეცნონ მოსამართლეები, იურისტები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები და ზოგადად საზოგადოება. პრინციპები შემუშავდა სპეციალურად პროფესიონალი მოსამართლეებისათვის, თუმცა ისინი თანაბრად შეიძლება იქნას გამოყენებული მაგისტრატი მოსამართლეების მიერ.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა

1. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა გარანტირებული იქნება სახელმწიფოს მიერ და განმტკიცებული იქნება შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. სახელმწიფო და სხვა ინსტიტუტები ვალდებული არიან პატივი სცენ და დაიცვან სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა.
2. სასამართლო ვალდებულია მიუკერძოებლად განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, არსებული ფაქტების საფუძველზე და კანონის შესაბამისად, ყოველგვარი შეზღუდვების, უკანონო ზეგავლენის, მოსყიდვის, ზეწოლის, დაშინების ან ჩარევის გარეშე, პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით, ნებისმიერი პირისაგან და ნებისმიერი მიზეზით.
3. სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება ნებისმიერ სამართლებრივი ხასიათის საკითხზე და სასამართლოს ექნება ექსკლუზიური უფლებამოსილება გადაწყვიტოს განეკუთვნება თუ არა წარდგენილი საქმე მის კომპეტენციას, კანონის შესაბამისად.

4. დაუშვებელია გაუმართლებელი ან დაუსაბუთებელი ჩარევა სასამართლოს საქმიანობაში, ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა. აღნიშნული პრინციპი ხელს არ შეუშლის სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვას ან კომპეტენტური ორგანოს მხრიდან სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელის შემცირებას ან შეცვლას, კანონის შესაბამისად;
5. ყველა მოქალაქეს ექნება უფლება, წარდგეს სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით. ტრიბუნალი, რომელიც არ სარგებლობს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურებით, არ უნდა შეიქმნას იმ იურისდიქციის ჩანაცლების მიზნით, რომელიც ეკუთვნის სასამართლოს ან სასამართლო ტრიბუნალს.
6. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია და ვალდებულია, უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო განხილვა და პატივი სცეს მხარეთა უფლებებს.
7. თითოეული წევრი ქვეყნის მიზანია, უზრუნველყოს შესაბამისი რესურსები, რათა სასამართლომ შეძლოს ფუნქციების სათანადო შესრულება.

გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლება

8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად მოსამართლეებს, ისევე როგორც სხვა მოქალაქეებს, აქვთ გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება; თუმცა, ამავე დროს, აღნიშნული უფლებების განხორციელებისას მოსამართლეები ვალდებული არიან, ღირსეულად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები და დაიცვან სასამართლოს სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.
9. მოსამართლეებს ექნებათ უფლება შექმნან ან გაერთიანდნენ მოსამართლეთა ასოციაციებში ან სხვა ორგანიზაციებში, რათა გამოხატონ საკუთარი ინტერესი, გაიარონ პროფესიული მომზადება ან დაიცვან სასამართლო დამოუკიდებლობა.

კვალიფიკაცია, შერჩევა და ტრენინგი

10. მოსამართლედ შერჩევა პირი, რომელიც გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგი ან აქვს კვალიფიკაცია სამართალში. სასამართლო შერჩევის ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით, აღარ მოხდება არასათანადო მოტივის საფუძველზე მოსამართლედ პირის არჩევა. მოსამართლეთა შერჩევის დროს, არ ექნება ადგილი პირის დისკრიმინაციას რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ენების, დაბადების ან სტატუსის საფუძველზე. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მოსამართლეობის კანდიდატი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის მოქალაქე.

პირობები და უფლებამოსილების ვადები

11. მოსამართლეების უფლებამოსილების ვადა, მათი დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება, სათანადო ანაზღაურება, საქმიანობის პირობები, პენსია და საპენსიო ასაკი სათანადოდ იქნება განმტკიცებული კანონით.
12. უზრუნველყოფილი იქნება არჩეული თუ დანიშნული მოსამართლეების მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება, უფლებამოსილების მთელი პერიოდის განმავლობაში; საპენსიო ასაკს მიღწევამდე ან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
13. მოსამართლეთა დანიშნულების სისტემა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ფაქტორებს, როგორც არის მოსამართლის უნარები, კეთილსინდისიერება და გამოცდილება.
14. საქმეთა გადანაწილება მოსამართლეებისათვის იმ სასამართლოში, რომელსაც ისინი ემსახურებიან, წარმოადგენს სასამართლოს შიდა ადმინისტრაციის საკითხს.

პროფესიული საიდუმლოება და ხელშეუხებლობა

15. მოსამართლეებს ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან პროფესიული საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა საქმეთა განხილვისას, ან კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ვალდებულებების შესრულებისას, გარდა საჭარო მოსმენებზე გაჟღერებული ინფორმაციისა. არ შეიძლება მოსამართლეს მოეთხოვოს ჩვენების მიცემა ამგვარი საკითხების შესახებ.

16. დისციპლინური პროცედურების, გასაჩივრების ან სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლებებისათვის ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ პირადი იმუნიტეტით მატერიალურ ზიანთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეებზე, მოსამართლის ფუნქციების შესრულებისას არასათანადო ქმედებისა ან გამორჩენების გამო.

დისციპლინური ზომები, უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა

- 17. მოსამართლის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება ან საჩივარი, რომელიც შეეხება მის სამოსამართლო და პროფესიულ შესაძლებლობებს, განხილულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ და სამართლიანად, შესაბამისი პროცედურების დაცვით. მოსამართლეს ექნება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. საქმის განხილვა თვდაპირველ ეტაპზე კონფიდენციალურია, თუ სხვაგვარად არ იქნება მოთხოვნილი მოსამართლის მიერ.
- 18. მოსამართლეს შეუჩერდება ან შეუწყდება უფლებამოსილება მხოლოდ ქმედუნარობის ან ისეთი ქმედების გამო, რომელიც შეუთავსებელია მისი მოვალეობის შესრულებასთან.
- 19. ყველა დისციპლინური, უფლებამოსილების შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურა დადგენილი იქნება სასამართლოს საქმიანობის სტანდარტების შესაბამისად.
- 20. გადანაცვეტილება დისციპლინური ზომების, მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ ექვემდებარება დამოუკიდებელ გადასინჯვას. აღნიშნული პრინციპი შესაძლოა არ ეხებოდეს უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადანაცვეტილებებს, აგრეთვე, საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცხადებულ იმპიჩმენტს ან სხვა მსგავს გადანაცვეტილებებს.

სახელმძღვანელო დოკუმენტებად გამოყენებული სხვადასხვა ქვეყნების ქსევის კოდექსები

ბანგლადეში (1991)	latia sangsad(საპარლამენტო) არჩევნები, 1991 – პოლიტიკური პარტიებისთვის განკუთვნილი ქცევის კოდექსი, 1991
ბანგლადეში (1996)	latia sangsad-ში არჩევის მოსურნე პოლიტიკური პარტიებისა და კონკურენტი კანდიდატების ქცევის კოდექსი, 1996
ბოსნია და ჰერცეგოვინა	პოლიტიკური პარტიებისთვის, კანდიდატებისა და საარჩევნო პერსონალის საარჩევნო ქცევის კოდექსი, დროებითი საარჩევნო კომისია, 1996
კამბოჯა	კამბოჯისთვის შემუშავებული გაერთიანებული ერების საარჩევნო კანონი, 1992 – დანართი – ქცევის კოდექსი, აგვისტო, 1992
კოსტა რიკა	პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო ტრიბუნალის შეთანხმება არჩევნების განმავლობაში პოლიტიკური პარტიების ეთიკური ქცევის შესახებ, 1998
განა	განაში საჯარო არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი, 1992
გვინეა	პროექტი Code de Conduite des Parties Politiques de la République de Guinée pour les Elections Legislatives, 23 მარტი 1995წ.
ინდოეთი	პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების სახელმძღვანელო ქცევის კოდექსის მოდელი, ინდოეთის საარჩევნო კომისია, 1991
მალავი (1993)	აქტი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ (# 31, 1991) – ქცევის კოდექსი (გამოცემული განყოფილება 61(2)), 1993
მალავი (1994)	საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები – ქცევის კოდექსი, 1994
ნამიბია (1989)	პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი მიმდინარე საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, სექტემბერი, 1989
ნამიბია (1994)	პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი, გამოცემულია დემოკრატიის კონსოლიდაცია ნამიბიაში – AWEPA საარჩევნო სადამკვირვებლო მისია – დეკემბერი, 1994
ნიკარაგუა	საარჩევნო ეთიკის წესები – ნიკარაგუას რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო საბჭოს მიერ სანქცირებული, ოქტომბერი, 1989
პაკისტანი	პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი – საყოველთაო არჩევნები, 1993
სეიშელის კუნძულები	პოლიტიკური პარტიების, მათი წევრებისა და მხარდამჭერების არჩევნებზე ან რეფერენდუმზე ქცევის კოდექსი, 1992
სიერა ლიონე	პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის პროექტი მიღებული კონკურენტი პოლიტიკური პარტიების მიერ, 1996
სამხრეთ აფრიკა	საარჩევნო აქტი, 1993 – გრაფიკი 2 – საარჩევნო ქცევის კოდექსი, 1993
სენტ-კიტისი და ნევისი	პოლიტიკური პროცესისთვის განკუთვნილი ქცევის კოდექსი: ეთიკური დირექტივები გამოცემული სენტ-კიტისის ქრისტიანული საბჭოსა და ნევისის ქრისტიანული საბჭოს მიერ, ივნისი 1995



**არჩევითი
სახელმწიფო
ინსტიტუტები**

საქართველოს პრეზიდენტი

თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფოს მეთაური არის პრეზიდენტი. სიტყვა «პრეზიდენტი» წარმოდგება ლათინური praesidens-დან, რომელიც «წინ მჯდომს» ნიშნავს. სახელმწიფო მეთაურის აღსანიშნავად, სიტყვა «პრეზიდენტი»-ს გამოყენება XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო. პირველად პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების საკითხი აშშ-ის კონსტიტუციის შემუშავების დროს, 1787 წელს იქნა განხილული.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით მსოფლიოს მისცეს მმართველობის სტაბილური სისტემის ნიმუში, რომელიც მიმზიდველი აღმოჩნდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, როგორც ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის, ისე ევროპის «ძველი» ქვეყნებისთვისაც. აშშ-ის ნიმუშის მიხედვით პრეზიდენტის ინსტიტუტი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადაიღეს ლათინური ამერიკის ქვეყნებმა. ევროპაში კი პირველი საპრეზიდენტო რესპუბლიკები 1848 წელს შვეიცარიასა და საფრანგეთში შეიქმნა. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს ან სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის, ძალაუფლების ხარისხი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და წარმოდგენილი, ზოგიერთ ქვეყანაში მას დიდ ძალაუფლება აქვს მინიჭებული, ზოგიერთში კი ნომინალური.

საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი 1991 წლის 14 აპრილს იქნა შემოღებულ. ამ თანამდებობაზე იმავე წლის 14 აპრილს უზენაესმა საბჭოს აირჩია ზვიად გამსახურდია. 1991 წლის 26 მაისს საქართველოში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. 1991-1992 წლების დეკემბერი-იანვრის ცნობილი მოვლენების (სამოქალაქო ომი) შედეგად, ზვიად გამსახურდიას საქართველოს დატოვება მოუხდა, ხოლო მისმა მოწინააღმდეგეებმა პრეზიდენტის ინსტიტუტი გაუქმებულად გამოაცხადეს. პრეზიდენტის ინსტიტუტი მიჩნეული იქნა საქართველოსთვის შეუფერებლად და ქვეყნის «მოვლენათა არადემოკრატიული განვითარების» ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად.

1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოში გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. პარლამენტის თავმჯდომარედ და იმავდროულად, სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე ედუარდ შევარდნაძე იქნა არჩეული. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე საყოველთაო სახალხო კენჭისყრის გზით აირჩიეს.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა კონსტიტუციამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში კვლავ დააბრუნა პრეზიდენტის ინსტიტუტი.

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია როგორც პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, ისე მისი არჩევის წესი. მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებულია პრეზიდენტის არჩევის ოთხი გზა:

I – **პრეზიდენტს საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით ირჩევენ.** ეს პრეზიდენტის არჩევის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, ქვეყნების უმრავლესობაში გამოიყენება და გულისხმობს პრეზიდენტის ამომრჩევლების მიერ საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით არჩევას. არჩევნებში მონაწილეობა აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქეს შეუძლია.

II – **პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს.**

III – **პრეზიდენტს ამომრჩეველთა კოლეგია ირჩევს.** პრეზიდენტის ასარჩევად მოსახლეობა ირჩევს ამომრჩეველთა კოლეგიას (კოლეგიის წევრ ამომრჩეველებს ხალხი მხოლოდ პრეზიდენტის არჩევის მიზნით ირჩევს). არჩეული ამომრჩეველები პრეზიდენტს ირჩევენ. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველთა კოლეგია პრეზიდენტს აირჩევს, იგი იშლება.

IV – **პრეზიდენტს სპეციალური ორგანო** (ფართო საარჩევნო კოლეგია) ირჩევს. პრეზიდენტის სპეციალური ორგანოს მიერ არჩევა გულისხმობს იმას, რომ პრეზიდენტი აირჩევა არა ხალხის მიერ არჩეული ამომრჩეველების, არამედ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი სპეციალური ორგანოს (ფართო საარჩევნო კოლეგიის, ფორუმის, კრების) მიერ. ჩვეულებრივ, მის არჩევაში პარლამენტის წევრები და პროვინციების, რეგიონების, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობენ, ასეთი წესი გამოიყენება, მაგალითად, ინდოეთში, სადაც პრეზიდენტს ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომელიც პარლამენტის ორივე პალატის წევრებისაგან და შტატების საკანონმდებლო კრებების წევრებისაგან შედგება.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში²⁰. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

პასიური საარჩევნო უფლება. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან (ასაკობრივი ცენზი), რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში (ბინადრობის ცენზი) (საქართველოს კონსტიტუცია, 70-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

საარჩევნო სისტემა. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ტარდება. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას მთელი ქვეყანა განიხილება, როგორც ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება, კანდიდატის წარდგენის წესი. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს ცესკოში რეგისტრირებულ პარტიას²¹ ან ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა განცხადებით (განცხადებას ხელს აწერს პარტიის ხელმძღვანელი პირი ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი. განცხადებას უნდა ერთოდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე, მისი დაბადების მოწმობის ასლი და სამი ფოტოსურათი) უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს. განცხადების წარდგენის შემდეგ პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები²².

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ ცესკოსთვის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გადადგინდეს შემდეგი თანამდებობის პირები:

- საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები და მათი მოადგილეები, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები;
- გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები;
- სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და მათი მოადგილეები;
- საკრებულოთა თავმჯდომარეები, გამგებლები, ქალაქების მერები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები;
- მოსამართლეები;
- საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილე;
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლები;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები;
- საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი და მისი მოადგილეები;
- პროკურორები, მათი მოადგილეები და თანამშემწეები, გამომძიებლები;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები.

კენჭისყრამდე არაუგვიანეს 40 დღისა ცესკოს უნდა წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0,75 პროცენტი) ამომრჩევლის სია.

20 საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება.

21 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 185³ მუხლი

22 მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს განკარგულებით ადგენს ცესკო.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის მსურველი თანამდებობის პირის გადადგომის/გათავისუფლების შესახებ სათანადო სამართლებრივი აქტი დაუყოვნებლივ წარედგინება ცესკოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს უარი ეთქმება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე, ხოლო თუ რეგისტრაცია განხორციელდა, იგი უქმდება.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა და რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში აძლევს შესაბამის მონუმბას.

ცესკო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ, მისი სახელის, გვარის, დაბადების წლის, დაკავებული თანამდებობის (საქმიანობის), საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მითითებით.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი განისაზღვრება არჩევნებამდე 25 დღით ადრე. პირველად რიგითი ნომრის არჩევის უფლება აქვს იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

რეგისტრირებული საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატების სიას თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს 24-ე დღისა.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს შეუძლია ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 10 დღისა, მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი წარმომადგენლები წინასაარჩევნო კამპანიის დროს არ შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან ანდა გადაიყვანონ სხვა სამუშაოზე ან სხვა თანამდებობაზე მათი თანხმობის გარეშე. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებაზე არ იქნა ცესკოს თანხმობა. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

საქართველოს პრეზიდენტობის არჩევნების შედეგების შეჯამება

ცესკო კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-20 დღისა თავის სხდომაზე აჯამებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით და აფორმებს შემაჯამებელ ოქმს, რომელიც მტკიცდება ცესკოს განკარგულებით. არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა (აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა). არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი სპეციალურად გამართულ ცერემონიაზე წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს. ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

საქართველოს პრეზიდენტის ფიცი

„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევა მოსილებისათვის“.

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში. საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული, ენოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური, ხელახალი და რიგგარეშე არჩევნები

არჩევნების მეორე ტური. თუ არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტობის ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ცესკოს განკარგულებით ინიშნება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტური ტარდება პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. **თუ პირველ ტურში პირველის შემდგომი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, მეორე ტურში მონაწილის ვინაობა ვლინდება წილისყრით.** არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს (ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა). თუ არჩევნების მეორე ტურში კანდიდატებმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო.

ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნების პირველ ან მეორე ტურში მონაწილე ყველა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, საერთო არჩევნების შედეგების შეჭამებიდან 2 თვის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები. ხელახალ არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი. ცნობა ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ ქვეყნდება პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. ხელახალი არჩევნები ტარდება დადგენილი წესით, ცესკოს მიერ განსაზღვრულ ვადებში.

რიგგარეშე არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე არჩევნები. რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 72 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი²³. რიგგარეშე არჩევნები ტარდება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტი ცესკოს მეშვეობით.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს რიგგარეშე არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-40 დღისა.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა რიგგარეშე არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0,75 პროცენტი) ამომრჩევლის სია. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს ცესკო რიგგარეშე არჩევნებამდე არაუგვიანეს 25-ე დღისა.

საქართველოს პარლამენტი

პარლამენტი (ფრანგ. parlement ← parler = ლაპარაკი) არის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო. პირველი პარლამენტი ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ინგლისში ჩამოყალიბდა (1265 წელს შეიქმნა ბრიტანეთის პარლამენტი), როგორც სხვადასხვა ფენის წარმომადგენლობითი ორგანო. თუმცა პარლამენტის საყოველთაო გავრცელება XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო (საფრანგეთის დიდი რევოლუცია). ამ დროიდან პარლამენტის ძირითადი ამოცანა მონარქის ხელისუფლების შეზღუდვა იყო. პარლამენტი, როგორც წესი, ცენზების საფუძველზე ირჩეოდა და მასში ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ირჩევდნენ. საარჩევნო უფლებათა თანდათანობით გაფართოებამ და საყოველთაო საარჩევნო უფლების დამკვიდრებამ ამგვარი ვითარება დროთა განმავლობაში შეცვალა.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო პარლამენტარიზმის აღორძინების ახალი ეტაპი. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში პარლამენტი ხელისუფლების წამყვანი ორგანოა. თანამედროვე პარლამენტები სხვადასხვა გზით ყალიბდება. ერთპალატიანი პარლამენტის ფორმირება, თუ რამდენიმე გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, ყველგან ერთნაირად ხდება – მას უშუალოდ ხალხი ირჩევს. რაც შეეხება ორპალატიან პარლამენტს, მისი ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება განსხვავებულად რეგულირდებოდეს.

²³ თუ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს ან არასასესიო კვირას, საქართველოს პარლამენტი იკრიბება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

პარლამენტის ფორმირების გზების მრავალფეროვნების მიუხედავად, ცივილიზებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოში სრულფასოვანი პარლამენტის უმნიშვნელოვანესი ნიშნებია:

- ⇒ პარლამენტის რეგულარული არჩევითობა;
- ⇒ პარლამენტის საყოველთაო, თანასწორი და თავისუფალი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით არჩევა.

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

1919 წლის 14–16 თებერვალს, საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი კენჭისყრით ჩატარებული არჩევნების საფუძველზე საქართველოში ჩამოყალიბდა საქართველოს დამფუძნებელი კრება – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის მიზანი იყო, საქართველოს პარლამენტის მოწვევამდე შეემუშავებინა სახელმწიფოს მმართველობის ფორმა და კონსტიტუცია.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოში 1921 წლის 21 თებერვლამდე იარსება. საქართველოს რევკომმა (რევოლუციური კომიტეტი) 1921 წლის 24 მარტს გამოსცა დეკრეტი საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ. 69-წლიანი პაუზის შემდეგ, 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნებით საქართველოში პარლამენტარიზმის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო.

საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები. საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში²⁴. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

პასიური საარჩევნო უფლება. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან (ასაკობრივი ცენზი).

საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არცერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე (ბინადრობის ცენზი).

საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი²⁵ (მორალური ცენზი). საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატზე ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის ცენზი.

საარჩევნო სისტემა. საქართველოს პარლამენტის არჩევნები ტარდება შერეული საარჩევნო სისტემის პარალელური კენჭისყრის საფუძველზე. პარლამენტი შედგება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 77 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 73 წევრისაგან.

საარჩევნო ოლქები. საქართველოს პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისთვის მთელი ქვეყანა განიხილება, როგორც ერთი მრავალმანდატიანი (77 მანდატი) საარჩევნო ოლქი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისათვის ქვეყნის ტერიტორია იყოფა 73 ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქად (მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები არ იქმნება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე).

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი შეიძლება მოიცავდეს ერთ მუნიციპალიტეტს ან, როგორც წესი, ერთზე მეტ მოსაზღვრე მუნიციპალიტეტს სრულად, ერთი მუნიციპალიტეტის ან მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების ერთმანეთის მოსაზღვრე ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს ან ერთმანეთის მოსაზღვრე ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს სრულად ან ნაწილობრივ.

²⁴ თუ არჩევნების ვადა ემთხვევა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს 60 დღისა.
²⁵ თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, ცნოს მისი უფლებამოსილება.

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნა პირდაპირ კავშირშია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობასთან, ეს რაოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა შეძლებისდაგვარად თანაბარ განაწილებას. აღნიშნული მიზნისთვის, მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნისას გამოიყენება მათი შექმნის დროისთვის ცესკოში არსებული ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემთა ელექტრონული ბაზის ბოლო მონაცემები.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ცესკოში რეგისტრირებულ პარტიას, საარჩევნო ბლოკს და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ მაჟორიტარ კანდიდატს.

პარტიების/საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს²⁶.

პარტიის რეგისტრაციის წესი და პროცედურები დამოკიდებულია იმაზე, ჰყავს თუ არა პარტიას წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში ან არის თუ არა პარტია კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი (კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტია პარტია, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად).

თუ არჩევნების დანიშვნის დღისთვის პარტიას **ჰყავს წარმომადგენელი** საქართველოს პარლამენტში (პარტიის წარმომადგენლად მიიჩნევა პარლამენტის წევრი, რომელიც შესაბამისი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის (რომელშიც ეს პარტია იყო გაერთიანებული) წარდგენით არის არჩეული ან რომელიც არჩევამდე იმ პარტიის წევრი იყო, რომელიც პარლამენტის არჩევნებში არ მონაწილეობდა, და ამ არჩევნების დანიშვნის დღისთვის იმავე პარტიის წევრია, თუ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში მითითებული იყო ამ პარტიის წევრობა) ის განცხადებას წარადგენს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე **არაუგვიანეს 57-ე დღისა**. ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს განცხადებასა და თანდართულ საბუთებს და არა უგვიანეს ცესკოში განცხადების შეტანის მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს.

დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ან წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და შემთხვევაში პარტიას მიეცემა 3 დღე განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული განცხადება და საბუთები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან 2 დღის ვადაში.

თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

თუ პარტიას **არ ჰყავს წარმომადგენელი** საქართველოს პარლამენტში, ის განცხადებას წარადგენს პარლამენტის **არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე**. განცხადების წარდგენის შემდეგ პარტიას უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები.

პარტია ვალდებულია, მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 აგვისტოს, ცესკოს წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა სია. პარტია, რომელიც არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, ვალდებულია წარადგინოს სულ ცოტა 1 000 ამომრჩევლის სია, ხოლო პარტია, რომელიც არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, ვალდებულია წარადგინოს სულ ცოტა 25 000 ამომრჩევლის სია.

თუ განცხადება, თანდართული საბუთები (ან შესწორებული განცხადება და საბუთები) და მხარდამჭერთა სია წარდგენილია საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადაში და აკმაყოფილებს

²⁶ განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ.

მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე სათანადო სამსახურის დასკვნის საფუძველზე, დასკვნის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 59-ე დღისა, საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა. პარტიას უფლება აქვს განცხადების საფუძველზე მოითხოვოს საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება.

გარდა აღნიშნულისა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს:

- ⇒ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვის შემთხვევაში;
- ⇒ თუ გაუქმდა მისი შემცველი საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია²⁷;
- ⇒ თუ მან არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა;
- ⇒ თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა მის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა;
- ⇒ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიებს უფლება აქვთ, შექმნან საარჩევნო ბლოკი და გავიდნენ ბლოკის შემადგენლობიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის მორიგი არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 43-ე დღისა ცესკოს უნდა წარედგინოს ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება. საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 37-ე დღეს. საარჩევნო ბლოკს რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე.

პარტიას, რომელმაც გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია, უფლება აქვს, საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე გაერთიანდეს რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკში, რისთვისაც ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს სათანადო განცხადება და საარჩევნო ბლოკის თანხმობა.

საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთანავე ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უფლებამოსილება უწყდებათ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლებს ყველა საარჩევნო კომისიაში, ხოლო საარჩევნო ბლოკს შეუძლია დანიშნოს 2 წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიაში.

პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის **ვადის ამოწურვამდე** საარჩევნო ბლოკიდან პარტიის/პარტიების გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში თითოეულ მათგანს უფლება აქვს, გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და მასში ადრე შემაგალ პარტიებს უფლება ეძლევათ, გააგრძელონ არჩევნებში მონაწილეობა.

პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის **ვადის ამოწურვის შემდეგ** საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და დარჩენილი პარტია ხდება ბლოკის უფლებამონაცვლე.

საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს საკუთარი განცხადების საფუძველზე მოთხოვოს რეგისტრაციის გაუქმება. გარდა აღნიშნულისა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს:

- ⇒ თუ საარჩევნო ბლოკი დაიშალა ან ბლოკიდან მისი წევრი პარტიის (პარტიების) გასვლის, გარიცხვის ან საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა;
- ⇒ თუ მან არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა;
- ⇒ თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა ბლოკის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა.

²⁷ საარჩევნო კოდექსის 114-ე მუხლის მე-14 პუნქტის „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე




არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების/საარჩევნო ბლოკების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიების/საარჩევნო ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა.

პარტიული სიების წარდგენა. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები და საარჩევნო ბლოკები რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30 დღისა, ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგენენ პარტიულ სიებს (პარტიული სია საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით).

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, წარადგინოს თითო პარტიული სია. წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი. პარტიულ სიას უნდა ერთოდეს საქართველოს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი. პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში პარტიულ სიაში მიეთითება, რომ კანდიდატი წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფა უკავშირდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ:

-  არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;
-  საარჩევნო ბლოკს;
-  ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, ყოველ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით არჩევის მიზნით წარადგინოს საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით არჩევის მიზნით წარადგინოს საქართველოს პარლამენტის წევრობის თითო კანდიდატი, რისთვისაც კენჭისყრამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. განცხადებას, რომელსაც ხელს აწერს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი, უნდა ერთოდეს საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე, მისი პირადობის მოწმობის ასლი და ორი ფოტოსურათი. განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა არანაკლებ 1 პროცენტის ხელმოწერებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დასახელებული კანდიდატი ბოლო საპარლამენტო არჩევნებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად.

პარტიული სიებისა და მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში წარდგენილ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა საარჩევნო რეგისტრაცია. საბუთების წარდგენისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, პარტიული სიის/მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება. თუ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ყველა საბუთი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს პარტიულ სიას საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე, ხოლო საარჩევნო ოლქში წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატს – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

პარტიული სია და პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატი რეგისტრაციაში ტარდება შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 25-ე დღისა (თუ თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემები არ შეესაბამება საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, პარტიას/საარჩევნო ბლოკს საბუთების სრულყოფისთვის დამატებითი ვადა ეძლევა. შესწორებული მონაცემები მოწმდება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი წყდება მათი წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა). ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში ტარდება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია საარჩევნო კოდექსით დადგენილი სხვა პირობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რეგისტრირებული კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას ასევე გამოიწვევს წარმდგენი პარტიის/საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება ან კანდიდატის გარდაცვალება.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს, აგრეთვე მის წარმდგენ პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 10 დღისა, უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის საარჩევნო კომისიას.

ცესკო საარჩევნო სუბიექტის ან ცალკეული კანდიდატების არჩევნიდან მოხსნის შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

საარჩევნო ბიულეტენი. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი: პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარლამენტის არჩევნებისთვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენი და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარლამენტის არჩევნებისთვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენი.

ცესკო კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 25-ე დღისა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებულ პარტიულ სიებს, აგრეთვე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული კანდიდატების შესახებ მონაცემებს, რომლებიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამება

ხმების დათვლა საუბნო საარჩევნო კომისიაში. საუბნო საარჩევნო კომისია აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს ისინი მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება პარტიული სიების მიხედვით, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების ოქმი – მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატების მიხედვით.

კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-11 დღისა თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს ისინი მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

განცხადების/საჩივრის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განკარგულებით მიიღოს გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიიდან მიღებული პაკეტების გახსნის და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ.

არჩევნების შედეგების შეჯამება ცესკოში. ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა, თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს (ანაწილებს მანდატებს).

ოქმის ერთი ცალი ინახება ცესკოში, მეორე ცალი გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, ხოლო კომისიის ბეჭდით დამონშებული ასლები – საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს.

არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა, არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები, ყოველ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

მანდატების განაწილება. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტის ხმები მიიღო²⁸.

საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5 პროცენტისა. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 77-ზე (გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა) და იყოფა საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 77-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატები, პირველ რიგში, მანდატების რაოდენობის 6-მდე შესავსებად რიგრიგობით დაემატება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც გადალახეს საარჩევნო ბარიერი და მიღებული მანდატების რაოდენობა 6-ზე ნაკლები აქვთ. თუ ამ შემთხვევაშიც რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა მაინც 6-ზე ნაკლებია, თითო მანდატი 6-მდე შესავსებად რიგრიგობით აკლდება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომელთა მანდატების რაოდენობაც 6 მანდატს აღემატება და ამ მოკლების შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტს არ დარჩება 7 მანდატზე ნაკლები. თუ გაუნაწილებელი მანდატების გადანაწილების შემდეგ კიდევ დარჩა გაუნაწილებელი მანდატები, ისინი რიგრიგობით გადანაწილდება იმ სუბიექტებზე, რომლებმაც შევსების გარეშე მიიღეს არანაკლებ 6 მანდატისა. გადანაწილება გაგრძელდება მანამ, სანამ არ ამოიწურება ყველა გასანაწილებელი მანდატი. თუ 2 ან 2-ზე მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობები თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია ცესკოში.

პარტიული სიით არჩეულად ჩაითვლებიან საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც ამ სიაში ნაკლებია ან ტოლია სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა. ამ სიის მიხედვით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა უცვლელი რჩება. თუ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეულად ითვლება. პარტიულ სიაში მის ადგილს იკავებს სხვა კანდიდატი დადგენილი წესით.

საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულ პირთა ნარკოლოგიური შემოწმება. კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/ საარჩევნო ბლოკების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება. ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულება ვალდებულია არჩევნებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა ცესკოს წარუდგინოს ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა და საქართველოს პარლამენტის არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება. თუ პარტიული სიით საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულმა პირმა არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება ან/ და უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

²⁸ არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტური, ხელახალი, შუალედური და რიგგარეშე არჩევნები

არჩევნების მეორე ტური. თუ მაჟორიტარული არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრი ვერ აირჩა, ცესკო პირველი ტურის შედეგების შეჯამებასთან ერთად ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელიც იმართება პირველი ტურიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა. მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ 2-ზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა ან 1 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა ხმათა ტოლი რაოდენობა მიიღო, მეორე ტურში ყველა შემოაღნიშნული კანდიდატი მონაწილეობს. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა ხმათა ერთნაირი რაოდენობა მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში ხმათა მეტი რაოდენობა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, იმართება ხელახალი არჩევნები.

ხელახალი კენჭისყრა. თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერცერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტი, ცესკო განკარგულებით დანიშნავს ხელახალ კენჭისყრას, რომელიც ტარდება არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის ვადაში. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 2 პროცენტი. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების პარტიული სიები უცვლელი რჩება. მათში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საარჩევნო კოდექსი დადგენილი საერთო წესით.

ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა, მეორე ტურში გამარჯვებული არ გამოვლინდა ან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, იმართება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნები იმართება არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან, აგრეთვე მათი ბათილად ცნობიდან 2 თვის ვადაში. არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს ცესკო.

შუალედური არჩევნები. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში, საქართველოს საარჩევნო კოდექსი დადგენილი წესით, აპრილში ან ოქტომბერში იმართება საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები. თუ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდა 15 თებერვლიდან 15 ივლისამდე, საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები იმართება იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო თუ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდა 15 ივლისიდან 15 თებერვლამდე, მაშინ – უახლოეს აპრილში.

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 2 თვისა. საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა, რომელიც ცესკოში რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად ცესკოს განცხადებით უნდა მიმართოს შუალედური არჩევნების დანიშვნის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა.

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები არ იმართება საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების წელს.

თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, შუალედური არჩევნები არ გაიმართება და მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი და ა. შ. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი აღარ არის, პარლამენტის წევრის ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება.

თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიის რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი და ა. შ. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ზემოთ აღნიშნული წესით.

რიგგარეშე არჩევნები. საქართველოს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება საქართველოს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან მე-60 დღეს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს საქართველოს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით არჩეული 21 წევრისგან.

არჩევნების დანიშვნა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 25 წელი (ასაკობრივი ცენზი). კანდიდატზე ასევე ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის ცენზი.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს არჩევნების დღისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირობისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად აღნიშნული კანონით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება.

საარჩევნო სისტემა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ტარდება შერეული საარჩევნო სისტემით (პარალელური კენჭისყრა), რომლის საფუძველზე პროპორციული საარჩევნო სისტემით აირჩევა 15 წევრი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 6 წევრი. შესაბამისად, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისათვის იქმნება 6 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განიხილება, როგორც ერთი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს თავმჯდომარეს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა. პარტიამ, რომელსაც არ გააჩნია რეგისტრაცია ცესკოში, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა – არანაკლებ 3000 მხარდამჭერის – ხელმოწერები. პარტიას მხარდამჭერთა სიის ბლანკები უნდა გადასცეს უსკოს შესაბამისმა სამსახურმა კომისიაში განცხადების წარდგენისთანავე. მხარდამჭერთა ხელმოწერები უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა.

უსკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ, შექმნან საარჩევნო ბლოკები და გავიდნენ საარჩევნო ბლოკებიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 43-ე დღისა უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 37-ე დღეს.

საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს განცხადების საფუძველზე მოითხოვოს საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება.

გარდა აღნიშნულისა, უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს თუ:

- ✎ არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა, ამ შემთხვევაში გაუქმდება ბლოკში შემავალი პარტიების რეგისტრაციაც
- ✎ არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა, ამ შემთხვევაში გაუქმდება ბლოკში შემავალი პარტიების რეგისტრაციაც;
- ✎ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა ბლოკის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, ამ შემთხვევაშიც გაუქმდება ბლოკში შემავალი პარტიების რეგისტრაციაც.

საარჩევნო ბლოკის მსგავსად პარტიასაც აქვს უფლება განცხადების საფუძველზე მოითხოვოს საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება. გარდა აღნიშნულისა, უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას გამოიწვევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვა, ასევე თუ პარტიამ არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა ან/და თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა მის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა და საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.




არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა უსკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიებისა და ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა, და ამის მიზეზებს.

პარტიული სიების წარდგენა. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, წარადგინოს თითო პარტიული სია. წარდგენილ პარტიულ სიაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 25-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 35-ს.

პარტიული სია განცხადებით უნდა წარედგინოს უსკოს თავმჯდომარეს პარტიის/საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა. პარტიულ სიას უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი.

პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში, პარტიულ სიაში მიეთითება, რომ კანდიდატი წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში და კანდიდატის სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ (აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს 2 ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი მიღებიდან 2 დღის ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა წარდგენა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ:

-  არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;
-  საარჩევნო ბლოკს;
-  შესაბამის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, ყოველ საარჩევნო ოლქში, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს – შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, მაჟორიტარული წესით არჩევის მიზნით წარადგინოს უმაღლესი საბჭო წევრობის თითო კანდიდატი. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის მიზნით, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 57-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა არანაკლებ 1 პროცენტის ხელმოწერებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დასახელებული კანდიდატი ბოლო უმაღლესი საბჭოს არჩევნებში არჩეული იყო უმაღლესი საბჭოს წევრად.

პარტიული სიისა და მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა საარჩევნო რეგისტრაცია. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ (წარდგენა უნდა განხორციელდეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა) პარტიულ სიას და უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 25-ე დღისა (თუ თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემები არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, პარტიას/საარჩევნო ბლოკს დამატებითი ვადა ეძლევა საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული მონაცემები მოწმდება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი წყდება მათი წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა), ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.

საბუთების წარდგენისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში პარტიული სიის/მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება. ამასთან კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია კანონით დადგენილი სხვა პირობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგისტრირებული კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას ასევე გამოიწვევს წარმდგენი პარტიის/საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება ან კანდიდატის გარდაცვალება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს, აგრეთვე მის წარმდგენ პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვთ, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 10 დღისა უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის საარჩევნო კომისიას. უსკო საარჩევნო სუბიექტის ან ცალკეული კანდიდატების არჩევნებიდან მოხსნის შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აქვეყნებს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

საარჩევნო ბიულეტენი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი: პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენი და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შეჯამება

საუბნო საარჩევნო კომისია აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს ისინი მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-11 დღისა თავის სხდომაზე აჯამებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგებს და ადგენს საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, რომლებსაც არაუგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს უსკოს.

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30 პროცენტისა. მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

უსკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე, კენჭისყრის ჩატარებიდან არაუგვიანეს მე-18 დღისა თავის სხდომებზე აჯამებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს და შეაქვს ისინი არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

პროპორციული საარჩევნო სისტემით გასანაწილებელი მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5 პროცენტისა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 15-ზე და გაიყოს ასეთი სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა.

თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 15-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი, პირველ რიგში, თანამიმდევრულად მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც პირველი განაწილებისას ვერ მოიპოვეს მანდატები, მაგრამ დააგროვეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტზე მეტი, ხოლო შემდეგ – იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც. ასეთ შემთხვევაში გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს.

თუ გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა ნაკლებია იმ საარჩევნო სუბიექტების რაოდენობაზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტზე მეტი, მაგრამ ვერ მოიპოვეს მანდატი, ასეთ საარჩევნო სუბიექტებს მანდატი მიენიჭებათ იმ საარჩევნო სუბიექტების ხარჯზე, რომლებმაც მოიპოვეს ერთზე მეტი მანდატი. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, მანდატი მოაკლდება იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც მეტი მანდატი მიიღო. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა თანაბარია, პირველ რიგში, მანდატი დააკლდება იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც ნაკლები ხმა მიიღო.

თუ 15-ზე მეტმა საარჩევნო სუბიექტმა მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტი ან მეტი, გემოთ აღნიშნული განაწილების წესი არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში თითო მანდატი მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს.

თუ ორი ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია უსკოში.

პარტიული სიით არჩეულად ჩაითვლებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც ამ სიაში ნაკლებია ან ტოლია სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში უსკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ პირთა ნარკოლოგიური შემოწმება. კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება (აღნიშნული არ ვრცელდება იმ კანდიდატზე, რომელიც იმავდროულად იყო წარდგენილი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში).

ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულება ვალდებულია არჩევნებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა უსკოს წარუდგინოს ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება.

თუ პარტიული სიით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულმა პირმა არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება ან/და უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა. პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის უფლებამოსილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტური, ხელახალი, შუალედური და რიგგარეშე არჩევნები

არჩევნების მეორე ტური. თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველ ტურში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვერ აირჩა (ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30 პროცენტი), უსკო კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს.

მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ 2-ზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა ან 1 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა ხმათა ტოლი რაოდენობა მიიღო, მეორე ტურში ყველა ზემოაღნიშნული კანდიდატი მონაწილეობს. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა ხმათა ტოლი რაოდენობა მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, იმართება ხელახალი არჩევნები.

ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა, აგრეთვე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობისას იმართება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნები იმართება არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან, აგრეთვე მათი ბათილად ცნობიდან 2 თვის ვადაში. არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს უსკო არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან ან ბათილად ცნობიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს უსკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 2 თვისა.

ხელახალი კენჭისყრა. თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტი, უსკოს განკარგულებით, არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის ვადაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 2 პროცენტი. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების პარტიული სიები უცვლელი რჩება. მათში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილი საერთო წესით.

შუალედური არჩევნები. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრის გამოკლების შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს შუალედური არჩევნები იმართება აპრილში ან ოქტომბერში. თუ უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდა 1 იანვრიდან 1 ივლისამდე, უმაღლესი საბჭოს შუალედური არჩევნები იმართება იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო თუ უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდა 1 ივლისიდან 1 იანვრამდე, მაშინ უახლოეს აპრილში. უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების წელს შუალედური არჩევნები არ იმართება. უმაღლესი საბჭოს შუალედური არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს უსკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 2 თვისა.

უმაღლესი საბჭოს შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა, რომელიც უსკოში რეგისტრირებული იყო ბოლო უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას, შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად უსკოს თავისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი განცხადებით უნდა მიმართოს შუალედური არჩევნების დანიშვნის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა.

თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, შუალედური არჩევნები არ გაიმართება და მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში უმაღლესი საბჭოს რიგით მომდევნო წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი და ა.შ. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, მაშინ უმაღლესი საბჭოს წევრის ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება.

თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიის რიგით მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი და ა.შ. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ზემოთ აღნიშნული წესით.

რიგგარეშე არჩევნები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები ტარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვადამდე დათხოვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან მე-60 დღეს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

ადგილობრივი თვითმმართველობა

თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი, საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. თვითმმართველი ერთეული, ანუ მუნიციპალიტეტი შეიძლება იყოს დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებით ფუნქციონირებენ: ასამბლეა (იაპონია, პორტუგალია), საკრებულო (ბულგარეთი, გერმანია, ესტონეთი), საგრაფოს საბჭო (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ლუქსემბურგი), თემის და საქალაქო საბჭო (ავსტრია, ავსტრალია, ბელგია, ირანი), მუნიციპალური საბჭო (დანია, მექსიკა, პოლანდია). მათ ქვეყნების დიდ ნაწილში შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების საფუძველზე ირჩევა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილების ვადა ძირითადად 2-დან 4 წლამდე მერყეობს (ბრაზილია, ბულგარეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია). ზოგიერთ შემთხვევაში მათი უფლებამოსილების ვადა 5 ან სულაც 6 წელია. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა რაოდენობა დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიის ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის გათვალისწინებით მის მაქსიმალურ და მინიმალურ ფარგლებს განსაზღვრავს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, როგორც წესი, ერთპალატიანია. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით წარმომადგენლობითი წევრობა საზოგადოებრივ საწყისებზე ხორციელდება, ზოგან კი ანაზღაურებად საქმიანობად არის მიჩნეული და სხავ საქმიანობის შეთავსება აკრძალულია.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს დამხმარე სტრუქტურებია მუდმივი ან დროებითი კომისიები (კომიტეტები), რომლებიც ამ ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში, დარგობრივი პრინციპით იქმნება. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით ცალკეულ ქვეყნებში (ესტონეთი, ლატვია) საკრებულოებთან იქმნება სარევიზიო თუ აუდიტორული კომისიები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტია. მისი მეშვეობით მოქალაქეებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა, საკუთარი პასუხისმგებლობით, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების ნდობა უფრო და უფრო ძლიერდება.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ²⁹. არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა³⁰.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არჩევნების დანიშნიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი (ასაკობრივი ცენზი) და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც (ბინადრობის ცენზი).

საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი (შეუთავსებლობის ცენზი). კანდიდატზე ასევე ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის ცენზი.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომლის რეგისტრაციის ადგილი მიეკუთვნება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები (რაც გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნება არ იქმნება), ხოლო საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებელი) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ყოველი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს, რაც შეეხება ქალაქ თბილისს, თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის, აქ იქმნება 10 საარჩევნო ოლქი (მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის).

ცესკო არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს ქმნიან და მათ საზღვრებს აზუსტებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში, შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული და ადმინისტრაციული თავისებურებების გათვალისწინებით.

საოლქო საარჩევნო კომისიები ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შესახებ ცნობას, მათი საზღვრების მითითებით, ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 დღის ვადაში.


²⁹ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები არ ტარდება.


³⁰ მორიგი არჩევნები ჩატარდება შესაბამისი ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში.

საარჩევნო სისტემა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება შერეული საარჩევნო სისტემით (პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე).

თვითმმართველი თემის საკრებულო შედგება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.

თვითმმართველი ქალაქის (გარდა თბილისისა) საკრებულო შედგება:


 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისაგან, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 75 000-ს აღემატება;


 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 75 000-ს არ აღემატება.

თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს:

 საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას;

 საარჩევნო ბლოკს;

 პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში³¹.

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 1 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერებით.

პარტიების/საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტია:

⇒ რომელიც რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, ან რომელსაც არჩევნების დანიშნვის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში (პარტიის წარმომადგენლად მიიჩნევა პარლამენტის წევრი, რომელიც არჩეულია შესაბამისი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის (რომელშიც ეს პარტია იყო გაერთიანებული) წარდგენით) თავისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს არჩევნების დანიშნვის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა;

⇒ რომელიც რეგისტრირებული არ იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, ან, რომელსაც არჩევნების დანიშნვის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, თავისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე. ამ შემთხვევაში ცესკოს სათანადო სამსახური განცხადების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს გადასცემს მხარდამჭერთა სიის ნიმუშებს.

პარტია ვალდებულია მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, ცესკოს წარუდგინოს საკრებულოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი სულ ცოტა 1 000 ამომრჩევლის სია, თუ იგი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტია (იღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან), ხოლო თუ იგი არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი – სულ ცოტა 25000 (ეს რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1%-ს) ამომრჩევლის სია.

³¹ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის და მის მიერ წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაცია, მისთვის რიგითი ნომრის მინიჭება რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მხარდამჭერთა სიას ცესკოს სათანადო სამსახური ამონებს 10 დღის ვადაში, ხოლო საარჩევნო პერიოდში - წარდგენიდან 2 დღის ვადაში და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს.

ცესკოს თავმჯდომარე დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ან წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პარტიას მიეცემა 2 დღე განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული განცხადება და საბუთები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

პარტიის/პარტიების რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 37-ე დღეს.

ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ, შექმნან საარჩევნო ბლოკი და გავიდნენ ბლოკიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 43-ე დღისა ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება. საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 37-ე დღეს.

პარტიას, რომელმაც გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია, უფლება აქვს, საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე გაერთიანდეს რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკში, რისთვისაც ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს სათანადო განცხადება და საარჩევნო ბლოკის თანხმობა.

საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთანავე ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უფლებამოსილება უწყდებათ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლებს ყველა საარჩევნო კომისიაში, ხოლო საარჩევნო ბლოკს შეუძლია დანიშნოს 2 წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიაში.

პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის **ვადის ამოწურვამდე** საარჩევნო ბლოკიდან პარტიის/პარტიების გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში თითოეულ მათგანს უფლება აქვს, გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და მასში ადრე შემავალ პარტიებს უფლება ექნებათ, გააგრძელონ არჩევნებში მონაწილეობა.

პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის **ვადის ამოწურვის შემდეგ** საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და დარჩენილი პარტია ხდება ბლოკის უფლებამონაცვლე.

არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა.

პარტიული სიების წარდგენა. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები და საარჩევნო ბლოკები რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30 დღისა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენენ პარტიულ სიებს, ხოლო პროპორციული წესით თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად პარტიულ სიებს პარტია, საარჩევნო ბლოკი წარუდგენს ცესკოს.




არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, წარადგინოს თითო პარტიული სია. პარტიული სია დამონმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელის, ხოლო საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში – ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელთა ხელმოწერებით.

პარტიულ სიას უნდა ერთოდეს ყოველი კანდიდატის ორი ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად) შევსების თარიღის მითითებით. სააღრიცხვო ბარათში კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან (სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით), დაბადების თარიღი) ერთად მითითებული უნდა იყოს საქართველოში 5 წლის, მათ შორის, ბოლო 2 წლის, განმავლობაში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტი და თანხმობა ამ პარტიული სიით კენჭისყრაზე.

წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის სამმაგ ოდენობას, ხოლო თბილისის საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების პარტიული სია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 50 და არა უმეტეს 100 კანდიდატისაგან.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმდევრობით, სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით, და გენდერული ბალანსის დაცვა უკავშირდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას.

საკრებულოს წევრობის კანდიდატთა წარდგენა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის არჩევნებში შესაბამის საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ:

-  არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;
-  საარჩევნო ბლოკს;
-  ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა სანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა³².

ხოლო, საკრებულოს წევრობის კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა 5 კაციანმა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 57-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. განცხადების წარდგენისთანავე საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს გადაეცემა კანდიდატის მხარდამჭერთა სიის ბლანკები (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 1 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერით).

განცხადებას, რომელსაც ხელს აწერს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი, უნდა ერთოდეს საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე, მისი პირადობის მოწმობის ასლი, ორი ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად).

საკრებულოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს ცესკოს განკარგულებით დადგენილი კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიის არანაკლებ მინიმალური ოდენობისა. წარდგენილი მხარდამჭერთა სიის შემოწმება ხდება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით 3 დღის ვადაში.

32 განცხადება დამონმებული უნდა იყოს პარტიის ან საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.

პარტიული სიების, ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაცია. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საკრებულოს წევრობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სიის, საკრებულოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციისათვის წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს, საბუთების წარდგენიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 28-ე დღისა, ამოწმებს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც:

- ✎ საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას, საკრებულოს წევრობის კანდიდატს, თუ წარდგენილი საბუთები აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს;
- ✎ წერილობით აცნობებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით).

შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დოკუმენტაციის სრულყოფისთვის განუსაზღვრავს 2 დღეს.

შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, შესწორებული მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყვიტოს დოკუმენტაციის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საარჩევნო რეგისტრაციაში უნდა გაატაროს საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატი, პარტიულ სია ან მისი ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (თუ სიის ამ ნაწილში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმუმზე ნაკლები არ არის).

თუ შესწორებული მონაცემები არ შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ იმავე ვადაში უნდა გამოსცემს განკარგულება საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განკარგულება და მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს).

საკრებულოს წევრობის კანდიდატის/კანდიდატების რეგისტრაციის შემდეგ, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ 3 დღის ვადაში უნდა გასცეს კანდიდატის მოწმობები.

საბუთების წარდგენისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში პარტიული სიის/ მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება. ამასთან კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია კანონით დადგენილი სხვა პირობები.

საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. პარტიას/ საარჩევნო ბლოკს/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ.

კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. კანდიდატის რეგისტრაციის, კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შესაბამისი საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ აქვეყნებს ცნობას ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საარჩევნო ბიულეტენი. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება პარტიების/საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები (ბლოკის სახელწოდების შემდეგ მითითებული უნდა იყოს მასში გაერთიანებულ პარტიათა სახელწოდებები) დადგენილი რიგითობის შესაბამისად. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის რიგითი ნომერი, სახელი და გვარი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვართან მიეთითება შესაბამისი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სახელწოდება, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვარის გასწვრივ მიეთითება „დამოუკიდებელი“.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოთა არჩევნების შედეგების შეჯამება

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ საჩივრების განხილვის შედეგების გათვალისწინებით ადგენს და აჯამებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული არჩევნების შედეგებს.

თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი საარჩევნო კომისიის ფუნქციებს ახორციელებს ცესკო, ხოლო თბილისის საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს აჯამებს და ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების დადგენა. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში სხვებზე მეტ ხმას მიიღებს.

თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მიიღო ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე წარადგინა განცხადება რეგისტრაციის შესახებ.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების დადგენა. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს საარჩევნო ოლქში პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და უნდა გაიყოს იმ პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4 პროცენტისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი, პირველ რიგში, თანამიმდევრობით მიეკუთვნება უკეთესი შედეგის მქონე იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩება გაუნაწილებელი მანდატი (მანდატები), თითო მანდატი თანამიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებსაც ერთი მანდატი მაინც ჰქონდათ მოპოვებული და სხვებზე დიდი ნაშთი აქვთ.

არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

თუ მანდატების განაწილების პირველივე ეტაპზე ვერცერთმა პარტიულმა სიამ ვერ მოიპოვა მანდატი, თითო მანდატი მიეკუთვნება პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის შესაბამის იმ სუბიექტებს, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს.

თუ იმ 2 ან 2-ზე მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობები, რომელთაც უნდა გადაეცეთ ერთი მანდატი თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი იმ პარტიულ სიას მიეკუთვნება, რომელმაც საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც პარტიულ სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

თუ საკრებულოს წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი ითვლება ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულად, ამოიღება პარტიული სიიდან და სიაში კანდიდატის წანაცვლება განხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით. არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას შესაბამის საარჩევნო ოლქში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ.

განმეორებითი და ხელახალი კენჭისყრები. თუ საარჩევნო უბანში ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს განმეორებით კენჭისყრას, რომელიც უნდა გაიმართოს კენჭისყრის დღიდან 2 კვირის ვადაში. განმეორებითი კენჭისყრა იმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში – საკრებულოში ასარჩევ შესაბამისი რაოდენობის კანდიდატთაგან ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატსა და მომდევნო შედეგის მქონე კანდიდატს შორის სხვაობა ნაკლებია ამ საარჩევნო უბნის (ან გაბათილებული უბნების) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე.

განმეორებითი კენჭისყრისას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების გაბათილების შემთხვევაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში ჩატარებული არჩევნების შედეგებს აჯამებს ამ უბნის გაუთვალისწინებლად. თუ საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი არჩევნები, 2 კვირის ვადაში იმართება ხელახალი კენჭისყრა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩეულთა რეგისტრაცია. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.

საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი. თუ პროპორციული წესით არჩეულ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ მან ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო კანდიდატი და ა. შ. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ საკრებულოს გამოკლებული წევრი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს იკავებს სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი.

შუალედური არჩევნები. თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები.

შუალედური არჩევნები ტარდება უახლოეს მაისში ან ოქტომბერში, იმ პირობით, რომ შესაბამისი თვის ბოლომდე 60 დღე მაინც არის დარჩენილი. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი. არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა ცესკო განკარგულებით ნიშნავს შუალედური არჩევნების თარიღს და განკარგულებითვე ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს.

შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი იკავებს შესაბამისი საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული გამოკლებული წევრის ადგილს საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით. თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, შუალედური არჩევნები არ გაიმართება და შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში დაიკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ მან ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო კანდიდატი და ა.შ. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ საკრებულოს გამოკლებული წევრი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს იკავებს სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი.

რიგგარეშე არჩევნები. საკრებულოს ვადამდე დათხოვნის/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება შესაბამისი საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები. რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს ვადამდე დათხოვნის/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მომენტში შესაბამისი საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი.

საკრებულოს რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერმინისტრის კონტრასიგნაციით, საკრებულოს ვადამდე დათხოვნის/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ამოქმედებიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-10 დღისა. არჩევნები ტარდება არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა, არჩევნების ჩატარების ვადებს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა განკარგულებით ადგენს ცესკო.

რიგგარეშე არჩევნებში საკრებულო აირჩევა შესაბამისი საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

თვითმმართველი ქალაქის მერის (თვითმმართველი თემის გამგებლის) არჩევნები

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის/გამგებლის მორიგი არჩევნების დანიშვნა. თვითმმართველი ქალაქის მერი, თვითმმართველი თემის გამგებელია ირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 4 წელიწადში ერთხელ.

არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არჩევნების დანიშნიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის მერად, თვითმმართველი თემის გამგებლად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 25 წელი (ასაკობრივი ცენზი) და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ

შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც (ბინადრობის ცენზი). საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი (შეუთავსებლობის ცენზი). კანდიდატზე ასევე ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის ცენზი.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომლის რეგისტრაციის ადგილი მიეკუთვნება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები (რაც გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნება არ იქმნება), ხოლო საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

საარჩევნო ოლქები. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის მერის, თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნებისთვის ყოველი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს (თბილისის მერის არჩევნებისათვის თბილისის არის ერთი საარჩევნო ოლქი, რომლის საზღვრები ემთხვევა თბილისის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებს და ამ საზღვრებში შექმნილი საარჩევნო ოლქების (მთანმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის) საზღვრებს).

არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მერობის/გამგებლობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს. მერობის/გამგებლობის კანდიდატთა წარდგენა. მერის/გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 30 დღისა მერობის/გამგებლობის კანდიდატი უნდა წარუდგინოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, გამონაკლისია ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატი, რომლის საბუთებიც ცესკოს წარედგინება.

მერობის/გამგებლობის კანდიდატის რეგისტრაციისათვის წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს, საბუთების წარდგენიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 28-ე დღისა, ამონიშნებს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც:

- ✎ საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს მერობის/გამგებლობის კანდიდატს, თუ წარდგენილი საბუთები აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს;
- ✎ წერილობით აცნობებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით).

შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დოკუმენტაციის სრულყოფისთვის განუსაზღვრავს 2 დღეს.

შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, შესწორებული მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყვიტოს დოკუმენტაციის წარდგენიდან 2 დღის ვადაში.

თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საარჩევნო რეგისტრაციაში უნდა გაატაროს მერობის/გამგებლობის კანდიდატი.

თუ შესწორებული მონაცემები არ შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ იმავე ვადაში უნდა გამოსცემს განკარგულება საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განკარგულება და მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს).

მერობის/გამგებლობის კანდიდატის (კანდიდატების) რეგისტრაციის შემდეგ, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, 3 დღის ვადაში უნდა გასცეს კანდიდატის მონაწილეობის შესახებ. მერობის/გამგებლობის კანდიდატს მიეკუთვნება მისი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

მერობის/გამგებლობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა, გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით მიმართავს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას (არ ვრცელდება არჩევნების მეორე ტურზე).

შესაბამისი საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე დაუყოვნებლივ აქვეყნებს ცნობას კანდიდატის რეგისტრაციის, აგრეთვე კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

მერის/გამგებლის არჩევნების შედეგების შეჯამება. მერის/გამგებლის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო ქალაქ თბილისის მერის არჩევნების შედეგებს აჯამებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები და ადგენს ცესკო.

მერის/გამგებლის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენები.

არჩევნების მეორე ტური. თუ მერის/გამგებლის არჩევნებში კანდიდატმა ვერ მიიღო საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ ორზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა, ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღო, მეორე ტურში ყველა ეს კანდიდატი მონაწილეობს.

მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს ცესკო შესაბამისი არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების ვადის ამონუროვიდან 3 დღის ვადაში, თუ ოქმი არ გასაჩივრდა, ხოლო ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში – სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში, სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

არჩევნების მეორე ტური ტარდება ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო. თუ კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

თუ არჩევნების მეორე ტურში გასულ ერთ-ერთ ან ორივე კანდიდატს გაუუქმდა რეგისტრაცია, ან კანდიდატი გარდაიცვალა, 2 თვის თავზე ტარდება **ხელახალი არჩევნები**. არჩევნების თარიღს ნიშნავს ცესკო ზემოაღნიშნული ფაქტის დადგომიდან 3 დღის ვადაში.

რიგგარეშე არჩევნები. მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-10 დღისა.

არჩევნები ტარდება არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა. არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა ცესკო განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს.

თუ მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნებამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი, მერის/გამგებლის რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება. რიგგარეშე არჩევნებში მერი/გამგებელი აირჩევა შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.



**პოლიტიკური
პრეზენტაცია**

მოკლე მიმოხილვა

პარტიები, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ჯერ კიდევ უძველეს სახელმწიფოებში არსებობდა. ისინი „დიდი ხნის განმავლობაში ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩართულ დაპირისპირებულ ჯგუფებს“ წარმოადგენდნენ. ვინრო გაგებით პოლიტიკური პარტიები თავისი შინაარსით, წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომელთა შექმნისა და არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება ან თავიანთი ინტერესებისა და ხედვების პოპულარიზებაა. პარტიის წევრები ხშირად ერთიანდებიან რაიმე კონკრეტულ იდეოლოგიის ირგვლივ, მაგრამ ასევე ხშირია სხვადასხვა ინტერესების მქონე ძალების კოალიციებიც. პოლიტიკური პარტიების უმთავრესი მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა და ქვეყნის მართვა პარტიის მიერ გაცხადებული წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით.

პოლიტიკური გაერთიანების შექმნის უფლება აღიარებული და დაცული სიკეთეა, როგორც საერთაშორისო კონვენციებით, ასევე საქართველოს კონსტიტუციითა და შიდა კანონმდებლობით, რომლის მიხედვით მოქალაქეებს უფლება აქვთ შექმნან პოლიტიკური გაერთიანება, მონაწილეობა მიიღონ მის მართვასა და საქმიანობაში, განსაზღვრონ პოლიტიკური პარტიის სტრუქტურა და მსოფლხედველობრივი მიზნები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პარაქტიკიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიის არსებობა არსებითია დემოკრატიის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის.

ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთსა და რომის რესპუბლიკაში ყალიბდებოდა პოლიტიკური პარტიების იდეა. ანტიკური დემოკრატიის პირობებში, სამოქალაქო თანასწორობაზე დამკვიდრებულ ქალაქ სახელმწიფოებში ხალხი მმართველობას ახორციელებდა უშუალო დემოკრატიის მეშვეობით (ხალხის მიერ ხელისუფლების ორგანოების უშუალოდ არჩევა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება რეფერენდუმის მეშვეობით და ა.შ.), მაგრამ რომის რესპუბლიკის იმპერიად გარდაქმნამ, შემდეგ კი ქრისტიანობის ევროპაში დამკვიდრებით ბნელი შუასაუკუნეების დადგომამ, შეაფერხა პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

შუასაუკუნეების დასასრულს ევროპის კონტინენტზე გამოჩნდა ჯერ ევროპული რენესანსი, რომელმაც საფუძველი შეუქმნა განმანათლებლური იდეოლოგიების გავითარებას. განმანათლებლობამ სახელმწიფოში ცენტრალურ ფიგურად დასახა ადამიანი და არა ღვთისგან მოვლენილ მმართველი. განმანათლებლობის პირველ წარმატებულ პროდუქტს წარმოადგენდა აშშ-ს შექმნა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელის მონაპოვარია პოლიტიკური პარტიების თანამედროვე სახეების ფორმირება, იდეოლოგიური კლასიფიცირება და მოქალაქეთა თანასწორობაზე და არჩევანის თავისუფლებაზე დაფუძნებული ნება, განევირიანდნენ ან შექმნან პოლიტიკური პარტიები ხელისუფლების განხორციელების მიზნით. განმანათლებლური სწავლებისა და ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური ჯგუფების დაპირისპირების არეალს, განსხვავებით შუასაუკუნეების პოლიტიკური კონფლიქტებისაგან წარმოადგენს იდეოლოგიათა ჭიდილი.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი ცივილიზებული სამყაროსგან განსხვავებით შედარებით გვიან, რუსეთის იმპერიაში ყოფნის პერიოდში დაიწყო. პარტიების წარმოშობა და განვითარება საქართველოში დასავლური პარტიებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული გზით მიდიოდა. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და პარტიების საქმიანობის შეჩერებამდე საქართველოში პოლიტიკური პარტიების არსებობის ორი ეტაპის გამოყოფა შეიძლება. პირველი ეტაპი მოიცავს მეოცე საუკუნის პირველ წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე პარტიათა გამოჩენას და საქმიანობას რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. მეორე ეტაპია 1917 წლიდან 1924 წლამდე, როცა აჯანყება ჩაახშვეს, რამაც ჩვენს ქვეყანაში ორგანიზებული პოლიტიკური საქმიანობის დიდი ხნით გაქრობა განაპირობა (თუ არ ჩავთვლით პატარა დისიდენტურ ჯგუფებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ქვეყნის განვითარებაზე არ ახდენდნენ).

პარტიების წარმოშობას საქართველოში წინ უსწრებდა განათლებულ საზოგადოებაში (უმალლესი განათლების მქონე აზნაურები, მასწავლებლები და წვრილი მოხელეები) არსებული სხვადასხვა იდეური მიმართულების ჯგუფების არსებობა. გარკვეულწილად, პარტიების წარმოშობა სწორედ ამ ჯგუფებს უკავშირდება. ამ პერიოდის მთავარი პოლიტიკური მიმართულებაც, ქართული სოციალ-დემოკრატია, სწორედ, „მესამე დასის“ სახელით წარმოდგა, რაც მის წინამორბედ ჯგუფებთან („პირველ“ და „მეორე“ დასთან) მიმართებას ასახავდა. შემდგომში შექმნილი სხვა პოლიტიკური პარტიებიც, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტებიც საკუთარ თავს ამ

მიმართულებებს უკავშირებდნენ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – „თერგდალეულთა“ პირველ და მეორე დასს, სოციალ-ფედერალისტები – ქართველ ხალხოსნებს). მსგავსად ამ ჯგუფებისა, მომავალი პოლიტიკური პარტიების ბირთვის გაზეთის ან ჟურნალის ირგვლივ გაერთიანებულ ინტელიგენტთა ჯგუფი წარმოადგენდა. პარტიებად მათი გაფორმება მოძრაობისთვის უფრო მასობრივი ხასიათის მიცემის სურვილთან და, ზოგადად, ქვეყანაში რევოლუციური ვითარების მომწიფებასთან არის დაკავშირებული.

პარტიების წარმოქმნას მნიშვნელოვანი ბიძგი პირველი და შემდგომში ყველაზე ძლიერი პარტიის გაფორმებამ მისცა. 1900 წელს სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტთა ჯგუფებმა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ მცირერიცხოვან, მაგრამ ორგანიზებულ მუშათა ჯგუფებთან, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი კომიტეტები შექმნეს საქართველოს ქალაქებსა და ზოგან სოფლებშიც კი. აქტიურმა და ორგანიზებულმა მუშაობამ მცირე ხანში პარტიას წევრთა და მხარდამჭერთა დიდი რაოდენობა მოუპოვა და მოსახლეობის ძირითად ნაწილში, გლეხებში, უსამართლო რეჟიმთან მთავარი მებრძოლის სახელი დაუმკვიდრა. სოციალ-დემოკრატთა ასეთმა წარმატებამ ქართულ საზოგადოებაში მათი მთავარი ოპონენტების, ქართველი ნაციონალისტების გააქტიურება გამოიწვია. 1904 წელს ჟენევაში შემდგარ შეკრებაზე სხვადასხვა მიმართულების ნაციონალისტურად განწყობილმა ინტელიგენტებმა საქართველოს სარევოლუციო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია დაარსეს. პარტიის ბირთვის ზომიერი ხალხოსნური სოციალიზმის პოზიციებზე მდგარი ნაციონალისტი ინტელიგენტები შეადგენდნენ პარტიის მთავარი მიზანი იმ პერიოდში საქართველოსთვის ავტონომიის მოპოვება იყო. ეს ერთადერთი პარტია იყო, რომელიც, განსხვავებით ქართველი სოციალ-დემოკრატებისგან, პირველ ადგილზე ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას აყენებდა. ამის გამო ნაციონალისტურად განწყობილ საშუალო ფენებსა და წვრილ აზნაურთა შორის საკმაო მხარდაჭერით სარგებლობდა. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის პარტიულ მიმართულებას განსაზღვრავდა კოლონიური ან ეროვნული საკითხის მიმართ დამოკიდებულება. ქართული სოციალ-დემოკრატია პირველ პლანზე ცარიზმთან ბრძოლასა და რუსეთში დემოკრატიული წყობილების დამყარებას აყენებდა, სოციალ-ფედერალისტები და სხვა არასოციალისტურად განწყობილი ნაციონალისტებისათვის ეროვნული თვითგამორკვევის (ავტონომიის სახის) უფლებებისთვის ბრძოლა იყო პრიორიტეტული. ქართველი სოციალ-დემოკრატები მომართულნი იყვნენ იმპერიის მასშტაბით პოლიტიკურ ბრძოლაზე. აღსანიშნავია, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური (ზომიერი) ფრთის არაერთი ლიდერი ქართველი იყო (ნ.ჩხეიძე, ი.წერეთელი და სხვები).

განსაკუთრებით პოპულრობით სარგებლობდა მემარცხენე იდეოლოგიის მქონე პარტიები, რასაც შედეგად მემარცხენე იდეოლოგიის პარტიების ხელისუფლებაში მოსვლა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოყვა, თუმცა პარტიული კულტურის ჩამოყალიბების პროცესი შეაფერხა 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის და კომუნისტური მმართველობის 70 წლიანმა პერიოდმა, როდესაც პოლიტიკური პრულარიზმი, სამოქალაქო პოლიტიკური ჩაბმულობა და დემოკრატიული არჩევნები პრაქტიკულად არ არსებობდა.

პოლიტიკური პარტიის მიზანი, არსი და დანიშნულება

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე პოლიტიკური პარტია არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი და რეგისტრირებული გაერთიანება. პარტია, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციური სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები ხანგრძლივი ბრძოლის შედეგია. პოლიტიკური უფლებები სათავეს ბურჟუაზიული რევოლუციიდან იღებს, და ხშირ შემთხვევაში სწორედ რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების ფონზე ყალიბდებოდა. საფრანგეთის რევოლუცია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შექმნის საფუძვლად იქცა, აშშ-ში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მოგვიანებით სამოქალაქო ომი აშშ-ს კონსტიტუციით დაგვირგვინდა. პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია საშუალებას აძლევს მოქალაქეს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებასა და ხელისუფლების განხორციელებაში უშუალოდ ან წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით, ამ უფლებებით მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება, ზემოქმედება მოახდინონ ხელისუფლების განხორციელებაზე.

პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური ღირებულებათა განსაზღვრის მიზნით, გამოიყენება ტერმინი მემარცხენე და მემარჯვენე. აღნიშნული ტერმინი განმანათლებლობისა და ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ არსებული რეალობიდან მოდის. საფრანგეთის პირველ რევოლუციურ პარლამენტში (1789) უკიდურესად მარცხენა ადგილები ეკავათ იაკობინელებს, რომლებიც ყველაზე რევოლუციურად განწყობილ პარტიულ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ. ცენტრში ზომიერები, ხოლო უკიდურეს მარჯვენა ადგილებზე კლერიკალები და როიალისტები (მონარქისტები) ისხდნენ. დღეს აღნიშნული ტერმინების გამოყენებით, სამეცნიერო ლიტერატურაში პარტიებს აჯგუფებენ ქვეყნის განვითარებისთვის დასახული სოციალურ ეკონომიკური პროგრამების მიხედვით.

პოლიტიკური პარტია თავისი სტრუქტურით წარმოადგენს ორგანიზებულ გაერთიანებას, რომელსაც გააჩნია **მიზანი და მიზნის განხორციელებისთვის სამოქმედო პროგრამა**. ის სწორედ აღნიშნული განაცხადით შემოდის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ხდება პოლიტიკური აქტორი. “პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ან შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვიან, რაც პრაქტიკულად ხელისუფლებაზე კონტროლის მოპოვებას ნიშნავს. ვინაიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში მართვის უფლებას არჩევნები განსაზღვრავს, დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური პარტიების ძალისხმევა არჩევნების მოგებაზეა კონცენტრირებული. ისინი ცდილობენ მრავლისმომცველი კონსენსუსის შექმნას საკუთარი პარტიის პლატფორმისათვის, რომელიც ჩამოყალიბებულია სხვა პარტიის ან პარტიების მიმზიდველი ალტერნატივის გათვალისწინებით.

პოლიტიკური პარტიის, როგორც მიზანს, ასევე დანიშნულებას უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის მართვა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, რათა მან შეძლოს მომხრეების გაჩენა და უკვე არსებული მხარდამჭერების ნდობის გაძლიერება მისი სამომავლო გეგმისა თუ ყოველდღიური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მართებულობაში.

პოლიტიკური პარტიები პირობითად შეგვიძლია დავყოთ ოთხ კატეგორიად, ესენია:

- Ⓐ) **საარჩევნო პარტიები** – პარტია რომელიც იქმნება კონკრეტული არჩევნების წინ, გარკვეული იდეის გარშემო გაერთიანებული კოალუციური საზოგადოების მიერ, ამგვარი პარტიები არამდგრადობით გამოირჩევიან, რადგან არ გააჩნიათ მყარი იდეოლოგიური საფუძველი.
- Ⓑ) **მუდმივადმოქმედი – პარტიები**, რომელიც ადამიანთა რესურსიდან გამომდინარე ინარჩუნებენ რეიტინგს პოპულისტური კამპანიებისა და ელექტორატზე ზემოქმედების შედეგად.
- Ⓒ) **ლიდერ(ებ)ზე ორიენტირებული პარტიები** – პარტიები, რომელიც მორგებულია კონკრეტულ პიროვნებებზე, ლიდერებზე და მათი პიროვნული ავტორიტეტი, ქარიზმა, ორატორული უნარი და საზოგადოებრივი ადგილი განსაზღვრავს პარტიის რეიტინგს, ამგვარი ლიდერები გამოირჩევიან პოპულისტური მყისიერი არათანმიმდევრული მიდგომებით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი.
- Ⓓ) **იდეოლოგიაზე ორიენტირებული პარტიები** – ამგვარი პოლიტიკური პარტიები გამოირჩევიან სიმტკიცით, მათ გააჩნიათ იდეოლოგიური ფუნდამენტი, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა კონკრეტული პიროვნებები ან პოპულისტური ნაბიჯები, არამედ წინასწარ გაწერილი, გეგმაზომიერი იდეოლოგიური ხედვა. მათი საარჩევნო კამპანიები გამოირჩევა სტაბილური საარჩევნო პროგრამით. პარტიული პროგრამა შესაძლებელია იცვლებოდეს მიმდინარე ამოცანების გადასაწყვეტად, მიმდინარე რეჟიმში–მაგრამ იდეოლოგია რჩება მუდმივი.

ჯერ კიდევ 1990 წელს, კოპენჰაგენის დოკუმენტში, ეუთო-ს წევრმა სახელმწიფოებმა „პოლიტიკურ ორგანიზაციათა პრულარიზმის აუცილებლობა“ აღიარეს. მონაწილე სახელმწიფოების მთავრობებმა გამოხატეს მზადყოფნა, „პატივი სცენ პიროვნებებისა და ჯგუფების უფლებას, თავისუფლად ჩამოაყალიბონ საკუთარი პოლიტიკური პარტიები ან სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები და შეუქმნან ამ პოლიტიკურ პარტიებს და ორგანიზაციებს აუცილებელი იურიდიული გარანტიები, რათა ისინი კანონისა და ხელისუფლების მხრიდან თანასწორი მოპყრობის პირობებში შეეჭობრონ ერთმანეთს“.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ხაზს უსვამს წარმომადგენლობითი, პასუხისმგებელი და პასუხისმგებელი ხელისუფლების მნიშვნელობას. პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა, სახელისუფლებო იქნებიან ისინი თუ არა, მიზნად ისახავს ამ ღირებულებების დამკვიდრებას მთელ პოლიტიკურ სპექტრში.



პასუხისგამცემლობა ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ძალუძს, რეაგირება მოახდინოს საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე, ღიად და ქმედითად ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფთან, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებისას განსხვავებული შეხედულებები და ინტერესები გაითვალისწინოს. ამ მხრივ, ხელისუფლების გამჭვირვალობა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ მოქალაქეებისათვის პასუხის გასაცემად მზად იყოს.

პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ ხელისუფლება ანგარიშვალდებულია საკუთარი საზოგადოების წინაშე. თუმცა ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო არჩევნების პერიოდშია, დემოკრატიულად მმართველ სახელმწიფოში დემოკრატია არჩევნებს შორის პერიოდშიც „ყველდღიური პლენისციტის“ წესით ფუნქციონებს. პასუხისმგებელი ხელისუფლება მართავს კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით – კანონები ღიად, საზოგადოდ ცნობილია და ყველას თანაბრად მიეყენება. პროცედურები უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკური უმცირესობები ჩართულნი არიან კანონშემოქმედებით პროცესში და ბოიკოტის და არმონანილეობის კულტურა დაძლეულია. იმგვარი მრავალპარტიული სისტემების განვითარება, სადაც პარტიები მუდმივად ჩართულნი არიან ურთიერთობაში, პირდაპირ უწყობს ხელს ამ მიზნის მიღწევას.

წარმომადგენლობითობა გულისხმობს, რომ თუმცა ხელისუფლებები საზოგადოებრივ საჭიროებებს ეხმაურებიან, ისინი გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებს, ღირებულებებს, იდეებსა და პროგრამებსაც წარმოადგენენ, და ეს ეხება არა მხოლოდ საარჩევნო, არამედ არჩევნებს შორის პერიოდებსაც. წარმომადგენლობითი ხელისუფლებები ხელს უწყობენ პოლიტიკური ცხოვრების და საზოგადოებრივი პოლიტიკური მონაწილეობის მონესრიგებას სხვადასხვა ლეგიტიმური ინსტიტუტის, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების მეშვეობით, რითაც ინდივიდუალური მოქალაქეების გასაკეთებელ პოლიტიკურ არჩევანს უფრო ადვილს და თვალსაჩინოს ხდიან.

პოლიტიკური პარტიის ფუნქციები დემოკრატიულ საზოგადოებაში

როცა ლაპარაკია პარტიების დანიშნულებაზე, იგულისხმება არა მარტო ის, თუ რას აკეთებენ პარტიები, არამედ ისიც, რა მოლოდინები არსებობს მათი საქმიანობის მიმართ. ეს ორი საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ჩვენი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რას უნდა აკეთებდნენ პოლიტიკური პარტიები, მნიშვნელოვანწილად, დასავლურ საზოგადოებებში პარტიების მოღვაწეობის გამოცდილებას ემყარება. დროთა განმავლობაში პარტიების როლი და ფუნქციები იცვლებოდა. დღეს პოლიტოლოგთა და პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანებს შორის აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, თუ რა დანიშნულებას ასრულებენ პარტიები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ამა თუ იმ ქვეყანაში პარტიები სხვადასხვა სახის საქმიანობით შეიძლება იყვნენ დაკავებულნი. მათ შეიძლება საბრძოლო ქვედანაყოფები შექმნან, მოსახლეობის დაბალ ფენებს სოციალური დახმარება გაუწიონ, ფლობდნენ საინფორმაციო საშუალებებს და ა.შ. ქვემოთ ჩვენ მხოლოდ იმ ფუნქციებს ჩამოვთვლით, რომლებიც ა) მეტ-ნაკლებად საერთოა დემოკრატიულ საზოგადოებებში მოქმედი (ან წარსულში მოქმედი) პარტიებისთვის; ბ) ზოგიერთი პოლიტოლოგის თვალსაზრისით, პარტიების ძირითად დანიშნულებას შეადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ პარტიების საქმიანობა ორ დონეზე მიმდინარეობს. პარტიათა უმრავლესობა საზოგადოების წიაღში არის წარმოქმნილი, საზოგადოებაშივე მოქმედებს და მასთან მუშაობს. ეს პირველი დონეა. მეორე დონეა, როცა ხელისუფლებაში ან ოპოზიციაში ყოფნით პარტიები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ახდენენ გავლენას და ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ნაწილს წარმოადგენენ. ორივე დონეზე პარტიები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ. საზოგადოებაში ისინი ინტერესთა არტიკულაციის (შეგროვების და გამოხატვის) და აგრეგაციის (შეჯერების) ფუნქციას ასრულებენ; გადაცემენ პოლიტიკურ ინფორმაციას საზოგადოებას, ხოლო საზოგადოების მხრიდან ინფორმაციას აწვდიან ხელისუფლებას; ხელისუფლებასთან მიმართებაში პარტიები ორ ძირითად ფუნქციას ასრულებენ. ისინი იზიდავენ და ამზადებენ მომავალ პოლიტიკოსებს, აყენებენ მათ კანდიდატურებს არჩევნებზე ან პოლიტიკურ თანამდებობებზე ნიშნავენ; ისინი ახდენენ პოლიტიკის ფორმულირებას და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ახორციელებენ მას.

ინტერესთა არტიკულაცია და აგრეგაცია. თანამედროვე პარტიების შექმნას საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესების დაცვის საჭიროება განაპირობებს. ამ თვალსაზრისით, პარტიები ინტერესთა ჯგუფებთან და სოციალური მოძრაობებთან მსგავსებას ავლენენ. პარტიები ცდილობენ

საკუთარი ამომრჩევლების ინტერესები წარმოადგინონ და ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხში შესაბამისი პოზიცია დაიკავონ. ის, რაც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს, ამ ინტერესთა განხორციელების ხერხებია. თუ ინტერესთა ჯგუფები და სოციალური მოძრაობები საკუთარი მიზნების მიღწევას პოლიტიკურ ინსტიტუტებზე გენოლით ცდილობენ, პარტიები ამ მიზნებს პოლიტიკური სიტემის „შიგნიდან“ აღწევენ.

არჩევნებზე ხმების დაგროვების სურვილი უბიძგებს პარტიებს იმისკენ, რომ მათ წინასაარჩევნო დაპირებებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესები იყოს წარმოდგენილი. ასე ხდება პარტიების მიერ ჩვენ მიერ ნახსენები კიდევ ერთი ფუნქციის, ინტერესთა შეჭერების (აგრეგაციის), შესრულება. განსხვავებით სოციალური მოძრაობებისა და ინტერესთა ჯგუფებისაგან, რომლებიც ერთი რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების ან სულაც ერთი საკითხის ირგვლივ ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას, პარტიები სხვადასხვა, ზოგჯერ მნიშვნელოვნად განსხვავებული ინტერესების ჩართვას ცდილობენ თავიანთ პროგრამებში. არსებობს გარკვეული კავშირი პარტიების იდეოლოგიურ სიხისტესა და განსხვავებული ინტერესების გამოხატვის უნარს შორის. გამოკვეთილი იდეოლოგიური სახის უქონლობა საშუალებას აძლევს პარტიას, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესები გამოხატოს თავის საქმიანობაში. განსხვავებულ ინტერესთა გათვალისწინება პარტიული კოალიციების შექმნის დროსაც ხდება.

ინფორმაციის გადაცემა საზოგადოებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ პარტიები საზოგადოებაში პოლიტიკური განათლების ფუნქციასაც ასრულებენ. ისინი ამა თუ იმ საკითხს წამოჭრიან ხოლმე და ამით საზოგადოებრივი აზრის შექმნას უწყობენ ხელს. პარტიების ეს ფუნქცია ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში იმდენად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, რომ პარტიებისთვის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების ერთ-ერთ დასაბუთებას წარმოადგენს.

პოლიტიკური სოციალიზაცია. პარტიები საზოგადოებაში მომხრეთა გარკვეულ ჯგუფებს იკრებენ. როცა ისინი ქვეყნის პოლიტიკურ წყობაში დაფიქსირებულ თამაშის წესებს იცავენ, ამით მოქალაქეების მთლიანად პოლიტიკური წყობის მიმართ ლოიალობის გამომუშავებას უწყობენ ხელს. საზოგადოებაში ამა თუ იმ პარტიის მომხრეთა მდგრადი ჯგუფების არსებობა ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას უწყობს ხელს. დიდი ხნის განმავლობაში ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ ერთგულება მოქალაქის რაიმე პოპულისტური ლიდერისა ან ექსტრემისტული ძალის მხარეზე გადასვლის შესაძლებლობასაც ამცირებს. ამომრჩევლებს შორის სტაბილური მიდრეკილებების არსებობა არჩევნების შედეგებსაც მეტ-ნაკლებად წინასწარმეტყველებადს ხდის. რომელიმე პარტიის მხარდაჭერა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი სტიმულია საიმისოდ, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს როგორც არჩევნებში, ისე საარჩევნო კამპანიაში. იმას, რომ საზოგადოების წევრებს რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ ერთგულება გამოუმუშავდეთ, გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ, რომ ახლად წარმოქმნილ დემოკრატიებში მოქალაქეები უფრო ხშირად იცვლიან დამოკიდებულებას ამა თუ იმ პარტიის მიმართ, ვიდრე ეს დასავლურ დემოკრატიებში ხდება.

პარტიების არსებობას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. ის იძლევა იმის საშუალებას, რომ მოქალაქეებმა უკმაყოფილება ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტებიდან (სახელმწიფო, ხელისუფლების სხვადასხვა შტო) მმართველ პარტიაზე გადაიტანოს. ასეთ შემთხვევაში მთავრობაში პარტიების მონაცვლეობა არ ნიშნავს ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას.

პოლიტიკოსთა მოზიდვა, მომზადება, არჩევნებში მონაწილეობა და თანამდებობებზე დანიშვნა. პარტიაში განწევრიანება და მის საქმიანობაში აქტიური ჩართვა შემდგომში პოლიტიკური (არაბიუროკრატიული) თანამდებობის მოპოვების ძირითადი გზაა „ის, რომ საპარლამენტო დემოკრატიის ქვეყნების უმრავლესობაში თითქმის ყველა პოლიტიკური თანამდებობის პირი პოლიტიკური პარტიის მიერ არის წარდგენილი, პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა იყოს განხილული“. პარტიები არა მხოლოდ იზიდავენ მომავალ სახელმწიფო მოღვაწეებს, არამედ მათ მომზადებაშიც იღებენ მონაწილეობას. გარკვეული თანამდებობის მიღებამდე პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი პარტიული კარიერის გრძელ გზას გადის, რომლის დროსაც ის პოლიტიკაში მოღვაწეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებსა და პარტიული იდეოლოგიის საფუძვლებს ეუფლება.

დემოკრატიული არჩევნები პარტიებსა და პარტიების მიერ შეთავაზებულ კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთებას გულისხმობს. პარტიების არსებობა მოქალაქეებს პოლიტიკოსთა სხვადასხვა გუნდსა და პოლიტიკურ მიმართულებას შორის არჩევანის გაკეთებას უადვილებს. პარტიები

არჩევნების მთავარ მონაწილეებად გამოდიან მაშინაც, როცა არჩევანი ცალკეულ კანდიდატებს შორის უნდა გაკეთდეს (მაჟორიტარული ან საპრეზიდენტო არჩევნები). არჩევნებში მონაწილეობა და, შესაბამისად, მოქალაქეებისთვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მიცემა პარტიების შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია იყოს. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში პარტიების გაჩენა და მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრებაც, ძირითადად, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შემოღებას უკავშირდება.

არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში პარტიების მთელ რიგ თანამდებობებზე საკუთარ წევრებს ან მხარდამჭერებს ნიშნავენ. ეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კოორდინაციას და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მთავრობის მხარადაჭერას უზრუნველყოფს. საერთო პარტიული იდენტიფიკაცია და პარტიული დისციპლინა ხელს უწყობს მთავრობაში წარმოდგენილი პარტიის წევრებს შორის კოორდინაციასაც.

პარტიების არსებობა მოქალაქეებს სხვადასხვა იდეასა და პოლიტიკოსს შორის არჩევანის გაკეთებას უადვილებს. პარტიები თავ-თავისი პროგრამებით ამომრჩევლებს საშუალებას აძლევენ გადაწყვიტონ, რომელ მათგანს დაუჭირონ მხარი. ერთხელ მიღებული ასეთი გადაწყვეტილება შემდგომში მოქალაქეებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო პოზიციის დაკავებაშიც ეხმარება. პარტიების მეშვეობით დემოკრატიული მმართველობის ისეთი მნიშვნელოვანი პირობები სრულდება, როგორცაა მოქალაქეების მონაწილეობა მმართველების არჩევასა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების განხილვაში.

პოლიტიკის შექმნა. როგორც უკვე ვახსენეთ, პარტიები სამთავრობო პოლიტიკის ფორმირებასაც ახდენენ. „დისციპლინირებულ“ პარტიულ სისტემებში ეს პოლიტიკა გამარჯვებული პარტიების საარჩევნო პროგრამას ეყრდნობა. ხშირად პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები იმდენად ზოგადია, რომ შემდგომში ხელისუფლებაში მოსულ პარტიას მანევრირების ბევრი საშუალება აქვს. სხვადასხვა გარემოების გამო წინასაარჩევნო პროგრამის სრულად განხორციელება ვერ ხერხდება. იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობის შექმნაში ერთდროულად რამდენიმე პარტია მონაწილეობს, სამთავრობო პოლიტიკის ჩამოყალიბება ამ პარტიათა მოლაპარაკების შედეგად ხდება.

პარტიები პოლიტიკის შექმნაში მონაწილეობენ არა მარტო ხელისუფლებაში ყოფნისას, არამედ ოპოზიციის პირობებშიც. ოპოზიციის არსებობა ზღუდავს ხელისუფლების პოლიტიკას და ალტერნატიული პოლიტიკური შეთავაზების გათვალისწინებისკენ უბიძგებს. შემდეგ არჩევნებზე ოპოზიციასთან დამარცხებისა და ხელისუფლების დაკარგვის საშიშროება აიძულებს, საუკეთესო შესაძლებელი პოლიტიკური კურსი აირჩიოს.

პარტიული და პოლიტიკური სისტემები

პოლიტიკური პარტია საშუალებას აძლევს ხალხს ისარგებლონ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით, და პოლიტიკური პარტიის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის არის ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისა და პლურალური გარემოს ჩამოყალიბების გარანტი. მისი დანიშნულებაა გააძლეროს და განამტკიცოს დემოკრატიის მნიშვნელობა და საჭიროება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრებაში. პოლიტიკური პარტიის ამოცანას წარმოადგენს, არჩევნებში მონაწილეობა და დემოკრატიული გზით მოსვლა ხელისუფლების სათავეში, რათა ლეგიტიმური საფუძვლების რეალური და პრაქტიკული არსებობის მეშვეობით, სახელმწიფოში განახორციელოს მმართველობითი უფლებამოსილება.

ძირითადი პოლიტიკური პარტიების რაოდენობა განსაზღვრავს სისტემას, რომელიც შექმნილია ამათუიმ ქვეყანაში, ამის მიხედვით კი გამოყოფენ სამი ტიპის სისტემას, ესენია **ერთპარტიული, ორპარტიული და მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემები**. მათგან თითოეულს მისი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია, ხშირ შემთხვევაში კი ქვეყნის პოლიტიკურ მიმართულებასა და მმართველობის სახეზეც მიუთითებს.

ერთპარტიული სისტემა დამახასიათებელია ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისთვის. «ავტორიტარულ სახელმწიფოებში პარტია არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩაახშოს პოლიტიკური ალტერნატივები, ისევე, როგორც სახალხო კონსენსუსი. ხშირად, როგორც მმართველი რეჟიმის მთავარი იარაღი, იგი გამოიყენება სახელმწიფო ძალა უფლების განსამტკიცებლად და პოლიტიკური ოპოზიციის აღსაკვეთად. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში პარტია მასებზე ზემოქმედებისა და ინდივიდუალიზმის ჩახშობის ხარჯზე იდეოლოგიურ ვაკუუმში მათ გაერთიანებას ახდენს.

ფაშისტურ გერმანიაში, ისევე როგორც კომუნისტური ქვეყნების უმეტესობაში, პარტია მთავრობად იქცა. რამდენადაც ვითარდებოდა ეს სახელმწიფოები, მთავრობის ყველა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ნელნელა სრულად გადადიოდა ან პირდაპირ პარტიის, ან პარტიის ლიდერებს დაქვემდებარებული ბიუროკრატიული მოხელეების ხელში. ამგვარად, პარტიის კონცეფცია, როგორც სახალხო ნების გამოხატვის საშუალება, თავდაყირა დადგა და პარტია ცენტრალიზებული საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი გახდა, რომელსაც სრულად შეეძლო ინდივიდუალური თვითგამოხატვის ნებისმიერი მცდელობის ჩახშობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარ გარემოებებში მასობრივი მონაწილეობა რეჟიმის ანტიდემოკრატიული ბუნების მიჩქმალვის გამიზნული ნიღაბია. “ტოტალტარულ სახელმწიფოებში არჩევნები ტარდება, თუმცა მას ფორმალური სახე აქვს, რადგან რეალურად პლურალური სივრციდან არ ხდება ალტერნატივის არჩევა საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევითის.

ორპარტიული სისტემა დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისთვის. «ამ სისტემაში ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ერთ-ერთ ძირითად პარტიას. მხოლოდ ძირითადი პარტიის წევრებს აქვთ თანამდებობაზე არჩევის მეტი შანსი, ხოლო ოპოზიციური პარტია კონსტიტუციის მიერ დაცულია ხელისუფლების მხრიდან ზენოლის ან დაშინებისგან. ორპარტიული სისტემის მნიშვნელოვანი უპირატესობა არის შედარებით სტაბილური მთავრობა, ვინაიდან უმრავლესობა იზიარებს ძირითად პოლიტიკურ შეხედულებებს, რომელიც მიღებულია საშუალო ფენაში, არის კულტურულად და ეთნიკურად ომოგენური, რაც იშვიათობაა განვითარებად ქვეყნებში. გარკვეულწილად განგრძობადობა უზრუნველყოფილია თავად სისტემის მიერ, ვინაიდან ორი ძირითადი პარტია ანონასწორებს ინტერესთა ფართო სპექტრს. ამავე დროს მუდმივად არსებობს ფართო მასებისთვის მისაღები ოპოზიციური პარტია, რომელიც მზად არის ხელისუფლებაში მოსასვლელად.» ორპარტიული სისტემის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც წამყვან პოლიტიკურ პარტიებს რესპუბლიკელები და დემოკრატები წარმოადგენენ.

მრავალპარტიული სისტემა დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისთვის, ამგვარი სისტემა ჩნდება იქ, სადაც ორზე მეტი პარტია საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოსვლისათვის კონკურენცია გაუწიოს ერთმანეთს. ასეთ სისტემაში მუდმივად არც ერთი პარტია არ არის უმრავლესობაში ამა თუ იმ არჩევნებში ნებისმიერ პარტიას შეუძლია მოიპოვოს მანდატების დიდი უმრავლესობა, მათი ხმებით მთავრობის ფორმირება ხშირად შეუძლებელია. ამიტომ როგორც წესი, უძლიერესი პარტია მმართველი უმრავლესობის შექმნის მიზნით ცდილობს ჩამოაყალიბოს კოალიციური მთავრობა სხვა პარტიასთან ან პარტიებთან ერთად. კოალიციის ფორმირების შემდეგ იგი მართავს მომავალ არჩევნებამდე, ან კოალიციის დაშლამდე. ეს პროცესი ორპარტიული ქვეყნებისთვის არ არის დამახასიათებელი, ასევე საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნებისთვის, სადაც მთავრობა წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ეკუთვნის პრეზიდენტს, პარლამენტი კი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფალი მისგან გამიჯნული უფლებამოსილებით სარგებლობს. მრავალპარტიული სისტემის უპირატესობა არის ამომრჩეველს ფართო არჩევანის შესაძლებლობა. მისი მთავარი უარყოფითი თვისება არის არასტაბილური ხელისუფლება.

პოლიტიკური პარტიის რეპრეზენტაციის წინაპირობები

პოლიტიკური პარტიის დაფუძნებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს განსხვავებული სტანდარტები. საქართველოში პოლიტიკური პარტიების დაფუძნების და საქმიანობის წესი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. საქართველოს კონსტიტუცია პოლიტიკური პარტიების შექმნისა და ფუნქციონირების თავისუფლებას უზრუნველყოფს და პოლიტიკური ჯგუფების მათ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევისაგან დამცავ გარანტიებს შეიცავს.

საქართველოს მოქალაქეთა უფლება, „შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში“ კონსტიტუციით არის გარანტირებული:

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.
3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.
5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.
6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.³³

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

საქართველოში პოლიტიკური პარტიის დაფუძნებისა და რეგისტრაციის საკითხებს არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ (შემდგომი ორგანული კანონი). არსებული კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების დაფუძნებისთვის რაიმე სერიოზულ დაბრკოლებებს არ აწესებს.

ორგანული კანონის მიხედვით პარტიის შექმნასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ა) პარტიაში განწევრიანებისა და პარტიიდან გასვლის ნებაყოფლობითობა;
- ბ) დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა;
- გ) არჩევითობა და ანგარიშვალდებულება;
- დ) პარტიების თანასწორობა კანონის წინაშე;
- ე) პარტიის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა.

მუხლი 4

პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

მუხლი 7

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს პარტიის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
2. დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა პარტიის საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ორგანული კანონის მიხედვით პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პარტიის წევრი. დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად ხელისუფლებისგან რაიმე სახის ნებართვა საჭირო არ არის, თუმცა იმისთვის, რომ პარტიის დამფუძნებელი ყრილობა კანონიერად ჩაითვალოს, ის მოქალაქეთა არანაკლებ 300–კაციანმა ჯგუფმა უნდა ჩაატაროს. ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად მოქალაქეთა არანაკლებ 300–კაციანი ჯგუფი წინასწარი ნებართვის გარეშე ატარებს პარტიის დამფუძნებელ ყრილობას (კონფერენციას, კონგრესს, ასამბლეას ან სხვ.). დამფუძნებელი ყრილობა იღებს პარტიის წესდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. რეგისტრაციის მიზნებისთვის აუცილებელია დამფუძნებელ ყრილობას დაესწროს და მისი ოქმი დაამოწმოს ნოტარიუსმა, რათა დამფუძნებლებმა კანონის შესაბამისად ოქმი პარტიის რეგისტრაციისთვის წარადგინონ იუსტიციის სამინისტროში.

ორგანული კანონი, მუხლი 22

1. პარტიის რეგისტრაცია ხდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.
2. პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) განცხადება პარტიის რეგისტრაციის შესახებ, პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) ხელმოწერით (ხელმოწერებით);
 - ბ) ნოტარიუსის მიერ დამოწმებული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ოქმი;

33 საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2494-სსმ, №1, 04.01.2006წ., მუხ.1

გ) პარტიის არანაკლებ 1000 წევრის სია, სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის ნომერის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის მითითებითა და მათი ხელმოწერებით;

დ) პარტიის წესდება;

ე) ცნობა პარტიის იურიდიული მისამართისა და ტელეფონის შესახებ;

ვ) პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებული ნიმუშები;

ზ) ესკიზები პარტიის ბეჭდის, ემბლემისა და სხვა სიმბოლიკის გამოსახულებით, თუ ასეთები გამოიყენება.³⁴

ორგანული კანონი, მუხლი 23

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების სისწორეს და პარტიის რეგისტრაციის საკითხს წყვეტს მათი წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

2. პარტიის მარეგისტრირებელი ორგანო წარდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) რეგისტრირებულ იქნეს;

ბ) უარი ეთქვას რეგისტრაციაზე.

3. პარტიის რეგისტრაციის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო სარეგისტრაციო მოწმობას გასცემს გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში.

4. პარტიას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ან ამ კანონის მოთხოვნებს.

5. პარტიის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია განმცხადებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში, წერილობით აცნობოს ამის თაობაზე, უარის თქმის დასაბუთებული მიზეზის მითითებით.

6. პარტიას შეუძლია რეგისტრაციაზე უარი ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში.

7. რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზის აღმოფხვრის შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია ხელახლა წარადგინოს დოკუმენტები სარეგისტრაციოდ.

8. თუ ამ მუხლით დადგენილ ვადაში არ განხორციელდა რეგისტრაცია და განმცხადებელს არ ეცნობა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, ამასთან, თუ პარტიის მიერ წარდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, პარტია რეგისტრირებულად ჩაითვლება და „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ ვალდებულია მომდევნო 7 დღის ვადაში გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა.

პოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაციის აკრძალვა

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიების შექმნა და მათი ფუნქციონირება დემოკრატიის დამახასიათებელი და განმსაზღვრელი რგოლია, საერთაშორისო პრაქტიკიდან ცობილია პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შემთხვევები, ეს კი გამოწვეულია დაგროვილი გამოცდილების შედეგად.

1933 წელს გერმანიაში დემოკრატიული პროცესებით, ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მუშათა პარტია მოვიდა ადოლფ ფიტლერის მეთაურობით, რითაც ვაიმარის რესპუბლიკა შეცვალა მესამე რაიხმა, საბოლოო ჯამში კი ამ ცვლილებას მოყვა დემოკრატიის კრახი და ავტორიტარული რეჟიმი გერმანიაში. 1945 წელს მესამე რაიხის დამხობისა და კოალიციის გამარჯვების შემდეგ, გერმანია, როგორც მეორე მსოფლიო ომის წამომწყები ქვეყანა დაიყო საოკუპაციო ზონებად, 1949 წელს კი გერმანია გაიყო ორ ნაწილად და შეიქმნა გერმანიის ფედერაციული და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკები. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აიკრძალა ნაციონალ-სოციალისტების მუშათა პარტია, მათი დანაშაულებრივი ქმედებებისა და ნაციონალისტური იდეოლოგიის გამო, ასევე აიკრძალა კომუნისტური პარტია, რადგან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მმართველობას საბჭოთა კავშირი ახორციელებდა, სწორედ კომუნისტური პარტია წარმოადგენდა ახალი ტოტალიტარული სისტემის ჩამომყალიბებელ მექანიზმს.

საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც პოლიტიკური პარტიებისთვის ღია და თავისუფალი სივრცის შექმნის უზრუნველყოფაზე არის ორიენტირებული, გარკვეულ შემთხვევებში პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციასა და საქმიანობას დაუშვებლად მიიჩნევს, თუ საზოგადოებრივი და

პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და საქმიანობის, მიზანია საქართველოს კონსტიტუციური
34 08/07/2015–საქართველოს ორგანული კანონი–3972–რს–ვებგვერდი, 15/07/2015

წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან ომის ან ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ამგვარი პარტიების შექმნა და ფუნქციონირება დაუშვებელია. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

კანონი ასევე კრძალავს პარტიების შექმნას რეგიონული ნიშნით, ანუ ისეთი პარტიების შექმნას, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არ მოქმედებენ.

ორგანული კანონი, მუხლი 5

1. პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება საქართველოს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა.

2. დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

ორგანული კანონი, მუხლი 6

დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

პარტიის საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც შიდა დემოკრატიული სისტემები გააჩნიათ, ყოველთვის შემუშავებული აქვთ პერსონალის მკაფიოდ გაწერილი სამუშაო აღწერილობები და მოქმედების წესები, აგრეთვე ანგარიშვალდებულების მექანიზმები და ის დისციპლინარული ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას და შესაბამის ზომებს იღებენ პარტიის იმ წევრების მიმართ, რომლებმაც წესები დაარღვიეს. ყველა ეს ჩამოთვლილი პუნქტი გამჭვირვალობის ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

გამჭვირვალობის ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებით პარტიებს შეუძლიათ, არჩეული ღირებულებები და პროცედურები თავიანთი პარტიის წევრებისა და ამომრჩევლებისათვის უფრო მკაფიო გახადონ და პრაქტიკაში განახორციელონ.

გამჭვირვალობა პარტიებს საშუალებას აძლევს, იმოქმედონ თავიანთი ღირებულებებიდან გამომდინარე, სრულყოფილ ამ ღირებულებების შესაბამისად მოაზროვნე და მოქმედი პარტიის ლიდერების და წევრების კვალიფიკაცია. მკაფიო წესების და არაეთიკური ქცევის წინააღმდეგ დისციპლინარული ზომების ამოქმედებით, გამჭვირვალობა ეხმარება შიდა კორუფციის დამარცხებაში. გამჭვირვალობის ზრდა ხელს უწყობს პარტიებისთვის უფრო მეტი ამომრჩევლის ხმის მიღებას და პარტიული ფინანსების მიზნობრივ გამოყენებას.

ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობის საზოგადოებისათვის ღიად წარდგენა, მისი საჭარობა კრიტიკის გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ და სხვა გარკვეული მიზეზების გამო, გამჭვირვალობის ზომების შემოღება პარტიისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული საქმეა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მისთვის ძალზე დიდი სარგებელის მომტანი.

გამჭვირვალობის სარგებელი

- ☞ ზრდის საზოგადოების ნდობას, ცნობადობას და ამომრჩევლების რაოდენობას;
- ☞ ამარცხებს კორუფციას და ზოგავს ფინანსებს;
- ☞ აუმჯობესებს პარტიის ლიდერებისა და მისი წევრების საქმიანობის ხარისხს.

პოლიტიკური პარტიის შიგნით გამჭვირვალობის გაზრდის პროცესი აგრეთვე მოიცავს იმ ცალკეული პიროვნებების მოტივაციებისა და წამახალისებელი ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მიღებას და გაანალიზებას, რომლებიც ამ პარტიასთან არიან დაკავშირებული.

საკუთარი ორგანიზაციული სიმტკიცის და საზოგადოებრივი ნდობის დასაცავად, პოლიტიკური პარტიამ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს ეთიკური ქცევის საკუთარი კრიტერიუმი და უზრუნველყოს ის, რომ პარტიის შიგნით ყველამ იცოდეს წესები, ემორჩილებოდეს მათ და აცნობიერებდეს არაეთიკური ქცევის შედეგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი ადამიანის საქციელმა შეიძლება მთელი პარტიის რეპუტაცია შელახოს და დაშალოს კიდევ. შესაბამისად პარტიის ლიდერების და წევრების ქცევა უნდა შეესაბამებოდეს დაწერილ წესებს – **ისინი ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთი მოქმედებებისთვის.**

გამჭვირვალობის პრაქტიკა გულისხმობს პარტიის მიერ საზოგადოებრივი მონიტორინგის იმ სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩევლებისა და მთელი საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულებას.

ვერტიკალური ანგარიშვალდებულება. ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ორი გზა არსებობს: პირველი როცა არსებობს ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებში მართულეს თავიანთ მმართველებზე გარკვეული კონტროლი გააჩნიათ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია რეგულარული შიდა პარტიული არჩევნები. პარტიის ლიდერზე კონტროლის დაწესება იმას გულისხმობს, რომ თუკი ის უკანონო ქმედებებშია შემჩნეული, მას თანამდებობიდან გადააყენებენ. ამ შემთხვევაში, პარტიის წევრები არ აკონტროლებენ იმას, თუ ყოველდღიურად რას აკეთებს მათი ლიდერი, მაგრამ საბოლოოდ, ის აუცილებლად ანგარიშვალდებულია თავისი პარტიის წევრების წინაშე.

კანდიდატებისა და ხელმძღვანელი პირების არჩევის დროს ძალზე ხშირად ადგილი აქვს კორუფციას და სხვადასხვა სახის მანიპულაციას, მაგ.: ხმების მოსყიდვა, ქრთამის მიცემა და ნეპოტიზმი. კანდიდატების შერჩევის დროს კორუფცია ყველაზე ხშირია პარტიის სტრუქტურების ქვედა და საშუალო დონეებზე, სადაც საზოგადოებისა და მასმედიის მხრიდან მონიტორინგის შესაძლებლობა ნაკლებია.

პარტიის ლიდერის მიერ პარტიის წევრების მიმართ ანგარიშვალდებულებას ასევე ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

- ⇒ **კორუფციის ცხელი ხაზები** წევრებისათვის, რათა მათ პარტიის შიგნით კანდიდატების დასახელებისა და შიდა საარჩევნო პროცესებში კორუფციული ქმედებების შესახებ დროულად აცნობონ;
- ⇒ **პარტიის ფინანსური ჩანაწერების** (მათ შორის სრული შემოსავლების, ხარჯების და დონორთა სახელების) სრულად წარდგენა საზოგადოებისათვის;
- ⇒ **თანამდებობაზე ყოფნის ვადებისთვის ლიმიტის დაწესება** პარტიის ლიდერებისთვის, ძალაუფლების ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიის თავიდან ასაცილებლად; ეს შეამცირებს კორუფციის შესაძლებლობას;
- ⇒ ანტიკორუფციული, **არჩევნების დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოები** პარტიის შიგნით, რომლებიც შეისწავლიან შიდა კამპანიის პროცესს და გამოავლენენ ხმების მოსყიდვის ფაქტებს;
- ⇒ **ღიაპირველადი არჩევნები**, რომლებიც პარტიის ყველაწევრს მისცემს საშუალებას, შეარჩიოს პარტიის კანდიდატები ამა თუ იმ თანამდებობისათვის. პარტიები აცხადებენ, რომ შერჩევის პროცესში დემოკრატიული პროცედურების დამკვიდრებასთან ერთად, კანდიდატები უფრო კვალიფიციურები ხდებიან და პარტიული თანამდებობების და ნომინაციების „მოსყიდვა“ სულ უფრო იშვიათად ხდება.

ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება. ანგარიშვალდებულების პრაქტიკის დამკვიდრების მეორე გზა არის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელშიც დამოუკიდებელ ორგანიზაციებს გააჩნიათ გარკვეული კონტროლი მათზე, ვინც მათ მართავს; მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია ახდენს საკანონმდებლო ხმების მონიტორინგს და საჭაროს ხდის ინფორმაციას კანონმდებლების მიერ მიცემული ინდივიდუალური ხმების შესახებ. ამომრჩევლების ხელმისაწვდომობა კანონმდებლის მიერ განხორციელებული ხმის მიცემის ჩანაწერებზე ზრდის გამჭვირვალობას და ამომრჩევლებიც უფრო უკეთ არიან ინფორმირებულნი მის მიერ გაწეულ მუშაობაზე, რაც, თავის მხრივ, მას (კანონმდებელს) იმ სარგებელს მოუტანს, რომ შემდეგი არჩევნების დროს ხელახლა აირჩევენ. ამას ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება ეწოდება, რადგან ამ ანგარიშვალდებულების განხორციელებას ხელს უწყობს იერარქიულად თანასწორუფლებიანი (პარალელური) ორგანიზაცია.

პარტიებმა გამჭვირვალობის გაზრდა შეიძლება პარტიის გარეთაც სცადონ, საკანონმდებლო სისტემაში წესებისა და ქცევების სრულყოფით, ასევე ქვეყნის კანონებში შესაბამისი ცვლილებების შეტანით. პარტიები შეიძლება დროებით გაერთიანდნენ კოალიციაში საკანონმდებლო ხელისუფლებაში მყოფ სხვა პარტიებთან სამართლებრივი რეფორმების გატარების მიზნით. გამჭვირვალობის რეფორმები შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის თავისუფლების კანონებს, ასევე საკანონმდებლო ორგანოში ეთიკის ან ომბუდსმენების ოფისების შექმნას.

ყველაზე შორსმჭვრეტელი პარტიები ცდილობენ, რეალური პარტნიორობა დაამყარონ დამოუკიდებელ სამოქალაქო ორგანიზაციებთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი პარტია ცდილობს არასამთავრობო ორგანიზაციების დაქირავებას შიდა არჩევნების მონიტორინგის მიზნით. სხვები თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოებასთან კანდიდატებისა და მათი კამპანიების

დაფინანსების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებისთვის. ეს ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს, მათ მიერ გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ქმედებების შესახებ მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება, რაც გაზრდის მათი ამომრჩევლების რაოდენობას.

პარტიის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

ნებისმიერი ინსტიტუტის ფუნქციონირება აუცილებლად საჭიროებს გარკვეულ ქონებას (მათ შორის ფინანსებს) და ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები (პარტიები) წარმოადგენენ. საქართველოს ორგანული კანონი «საქართველოს საარჩევნო კოდექსი» და საქართველოს ორგანული კანონი «მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ», სხვა შესაბამის საკითხებთან ერთად, პოლიტიკური პარტიის ქონებასაც არეგულირებს. კერძოდ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში აღნიშნულ საკითხს მესამე თავი – „პარტიის ქონება და ფინანსები, პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი“ ეძღვნება.

ქვეყნების უმრავლესობაში, საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება კომბინირებული წყაროებით ხდება: ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, მეორე მხრივ, საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო ფონდში არსებული თანხები, რომელშიც ასევე იგულისხმება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული კერძო შემოწირულობები. წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსებაში სახელმწიფოს მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი და ირიბი დაფინანსების გზით. **პირდაპირი** (ე.წ. საკომპენსაციო) დაფინანსება გულისხმობს, არჩევნების საბოლოო შედეგების გათვალისწინებით, საარჩევნო სუბიექტის მიერ განეული ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებას. **ირიბი** დაფინანსება გულისხმობს, სახელმწიფოს მიერ საარჩევნო სუბიექტებისათვის გარკვეული შეღავათების შემოღებას. მაგალითად: მედია საშუალებებში უფასო საეთერო დროის/სარეკლამო ფართობის დაწესებას, საარჩევნო კამპანიის წარმოების მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფას, საარჩევნო კომისიებში წარმომადგენელთა დაფინანსებას და სხვა.

საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ფონდი. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანია ფინანსდება:

- ❑ პოლიტიკური გაერთიანების ფონდიდან – თუ პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობს არჩევნებში, რეფერენდუმში;
- ❑ საარჩევნო ბლოკის პირველი ნომერი პარტიის ფონდიდან – თუ პოლიტიკური გაერთიანებები ერთ საარჩევნო სუბიექტად ერთიანდებიან;
- ❑ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ გახსნილი საარჩევნო ფონდიდან, დამოუკიდებელი კანდიდატის კამპანიის დასაფინანსებლად.

საარჩევნო კამპანიის ხარჯებად ითვლება საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობა, ასევე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება (გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულებისა).

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყნების დიდ ნაწილში იფარება პარტიების, ზოგ შემთხვევაში – დამოუკიდებელი კანდიდატების, მიერ განეული საარჩევნო კამპანიის ხარჯების ნაწილი ზოგან ავანსად, ზოგან კი – არჩევნების დასრულების შემდეგ. გერმანიაში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება პარტიებს შორის მათი კანდიდატების მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება. საფრანგეთში სახელმწიფო ფარავს იმ პარტიების სააგიტაციო მასალების დამზადებისა და გავრცელების ხარჯებს, რომლებიც ხმების 5 % მაინც მიიღებენ.

დაფინანსება საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად. საქართველოში აღნიშნული საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 % ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10 % ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას განეული ხარჯების დასაფარავად.

საარჩევნო სუბიექტი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების საერთო არჩევნებში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3%-ს ან მეტს (ხმათა ეს რაოდენობა გამოიანგარიშება მთელ ქვეყანაში პროპორციული

საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით), საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს **არაუმეტეს 500 000 ლარს** საკრებულოს/მერის/გამგებლის არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას განეული ხარჯების დასაფარავად.

საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსების მიზნით საარჩევნო სუბიექტმა წინასწარ, არჩევნებამდე არაუგვიანეს 38-ე დღისა, წერილობით უნდა მიმართოს ცესკოს. მოთხოვნილი თანხა საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე ჩაერიცხება ცესკოს არჩევნების შედეგების შემატყობველი ოქმისა და ფინანსური ანგარიშის წარდგენის საფუძველზე, არჩევნების შედეგების შეტყობიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა.

პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსება 2012-2015 წლებში (ლარი)³⁵

N	პოლიტიკური გაერთიანება	2012 წელი			2013 წელი			2014 წელი			2015 წელი		
		დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	80 664,0	9 673,0	90 337,0	541 232,0	6 112,0	602 352,0	870 381,0	80 836,0	951 217,0	764 844,0	78 908,0	843 752,0
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1 753 741,0	213 333,0	1 967 074,0	1 954 809,0	366 719,0	2 321 528,0	2 258 244,0	48 502,0	2 743 264,0	2 175 828,0	473 452,0	2 649 280,0
3	მრეწველობა გადარჩენს საქართველოს	263 856,0	87 321,0	351 177,0	418 832,0	6 112,0	479 952,0	642 444,0	80 836,0	72 328,0	642 444,0	78 908,0	721 352,0
4	ახალი მიმდრეკილებები	136 302,0	53 333,0	189 635,0	176 864,0	9 168,0	288 544,0	116 637,0	63 038,0	179 675,0			
5	ლეიბორისტული პარტია	315 245,0	77 649,0	392 894,0				373 295,0	116 433,0	489 728,0	373 296,0	236 724,0	61 002,0
6	პარტია თავისუფლება	69 767,0	17 255,0	87 022,0									
7	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	164 569,0	48 497,0	213 066,0	418 832,0	6 112,0	479 952,0	615 444,0	80 836,0	69 628,0	642 444,0	78 908,0	721 352,0
8	საქართველოს კონსერვატიული პარტია	18 384,0	61 438,0	245 278,0	418 832,0	6 112,0	479 952,0	642 444,0	80 836,0	72 328,0	642 444,0	78 908,0	721 352,0
9	ჩვენ თვითონ	216 634,0	71 111,0	287 745,0	268 219,0	122 239,0	390 458,0						
10	ხალხის პარტია	157 626,0	71 111,0	228 737,0	193 738,0	12 224,0	315 978,0	130 892,0	84 051,0	214 943,0			
11	მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის	6 617,0	0,0	6 617,0									
12	ერთიანი ფორუმი	120 831,0	26 928,0	147 759,0	418 832,0	6 112,0	479 952,0	617 444,0	80 836,0	69 828,0	642 444,0	78 908,0	721 352,0
13	ქართული დასი	69 767,0	17 255,0	87 022,0									
14	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	505 126,0	174 643,0	679 769,0	260 959,0	12 224,0	383 199,0	581 328,0	316 918,0	898 246,0			
15	საქართველოს გზა	133 703,0	53 333,0	187 036,0	160 786,0	9 168,0	252 466,0	106 035,0	63 038,0	169 073,0			
16	მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის	157 626,0	71 111,0	228 737,0	193 738,0	12 224,0	315 978,0	130 892,0	84 051,0	214 943,0			
17	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია	205 034,0	71 111,0	276 145,0	260 959,0	12 224,0	383 199,0	168 289,0	84 051,0	25 234,0			
18	თავისუფალი დემოკრატები	164 569,0	48 497,0	213 066,0	418 832,0	6 112,0	479 952,0	588 907,0	80 836,0	669 743,0	642 444,0	78 908,0	721 352,0
19	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა							41 571,0	234 215,0	649 925,0	997 032,0	473 452,0	1 470 484,0
20	საქართველოს ევროპული დემოკრატები							172 313,0	84 051,0	256 364,0			
21	საქართველოს პატიოსნა ალანისი							400 206,0	116 433,0	516 639,0	400 212,0	236 724,0	636 936,0
22	ქრისტიან-კონსერვატიული პარტია							598 698,0	116 433,0	715 131,0	598 692,0	236 724,0	835 416,0
	სულ	4 540 061	1 173 599	5 879 116	6 105 464	592 862	7 633 462	9 055 464	1 896 230	8 978 237	8 522 124	2 130 524	10 103 630

დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად. საარჩევნო წელს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა დამატებითი დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად. თუმცა აღნიშნულ თანხას მიიღებენ მხოლოდ ის პარტიები, რომელთაც ბოლო საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით წარმოეშვათ დაფინანსების მიღების უფლება.

პარტიისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის გამოსაანგარიშებლად შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ ბოლო საერთო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება სამზე და იყოფა საარჩევნო სუბიექტში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებების რაოდენობაზე. ამასთანავე, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისთვის და საარჩევნო ბლოკისთვის (მიუხედავად ბლოკში გაერთიანებული პარტიების რაოდენობისა) განკუთვნილი თანხის ოდენობა **არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს**. საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 15 % გამოყენებული უნდა იქნეს წინასწარჩევნო რეკლამის განსათავსებლად სულ ცოტა 7 მაუწყებელში, რომლებიც არ არიან ეროვნული მაუწყებლები (მაუწყებელს ხარჯებს აუნაზღაურებს ცესკო მაუწყებელსა და საარჩევნო სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ცესკოსთვის მისი წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში).

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხების გარდა, პარტიები და კანდიდატები, როგორც წესი, კერძო შემოწირულობებითაც აგროვებენ საარჩევნო კაპიტალს, რომელიც თავს იყრის შესაბამისი სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდში. დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების დროს შესაბამისი ფონდის სახსრების გარდა სხვა სახსრების გამოყენება.

35 წყარო <http://funding.cec.gov.ge/>

საარჩევნო სუბიექტების მიერ არასახელმწიფო წყაროებიდან მიღებული სახსრები. როგორც გემოთ აღვნიშნეთ, საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანია ფინანსდება პოლიტიკური გაერთიანების/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ფონდიდან. კამპანიის ხარჯებზე და დაფინანსების წყაროებზე ვრცელდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. აღნიშნული კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტიის ფონდის რესურსებს ქმნის:

- ❑ შემოწირულობები;
- ❑ საწევრო შენატანები;
- ❑ კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა;
- ❑ სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას (300 000*2).

შემოწირულობად ითვლება პარტიის ანგარიშზე საქართველოს მოქალაქისა და იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული თანხები. შემოწირულობად ითვლება, ასევე, პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით, ან შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა და მომსახურება. შემოწირულობის განხორციელებისას პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი და პირადი ნომერი. აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად.

ანონიმური ფორმით შემოწირულობების მიღება კი დაუშვებელია. გარდა აღნიშნულისა დაუშვებელია შემოწირულობების მიღება:

- ⊗ მოქალაქეობის არმქონე პირისაგან;
- ⊗ სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან;
- ⊗ არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან;
- ⊗ სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსება. კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე კვალიფიციური პარტია, აგრეთვე საარჩევნო ბლოკი, რომელშიც გაერთიანებულია კვალიფიციური პარტია) არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 150 ლარის ოდენობით, ხოლო ის საარჩევნო ბლოკი, რომელშიც 2 ან მეტი კვალიფიციური პარტიაა გაერთიანებული, დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 150 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 200 ლარის ოდენობით. ის საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც არ შედის არცერთი კვალიფიციური პარტია, მაგრამ მასში გაერთიანებული პარტიების მიერ ბოლო საპარლამენტო ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საერთო არჩევნებში, ერთ-ერთში მაინც, მიღებული ხმების ჯამი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან მეტია, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 150 ლარის ოდენობით. ერთი საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი თანხა გაიცემა მხოლოდ ამ უბანზე დანიშნულ წარმომადგენელზე (წარმომადგენლებზე). კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსების თანხა ცესკომ შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.

პოლიტიკური პარტია, აგრეთვე საარჩევნო ბლოკი, უფლებამოსილია ეს თანხა გადაანაწილოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში შესაბამის წარმომადგენლობაზე ისე, რომ თითოეულ კომისიაში დაფინანსდეს არა უმეტეს 2 წარმომადგენლის საქმიანობა, ამასთანავე, ერთსა და იმავე წარმომადგენელზე არ გაიცემა სამზე მეტი საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი თანხა. თუ დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჭამებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.

პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი



საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას დიდ ყურადღებას უთმობს. კანონის მიხედვით, „პარტიის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა“ საქართველოში პოლიტიკური გაერთიანებების მუშაობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. 2011 წლის 30 დეკემბერს, ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. კანონის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის განხორციელება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დაევალა.

კანონით მონიჭებული მანდატის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ეფექტიანი კომუნიკაციის მეთოდების საშუალებით მჭიდროდ თანამშრომლობს ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, რაც ინფორმაციის სწრაფად მიღებისა და ანალიზის პროცედურას მნიშვნელოვნად აადვილებს.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დეტალურად არის განვლილი ის ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც პოლიტიკურ პარტიებს ევალებათ. ყველა ქმედება, რომელიც კანონის რეგულაციითაა გვერდის ავლით განხორციელდება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. ამდენად, ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვებ-გვერდზე (www.sao.ge) განათავსებს და პერიოდულად განაახლებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისათვის საინტერესო დეტალურ ინფორმაციას.

საარჩევნო კამპანიის ხარჯების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი. საარჩევნო კამპანიის ხარჯების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია რეგისტრაციის მომენტიდან 3 კვირაში ერთხელ, დადგენილი ფორმების მიხედვით გამოაქვეყნოს ინფორმაცია შემოწირულების წყაროს, ოდენობის და მიღების თარიღის მითითებით (საარჩევნო ბლოკის ცესკოში რეგისტრაციის შემდეგ ბლოკში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებები ვალდებული არიან, შეაჩერონ თავიანთი პარტიის ფონდების საქმიანობა და ისარგებლონ მხოლოდ საარჩევნო ბლოკის პირველი ნომერი პარტიის ფონდით).

საარჩევნო სუბიექტები არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ხოლო ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, მიიღებენ კანონით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, – აგრეთვე კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს 18 დღისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორულ დასკვნასთან ერთად წარუდგენენ დასკვნის წარდგენის მომენტისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს, ფულადი სახსრების წყაროს მითითებით (აუდიტორული შემოწმების ჩატარების უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას).

ის საარჩევნო სუბიექტები, რომელთა მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატები მონაწილეობენ არჩევნების მეორე ტურში, მეორე ტურის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 1 თვისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, მიიღებენ ამ კანონით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, – კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-8 დღისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით წარადგენენ ინფორმაციას საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი ფინანსების შესახებ.

ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც განვრვიანებული არიან საარჩევნო ბლოკში, თავიანთი საარჩევნო კამპანიის ხარჯების შესახებ ანგარიშების წარდგენასთან ერთად სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგენენ ბანკის მიერ გაცემული ცნობას მათი ფონდების ანგარიშებზე საფინანსო ოპერაციების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

თუ საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მიიღებენ საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, დადგენილ ვადაში არ წარადგენენ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, ან თუ დადასტურდება კანონის მოთხოვნათა დარღვევა, მათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში აფრთხილებს წერილობით და სთხოვს ხარჯების შევსებას და სათანადო დარღვევასთან დაკავშირებით დეტალური წერილობითი ინფორმაციის მიწოდებას.

თუ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ დარღვევა არსებითი ხასიათისაა და შეეძლო გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე, იგი უფლებამოსილია შესაბამის საარჩევნო კომისიას მიმართოს რეკომენდაციით, რათა მან მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს არჩევნების შედეგების ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების გაუთვალისწინებლად შეჭამება.

არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმას და მისი შევსების წესს განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.



**პოლიტიკური
კამპანია**

პოლიტიკური კამპანია და მისი ჩატარების სპეციფიკა

პოლიტიკურ კომუნიკაციაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პოლიტიკურ კამპანიას. პოლიტიკური კამპანია კოორდინირებული, მიზანმიმართული და დროის გარკვეულ პერიოდში განხორციელებული მოქმედებების სისტემაა, რომლებიც გათვლილია გარკვეული (ერთი ან რამდენიმე) მიზნების მიღწევაზე. ჩვეულებრივ, ასეთი მიზნების სახით პოლიტიკაში განიხილება საზოგადოებაში ხელისუფლების სტრუქტურის შეცვლა, პოლიტიკურ უფლებამოსილებათა გადანაწილება, ხელისუფლების ორგანოების ფორმირება, ან/და რაიმე ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც კამპანიის ორგანიზატორს მიაახლოებს სტრატეგიულ მიზანთან.

კამპანიები უმეტესწილად იგეგმება და ტარდება იმისათვის, რომ საზოგადოების ყურადღება მიაქციონ რაიმე პრობლემას, გადაჭრან ან რაღაცნაირად შეცვალონ საერთო სოციალური სიტუაცია. ასეთი მიზანი მიიღწევა ადამიანთა ქცევის, საზოგადოებრივი აზრის ან გარკვეულ საკითხზე კანონმდებლობის შეცვლით, ან/და პირიქით, არსებული ქცევის, საზოგადოებრივი აზრის, საკანონმდებლო ბაზის უცვლელად შენარჩუნებით.


პოლიტიკური კამპანია კოლექტიურ მოქმედებათა სისტემაა. აქედან გამომდინარე, მისი წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წამოყენებული მიზნებისადმი რაც შეიძლება მეტი ადამიანის მხარდაჭერაზე. მხარდაჭერის თვალსაჩინო გამოვლინება შეიძლება იყოს ორგანიზაციის ან პოლიტიკური მოძრაობის წევრთა რაოდენობა, მოქალაქეთა მიერ თავისი მოვალეობის შესრულების რეგულარობა, პოლიტიკური პარტიის, ან ცალკე კანდიდატის ელექტორატის სიდიდე და ა.შ.

მას, ვინც ფლობს პოლიტიკური კამპანიების ორგანიზებისა და ჩატარების ხელოვნებას, ყოველთვის აქვს წარმატების დიდი შანსი. ეს განსაკუთრებით სამართლიანია, როდესაც საქმე ეხება საარჩევნო პროცესს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

პოლიტიკური კამპანიის ჩატარება აუცილებელი ხდება იმიტომ, რომ საზოგადოებაში არსებობს ჭკუფებს შორის კონკურენცია საზოგადოებრიობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. XVI და XVII საუკუნეების განმავლობაში ევროპაში ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ ეკლესიები, თითოეული მათგანი იყენებდა კამპანიის ჩატარების თავის მეთოდებს. ომების დროს სახელმწიფოები ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ როგორც სამხედრო მოქმედებათა მეშვეობით, ასევე პროპაგანდის დახმარებით, ხოლო არჩევნების დროს პოლიტიკური კანდიდატები, პარტიები და გავლენიანი ჭკუფები ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ პროგრამაში ისეთი საკითხების ჩასართავად, რომელთაც შეიძლება მოიპოვონ საზოგადოების მხარდაჭერა.

პოლიტიკური კამპანიები პირობითად შეიძლება გავყოთ მათში ჩართული მონაწილეების რაოდენობისა (ერთი ან რამდენიმე მოქმედი პირი) და დასახული მიზნების რაოდენობის (ერთი ან რამდენიმე მიზანი) მიხედვით.

პოლიტიკური კამპანიების ტიპოლოგია



სხვადასხვა იდეოლოგიების მქონე პოლიტიკური მოღვაწეები ერთმანეთს უპირისპირდებიან რეფერენდუმებისა და არჩევნების დროს, მაგრამ ისინი შეიძლება იყვნენ არა ერთადერთი მეთოქეები. მაგალითად, რეფერენდუმის დროს, რომელიც ევროკავშირში ტარდებოდა სავალუტო კავშირში მონაწილეობის თაობაზე, თავად კავშირი ატარებდა საინფორმაციო კამპანიებს. ზუსტად ასევე გავლენიანმა ჭკუფებმა შეიძლება გაავრცელონ კომუნიკაცია, რომელიც გავლენას ახდენს სხვა კამპანიების ჩატარებაზე. მაგრამ პოლიტიკაში ჩვენ ვესწრაფვით ყურადღების კონცენტრირებას სახელმწიფო არჩევნებზე და ისინი ითვლება პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროში კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვან ტიპად, რადგანაც მათ ახასიათებს კონკურენციის მაღალი დონე, ისინი რთულია და უკავშირდება დიდ დანახარჯებს.

პოლიტიკური მოღვაწეები, პარტიების ლიდერები ან კანდიდატები და მათი მრჩეველები შეიმუშავებენ კომუნიკაციის სტრატეგიას (რა შეტყობინებები? რა არხებით?), მაგრამ თავად კომუნიკაციას აყალიბებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და კამპანიის ორგანიზაციული კონტექსტი (მაგალითად, პარტიის მონაწილეთა საქმიანობა და ტაბლოიდების მტრული დამოკიდებულება მათ მიმართ), შემდეგ კი ამომრჩეველთა აზრი. დღეს კამპანიის ჩატარება უაღრესად მარკეტინგული მოვლენაა, განუწყვეტელი პროცესი, რომელშიც გათვალისწინებულია მასმედიის, ორგანიზაციების რეაქცია და ამომრჩეველთა აზრი.

ორგანიზაციიდან მომდინარე შეტყობინებები (მაგალითად, ზღურბლზე დატოვებული ფურცლების სახით, ან ვებ გვერდებზე, ანდა რეკლამის მეშვეობით) სრული კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, მიუხედავად ამისა რომელიმე მასობრივი ინფორმაციის საშუალების ახალი ამბების ფასეულობითი პრიორიტეტები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ გაშუქდება კამპანია მასმედიაში. ანალოგიურად, პოლიტიკოსებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ ახალი ამბების დაგეგმვაზე, როდესაც ისინი ინტერვიუს აძლევენ ახალი ამბების პროგრამაში ანდა მონაწილეობას ღებულობენ პოპულარულ პროგრამებში.

პოლიტიკური კამპანიის ძირითადი მახასიათებლები

არსებობს პოლიტიკური კამპანიის ჩატარების მრავალი მაგალითი და ცალკეული ასპექტი, მაგრამ კამპანიის თანამედროვე ჩატარება შეიძლება აღვწეროთ ექვსი ძირითადი მახასიათებლის მიხედვით:

- ⇒ **კამპანიები იგეგმება ცენტრალიზებულად, მაგრამ ტარდება ადგილობრივ დონეზე.** მაგალითად: 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ორივე კანდიდატმა მხოლოდ ოჰაიოს შტატში დახარჯა დაახლოებით 22 მილიონი დოლარი ამომრჩეველთა მოსაზიდად, რომელთაც ჯერ არჩევანი არ ქონდა გაკეთებული და ლოიალური ამომრჩევლის დასარწმუნებლად მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემაში.
- ⇒ **კამპანიის ჩასატარებლად პროფესიონალებისა და კონსულტანტების უფრო აქტიური მიზიდვა.** მაგალითად: დიდი ბრიტანეთის კონსერვატიულმა პარტიამ 2005 წლის არჩევნების დროს შექმნა შტაბბინა, სატელეფონო აგიტაციის განყოფილება, რომელის არაფრით ჩამოუვარდებოდა სატელეფონო გაყიდვების აქციებს („ცივი ზარების“ ტექნოლოგიები) და ისარგებლა ავსტრალიელი კონსულტანტის ლინტონ კროსბის მომსახურებით, რომელიც დაეხმარა ავსტრალიის პრემიერ მინისტრს ჯონ ჰოვარდს 2001 წელს გამარჯვების მოპოვებაში.
- ⇒ **ბაზრის კვლევა.** მაგალითად: იმისათვის რომ შეემუშავებინა კამპანია, გამოეცადა პრაქტიკაში, შეეტანა მასში აუცილებელი ცვლილებები, შეემოწმებინა მისი ეფექტურობა და მასზე საზოგადოების რეაქცია, საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა 2002 წელს ისარგებლა კომპანია Ipsos-ის მომსახურებით. უფრო მცირე ფინანსების მქონე პარტიები ემყარებიან თავისუფლად მისაწვდომ ინფორმაციას და რომელთაც აქვეყნებენ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტები.
- ⇒ **მასმედიაში მიწოდებული მასალების მართვა,** იმ მიზნით, რომ გარანტირებული იყოს შეტყობინების მიწოდება აუდიტორიისათვის. ამასთან დაკავშირებით ფართოდ გავრცელდა ტერმინი „პიარის სპეციალისტი“ ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც მრავალი პარტია არსებობს, მაგალითად დანიაში.
- ⇒ **მიზნობრივი (ვიწროდ მიმართული) მაუწყებლობა.** იმისათვის, რომ „მიწვდეს“ ცალკეულ ადამიანს და არა უბრალოდ მასობრივ აუდიტორიას, შეტყობინების შექმნის დროს პარტიები იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომას, ისევე როგორც სამომხმარებლო საქონლის მომხმარებლები. ეს ხერხი განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა კანადის რეგიონული პარტიის „კვებეკის ბლოკისთვის“. კამპანიის მუდმივი ჩატარება, როდესაც პარტია მთავრობის შემადგენლობაში ან ოპოზიციაშია. მან განუწყვეტლივ უნდა შეახსენოს თავი საზოგადოებას და ამკვიდრებდეს პოლიტიკურ იდეებს თუ არა, პარტიის იმიჯს მაინც.

დიდი მნიშვნელობა აქვს კამპანიის ჩატარებაში ადრეულ სტარტს. ამერიკული მოდელის თანახმად, კამპანია წლის განმავლობაში ტარდება, დაწყებული წინასწარი არჩევნებიდან, როდესაც კანდიდატს ირჩევენ და შემდეგ უშუალოდ გადადიან საპრეზიდენტო მარათონზე. ამისათვის საჭიროა კამპანიის კარგი დაფინანსება და დიდი ყურადღება მიექცეს მასმედიას. აუცილებელია

ჩასატარებელი კამპანიის მასშტაბების გათვალისწინება. საფრანგეთშიც არჩევნებს წინ უძღვის ხანგრძლივი კამპანია. მსგავსი უპრეცედენტო ნაბიჯებისგან გამომდინარე, რაც გადაიდგა აშშ-სგან განსხვავებულ სისტემებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კამპანიის ხანგრძლივი ჩატარება სულ უფრო გავრცელებული ხდება.

კომუნიკაცია, რომელიც იქმნება კამპანიის ჩატარების დროს, გავლენას ახდენს ამომრჩეველთა ფართო წრეზე, ამიტომ მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ კამპანიის მიზნები და მისი გავლენა აუდიტორიაზე.

კამპანიის ჩატარების ერთ ერთი პირველი ამოცანაა იმ **პრობლემის მნიშვნელობის ამაღლება**, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია პარტიის პოლიტიკურ პროგრამაში. ეს პრობლემა შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ პარტიის პოლიტიკურ პლატფორმას და გამოიწვიოს კონტრარგუმენტები ოპონენტების მხრიდან. ასეთ პრობლემებს ჩვეულებრივ უწოდებენ სადავო საკითხებს და ისინი ამომრჩევლებს ეხმარებიან კანდიდატები ერთმანეთისგან განასხვავონ. ნებისმიერ ამ შემთხვევაში ამომრჩეველს უბიძგებენ ჩაუფიქრდნენ პრობლემას, რომელსაც შეიცავს პარტიის შეტყობინება, განსაკუთრებით თუკი ეს პრობლემა ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანია და ისინი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ ამ შეტყობინებასთან.

მეორე, კამპანიის ერთ ერთი მიზანია **დარწმუნება**. მაგალითად, დანიაში რეფერენდუმის დროს, როდესაც წყდებოდა ამ ქვეყნის შეერთების საკითხი ევროპის სავალუტო კავშირთან, რიგმა პატარა პარტიებმა ჩაატარეს საკმაოდ ეფექტური კამპანია და დაარწმუნეს ამომრჩეველი, რომ დანიის შესვლას სავალუტო კავშირში მოჰყვება ნეგატიური შედეგები ეკონომიკისა და მთლიანად სახელმწიფოსთვის.

მესამე, **ცნობადობა** კამპანიის წყალობით კანდიდატი უფრო ცნობადი შეიძლება გახდეს. სწორედ ასეთ როლს ასრულებენ კამპანიები აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. კამპანიის წყალობით ყალიბდება კანდიდატის იმიჯი, ჩნდება პოლიტიკური პროგრამის გაშუქების შესაძლებლობა და ამომრჩეველს შესაძლებლობა ეძლევა გადაწყვიტოს, რომელი კანდიდატი უფრო შესაფერისია თანამდებობისთვის.

და ბოლოს, კამპანიები **შესხენებაა** პარტიის მომხრეებისათვის. ითვლება, რომ მომხრეობა და პოლიტიკური ინფორმირებულობა ზრდის კამპანიის ეფექტურობას. მაგრამ ხმის მიცემის დროს ადამიანებს ესაჭიროებათ გარკვეული მოტივაცია. ამიტომ პარტიები ატარებენ მრავალ კამპანიას ადგილებზე, რომელთა მიზანია მხარდამჭერი ამომრჩევლების რაოდენობის დანახვა, მერყევი ამომრჩევლის გადაქცევა თავის მომხრედ და კონკურენტების გაკრიტიკება. აქტიურობას ადგილებზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მისი წყალობით კამპანია მნიშვნელობას იძენს, ამომრჩევლები თავიანთი როლის მნიშვნელობას გრძნობენ და ჩნდება პიროვნებათშორისი კომუნიკაციის შესაძლებლობა ამომრჩევლებსა და კანდიდატს (ან პარტიას) შორის. ითვლება, რომ ასეთი აქტიურობის დეფიციტი ამცირებს ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას და ამცირებს ამომრჩეველთა სეგმენტების აქტიურობას.

მასობრივი პოლიტიკური კამპანია

მასობრივი პოლიტიკური კამპანიების მიზანია სასურველი მიმართულებით მოქალაქეთა ქცევის მოდიფიცირება. ამგვარი კამპანიების გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი:

1. კამპანიები, რომელთა დანიშნულებაა საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევა რაიმე მოვლენის ან ამბისადმი. ამოცანა უმთავრესად დაიყვანება იმაზე, რომ დროულად გააფრთხილონ მოსახლეობა, დაეხმარონ მას დაიმახსოვროს რაღაც მნიშვნელოვანი კამპანიის ინიციატორის თვალსაზრისით.
2. საზოგადოების ინფორმირების კამპანიები, როდესაც მას მიენოდება ფაქტების ან არგუმენტების გარკვეული სისტემა რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ. ასეთი კამპანია, როგორც წესი, ტარდება პარალელურად პირველი ტიპის კამპანიასთან რომლის დანიშნულებაცაა მოსახლეობის ყურადღების მიზიდვა და ავსებს მას.

3. საგანმანათლებლო კამპანიები. განათლებაში იგულისხმება მოქალაქეთა მიერ გარკვეული შინაარსის და მოცულობის მასალის შეთვისება და მიღებული ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ქცევაში.
4. კამპანიები, რომლებიც მიმართულია იმათი განწყობისა და ქცევის წესების შესანარჩუნებლად, რომელთა თვალსაზრისიც ემთხვევა კამპანიის ორგანიზატორების თვალსაზრისს. ასეთი კამპანიები, როგორც წესი, მიმართულია იქითკენ, რომ გამუდმებით ხაზი გაუსვას საზოგადოებრიობისა და კამპანიის ჩამტარებელთა სოციალური ფასეულობების ერთიანობას.
5. კამპანიები, რომელთამიზანიაა შეცვალოს იმათი განწყობა, რომლებიც არ იზიარებენ კამპანიის ორგანიზატორთა თვალსაზრისს ან პოზიციას რაიმე პრობლემასთან დაკავშირებით. ასეთი კამპანიები ძალზედ რთულია და მოითხოვს დიდ ძალისხმევას ე.წ. «კოგნიტიური დისონანსის» მოსახსნელად, ე.ი. ისეთი სიტუაციის დასაძლევად, როდესაც ადამიანები არ იჩენენ ინტერესს ისეთი ინფორმაციის შინაარსისადმი, რომელიც არ ემთხვევა მათ თვალსაზრისს.
6. ქცევის მოდიფიცირებისკენ მიმართული კამპანიები. მაგალითად, პოლიტიკის სფეროში მსგავს კამპანიას წარმოადგენს ამომრჩეველთათვის მოწოდება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

მასობრივი კამპანიების წარმოდგენილი ტიპოლოგია შეიძლება გაფართოვდეს. ამ ტიპოლოგიას საფუძვლად უდევს ადამიანთა ქცევის ამა თუ იმ დონის მოტივირების მცდელობა. ამგვარი ტიპოლოგია სავსებით გასაგებია, რადგანაც პოლიტიკაში ნებისმიერი ძალისხმევა საბოლოოდ ექვემდებარება პრაგმატულ მიზანს შეცვალოს, მოდიფიცირება მოახდინოს ან უცვლელი სახით შეინარჩუნოს მოქალაქეთა ქცევა. შეიძლება განსხვავებული ტიპოლოგიის გადმოცემაც. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ნიშანი დაედება მას საფუძვლად.

ტრადიციული პოლიტიკური კამპანია

ტრადიციული პოლიტიკური კამპანია არ მოითხოვდა დიდ ძალისხმევასა და მნიშვნელოვან ფინანსებს. ამ თვალსაზრისით ხშირად იგონებენ აბრაამ ლინკოლნის მიერ ჩატარებულ საარჩევნო კამპანიას, რომელმაც 1846 წელს თავისი კანდიდატურა წამოაყენა აშშ-ის კონგრესში ასარჩევად. მომავალ პრეზიდენტს ფული არ ჰქონდა და მეგობრებმა საარჩევნო კამპანიისათვის 200 დოლარი შეუგროვეს. გამარჯვების შემდეგ ლინკოლნმა მათ დაუბრუნა ფულის ის ნაწილი, რომელიც დაუხარჯავი დარჩა 199 დოლარი და 25 ცენტი. დახარჯული 75 ცენტით კი ლინკოლნმა იყიდა ერთი კასრი ღვინო, რომლითაც გამარჯვება იზეიმეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ლინკოლნი თავისი მშობლიური ქალაქიდან არ გასულა და ერთი სიტყვაც კი არ წარმოუთქვამს ამომრჩეველთა წინაშე.

პოლიტიკური კამპანიის ორგანიზების ტრადიციულმა, «კომუნიკაციურად არაგაჭერებულმა» მოდელმა თითქმის XX საუკუნის შუა ხანებამდე იარსება, განსაკუთრებით ადგილობრივი არჩევნების ჩატარების დროს. პარტიები ან პოლიტიკოსები ძირითადად შემოიფარგლებოდნენ ხოლმე თავისი კანდიდატურების წამოყენებით და განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ საარჩევნო პროგრამების მომზადებას, ან/და წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებას ამგვარ ღონისძიებებზე, ფაქტობრივად, არც არავინ მიდიოდა.

პოლიტიკური კამპანიის მარკეტინგული მოდელი

კამპანიის ოპერაციული მარკეტინგული მოდელის არსი ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით აზრით, მისი საკმაოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი ეტაპის არსებობაა, რომელიც იწყება პრეტენდენტის მიერ ზუსტი პასუხის გაცემით კითხვაზე: მას უბრალოდ უნდა არჩეული იყოს, თუ აპირებს თავისი იდეების გამოხატვას პირველი, რა თქმა უნდა, შეიძლება კარგად უთავსდებოდეს მეორეს, მაგრამ თუკი დომინირებს მისწრაფება თვით გამოხატვისაკენ, ესაა იმის პირობა, რომ საარჩევნო კამპანია მარკეტინგული გზით განხორციელდება.

მარკეტინგული მიდგომა პოლიტიკური კამპანიისადმი ნიშნავს, რომ აუცილებელია შესაბამისობის ძიება ერთი მხრივ, კანდიდატის მიზნებსა და პროგრამებს და, მეორე მხრივ, ელექტორატის მოლოდინებს შორის, რომელთა ინტერესებსაც კანდიდატი ამ შემთხვევაში უფრო შეგნებულად

და არგუმენტირებულად წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. რაც შეეხება ამომრჩევლებთან კონტაქტს, მარკეტინგული მიდგომისათვის დამახასიათებელია არა იმდენად სააგიტაციო მასალების სიჭარბე, რამდენადაც კანდიდატის უნარი შეინარჩუნოს უკვე მოპოვებული ელექტორატი და შეაღწიოს მანამდე აუთვისებელ სოციოლოგიურ და პოლიტიკურ გეოგრაფიულ არეალებში.

პოლიტიკური მარკეტინგი არის ტექნიკური ხერხების ერთობლიობა, რომლებიც იმისათვის გამოიყენება, რომ:

- ↳ კონკრეტული კანდიდატი გაიყვანონ პოტენციურ ელექტორატზე;
- ↳ კანდიდატი ცნობილი გახადონ ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობისათვის;
- ↳ ხაზი გაუსვას სხვაობას კანდიდატსა და მის კონკურენტებს შორის;
- ↳ მინიმალური სახსრების გამოყენებით მოიპოვოს საარჩევნო კამპანიის დროს ხმების აუცილებელი რაოდენობა.

პოლიტიკური კამპანიისადმი მარკეტინგული მიდგომა ნიშნავს, რომ არჩევითი თანამდებობის მოპოვების კანდიდატმა უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

- ↳ შეისწავლოს პოლიტიკური ბაზრის კონიუნქტურა თავისი საარჩევნო ოლქის ფარგლებში;
- ↳ გამოავლინოს პრობლემები, რომლებიც მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს;
- ↳ განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური ინტერესების თანაფარდობა წინასაარჩევნო სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისად.

პოლიტიკური მარკეტინგის დანიშნულებაა დაეხმაროს პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს ეფექტიანი საარჩევნო კამპანიის შემუშავებასა და ჩატარებაში.

პოლიტიკური მარკეტინგი არაა უბრალო რეკლამა, რომელიც პრეტენდენტს შელამაზებულად წარმოადგენს და არარსებულ ღირსებებს მიაწერს. არც მხოლოდ აგიტაციაა, როდესაც ერთნაირი საშუალებებით ხდება მთელ ხალხზე ზემოქმედება, განურჩევლად სოციალური ჯგუფებისა და ინტერესებისა. ბუნებრივია, ასეთი სახის რეკლამა და აგიტაცია წარმატების საეჭვო გარანტია იქნებოდა.

პოლიტიკური მარკეტინგი გულისხმობს სხვადასხვა სოციალური და ეროვნული ჯგუფების ინტერესების სპეციალურ შესწავლას და ამის საფუძველზე ამომრჩეველთა ყოველი კატეგორიისათვის სწორედ პრეტენდენტის იმ რეალურ თვისებებისა და ღირსებების გამოვლენასა და ხაზგასმას, რომელთა მიმართაც ამომრჩეველთა მოცემული ჯგუფები მეტ ინტერესს ამჟღავნებენ. ამასთან, პრეტენდენტის ასეთი თვისებების წარმოჩენა კორექტულად, მიზანდასახულად, საქმის ცოდნით უნდა იყოს გაკეთებული.

პოლიტიკური მარკეტინგი ლიდერობის პრეტენდენტს ეხმარება განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება მისი იდეები და პროგრამა «ბაზრის მოთხოვნილებებს». სპეციალური მეთოდის მეშვეობით ირკვევა თუ ვის, რას და როგორ უნდა ელაპარაკოს პრეტენდენტი თავისი პოლიტიკური მრწამსის ფარგლებში, რა ფორმების მეშვეობით უნდა ჰქონდეს ამომრჩევლებთან ურთიერთობა.

პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარების ფაქტორები

პოლიტიკური კამპანიის ჩატარება, მისდამი მხარდაჭერის ხარისხი მრავალ გარემოებაზე დამოკიდებული, რომლებიც შემთხვევით, წარმავალ ხასიათს ატარებენ. მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების დინამიკაში, რაც უნდა მოულოდნელობით სავსე არ უნდა იყოს, არსებობს რაღაც მუდმივი სიდიდეები, დროში უცვლელი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებისა და მხედველობაში მიღების გარეშე პოლიტიკური კამპანიის წარმატება უბრალოდ შეუძლებელია.

ეკონომიკური კონიუნქტურის მნიშვნელობა. პოლიტიკური კამპანიის ჩატარების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ეკონომიკურ კონიუნქტურას, რომლის ფონზეც იშლება პოლიტიკური კამპანია. თუ პოლიტიკურ გარდაქმნებს ნებით თუ უნებლიედ თან ახლავს საზოგადოების ეკონომიკური დეგრადაცია, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, პოლიტიკური ლიდერების მიერ წამოყენებული მიზნების მხარდაჭერა მინიმალური იქნება, ხოლო წარმატების შესაძლებლობა განუხრევლად შემცირდება.



დადლილობის პრინციპი. პოლიტიკური კამპანიის ჩატარების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იქნას განწყობის დინამიკა იგი, ექსტრაორდინალური გარემოებებით გამოწვეული მცირეოდენი გადახრების გარდა, ემორჩილება «დადლილობის პრინციპის» მოქმედებას. იგი გამოიხატება ადამიანების ინტერესის სწრაფად ზრდასა და სწრაფად დაცემაში ამა თუ იმ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებისადმი. ამიტომ

ნებისმიერი პოლიტიკური კამპანია უნდა გრძელდებოდეს დროის შეზღუდული პერიოდის მანძილზე. დროში მისი გაჭიანურების შემთხვევაში გარდუვალად მცირდება მისი მხარდამჭერი ადამიანების რაოდენობა, ეცემა ინტერესი და ადამიანებს მისდამი გულგრილობა ეუფლება.



ემოციური, ფსიქოლოგიური იმპულსების გამოყენება. პოლიტიკური კამპანიის გაშლისა და მსვლელობის მექანიზმში მნიშვნელოვანწილად ორიენტირებული უნდა იყოს ემოციური, ფსიქოლოგიური იმპულსების გამოყენებაზე. პოლიტიკური კამპანიის დროს აუცილებელია მასების მხარდაჭერის მიღწევა, გარკვეული მიზნების რეალიზებისათვის ადამიანთა დიდი რიცხვის ჩაბმა, ამასთან თავიდანვე ცნობილია, რომ მათი უმრავლესობისათვის მოძრაობის პროგრამა, რომლის მხარდაჭერასაც სთხოვენ, ნაკლებადაა ცნობილი,

ხოლო მიზანი ბუნდოვანია და მთლად ნათელი არ არის. ადამიანთა უმრავლესობის ყურადღება, ბუნებრივია, ექსტრაორდინარული შემთხვევების გარდა, მოქცეულია არაპოლიტიკური ინტერესებისა და პრობლემებისადმი. პოლიტიკური კამპანიის მონაწილეები ისინი შეიძლება გახდნენ გარკვეული შეზღუდული დროის განმავლობაში, ამასთან მათ აღაფრთოვანებთ არა თეორიული კონსტრუქციები და დოქტრინები, არამედ უფრო მარტივი და შემთხვევითი იმპულსებიც კი, ძირითადად ფსიქოლოგიური ხასიათისა.

ამიტომ პოლიტიკური კამპანიის ჩატარების ორგანიზებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ ელემენტებს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ემოციური გამოძახილი, ჩამოაყალიბონ პოზიტიური და მდგრადი დამოკიდებულება მისი მიზნებისადმი. ამისათვის საპროგრამო მიზნებს უნდა მიეცეს მარტივი და სახოვანი ფორმა, ჩამოყალიბდეს ყველასათვის გასაგები ლოზუნგებისა და სიმბოლოების ფორმით.



ლიდერის მნიშვნელობა. ზემოთ დასახელებული მიზნების გამო პოლიტიკურ კამპანიას სათავეში უნდა ჩაუდგეს არა რაღაც უსახო ორგანიზაცია, არამედ საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი, რომლის სახეშიც ხდება მხარდაჭერის პერსონიფიკაცია. ლიდერი წარმოადგენს მოძრაობის მიზნების, კამპანიის მიზნების გამოხატულებას და თვალსაჩინო მატარებელს.

ამ თვალსაზრისით ყველაფერს აქვს მნიშვნელობა: ადამიანებთან თავის დაჭერის უნარს და ურთიერთობის მანერას, პოზას, რაც მაშინვე ექცევა დიდი აუდიტორიის ყურადღების ქვეშ მაგრამ წამყვან როლს მაინც პოლიტიკური სიტყვა ასრულებს, რის გამოც მართალნი არიან ისინი, რომელთა აზრითაც პოლიტიკა კეთდება არა მარტო მოქმედებებით, არამედ სიტყვებითაც. პოლიტიკური ლიდერები თავიანთი გამოსვლებით წარმართავენ ადამიანთა უდიდესი მასების ქვევას.

წარმატებული კამპანიის დახასიათებითი ელემენტები

წარმატებით ჩატარებული კამპანიების შესწავლა აჩვენებს, რომ მათ ყოველთვის ახასიათებს შემდეგი ელემენტები:

- 1) **განმანათლებლობა.** ყოველმა კამპანიამ უნდა გაამდიდროს საზოგადოება ახალი ცოდნით, მიანოდოს მათ რაღაც ისეთი, რომლის შესახებაც ადამიანებს არ ქონდათ წარმოდგენა, გამოიყვანოს ისინი ყოველდღიურობის ფარგლებიდან და წინ გადაუშალოს უფრო ფართო პერსპექტივები.
- 2) **დაგეგმვა.** იგულისხმება აუცილებელი მატერიალური სახსრებით დროული უზრუნველყოფა საზოგადოების მიერ იმ ღონისძიებათა რეალიზებისათვის, რომლისკენაც მოუწოდებენ კამპანიის ორგანიზატორები. ასე მაგალითად, თუკი ისინი ამომრჩევლებს მოუწოდებენ მონაწილეობაში აღიარებულ დავაგემილ მიტინგში, მისი ჩატარებისადგილი უნდა იყოს მოხერხებული, წინასწარ მოწყობილი და ყოველმხრივ ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი.

- Ⓢ) **იძულება.** კამპანიის წარმატებული შედეგის მისაღწევად, გარდა მასტიმულირებელი ფაქტორებისა, უნდა იყოს რაღაც ისეთი, რაც გამოდის საკუთრივ კამპანიის ძალისხმევის ფარგლებიდან. მაგალითად, კამპანია, რომელიც მიმართულია ავტოტრანსპორტში უსაფრთხოების ქამრების გამოყენების დამკვიდრებისაკენ, ვერ მოიტანს სასურველ შედეგს მანამდე, სანამ მიღებული არ იქნება კანონი საჯარიმო სანქციების შესახებ.
- Ⓢ) **უფლებამოსილება.** გარკვეულწილად, ესაა დამატებითი ფორმა კამპანიის მნიშვნელობის გაძლიერებისა. ამ შემთხვევაში იგულისხმება დამატებითი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია საზოგადოების დარწმუნებისკენ კამპანიის და მისი ინფორმაციის უდიდეს მნიშვნელობაში. ასეთი ეფექტი მიიღწევა მაშინ, როდესაც კამპანია ტარდება ოფიციალური დანსებულების ან ავტორიტეტული ორგანიზაციის სახელით ან მისი დავალებით, ანდა როდესაც კამპანიაში ერთვებიან და მას მხარს უჭერენ ის პიროვნებები და ორგანიზაციები, რომლებიც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობენ საზოგადოებაში.
- Ⓢ) **კამპანიის შეფასება.** კამპანიის ორგანიზატორები დროდადრო უნდა ამოწმებდნენ მის მსვლელობას, დაადგინონ რა მოსალოდნელი ცვლილებები მოხდა საზოგადოებისა და მისი ცალკეული პრიორიტეტული ჯგუფების ქცევაში.

ტელევიზია როგორც პოლიტიკური კამპანიის ორგანიზების საშუალება

თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკური სახეების ფორმირების ძირითად და ყველაზე მძლავრ საშუალებას ტელევიზია წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია პოლიტიკური კამპანიების ორგანიზებისა და წარმართვის ისეთი მძლავრი საშუალებები როგორცაა:

- ☞ პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფი და უსაზღვროდ დიდი რაოდენობით ტირაჟირების უნარი;
- ☞ პოლიტიკური ინფორმაციის მიწოდება მყისიერად, მკაფიო და ნებისმიერი ადამიანისათვის გასაგები ფორმით, «სახლში მიწოდებით». ამასთან მას არ მოეთხოვება სპეციალური ძალისხმევა ამ ინფორმაციის შესათვისებლად.

ტელევიზიის წამყვანი როლი პოლიტიკური სახეების ფორმირებისა და, საერთოდ, პოლიტიკური პროცესის მონაწილე ძირითადი მასის პოლიტიკური ორიენტაციების ფორმირება გამომდინარეობს თანამედროვე ადამიანის კულტურის სპეციფიკიდან, რომელიც ატარებს სულ უფრო მკაფიოდ გამოხატულ აუდიოვიზუალურ ხასიათს ინფორმაციის ძირითად ნაწილს იგი ღებულობს ხმოვანი და ხედვითი სახეების მეშვეობით. მრავალი პოლიტიკური მოღვაწე ცნობილი გახდა სწორედ ტელეკამერის წინ თავის დაჭერის უნარით.

სწორედ ამიტომ ლაპარაკობენ თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისა და პოლიტიკური ხელისუფლების კონვერგენციის, შერწყმის შესახებ. ის ვინც ამ საშუალებებს არ ფლობს, ან არ შეუძლია სათანადოდ გამოყენება გადაიქცევა პოლიტიკურ მაგალითად.

მაგრამ ტელევიზიას როგორც პოლიტიკური კამპანიების ორგანიზების საშუალებას თავისი ნაკლოვანებანიც აქვს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მისი გამოყენების დროს. ტელევიზიით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული სახეები, სტერეოტიპები და ორიენტაციები არამდგრადია, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პოლიტიკური კონიუნქტურის დინამიკაზე და შეიძლება სწრაფად იცვლებოდეს, ამასთან რადიკალურად და დროის ხანმოკლე პერიოდის მანძილზე. ამასთან სატელევიზიო ინფორმაცია სწრაფად ეძლევა დავინყებას და ხშირად აღიქმება საკმაოდ დამახინჯებული სახით.



**პოლიტიკური
პარტიების ქცევის
კოდექსი**

ზოგადი ინფორმაცია

საარჩევნო ქცევის კოდექსი ძირითადად ორი მახასიათებლით შეიძლება იქნას წარმოდგენილი:

- ⇒ ქცევის კოდექსი პოლიტიკური პარტიების მიერ მიღწეული შეთანხმების შედეგია. ამგვარი შეთანხმება ძალაში ერთზე მეტი არჩევნების დროს შეიძლება დარჩეს.
- ⇒ ქცევის კოდექსი საარჩევნო წესების შესავსები საშუალებაა. სწორედ ამიტომ ის თამაშობს მნიშვნელოვან როლს გარდამავალი პერიოდის არჩევნებში. მათი მიზანი ორმაგია: ერთი მხრივ, არჩევნების მშვიდად განვითარებას მიაღწიონ, მეორე მხრივ კი – თავიდან აიცილონ რაიმე დარღვევა ძალაუფლების მქონე ჯგუფებისგან.

ბევრი განსხვავება არსებობს, რომლებიც ამ ორს ერთმანეთისგან აცალკევებს. ამგვარი განსხვავებები მათი განმასხვავებელი ნიშან-თვისებებიდან, ასევე იქიდან გამომდინარეობს, თუ რამდენად ძლიერია მათგან წარმოშობილი ვალდებულებები.

პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ ქცევის კოდექსი შეიმუშაონ, რომელზე ხელისმომწერთა რიცხვში საერთაშორისო ორგანიზაციებიც შესაძლებელია იყოს. კოდექსების მხარდაჭერა საარჩევნო უწყებების მიერ შეიძლება მოხდეს.

ქცევის კოდექსის ძირითად მიზნებში შედის:

- ↳ ნებისმიერი სახის დაშინების და ძალადობის პრევენცია;
- ↳ ქცევის წესების დადგენა კამპანიის გამართვასთან დაკავშირებით;
- ↳ ნებისმიერი სახის არასათანადო ქცევის პრევენცია ძალაუფლების მქონე პოლიტიკური პარტიებისგან.

პოლიტიკური პარტიები ხშირ შემთხვევებში იღებენ ზოგად კოდექსს, რომელიც არ შეიძლება ქცევის კოდექსად იქნას მიჩნეული. ამგვარი კოდექსები სავალდებულოა მხოლოდ თავიანთი აქტიური წევრებისთვის და არა სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის.

ნებაყოფლობითი „ქცევის კოდექსი“

პოლიტიკური პარტიების „ქცევის კოდექსი“ შეიძლება რამდენიმე გზით შემუშავდეს და თავისი ხასიათით შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს:

1. ის შეიძლება საარჩევნო კანონის ნაწილი იყოს, რომელიც დადგენილია ქვეყნის სუვერენული ძალაუფლებს მიერ; მაგალითად, იხილეთ 1992 წლის კამბოჯის ერთიანი ეროვნული საარჩევნო კანონის დანართი. ზოგჯერ კანონმდებლობაში მოცემული დებულება პარტიათა ქცევას აწესრიგებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულებებს არ აღწერენ როგორც „ქცევის კოდექსს“.
2. მისი შეთანხმება შეიძლება პოლიტიკური პარტიების მიერ მოხდეს, როგორც მხოლოდ მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგი, ან უფრო ხშირად, მესამე მხარის შუამდგომლობით გამართული მოლაპარაკებების შედეგი. ამის მაგალითი არის 1989 წლის ნამიბიის დამოუკიდებელი არჩევნების წინ მიღწეული შეთანხმება.
3. ის შეიძლება შეთანხმდეს პარტიების მიერ და შემდეგ შეერწყას კანონს. როგორც ჩანს, პარტიები, რომლებმაც 1996 წლის არჩევნების წინ სიერა-ლეონეში შეთანხმდნენ, რომ ქცევის კოდექსი კანონად გაფორმდებოდა, თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა.
4. ის შეიძლება დადგენილი იყოს მესამე მხარის მიერ, მაგალითად, როგორცაა საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანო.

შეიძლება განსხვავება არსებობდეს იმ ტექსტებს შორის, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები ნებაყოფლობით აღიარებენ და რომელსაც პოლიტიკურ პარტიებს თავს ახვევს სუვერენული კანონიერი ხელისუფლება ან სხვა უფლებამოსილი ორგანო. ავტორთა გარკვეული რაოდენობა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პოლიტიკური პარტიების მიერ ქცევის კოდექსზე **ნებაყოფლობით** ხელისმომწერაზე.

ამ ტექსტში მოცემული კოდექსი არის ნებაყოფლობითი კოდექსი და ეფუძნება შემდეგ განმარტებას:

„პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო პროცესში მათ მხარდამჭერთათვის შემუშავებული ქცევის წესების ერთობლიობა, რომელსაც იდეალურ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები ნებაყოფლობით დაეთანხმებიან; და რომელიც მიღწეული შეთანხმების შემდეგ შეიძლება კანონში გაერთიანდეს.“

ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსის გამოყენების მიზნები. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მიმართ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის მისეულ კვლევაში გუდვინ-გილი აღნიშნავს, რომ:

„პარტიებს შორის შეთანხმებული ქცევის კოდექსი სულ უფრო მეტად მისაღებია პოტენციურად დაძაბულ სიტუაციებში, როგორც მშვიდობიან არჩევნებში წვლილის შეტანის პრაქტიკული საფუძველი; გრძელვადიანი პერსპექტივით ასეთმა კოდექსებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს რწმენის გაზრდას დემოკრატიული პროცესისადმი, როგორც წარმომადგენლობითი მმართველობის დანერგვისა და მშვიდობიანი ცვლილებების მექანიზმი. გარდამავალ სიტუაციებში კრიტიკული პრობლემა ხშირად არის კონკურენტი პარტიების უუნარობა ერთმანეთთან დაამყარონ კომუნიკაცია, რასაც თან ერთვის რწმენის ნაკლებობა, რომ სისტემას შეუძლია თავისუფალი და სამართლიანი შედეგი წარმოშვას. ქცევის კოდექსებს, რომლებშიც პარტიები ძირითად პროცედურულ წესებზე და იმაზე თანხმდებიან, რომ ერთმანეთს რეგულარულად შეხვდნენ საარჩევნო კამპანიის პერიოდში, აშკარად დიდი წვლილი შეაქვს არა მარტო პოტენციური სახიფათო კონფრონტაციის თავიდან აცილებაში, არამედ დემოკრატიული პროცესის საზოგადოებრივ მხარდაჭერაში.“

თანამეგობრობის სამდივნო თავის თანამეგობრობის კარგ საარჩევნო პრაქტიკაში ახსენებს (პარაგრაფი 29):

„წერილობითი „ქცევის კოდექსი“ შემუშავება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, რომელსაც ყველა პოლიტიკური პარტია, მათი კანდიდატები და აგენტები, ასევე ყველა დამოუკიდებელი კანდიდატი და მათი აგენტები აწერენ ხელს და ფორმალურად იღებენ ვალდებულებას დაემორჩილონ მის პირობებს. ... ასეთი „კოდექსით“ აღჭურვილი საარჩევნო ორგანო შეიძლება უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რათა თავისი მორალური და კანონიერი უფლებამოსილება იმ პარტიებზე განავრცოს, რომლებიც შესაძლოა ამ კოდექსის დადგენილებებს არღვევენ. „კოდექსი“ ასევე ღირებული მექანიზმია პოლიტიკური ტოლერანტობის საჯარო ატმოსფეროს შესაქმნელად.“

პარტიების მიერ ქცევის კოდექსის ნებაყოფლობითი დაცვის სასარგებლოდ სხვა არგუმენტებიც არსებობს. მაგალითად:

- (ა) უფრო დიდია ალბათობა, რომ პარტიები იგრძნობენ ვალდებულებას, თუ მას ნებაყოფლობით აიღებენ და ამდენად, ასევე დიდია ალბათობა, რომ ამ ვალდებულებებს შეასრულებენ. ეს ყველა არჩევნებს ეხება, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის არჩევნებში, როდესაც მოქალაქეებს პირველად ეძლევათ ხმის მიცემის შესაძლებლობა და შეიძლება ეჭვი შეიტანონ აქამდე არსებული დომინანტური რეჟიმის ავტორიტეტში, მის მიერ შემოღებულ კანონებსა და მისი ორგანოების მიერ გამოცემულ დირექტივებში.
- (ბ) თუ ქცევის კოდექსი ძალაში არ შედის კანონიერი მეთოდებით, ის შეიძლება ეფექტური იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პარტიები კეთილსინდისიერად იქცევიან, რისი ალბათობაც უფრო დიდია, თუ პარტიებმა ნებაყოფლობით აიღეს ვალდებულება, რომ ქცევის კოდექსის შესაბამისად იმოქმედებენ.
- (გ) ნებაყოფლობითი კოდექსის შემთხვევაში პარტიებს შეუძლიათ საკუთარი თავი და ერთმანეთი დაავალდებულონ, შეასრულონ ან არ შეასრულონ ვალდებულებები; წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშვებოდა კონფლიქტი საერთაშორისო ან კონსტიტუციურ ვალდებულებებთან, როგორცაა მაგალითად, სიტყვის ან გაერთიანების თავისუფლება.
- (დ) კონსულტაციებში მონაწილეობით, ნებაყოფლობითი კოდექსის შემუშავებითა და გამოყენებით პოლიტიკურ პარტიებს დადებითი წვლილი შეაქვთ საარჩევნო კამპანიის სტილსა და კულტურაში.

ქვეყნის კოდექსის შეთანხმება

ნებაყოფლობითი კოდექსის შემთხვევაში პარტიები კოდექსის ტექსტზე უნდა შეთანხმდნენ. არის გარკვეული საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა განიხილონ შეთანხმების პროცესში:

1. ვის ეხება ქვეყნის კოდექსი?

ქვეყნის კოდექსმა ღიად უნდა დაავალდებულოს სულ მცირე:

- (ა) პარტიები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ შეთანხმების პროცესში; და
- (ბ) პარტიების ლიდერები, ოფიციალური პირები, კანდიდატები და წევრები თითოეული პარტიის კონტროლის მეშვეობით.

გონივრულობის ფარგლებში, ადგილობრივი გარემოებების შესაბამისად, პარტიამ:

- (ა) უნდა განახორციელოს თავისი მხარდამჭერების ქმედებების კონტროლი; და
- (ბ) პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი მხარდამჭერების მიერ კოდექსის დარღვევის შემთხვევაში.

თუ ნებაყოფლობითი ქვეყნის კოდექსი საბოლოოდ კანონში ჩაიდება, კანონი ან საზოგადო საკანონმდებლო ჩარჩო განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა დაემორჩილოს კოდექსს.

2. რა პერიოდის განმავლობაში მოქმედებს კოდექსი?

პერიოდის ხანგრძლივობა კონკრეტულ შემთხვევასა თუ კონტექსტზე იქნება დამოკიდებული: გარკვეულ გარემოებებში, ის იქნება კანონში ასახული საარჩევნო პერიოდი; სხვა შემთხვევაში, თავად კოდექსმა შეიძლება განსაზღვროს თავისი მოქმედების ხანგრძლივობა.

კოდექსი ყოველთვის იმოქმედებს საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან სერტიფიკაციამდე და შედეგების გამოცხადებამდე.

ამას გარდა, კოდექსი ნებისმიერ პერიოდს უნდა შეეხოს, რომლის განმავლობაშიც კოდექსის დარღვევას შესაძლოა ჰქონდეს განსაკუთრებით დრამატული ეფექტი საარჩევნო პროცესის სამართლიანობაზე.

ტიპურ კოდექსში ბევრი დადგენილება, მაგალითად, ისეთები, რომლებიც ადამიანის ზოგად და პოლიტიკურ უფლებებს ასახავენ და იცავენ, მთელი დროის განმავლობაში იმოქმედებს.

3. რა სანქციები ამოქმედდება კოდექსის დარღვევის შემთხვევაში?

ყველაზე მთავარი სანქცია, რაც თითქმის ყველა შემთხვევას შეეხება, არის საჯარო გაცხადება, რომ პარტიამ კოდექსი ვერ შეასრულა, ან იმ პიროვნებებმა ვერ დაიცვეს კოდექსი, რომლის ქცევაზეც თავად პარტიას გააჩნია გარკვეული პასუხისმგებლობა. სანქციის ტიპი შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყნისთვის.

თუ კოდექსი კანონშია ჩადებული, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სასჯელი შეიძლება ამოქმედდეს. ასევე შესაძლებელია სხვა სპეციფიკური საარჩევნო სასჯელის ამოქმედება, როგორცაა კანდიდატების ან პარტიების დისკვალიფიკაცია.

რა სამართლებრივი თუ სხვა სახის სანქციაც არ უნდა იყოს დადგენილი, პარტიასა და მის წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ნათლად გაიაზრონ თავიანთი ვალდებულებები. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ როგორც ვალდებულებები, ასევე სანქციები მონოდედებული უნდა იყოს ნათლად გამოხატული კანონიერი ფორმით.

4. ქვეყნის კოდექსის საარჩევნო კანონთან მიმართება

საარჩევნო კანონმდებლობა ადგენს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საჩივრებისა და დავების განხილვისას გამოსაყენებელ პროცედურებსა და მექანიზმებს. აღნიშნული დებულებები განსხვავებული იქნება თითოეული ქვეყნისთვის, როგორც დეტალებით, ასევე შინაარსის თვალსაზრისით და შესაძლოა ქვეყნის კოდექსის გატარებაზეც გავლენა მოახდინოს. მაგალითად, ქვეყნის საარჩევნო კანონმა ქვეყნის კოდექსის დარღვევის ან დარღვევის საფუძველზე წამოჭრილ სადაო საკითხის ფაქტთან დაკავშირებით შეიძლება დაანესოს სასამართლო გამოძიება ან სხვა მექანიზმი, როგორცაა შუამდგომლობა.

5. ქვეყნის კოდექსის ადამიანთა უფლებების კოდექსთან ურთიერთმიმართება

ტიპობრივად, კოდექსმა საზოგადოდ მისაღები დებულებები უნდა მოიცავს, რომლებშიც ადამიანის ძირითადი და პოლიტიკური უფლებები შედის. თუმცა, ზოგიერთი უფრო ღირებული დებულება

შეიძლება იყოს:

- (ა) ისინი, რომლებიც პარტიებისგან მოითხოვენ საკუთარი უფლებებს გამოყენების თავის შეზღუდვას; და
- (ბ) პროცედურები, რომლებიც უნდა ამოქმედდეს, როდესაც სხვადასხვა პარტიების უფლებები პოტენციურად ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

საკუთარი თავის შეზღუდვის სასურველი ფორმები და კოფლიქტური უფლებების მოგვარების პროცედურები ისეთი ფაქტორებით განისაზღვრება, როგორცაა:

- (ა) ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციები და კულტურა;
- (ბ) საფრთხე, რომელიც შეიძლება არსებობდეს საარჩევნო პროცესის მიმართ; და
- (გ) გაბატონებული ინსტიტუციური ჩარჩო.

წარსულში თითოეული ქვეყნის სპეციფიკური გარემოებების მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად იყო ასახული ეროვნულ კოდექსებში. IDEA International-ს ამ კოდექსების ფართო კოლექცია აქვს და მოლაპარაკებაში ჩართულ პირებს მათი გამოყენება შეუძლიათ ახალი კოდექსის შედგენის დროს იდეების შემუშავებისას.

6. ქვეყნის კოდექსის განხორციელება

იმისთვის, რომ კოდექსი გამოსადეგი იყოს, პარტიები მას უნდა ემორჩილებოდნენ და აღიქვამდნენ არა როგორც უბრალოდ მექანიკური წესების ერთიანობას, არამედ როგორც პრინციპების ერთობლიობას, რომელსაც პატივი უნდა სცენ როგორც შინაარსს, ასევე თავად დოკუმენტს. არც ერთ კოდექსს არ შეუძლია გაითვალისწინოს და წარმოადგინოს შესაფერისი პასუხი ყველა სიტუაციაზე, რომელიც შეიძლება არჩევნების მსვლელობისას განვითარდეს. ყველა შემთვევაში, კოდექსის იმპლემენტაცია სალი აზრითა და კეთილსინდისიერებით უნდა მოხდეს.

პარტიებმა, რომლებიც ქვეყნის კოდექსის თაობაზე მოლაპარაკებას გამართავენ, უნდა აიღონ ვალდებულება, რომ:

- (ა) კოდექსის მიღების შემდეგ რეგულარულად შეხვდებიან, რათა საარჩევნო კამპანიის პერიოდში კოდექსზე დაკვირვების შედეგები განიხილონ. ასეთი სახის შეხვედრებში მონაწილეობის ვალდებულება შეიძლება თავად კოდექსშივე განისაზღვროს.
- (ბ) შეხვდებიან საარჩევნო კამპანიამდე და მის ადრეულ ეტაპებზე კოდექსის განხილვის მიზნით. ეს შეხვედრები შეიძლება ტოლერანტული საარჩევნო კამპანიისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყოს.

ქვეყნის კოდექსი³⁶

დემოკრატიული არჩევნების კამპანიის განმავლობაში საზოგადოდ მიღებული ძირითადი რეკომენდაციები არსებობს, რომლებიც პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ.

1. კოდექსის გამოყენება

ამ კოდექსში, სიტყვა „პარტიის“ მოიცავს :

- (ა) ნებისმიერი ერთეულს, რომელიც ემხრობა ქვეყნის ამ კოდექსს – პოლიტიკური პარტიები, დამოუკიდებელი კანდიდატები, პარტიათა ალიანსები ან კოალიციები, პოლიტიკური მოძრაობები (არ არის იგივე რაც პოლიტიკური პარტია); და
- (ბ) ნებისმიერი ერთეულის ლიდერს, ოფიციალური პირს, კანდიდატს, წევრს, წარმომადგენელს, რომელიც ქვეყნის კოდექსს ემხრობა.

2. კოდექსის პრინციპები

(1) დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნებით არჩეული მთავრობის ლეგიტიმურობა შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

- (ა) ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის პოლიტიკისა და მახასიათებლების გაცნობის მიზნით გამართული საარჩევნო კამპანიების მეშვეობით ინფორმირებულობა ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი; და
- (ბ) ამომრჩევლებს საშუალება აქვთ თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში, ყოველგვარი ჩარევის, შიშის, გაუმართლებელი ზეგავლენისა თუ მოქრთამვის გარეშე.

36 საავტორო უფლება ეკუთვნის დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტს (International IDEA).

- (2) ყველა პარტია, რომელიც საარჩევნო კამპანიის ამ კოდექსს აღიარებს, იღებენ ვალდებულებას დაიცვან ეს პრინციპები ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად, ასევე დაემორჩილოს ამ კოდექსს ისე, რომ :
- (ა) ეს პრინციპები დაცულია;
 - (ბ) არჩევნები აღიარებულია, როგორც ამომრჩეველთა ნამდვილი თავისუფალი არჩევანის გამოხატულება; და
 - (გ) ამ არჩევანის შედეგს ყველა პატივს სცემს.
- (3) ნებისმიერ სიტუაციაში, რომელიც დაკავშირებულია საარჩევნო პროცესთან, პარტიამ ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად უნდა იმოქმედოს.

3. კოდექსის დაცვა

(1) პარტია, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- (ა) ამ კოდექსს ემორჩილება;
- (ბ) გადამწყვეტ ზომებს მიიღებს, რათა ლიდერების, ოფიციალური პირების, კანდიდატებისა და წევრების მიერ კანონის დარღვევა აღკვეთოს;
- (გ) ყველა გონივრულ ზომას მიიღებს, რათა ხელი შეუშალოს მათი მხარდამჭერების ქმედებას, რომელიც, თუ განხორციელდება პარტიის ხელმძღვანელობის, კანდიდატის ან წევრის მიერ, კოდექსის დარღვევა იქნება; და
- (დ) ბოროტად არ გამოიყენოს კოდექსის დარღვევის შესახებ საჩივრის აღძვრის უფლება და ყალბი, არასერიოზული და გამაღიზიანებელი საჩივრები არ აღძრას.

(2) პარტიის ლიდერმა, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, უნდა გასცეს დირექტივები პარტიის ხელმძღვანელობის, კანდიდატების, წევრებისა და მხარდამჭერების მიმართ და თითოეულ მათგანს უნდა მოსთხოვოს:

- (ა) დაიცვას კოდექსი; და
- (ბ) ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელოს, რათა კოდექსის დაცვა უზრუნველყოს.

4. კანონთან შესაბამისობა

პარტია, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, არსებული საარჩევნო კანონები, წესები და დადგენილებები უნდა გაითვალისწინოს.

5. საარჩევნო კამპანიის მართვა

(1) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- (ა) პატივი უნდა სცეს ყველა სხვა პარტიის საარჩევნო კამპანიის წარმართვის უფლებასა და თავისუფლებას, ასევე თავიანთი პოლიტიკური იდეების და პრინციპების ყოველგვარი შიშის გავრცელების მიმართ;
- (ბ) თავისი ქცევით უნდა გამოხატოს პატივისცემა სხვა პარტიების უფლებების მიმართ, ასევე პატივი სცეს ამომრჩეველთა და საზოგადოების სხვა წევრთა უფლებებს;
- (გ) პატივი უნდა სცეს პრესის თავისუფლებას;
- (დ) გამოიყენოს თავისი ოფისები, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა პარტიას გააჩნდეს გონივრული თავისუფლება ყველა პოტენციურ ამომრჩეველთან ურთიერთობისთვის;
- (ე) უნდა უზრუნველყოს, რომ პოტენციურ ამომრჩევლებს, რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ შესაბამის პოლიტიკურ საქმიანობაში, მათ სურვილის განხორციელების თავისუფლება ჰქონდეთ.

(2) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- (ა) არ უნდა გააღიზიანოს ან ხელი შეუშალოს ჟურნალისტებს, რომლებიც ჩართულნი არიან თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში; არ უნდა ჩაშალოს, აღკვეთოს ან დაშალოს სხვა ნებისმიერი პარტიის საარჩევნო კამპანიის მცდელობა;
- (ბ) ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა პარტიებისა და კანდიდატების განცხადებებისა და საინფორმაციო ფურცლების გავრცელების, პოსტერების გავრცელების პროცესს;
- (გ) არ უნდა დააზიანოს ან გაანადგუროს სხვა პარტიებისა და კანდიდატების პოსტერები;
- (დ) ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა ნებისმიერ პარტიას გამართოს შეკრებები, შეხვედრები, მსვლელობა ან დემონსტრაცია;
- (ე) არ უნდა შეეცადოს ხელი შეუშალოს ნებისმიერ პიროვნებას დაესწროს სხვა პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ შეკრებას; ან

(ვ) არ უნდა დართოს ნება თავის მხარდამჭერებს განახორციელოს რაიმე სახის ქმედება, რაც აკრძალულია ამ განყოფილებაში.

6. არჩევნების პროცესი

(1) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

ა) უნდა ითანამშრომლოს საარჩევნო ხელმძღვანელობასთან, რათა უზრუნველყოს:

- მშვიდობიანი და წესრიგის შესაბამისად მიმდინარე კენჭისყრა, და
- ამომრჩეველთა სრული თავისუფლება, რათა მათ აღასრულონ ხმის მიცემის უფლება ყოველგვარი დაპირისპირებისა და გაღიზიანების გარეშე;

ბ) უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ხელმძღვანელობის უსაფრთხოება და უშიშროება კენჭისყრამდე, კენჭისყრის პროცესში და კენჭისყრის შემდეგ;

გ) პატივი უნდა სცეს და ითანამშრომლოს არჩევნების ოფიციალურ ან აკრედიტებულ დამკვირვებელთან; და

დ) ხელი უნდა შეუწყოს და დაიცვას კენჭისყრის ფარულობა.

(2) პარტია, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

ა) არ უნდა შეეცადოს ხმების მოპოვებას საარჩევნო უბნებში ძალდატანების მეშვეობით ან რაიმე უკანონო ქმედებებით საარჩევნო უბნებში;

ბ) უსაფუძვლოდ ან არაკეთილსინდისიერად არ უნდა შეიჭრას საარჩევნო ხელმძღვანელობის მოვალეობებში, ხელი შეუშალოს კენჭისყრის ან ხმების დათვლის პროცესს; ან

გ) მოტყუებით არ უნდა უმტკიცოს ამომრჩევლებს, რომ მათი ხმა ფარული არ იქნება.

7. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგების აღიარება

პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

(ა) უნდა მიიღოს კანონიერად აღიარებული არჩევნების შედეგები;

(ბ) ნებისმიერი სახის საჩივრით უნდა მიმართოს შესაბამის სააგენტოს, რომელსაც შეუძლია საკითხის გადაწყვეტა; და

(გ) უნდა მიიღოს და დაემორჩილოს დავების მოგვარების სააგენტოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას.

8. ენა

(1) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

(ა) უნდა მოახდინოს თავისი საარჩევნო კამპანიის ორგანიზება და განხორციელება იმგვარად, რომ წვლილი შეიტანოს კეთილმოსურნე და მშვიდობიანი ატმოსფეროს შექმნაში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც საარჩევნო კამპანია, კენჭისყრის პროცესი, ხმის დათვლის პროცესი და არჩევნების შემდგომი პერიოდი მიმდინარეობს; და

(ბ) უნდა იმოქმედოს თავისი სტატუსის შესაბამისად პასუხისმგებლობის გრძნობითა და ღირსებით.

(2) პოლიტიკურ შეკრებებზე გამომსვლელებმა თავი უნდა აარიდონ ისეთი ენის გამოყენებას, რომელიც:

(ა) არის შეურაცხმყოფელი, ან ცილისმწამებლური; ან

(ბ) მიმართავს დაშინებას ან წარმოშობს ძალმომრეობას ნებისმიერი სხვა პირის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ.

(3) პარტიამ, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, არ უნდა გამოსცეს, ოფიციალურად თუ ანონიმურად, პამფლეტები, საინფორმაციო ფურცლები ან პოსტერები, რომელიც ისეთ ენას ან მასალას შეიცავს, რაც დაშინებას მიმართავს და ძალმომრეობას იწვევს.

9. სიმბოლოები

პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

(ა) არ უნდა მოახდინოს სხვა პარტიების სიმბოლოების იმიტაცია;

(ბ) მოიპაროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მეორე პარტიის პოლიტიკური და საკამპანიო მასალები;

(გ) არ უნდა მისცეს უფლება თავის მხარდამჭერებს ამ ნაწილში მოცემული აკრძალვების განხორციელების უფლება.

10. დაშინება და ძალმომრეობა

- (1) პარტია, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, გამოთქვამს თანხმობას, რომ ნებისმიერი ფორმის დაშინება მიუღებელია და :
 - (ა) უნდა გამოსცეს დირექტივები, რომლებშიც ნათლად უკრძალავს თავის ხელმძღვანელობას, კანდიდატებს, წევრებს და მხარდამჭერებს დააშინოს ნებისმიერი პირი ნებისმიერ დროს;
 - (ბ) უნდა განახორციელოს თავისი ხელმძღვანელობის, კანდიდატების, წევრების ან მხარდამჭერების მიერ განხორციელებული ძალმომრეობის ან ძალმომრეობით დაშინების, ვანდალიზმის ნებისმიერი აქტის ან ჩადენილი საზოგადოებრივი არეულობის საწინააღმდეგო კამპანია; და
 - (გ) პატივი უნდა სცეს სხვა პიროვნებებსა და პარტიებს და მათ ქონებას.
- (2) იმ პარტიის ლიდერმა, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, ინსტრუქციები უნდა მისცეს თავისი პარტიის ხელმძღვანელობას, კანდიდატებს, წევრებსა და მხარდამჭერებს, რომ არანაირი სახის იარაღი, ნებისმიერი ტრადიციული იარაღის ჩათვლით, არ უნდა მოიტანონ პოლიტიკურ შეკრებებზე, შეხვედრებზე, მსვლელობის ან დემონსტრაციის დროს.
- (3) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:
 - (ა) არ უნდა ჩაერთოს ან გასცეს ნებართვა ჩაერთონ ნებისმიერი სახის ძალმომრეობის აქტში პარტიის ძალისა დემონსტრირებისა და უპირატესობის დასამტკიცებლად;
 - (ბ) არ უნდა მიაყენოს ზიანი რომელიმე საჯარო ან კერძო საკუთრებას; ან
 - (გ) არ უნდა მისცეს ნება თავის მხარდამჭერებს განახორციელონ ამ ნაწილით აკრძალული რაიმე ქმედება.

11. თანამდებობის ბოროტად გამოყენება

- (1) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:
 - (ა) არ უნდა გამოიყენოს ბოროტად თანამდებობრივი ძალაუფლება, პრივილეგიები ან გავლენა პოლიტიკური მიზნებისთვის ჭილდოს შეთავაზების გზით, სასჯელით დაშინებით, ან სხვა რაიმე საშუალებით; ან
 - (ბ) არ უნდა გამოიყენოს ოფიციალური სახელმწიფო, საოლქო, მინიციპალური ან სხვა საჯარო რესურსები საარჩევნო კამპანიის მიზნით.
- (2) ამ ნაწილში მოცემული „ძალის, პრივილეგიების ან გავლენის პოზიცია“ მოიცავს მშობლების, პატრიარქალური, სამთავრობო, პოლიციის, სამხედრო ან ტრადიციული ძალაუფლების პოზიციას.

12. კორუფციული პრაქტიკა

პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- (ა) არ უნდა გამოიწვიოს იძულება ან ფულადი ან სხვა სახის სტიმულით პიროვნებების იძულება-ნახალისება ხმა მისცენ რომელიმე კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, ან უარი ათქმევინოს კენჭისყრის პროცესში მონაწილეობის მიღებისგან;
- (ბ) არ უნდა აიძულოს ან შესთავაზოს რაიმე სახის ფულადი ან სხვა სახის წამახალისებელი ფაქტორები, რათა ზეგავლენა მოახდინოს პიროვნების არჩევანზე წამოაყენოს თუ არა არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა, ან მოხსნას თუ არა თავისი კანდიდატურა; ან
- (გ) არ შეეცდება მიიღოს ოფიციალური და სამოქალაქო მოსამსახურეების დახმარება ან მხარდაჭერა კანდიდატის ასარჩევად ან რომელიმე კანდიდატის არჩევის დასაბრკოლებლად.

13. უწყვეტი კომუნიკაცია

- (1) პარტიამ, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, ყველა ძალისხმევა უნდა იხმაროს, რათა პქონდეს უწყვეტი კომუნიკაცია სხვა პარტიებთან, რომლებიც ასევე ამ კოდექსის ფარგლებში მოქმედებენ.
- (2) უნდა შეიქმნას კომიტეტი, რომელიც სადისკუსიო ფორუმის სახით იფუნქციონირებს იმ საერთო საკითხების განსახილველად, რაც საარჩევნო კამპანიის პროცესში წამოიჭრება. აღნიშნული კომიტეტი იმ პარტიების მიერ უნდა დაარსდეს, რომლებიც ამ კოდექსს აღიარებენ. კომიტეტი შედგება:
 - (ა) პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან,
 - (ბ) მოწინააღმდეგე კანდიდატების წარმომადგენლებისგან, და
 - (გ) საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან.

ქვეყნის კოდექსის პრაქტიკული მახასიათებლები

პოლიტიკური პარტიების ქვეყნის კოდექსი – კამბოჯა

1. ყველა ადამიანი, პოლიტიკური პარტია თუ მათი ლიდერები, წევრები და მხარდამჭერები, ყველა წინასწარ თუ ოფიციალურად რეგისტრირებული პარტია თუ მათი ლიდერები, წევრები, მხარდამჭერები და კანდიდატები უნდა იცავდნენ ამ ქვეყნის კოდექსს.
2. ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს და შეუძლია გამოიყენოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ფუნდამენტალური უფლება, მათ შორის კამპანიის წარმართვის თავისუფლების უფლება.
3. ყველა პოლიტიკურ პარტია ვალდებულია პატივი სცეს სხვა პარტიების უფლებას გამართოს საარჩევნო კამპანია და საკუთარი პოლიტიკური იდეები და პრინციპები გაავრცელოს შიშის გარეშე.
4. ყველა პოლიტიკური პარტია, ოფიციალურად თუ წინასწარ რეგისტრირებული, მათი ლიდერები, წევრები, მხარდამჭერები და კანდიდატები ვალდებული არიან დაემორჩილონ შემდეგ წესებს:
 - (1) ნებისმიერი სახის დაშინება უნდა იქნას აკრძალული და წინასწარ თუ ოფიციალურად რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიათა სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები თუ ბრძანებები ამ აკრძალვას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს.
 - (2) აკრძალულია ნებისმიერი სახის იარაღის, ან იარაღის სახით გამოყენებადი ნივთის ფლობა ნებისმიერი პოლიტიკური თავყრილობის, შეხვედრის, მსვლელობისა თუ დემონსტრაციის დროს. პარტიებათა სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები და ბრძანებები ამ აკრძალვას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს.
 - (3) პარტიები და კანდიდატები ვალდებული არიან აცნობონ UNTAC ადგილობრივ ოფისს ნებისმიერი დაგეგმილი საჯარო მიტინგისა თუ პოლიტიკური შეხვედრის შესახებ და კეთილსინდისიერად უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული ძალისმიერი დაპირისპირება ან კონფლიქტი მხარდაჭერებს შორის. ამგვარი აქციები უნდა შეესაბამებოდეს ყველა დირექტივას, ინსტრუქციასა თუ ბრძანებას, რომელიც UNTAC –ის მიერაა გამოცემული ამგვარი მიტინგების შესახებ.
 - (4) ყველა პარტიამ თავიდან უნდა აიცილოს სხვა მიტინგის, შეხვედრის, მსვლელობისა თუ დემონსტრაციის დროსა და ადგილის დამთხვევა სხვა პარტიებთან, რის თაობაზეც აუცილებელია UNTAC –თან ასევე პარტიებთან თანამშრომლობა.
 - (5) ყველა პარტია, მათი წევრები და მხარდამჭერები თავს უნდა იკავებდნენ სხვა პარტიების მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების ხელის შეშლისგან.
 - (6) პარტიებმა და კანდიდატებმა ნებისმიერ დროს თავიდან უნდა აიცილონ სიტყვებში, გადაცემებში, პამფლეტებში, ჟურნალებში, პრესასთან განაცხადებებში, პოსტერებში, პარტიის პლატფორმებში, კამპანიის სარეკლამო ინფორმაციაში გამაღიზიანებელი ენის ან ისეთი ენის გამოყენება, რომელიც აშინებს ან რაიმე სახის ძალადობას იწვევს სხვების მიმართ.
 - (7) ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავი უნდა შეიკავოს მოსახლეობის სხვა პარტიების მიტინგებზე, მსვლელობებზე თუ შეხვედრებზე დასწრების ხელშეშლისგან.
5. ყველა პარტიამ თავი უნდა შეიკავოს სხვა პარტიის სიმბოლოების პლაგიატისგან და არ უნდა მოიპაროს, გაანადგუროს ან დააზიანოს პოლიტიკური კამპანიების მასალები ან პოსტერები, ან UNTAC–ის საარჩევნო ინფორმაციის შემცველი მასალები.
6. ყველა პოლიტიკური პარტია და განსაკუთრებით კი მათი ლიდერები უნდა უზრუნველყოფდნენ სხვა პარტიათა ხელმისაწვდომობას ყველა პოტენციურ ამომრჩეველთან საჯარო თუ კერძო საკუთრების ფარგლებში, ბანაკებსა თუ მიმღებ ცენტრებში, ან ნებისმიერ ადგილას. პარტიები უნდა დარწმუნდნენ, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მსურველ ამომრჩეველს ამისი სურვილი გააჩნია.
7. ყველა პარტიას ევალება მის მხარდაჭერებსა თუ ამომრჩეველს მუდმივად შეახსენოს, რომ ხმის მიცემა ფარული იქნება და არავის ეცოდინება, თუ ვის მისცა ხმა კონკრეტულმა პირმა.

8. ყველა პარტიას ვეალება ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბება ერთმანეთთან ცენტრალურ, პროვინციისა თუ რაიონის დონეზე და უნდა დანიშნოს საკონტაქტო პირი, რომელიც ამ მიზნით ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება. იგი მოაგვარებს ისეთ პრობლემებს, როგორცაა ამომრჩეველთა რეგისტრაციის, კამპანიისა თუ ხმის მიცემის დროს წარმოშობილი პრობლემები.
9. დაშინების ან სხვა არაკანონიერი ქმედების შესახებ სხვა საჩივრები ყველა პარტიამ დაუყოვნებლივ UNTAC–ს უნდა წარუდგინოს.
10. პარტიებმა ბოროტად არ უნდა გამოიყენონ გასაჩივრების უფლება და არ უნდა გააკეთონ არასწორი და დაუფიქრებელი საჩივრები.
11. ყველა პარტიამ უნდა გამოსცეს ინსტრუქციები და ბრძანებები საკუთარი წევრებისა და მხარდამჭერებისთვის დამოუწოდოს მათ საარჩევნო კანონის, ამკოდექსის, UNTAC ოფიციალური პირების მიერ გამოცემული ინსტრუქციებისა და განსაკუთრებული წარმომადგენლის მიერ გამოცემული ყველა ბრძანებისა და ინსტრუქციების დასაცავად. პარტიებმა უნდა გადადგან ყველა აუცილებელი ნაბიჯი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობასა და ამ კოდექსთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

მაკედონიის პოლიტიკური პარტიების ქსევის კოდექსი³⁷

პრეამბულა

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამგვარი არჩევნების აუცილებელი ელემენტია კამპანიის თავისუფლება. თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს თავისი შეხედულება შიშის გარეშე გამოხატოს. თუმცა, კამპანიის თავისუფლება ასევე ნიშნავს, რომ ყველა სხვა ადამიანს იგივე თავისუფლება უნდა ჰქონდეს.

ჩვენ, მაკედონიის პოლიტიკურმა პარტიებმა, წინამდებარე ქცევის კოდექსი შევათანხმეთ მომავალი არჩევნებისთვის. კოდექსი რომელიმე არსებული წესის ჩანაცვლებას არ ახდენს. ის დახმარებას გვიწევს, რომ ფოკუსირება მოვახდინოთ წარსულში მომხდარ პრობლემებზე. გვჭერა, რომ ის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გამართვაში დაგვეხმარება.

ჩვენ ერთხმად ვიღებთ ვალდებულებას და ვპირდებით ერთმანეთს და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, რომ დავიცავთ და აქტიურად დავუჭერთ მხარს წინამდებარე ქცევის კოდექსს.

ჩვენი პარტიები უპირველეს ვალდებულებას იღებენ იმისთვის, რომ კოდექსი სრულად იქნას დაცული.

კანონის უზენაესობა

1. პარტიები, კანდიდატები და წევრები მაკედონიის რესპუბლიკაში არსებულ, არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კანონს, წესს და რეგულაციას დაემორჩილებიან და კანონის უზენაესობას მხარს დაუჭერენ. კანონის უზენაესობა დიდად ეფუძნება სასამართლოს და მთლიანად სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და პროფესიონალიზმს. ჩვენ მათაც სრულებით დავუჭერთ მხარს.
2. ყველა პარტია, კანდიდატი და წევრი თანაბარია კანონის წინაშე.
 - არტიებს, კანდიდატებს და წევრებს საჯარო თანხების ან რესურსების (მაგ. ოფისები, მანქანები და სხვ.) გამოყენება არ შეუძლიათ პარტიული არჩევნების მიზნებისთვის. არც არჩევნებში მონაწილე რომელიმე კანდიდატმა არ შეიძლება, რომ რაიმე კონკრეტული განვითარების პროექტი წამოიწიოს საარჩევნო კამპანიის დროს. თუმცა, ოფიციალურ თანამდებობაზე მომუშავე პირებმა ასევე თავიანთი საჯარო ვალდებულებები უნდა შეასრულონ, ვიდრე აღნიშნული თანამდებობიდან არ წავლენ.
 - მოსალოდნელია, რომ საჯარო თანხებით დაფინანსებული სამუშაოებზე სადგურები ნაბიჯებს გადადგამენ პოლიტიკური პარტიებისთვის სამართლიანი და თანაბარი წვდომის გარანტირებისთვის, ამას გარდა, გაშუქების დროს უზრუნველყოფენ სიზუსტეს და მიუკერძოებლობას და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს სარედაქციო კომენტარებში.

ამის მსგავსად, პარტიები თანხმობას აცხადებენ, რომ მათთვის შესაძლებელი ყველა ნაბიჯი გადადგან სიზუსტის, მიუკერძოებლობის და ბალანსის უზრუნველსაყოფად კერძო მფლობელობაში არსებული მედიის მხრიდან.

- პარტიები, კანდიდატები და წევრები სრულად ითანამშრომლებენ და ყველანაირ მხარდაჭერას გაუწევენ „სახელმწიფო საარჩევნო კომისიას“ და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებს. მოსალოდნელია, რომ კომისია და მისი ორგანოები სრული მიუკერძოებლობის და გამჭვირვალობის საფუძველზე იმოქმედებენ.

ამის მსგავსად, პარტიები თანხმობას აცხადებენ, რომ მათთვის შესაძლებელი ყველა ნაბიჯი გადადგან სიზუსტის, მიუკერძოებლობის და ბალანსის უზრუნველსაყოფად კერძო მფლობელობაში არსებული მედიის მხრიდან.

- პარტიები, კანდიდატები და წევრები სრულად ითანამშრომლებენ და ყველანაირ მხარდაჭერას გაუწევენ „სახელმწიფო საარჩევნო კომისიას“ და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებს. მოსალოდნელია, რომ კომისია და მისი ორგანოები სრული მიუკერძოებლობის და გამჭვირვალობის საფუძველზე იმოქმედებენ.

³⁷ საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, http://www.accessdemocracy.org/library/2031_mk_CoC_071006.pdf

- მოსალოდნელია, რომ პოლიცია და პროკურატურის უწყებები განსაკუთრებული ყურადღებით ეცდებიან უზრუნველყონ, რომ მათი წევრები პროფესიონალურად იქცევიან და კანონს ზედმიწევნით იცავენ.

საარჩევნო ქცევა

- პარტიები, კანდიდატები და წევრები იძლევიან დაპირებას, რომ მხარს დაუჭერენ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს და დემოკრატიული შემწყნარებლობის კლიმატს. ისინი ვალდებულია იღებენ, რომ:
 - კოდექსი მაქსიმალურად საჯარო გახადონ;
 - მხარი დაუჭირონ ამომრჩევლის საინფორმაციო კამპანიებს;
 - დაგმონ ძალადობა და დაშინება;
 - ხაზი გაუსვან, რომ კენჭისყრა ფარულია;
 - მითითება მისცენ თავიანთ კანდიდატებს და წევრებს კოდექსის, ასევე კოდექსიდან გამომდინარე მათი პასუხისმგებლობის შესახებ, შესაბამისი სამართლებრივი დებულებებით.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები საჯაროდ და უწყვეტლივ დაგმობენ ძალადობის ან დაშინების ნებისმიერ შემთხვევას, ნებისმიერი მხრიდან; ისინი ასევე დაგმობენ ისეთი ენის ან ქმედების გამოყენებას, რომელმაც შეიძლება ძალადობა წააქეზოს ან ხალხი დააშინოს. საყოველთაო საარჩევნო პრაქტიკის შესაბამისად, საჯარო მიტინგებზე, დემონსტრაციებსა თუ კამპანიის სხვა ღონისძიებებზე არავითარი იარაღის ტარება და არც გამოჩენა არ შეიძლება.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები ყველანაირი შესაძლო ნაბიჯს გადადგამენ, არჩევნების გაყალბების ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად წინასაარჩევნო პერიოდში, კენჭისყრის დღეს და არჩევნების შემდეგ.
- არც ერთ პარტიას, კანდიდატს ან წევრს არ შეუძლია რაიმე გასამრჯელო ან რამე წამახალისებელი შესთავაზოს რაიმე სახის საარჩევნო კეთილგანწყობის სანაცვლოდ.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები არ გამოაქვეყნებენ და არც ცილისმწამებლურ ან წამყვებლურ ბრალდებებს არ გააკეთებენ რომელიმე პარტიის, კანდიდატის ან პირის მიმართ.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები არ ჩამოხსნიან, არ წაშლიან ან არ გადააკრავენ სხვა პარტიების ან კანდიდატების პოსტერებს თუ სხვა საკამპანიო მასალებს. ისინი არც მათი სიმბოლოების, ფერების ან აკრონიმების პლაგიატირებას არ მოახდენენ და არც გრაფიკის არ გამოიყენებენ.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები, თავისი კანდიდატების და წევრების მეშვეობით, არაფერს არ გააკეთებენ იმისთვის, რომ რომელიმე პარტიის დემოკრატიული უფლება დაარღვიონ, როგორცაა ხელმისაწვდომობა ყველა ამომრჩეველზე, ამომრჩეველთა ინფორმირება, თანხების მოზიდვა, წევრობის მიზნით კარდაკარ აგიტაცია (canvass membership), ასევე საკითხების სხვაგვარად განმარტება და მხარდაჭერის მოძიება.
- პარტიებს ევალებათ, რომ:
 - არჩევნების განმავლობაში მოქალაქეების სრულ ჩართულობას ხელი შეუწყონ, ქალების და სხვა უმცირესობის ჯგუფების ჩათვლით.
 - მოქალაქეების თავისუფალი ხელმისაწვდომობა უზრუნველყონ კამპანიის ფარგლებში გამართულ ყველა ღონისძიებაზე, ქალების და სხვა უმცირესობის ჯგუფების ჩათვლით.
 - ზოგადად, არ აიძულონ მოქალაქეები, რომ მხარი დაუჭირონ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ან კანდიდატს, ასევე ჩაერთონ, ან არ ჩაერთონ რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში, თუ ეს მათ თავისუფალ არჩევანს არ შეესაბამება.
 - მხარი დაუჭირონ საყოველთაო ცნებას: ერთი-ადამიანი-ერთი-ხმა და ხელი შეუშალონ წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემას.
- პარტიებს შეუძლიათ გადანყვიტონ შეხვედრების გამართვა, „ქცევის კოდექსის“ განხორციელების განსახილველად, ნებისმიერ დროს, ცენტრალურ ან მუნიციპალურ დონეზე. შესაძლებელია კამპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა. არჩევნების კეთილსინდისიერად გამართვით დაინტერესებული სამოქალაქო ორგანიზაციები, როგორცაა „მოქალაქეთა გაერთიანება“ MOST, შეიძლება აღნიშნულ შეხვედრებს დაესწროს და მონიტორინგი უზრუნველყოს.
- პარტიების კამპანიის დანახარჯები არსებული სამართლებრივი დებულებების შესაბამისად გამოქვეყნდება.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები არჩევნების საბოლოო შედეგს მიიღებენ, რომელიც კანონიერად იქნება გაცხადებული და დამოწმებული სახელმწიფო საარჩევნო კომისიის მიერ.

განმარტებები

წინამდებარე კოდექსის მიზნებისთვის:

- „პარტია“ ნიშნავს ლიბერის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (NEC) სათანადოდ დარეგისტრირებულ ორგანიზაციას, კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესაბამისად.
- „პარტიები“ ნიშნავს ორ ან მეტ ზემოხსენებულ ორგანიზაციას.
- „კანდიდატი“ ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც თანამდებობაზე კენჭს იყრის 2005 წლის არჩევნების განმავლობაში.
- „ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი“, შემდგომში „ცესკო“ (NEC) ნიშნავს ლიბერის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
- „პარტიათაშორისი საკონსულტაციო კომიტეტი“, შემდგომში „IPCC“ ნიშნავს იმ ორგანოს, რომელიც 2005 წლის 25 თებერვალს ჩამოყალიბდა ხელმოწერ პოლიტიკურ პარტიებსა და ცესკოს შორის.
- „კოდექსი“ ან „წინამდებარე კოდექსი“ ნიშნავს ლიბერის პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს, 2005.
- „კონსტიტუცია“ ნიშნავს ლიბერის რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომელიც 1986 წელს მიიღეს.
- „საჯარო რესურსები“ ნიშნავს ყველა ქონებას, რომელიც მინდობით იმართება ლიბერის მოქალაქეებისთვის კოლექტიური სარგებლობის მიზნით, რაშიც შედის ლიბერის მთავრობის ქონება, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კორპორაციები და ყველა სხვა რესურსები, რომლებიც კერძო მფლობელობაში არ არის, თუმცა, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

პრეამბულა

განვითარებადი დემოკრატიის საფუძვლები მართლმსაჯულებაში, ქვეყნის შიგნით მშვიდობასა და ხალხის კეთილდღეობაში, სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაში უნდა ვეძებოთ, რაშიც ასევე შედის ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საარჩევნო კანონების და რეგულაციების დაცვა დისკრეციის გარეშე. ერთნაირად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ შესაძლებლობებზე თანაბარი წვდომა ყველა პოლიტიკური პარტიისთვის, რასაც ხელს უწყობს გათანაბრებული სათამაშო მოედანი თავისუფალი, სამართლიანი და დამატებელი არჩევნების მხარდაჭერისა და კენჭისყრით მიღებული, ოფიციალურად დამტკიცებული შედეგების მიღებისთვის.

ვადიარებთ რა, რომ ჩართულობა, შემწყნარებლობა, გამჭვირვალობა და პლურალიზმი საჭიროა ეფექტური დემოკრატიისთვის; ასევე, არსებობს რა მზაობა სამოდელო დემოკრატიის ამოცანების რეალიზებისა და დემოკრატიული მთავრობის კონსოლიდირებისთვის ჩვენს სამშობლოში, ჩვენ, ლიბერის პოლიტიკური პარტიები, ინდივიდუალურად, კოლექტიურად და ნებაყოფლობით ვიღებთ წინამდებარე „ქცევის კოდექსს“, რათა ჩვენი საქმიანობები ვმართოთ და ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარება გავაძლიეროთ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ასევე ვპირდებით ერთმანეთს და ლიბერიელ ხალხს, რომ წინამდებარე კოდექსის სახელმძღვანელო მითითებებს და პრინციპებს მხარს დავუჭერთ და დავაკმაყოფილებთ. ჩვენ ვაცნობიერებთ ცესკოს უფლებამოსილებას თავისი კონსტიტუციური და კანონით გათვალისწინებული ძალაუფლებების აღსრულებისთვის და ვალდებულებას ვიღებთ, რომ კომისიის მანდატს ხელს შევუწყობთ.

ნებაყოფლობით მიღებული ქცევის კოდექსის ისტორიული მნიშვნელობა პოლიტიკური პარტიებისთვის

რამდენადაც „წინამდებარე კოდექსის“ მიღებამდე პოლიტიკური პარტიებისთვის არანაირი ქცევის კოდექსი არ ყოფილა მიღებული, პოლიტიკური პარტიების და მათი მხარდამჭერებისთვის მისაღები ქცევის და მინიმალური სტანდარტების დადგენის და გაცნობიერების მიზნით, პოლიტიკური ძალადობის, დაშინებისა და მანიპულირებისგან დასაცავად;

ვაფასებთ რა 2003 წლის 18 აგვისტოს მიღებული „საერთო სამშვიდობო შეთანხმების“ სავალდებულო ხასიათს, ასევე ქვეყანაში საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლობას და დახმარებას, ლიბერის პოლიტიკური პარტიები თავიანთი სურვილით იღებენ ვალდებულებას წინამდებარე კოდექსის მიმართ, რომ ლიბერიელებს თავიანთი კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა შეუქმნან საჯარო თანამდებობის პირების დემოკრატიულად არჩევის მიზნით;

ყველა პარტია გარკვევით აცხადებს თანხმობას, რომ სრულად მიიღონ და გაითვალისწინონ წინამდებარე კოდექსი და ამ გზით ვალდებულება აიღონ, რომ წვლილი შეიტანონ თავისუფალ, სამართლიან, გამჭვირვალე და დამატებელ არჩევნებში;

მხარეები წინამდებარე კოდექსის საფუძველზე ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას, რომ აღნიშნული კოდექსის მოთხოვნების დაკმაყოფილებისას დისკრეციულად არ იმოქმედებენ.

დემოკრატიული შესაბამისობა

დემოკრატია სამართლებრივ კონტექსტში არსებობს და მის საფუძველს სამართლიანობა, კანონის უზენაესობა, განსხვავებული შეხედულების გამოხატვის თავისუფლება და შესაძლებლობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, იმ კონსტიტუციური დებულებების დაცვით, სადაც მოქალაქის უფლებები და ვალდებულებებია გათვალისწინებული.

- ☑ დემოკრატია ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების დაცვას, განსხვავებული შეხედულებებისადმი შემწყნარებლობას, პოლიტიკურ პროცესში ქალთა სრულ და აქტიურ მონაწილეობას, ასევე საზოგადოების სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური სემინტების ჩართულობას ამკვიდრებს;
- ☑ დემოკრატია მთავრობის ლეგიტიმაციას საარჩევნო პროცესის მეშვეობით ახდენს ოფიციალური პირების შესარჩევად. არჩევნები კი რეგულარული ინტერვალით იმართება ხოლმე და მასზე აქცენტირება კეთდება იმ ამომრჩეველთა ინფორმირებული არჩევანით, ვისაც თავისი ხმის მიცემა თავისუფლად შეუძლია, რაიმე სახის ჩარევის, შიშის, დაშინების ან მოსყიდვის გარეშე;

გემოსხენებული იდეალების გაცნობიერების და მხარდაჭერის გზით, ლიბერლის პოლიტიკური პარტიები თავიანთი სურვილით იძლევიან დაპირებას, რომ წინამდებარე ქცევის კოდექსს და მასში გაცხადებულ პრინციპებს დაიცავენ.

ლიბერლის პოლიტიკური პარტიების რეგულაცია პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის ფორმულირების შემდეგ (2005)

ჩვენ, ლიბერლის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- გადავწყვიტეთ დავეთანხმოთ და დავიცვათ ლიბერლის 1986 წლის კონსტიტუცია და მისი დემოკრატიული იდეალები;
- ავიღეთ ვალდებულება, რომ მხარი დავუჭიროთ მშვიდობიანი და სტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობების განვითარებას ლიბერიაში;
- მოწოდებულნი ვართ გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა ამჟამინდელი გაუარესებული მდგომარეობიდან ახალი შთაგონებით რეგიონის ამ ნაწილში და მთლიანად კონტინენტზე;
- ერთობლივად ავიღეთ ვალდებულება პასუხისმგებლობით განმსჭვალული მრავალპარტიული დემოკრატიის ზრდისა და განვითარების, ასევე პოლიტიკური ძალაუფლებების დეცენტრალიზაციის მიმართ ქვეყანაში, ავტორიტარული პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრის ნაცვლად, რომელმაც ზოგადად განაპირობა სახელმწიფო სისტემის და მმართველობის ფუნქციის მოშლა;
- გადავწყვიტეთ ავაშენოთ მდგრადი დემოკრატიული თვითმმართველობა ლიბერიელი ხალხის ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის;
- გადავწყვიტეთ მხარი დავუჭიროთ წინამდებარე კოდექსს, რომელიც პოლიტიკური პარტიების ქცევას აწესრიგებს და შევინარჩუნოთ პარტიებისთვის დადგენილი დასაშვები ქცევის ნორმები არჩევნების განმავლობაში და მათ შემდეგ;
- შევთანხმდით, რომ წინამდებარე კოდექსის ფორმულირებით პარტნიორობის ახალი ერა იწყება ლიბერლის პოლიტიკურ პარტიებსა და ლიბერლის მოქალაქეებს შორის, ლიბერიაში დემოკრატიის მხარდაჭერისა და გაღრმავებისთვის;
- ჩვენ მთელი რიგისაკონსულტაციოსესიები გავმართეთ 2005 წლის თებერვალში, წინამდებარე საინაუგურაციო „პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის“ ფორმულირებისთვის 2005 წელს, ცესკოს, პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო პროცესში წარმოდგენილი სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მხარდაჭერით და მონაწილეობით;
- ვალდებულება ავიღეთ, რომ წინამდებარე კოდექსს გავავრცელებთ ჩვენი შესაბამისი პარტიის წევრებს და მხარდამჭერებს შორის ჩვენს საარჩევნო ოლქებში;

გადავწყვიტეთ, რომ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები შემდეგ პირობების შესაბამისად იმოქმედებენ:

1. პოლიტიკური პარტიების ქცევასთან დაკავშირებული ყველა არსებული კანონის დაცვა მომავალი არჩევნების პერიოდში, განსაკუთრებით კი საარჩევნო გაიდლაინების იმ დებულებების მიხედვით მოქმედება, რომლებიც ცესკოს მიერ არის დადგენილი, 2004 წლის 23 დეკემბერს ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული „საარჩევნო რეფორმის კანონის“ უფლებამოსილების მეშვეობით.
2. პოლიტიკურ პარტიებს ევრძალებათ სხვა პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებული მიტინგების, დემონსტრაციების და სხვა ღონისძიებების დაბრკოლება, ხელის შეშლა და დაშლა, ან მსგავსი რამის გამოწვევა; მათ ასევე არ უნდა შეწყვიტონ ან ხელი შეუშალონ მოხსენებით გამოსვლას და სარეკლამო ფურცლების, ლიფლეტების გავრცელებას და პოსტერების გაკვრას სხვა პარტიების მიერ.
3. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა გააფუჭონ, მოხსნან, წაშალონ ან რაიმე სხვა გზით მოახდინონ ზემოქმედება სხვა პოლიტიკური პარტიების ატრიბუტიკაზე, ლოგოებზე, სიმბოლოებზე, სარეკლამო ფურცლებსა და მასალებზე.
4. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა ატარონ ან/და გამოაჩინონ საიერიშო ან სხვა იარაღი პოლიტიკურ და მსგავს ღონისძიებებზე. მათ სამართალდამცავ უწყებებსა და ხელისუფლებებთან თანამშრომლობა უნდა გააღრმავონ, განსაკუთრებით კი არალეგალური იარაღის ამოღების მიზნით.
5. პოლიტიკურმა პარტიებმა ზედმეტი ზეგავლენა არ უნდა გამოიყენონ, არც დამატებითი სამართლებრივი ზომები არ უნდა მიიღონ ნებისმიერი იმ პირის გასათავისუფლებლად, რომელიც საიერიშო ან სხვა იარაღების ტარებისთვის დააპატიმრეს საარჩევნო პერიოდში.
6. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა მიიღონ, სამუშაოდ აიყვანონ ან სხვაგან ამუშაონ რომელიმე პირ(ები) ძალადობის, დაშინების ან შევიწროების მიზნით.
7. პოლიტიკურმა პარტიებმა კეთილსინდისიერად უნდა მოახდინონ თავიანთი კამპანიის კოორდინაცია იმგვარად, რომ ორმა პოლიტიკურმა პარტიამ საჯარო შეხვედრები ან მიტინგები ერთსა და იმავე ადგილას ან/და ტერიტორიაზე არ გამართონ იმავე დღეს, თუ ამგვარი მიტინგები და დემონსტრაციები, სავარაუდოდ, იმდენად ახლოს შეიძლება იყოს ერთმანეთთან, რომ კონფლიქტის ალბათობა გაჩნდეს.
8. სადაც კი რომელიმე ზემოხსენებული ღონისძიებისთვის დაგეგმილი თარიღი, ადგილი ან დრო ერთმანეთს ემთხვევა, შესაბამისი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით, შეხვედრა უნდა გამართონ კეთილი განზრახვით, რათა ამგვარი საკითხები ძალადობის გარეშე გადაჭრან.
9. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა გამოიყენონ საჯარო რესურსები პარტიის რაიმე ღონისძიებისთვის და არ უნდა დაუშვან, რომ თავისმა რომელიმე დაფინანსებულმა კანდიდატმა, რომელსაც საჯარო თანამდებობა უჭირავს, საჯარო თანამდებობა გამოიყენოს პოლიტიკური საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის.
10. პოლიტიკურმა პარტიებმა თავი უნდა აარიდონ ყველა ღონისძიებას, რომელიც საარჩევნო დანაშაულს შეადგენს, როგორც ეს ლიბერიის კანონითაა განსაზღვრული.
11. პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებთან დაკავშირებული საქმიანობები უნდა შეაჩერონ და არ გამართონ საჯარო მიტინგები ან დემონსტრაციები საარჩევნო უბნებში კენჭისყრის დღეს, ან კენჭისყრამდე წინა 24 საათის განმავლობაში.
12. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა გამოიყენონ შეურაცხმყოფელი, უპატივცემულო ან წამქეზებლური ენა ან მოწოდება; კონკრეტულად კი, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავი უნდა აარიდოს წაქეზებას სქესის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, რწმენის, სექტის ან სხვა კრიტერიუმის საფუძველზე.
13. პოლიტიკური პარტიების მხრიდან დაუშვებელია სხვა პოლიტიკური პარტიების პლატფორმების, სიმბოლოების, სლოგანების და ატრიბუტიკის პლაგიატიზმი.
14. პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ჟურნალისტებს, ასევე არ უნდა შეავიწროვონ და დააშინონ ისინი. ამის მსგავსად, პარტიებმა არ უნდა შეავიწროვონ, შეურაცხყონ ან დაემუქრონ საარჩევნო ოფიციალურ პირებს და მუშაკებს იმ ქმედებებისა და გადაწყვეტილებებისთვის, რომელთა მიღებაც მათი სამსახურებრივი ვალდებულებების შესაბამისად მოხდა.

15. პოლიტიკურმა პარტიებმა პატივი უნდა სცენ სხვა პარტიების უფლებებს და თავისუფლებას, რომ კამპანია გამართონ და თავიანთი პოლიტიკური იდეალები და პრინციპები გაავრცელონ შიშის, დაშინების და შევიწროების გარეშე.
16. ეკლესიების, მეჩეთების, ტაძრების ან ღვთისმსახურების სხვა ადგილების გამოყენება, ასევე ტრადიციული და კულტურული პრაქტიკების განხორციელება სხვა პირებს პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის და გამოხატვის უფლებას არ უნდა უზღუდავდეს;
17. პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი აგენტები და ოფიციალური პირები საკმარისად გადამზადებულნი არიან ამომრჩეველთა რეგისტრაციისთვის, კენჭისყრის დღისა და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებისთვის.
18. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა აღიარონ და გააცნობიერონ აკრედიტებული დამკვირვებლების და მონიტორების უფლებები საარჩევნო უბნებზე, არჩევნების მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით.
19. პოლიტიკური პარტიები იღებენ ვალდებულებას, რომ ცესკოსთან ერთად იმუშაონ ისეთი ატმოსფეროს შესაქმნელად, რომელიც თავისუფალი და სამართლიანი კენჭისყრის შესაძლებლობას შექმნის, შესაბამისად, უარს ამბობენ იძულებაზე, მუქარებზე, შიშზე, დაშინებასა და გადაფასებებზე.
20. პოლიტიკურმა პარტიებმა თავიდან უნდა აიცილონ შედეგების და ხმების თაღლითურად მიღებაზე საარჩევნო უბნებში შეჭრის და იძულებითი დაკავების გზით, საარჩევნო ყუთების მანიპულირებით ან მოსყიდვით, დოკუმენტების გაყალბებით ან სხვა რაიმე უკანონო საშუალებებით.
21. პოლიტიკური პარტიები ვალდებულებას იღებენ, რომ მითითებები მისცენ თავიანთ მხარდამჭერებს, წარმომადგენლებს და აგენტებს, რომ საარჩევნო უბნებზე ყოფნისას და თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას შესაბამისი საარჩევნო კანონების და რეგულაციების მიხედვით იმოქმედონ. ისინი ასევე იღებენ ვალდებულებას, რომ საარჩევნო უბანზე მომუშავე პირებთან ითანამშრომლონ არჩევნების ეფექტიანად, გამჭვირვალედ და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

პარტიები ვალდებულებას იღებენ, რომ ოფიციალურად დამტკიცებული შედეგები აღიარონ

პოლიტიკური პარტიები ვალდებულებას იღებენ, რომ მშვიდობიანად გადაჭრან ყველა საჩივარი ლიბერიაში არსებული კანონების შესაბამისად და არჩევნების ოფიციალურად დამტკიცებული შედეგები აღიარონ.

ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კოდექსის რომელიმე დებულების დარღვევისას, პოლიტიკური პარტია, რომლის მიმართაც დარღვევა მოხდა, უპირველეს ყოვლისა, დარღვევის შესახებ აცნობებს დამრღვევ პოლიტიკურ პარტიას და შემდეგ კი დავის მშვიდობიანად მოგვარებას ეცდება.
2. როცა წინამდებარე კოდექსის დებულების დარღვევით გამოწვეული დავის მშვიდობიანად მოგვარება ვერ ხერხდება, შეიძლება ამის შესახებ აცნობონ IPჩჩ-ს, რომელიც შესაბამისი პოლიტიკური პარტიებისთვის სამართლიან და დაჩქარებულ განხილვას უზრუნველყოფს, საყვედურის ფორმით, რისი რეკომენდებაც შეიძლება ცესკოსთვის შემდგომი განხილვის მიზნით. განმეორებითი დარღვევის შემთხვევები შესაბამის უწყებებს ეცნობა, რომელშიც შედის უზენაესი სასამართლო, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.
3. გემოხსენებული საშუალებები არ უნდა ახდენდეს ზეგავლენას დაზარალებულების უფლებებზე, რომ სხვა სამართლებრივი ქმედება განახორციელონ.

განხორციელება

თითოეულმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი წევრები და მხარდამჭერები სრულად გაეცნობიან და დაიცავენ წინამდებარე კოდექსს. ამას გარდა, პოლიტიკურ პარტიებს ადებული აქვთ ვალდებულება, რომ წინამდებარე კოდექსი საერთო საზოგადოებისთვის საჭარო გახადონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით.

ინდოეთის ქვეყნის კოდექსის მოდელი³⁸

ქვემოთ მოცემულია ქვეყნის კოდექსის მოდელის ტექსტი, როგორც სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების კანდიდატებისთვის:

I. ზოგადი ქცევა

- (1) არც ერთი პარტია ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი არ უნდა იყოს დაკავებული ისეთ საქმიანობით, რომელსაც შეუძლია არსებული განსხვავებები დაამძიმოს ან საზოგადოებრივი სიძულვილი წარმოშვას, ან სიტუაცია დაძაბოს განსხვავებულ კასტებსა და საზოგადოებებს, რელიგიურ ან ენობრივი ჯგუფებს შორის.
- (2) სხვა პოლიტიკური პარტიების კრიტიკა უნდა შემოიფარგლოს მათი პოლიტიკითა და პროგრამით, წარსულის ჩანაწერებით და მუშაობით. პარტიებმა და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა თავი უნდა შეიკავონ პირადი ცხოვრების ასპექტების განხილვისგან, რომლებიც არ არის დაკავშირებული სხვა პარტიების ლიდერებისა და წევრების საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. თავიდან უნდა აიცილონ სხვა პოლიტიკური პარტიების ან მათზე მომუშავე პირების კრიტიკა, რომელიც მცდარ ან დამახინჯებულ მოსაზრებებს ეფუძნება.
- (3) ხმების მიღების მიზნით არ უნდა გაკეთდეს კონკრეტული კასტის ან საზოგადოებისადმი მიმართვა. მეჩეთები, ეკლესიები, ტაძრები არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც საარჩევნო პროპაგანდის ფორუმი.
- (4) ყველა პარტიამ და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა ზედმიწევნით უნდა აიცილონ თავიდან ყველა ის აქტივობა რომელიც „კორუმპირებული სახის“ არის და დარღვევად ითვლება საარჩევნო კანონის მიერ, როგორც არის ამომრჩევლების მოსყიდვა, ამომრჩევლების დაშინება, ამომრჩევლების პერსონაცია, აგიტაცია საარჩევნო უბანთან 100 მეტრის ფარგლებში, საჯარო მიტინგის ჩატარება 48 საათის განმავლობაში ხმის მიცემის დასრულებამდე და ტრანსპორტირება და ამომრჩევლების გადაყვანა საარჩევნო უბნიდან უბანზე.
- (5) პატივი უნდა სცეთ ყველა ფიზიკური პირის მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრების უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათი პოლიტიკური შეხედულებები და საქმიანობა უკმაყოფილებას იწვევდეს პოლიტიკურ პარტიაში ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ფიზიკური პირის საცხოვრებელი სახლის წინ დემონსტრაციისა და პიკეტირების ორგანიზება, მათი შეხედულებების ან საქმიანობის გამო.
- (6) არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა არ უნდა დაუშვას დროშების, ბანერების, საინფორმაციო პლაკატების, სლოგანების და სხვ. განსათავსებლად ფიზიკური პირის მიწის, შენობის, კედლის და ა. შ. გამოყენება, მათი თანხმობის გარეშე.
- (7) პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათი მხარდამჭერები არ უქმნიან წინააღმდეგობას ან არ შლიან სხვა პარტიების მიერ ორგანიზებულ მიტინგებს და მსვლელობებს. ერთ პოლიტიკურ პარტიაზე მომუშავეებმა ან მხარდამჭერებმა არ უნდა შექმნან წინააღმდეგობა სხვა პარტიის მიერ ორგანიზებული საჯარო შეხვედრის დროს, გეპირი ან წერილობითი შევითხვების დასმის ან საკუთარი პარტიის ბროშურების გავრცელების სახით. ერთი პარტიის მიერ მსვლელობები არ უნდა გაიმართოს იმ ადგილებში, სადაც სხვა პარტიების მიტინგები იმართება. ერთი პარტიის პლაკატები რა უნდა იქნეს ჩამოხსნილი სხვა პარტიებზე მომუშავე პირების მიერ.

II. მიტინგები

- (1) პარტიებმა ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა ადგილობრივი სამართალდამცავი უწყებები უნდა გააფრთხილონ ღონისძიების და მისი გამართვის დროის შესახებ, რათა პოლიციამ აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება და ტრანსპორტის კონტროლი შეძლოს, ასევე მშვიდობა და წესრიგი უზრუნველყოს.

³⁸ ინდოეთის საარჩევნო კომისია, www.eci.gov.in/Model_Code_Conduct.pdf

- (2) პარტია ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი წინასწარ უნდა დარწმუნდეს, არის თუ არა რაიმე შემზღვევადი და ამკრძალავი ორდერები, მიტინგისთვის შეთავაზებულ ადგილთან დაკავშირებით. თუ მსგავსი ორდერები არსებობს, მათ მკაცრად უნდა დაიცვან ისინი. თუ მსგავს ორდერში რაიმე გამონაკლისის დაშვება საჭიროა, ასეთი რამ დროულად უნდა იქნეს გამოყენებული და მოპოვებული.
- (3) თუ ნებართვა ან ლიცენზია არის ასაღები მიღებული მიტინგზე ხმის გამაძლიერებლის ან სხვა რაიმე აღჭურვილობის გამოყენებაზე, პარტიამ ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა წინასწარ უნდა მიმართოს უწყებას და ნებართვა ან ლიცენზია მოიპოვოს.
- (4) მიტინგის ორგანიზატორებმა ყოველთვის უნდა მიმართონ მორიგე პოლიციას იმ პირებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, რომლების მიტინგის გამართვას ხელს უშლიან, ან მის ჩაშლას ცდილობენ. თავად ორგანიზატორებმა არ უნდა მიიღონ ხოლმე ზომები ასეთი პირების მიმართ.

III. მსვლელობები

- (1) პარტიამ ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა, რომელიც მსვლელობას აწყობს, წინასწარ უნდა შეარჩიოს მსვლელობის დაწყების დრო და ადგილი, მარშრუტი, ადგილი და დრო, თუ სად და როდის დასრულდება მსვლელობა. პროგრამიდან გადახვევა არ უნდა მოხდეს.
- (2) ორგანიზატორებმა წინასწარ უნდა გააცნონ პროგრამა ადგილობრივ სამართალდამცავ უწყებას, რათა მათ სათანადო მომზადების საშუალება მისცენ.
- (3) ორგანიზატორებმა უნდა გაარკვიონ, არის თუ არა რაიმე სახის მოქმედი შეზღუდვა იმ ტერიტორიაზე, სადაც მსვლელობა ჩაივლის და დაიცვან შეზღუდვები, თუ არ არიან გათავისუფლებული შესაბამისი უწყების მიერ. ნებისმიერი სატრანსპორტო შეზღუდვა ასევე გედმინევენით უნდა იქნეს დაცული.
- (4) ორგანიზატორებმა წინასწარ უნდა მიიღონ ზომები მსვლელობის მოწყობისთვის, ისე რომ მათ არ შეუქმნან წინააღმდეგობა, ან ტრანსპორტის მოძრაობა არ ჩაკეტონ. თუ მსვლელობა ხანგრძლივია, მისი ორგანიზება უნდა მოხდეს შესაბამისი სიგრძის სეგმენტებში, მოსახერხებელ ინტერვალებში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებზე, სადაც მსვლელობას გზების გადაკვეთების გავლა მოუწევს; ტრანსპორტს ეტაპობრივი გავლის საშუალება, ძლიერი საცობის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით.
- (5) მსვლელობა უნდა დარეგულირდეს და გზის მარჯვენა მხარეს უნდა შენარჩუნდეს; რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, მკაცრად უნდა შესრულდეს მორიგე პოლიციელის მიერ მითითებული მიმართულება და რჩევები.
- (6) თუ ორმა ან მეტმა პოლიტიკურმა პარტიამ, ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა მსვლელობის ერთი და იმავე მარშრუტით ან ნაწილობრივ იმავე დროს ჩატარება განიზრახა, ორგანიზატორებმა წინასწარ უნდა დაამყარონ კარგი კონტაქტი და უსაფრთხოების ზომების შესახებ შეთანხმდნენ, რომ მსვლელობა ერთმანეთს არ შეეჯახოს, ან ტრანსპორტს დაბრკოლება არ შეუქმნას. ადგილობრივი პოლიციის დახმარება უზრუნველყოფილი იქნება. ამ მიზნით პარტიები პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა დაუკავშირდნენ პოლიციას.
- (7) პოლიტიკურმა პარტიებმა, ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა მაქსიმალურად უნდა აკონტროლონ პირები / გადაადგილების საშუალება, ვის ხელშიც იქნება ნივთები, რომელთა არამიზნობრივი გამოყენებაც შეუძლია არასასურველ პირებს, განსაკუთრებით კი მღელვარების მომენტებში.
- (8) პოლიტიკური პარტიების ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მიერ სხვა პოლიტიკური პარტიების, ან მათი ლიდერების განმასახიერებელი ფიგურების ტარება, მათი საჭაროდ დაწვა და დემონსტრაციების ამგვარი ფორმები არ დაიშვება.

IV. კენჭისყრის დღე

პოლიტიკურმა პარტიებმა ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა უნდა:

- (1) ითანამშრომლონ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მშვიდობიანი და თანმიმდევრული არჩევნებისთვის და ამომრჩეველთა სრული თავისუფლების უზრუნველსაყოფად ისე, რომ გაღიზიანების და ხელის შეშლის სუბიექტები არ გახდნენ;
- (2) უზრუნველყავით უფლებამოსილი თანამშრომლები შესაბამისი პირადობის დამადასტურებელი, ან საიდენტიფიკაციო ბარათებით;
- (3) შეთანხმდით, რომ მათ მიერ ამომრჩევლებისთვის მიწოდებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს თეთრ ფურცელზე და არ უნდა შეიცავდეს არანაირ სიმბოლოებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან პარტიის სახელს;
- (4) კენჭისყრის დღეს და ასევე 24 საათით ადრე, თავი შეიკავეთ ალკოჰოლური სასმელებით გამასპინძლებისგან ან მოწოდებისგან.
- (5) არ დაუშვათ, რომ ზედმეტი ხალხი შეგროვდეს პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მიერ ორგანიზებულ ბანაკებთან, კენჭისყრის კაბინების ახლოს, რათა თავიდან აიცილოთ დაპირისპირება და დაძაბულობა პარტიებზე მომუშავე პირებსა და პარტიის ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მხარდამჭერებს შორის;
- (6) უზრუნველყავით, რომ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ბანაკები სადა იყოს. მათზე არ უნდა იყოს გაკრული არანაირი პლაკატები, დროშები, სიმბოლოები ან ნებისმიერ სხვა პროპაგანდისტული მასალა. ბანაკში არ უნდა მოხდეს საკვების შეტანა და ხალხმრავლობის დაშვება; და
- (7) ითანამშრომლეთ ორგანოებთან, როცა ისინი შეზღუდვებს დააწესებენ ტრანსპორტის გადაადგილებაზე კენჭისყრის დღეს და მიიღეთ ნებართვა, რომელიც გაკრული იქნება სატრანსპორტო საშუალებებზე.

V. საარჩევნო კაბინა

საარჩევნო კაბინაში არავინ არ უნდა შევიდეს, ამომრჩევლის და საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ნებართვის მქონე პირის გარდა.

VI. დამკვირვებლები

დამკვირვებლებს საარჩევნო კომისია ნიშნავს. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს ან მათ აგენტებს არჩევნების გამართვასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული საჩივარი ან პრობლემა გაუჩნდებათ, მათ ეს დამკვირვებელს უნდა აცნობონ.

VII. სახელისუფლებო პარტია

სახელისუფლებო პარტიამ, ცენტრში, ან შესაბამის სახელმწიფოში თუ სახელმწიფოებში, უნდა უზრუნველყოს, რომ საჩივრისთვის არანაირი მიზეზი არ არსებობდეს, რომ მან ისარგებლა საკუთარი თანამდებობით საარჩევნო კამპანიისთვის და კერძოდ:

- (1) (ა) მინისტრებმა არ უნდა დაუკავშირონ ოფიციალური ვიზიტები წინასაარჩევნო კამპანიას და ასევე არ უნდა გამოიყენონ ოფიციალური სატრანსპორტო საშუალებები და პერსონალი წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის;
- (ბ) სახელმწიფო ტრანსპორტი, მათ შორის, თვითმფრინავები, სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და პერსონალი არ უნდა იქნას გამოყენებული სახელისუფლებო პარტიის ინტერესებისთვის;
- (2) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, როგორცაა მოედნები და ა. შ., არჩევნების გასამართავად, ასევე საპაერო ტრანსპორტისთვის ასაფრენი მოედნების გამოყენება, არჩევნებთან დაკავშირებით, მონოპოლიზებული არ უნდა იქნას. სხვა პარტიებს და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს უნდა შეეძლოთ მსგავსი ადგილების და აღჭურვილობის გამოყენება იმავე მიზნებით და პირობებით, როგორც მათ მმართველი პარტია იყენებს;

- (3) დასასვენებელი სახლები, ბუნგალოები ან სხვა სახელმწიფოებრივი სახლები არ უნდა იყოს მონოპოლიზებული მმართველი პარტიის ან მისი საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მიერ, დასაშვები უნდა იყოს მსგავსი ობიექტების სხვა პარტიის და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ გამოყენება სამართლიანად, მაგრამ არც ერთმა პარტიამ და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა არ უნდა გამოიყენოს ის (მათ შორის მათთან არსებული ნაგებობები) როგორც კამპანიის ოფისი ან ნებისმიერი საჯარო მიტინგის გამართვის ადგილი, საარჩევნო პროპაგანდის მიზნით;
- (4) რეკლამის განთავსების საკითხი საჯარო ხაზინის ხარჯზე გაზეთში და სხვა მედიაში, ოფიციალური მასობრივი მედიასაშუალებების ბოროტად გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ინფორმაციის მიკერძოებულად გაშუქების მიზნით და მმართველი პარტიის მიღწევების საჯაროობა, შემდგომი პერსპექტივების მიზნით, თავიდან უნდა იქნეს აცილებული.
- (5) მინისტრებმა და სხვა ორგანოებმა არ უნდა გასცენ სანქცია გრანტების/ანგარიშსწორებების განხორციელებაზე საჯარო ფონდებიდან კომისიის მიერ არჩევნების დღის გამოცხადების მომენტიდან; და
- (6) კომისიის მიერ არჩევნების გამოცხადების მომენტიდან მინისტრებმა და სხვა უწყებებმა არ უნდა:
- (ა) გამოაცხადონ ნებისმიერი სახის ფინანსური გრანტები დაპირების სახითაც კი; ან
 - (ბ) (გარდა საჯარო მოხელეებისა) ჩაუყარონ საფუძველი ა. შ. რაიმე სახის პროექტებს ან სქემებს; ან
 - (გ) გააკეთონ არანაირი დაპირება გზების მშენებლობის თაობაზე, სასმელი წყლის უზრუნველყოფაზე, ა. შ.; ან
 - (დ) მოახდინონ სპეციალური დანიშვნები მთავრობის საჯარო ვალდებულებებში ა. შ. რაც გავლენას მოახდენს ამომრჩევლებზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

შენიშვნა. – კომისიამ ნებისმიერი არჩევნების თარიღი უნდა გამოაცხადოს, რომელიც იქნება თარიღი, როგორც წესი, არაუმეტეს სამი კვირისა იმ თარიღამდე, როცა, სავარაუდოდ, შეტყობინება უნდა გაკეთდეს ამგვარ არჩევნებთან დაკავშირებით.

ცენტრალური ან სახელმწიფო მთავრობის მინისტრები არ უნდა შევიდნენ არც ერთ საარჩევნო უბანში ან ხმების დასათვლელ ადგილებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ამ ადგილებში შევლენ როგორც კანდიდატები, ამომრჩევლები, ან უფლებამოსილი აგენტები.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
3. საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“;
4. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“;
5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 26 აპრილის №25 დადგენილება "ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
6. „არჩევნების ისტორია“ (2009 წ.) – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
7. „კონსტიტუციონალიზმი“ (2008 წ.) – ოთარ მელქაძე;
8. „საქართველო. 2006 წლის ადგილობრივი არჩევნები. დაგროვილი გამოცდილება“ (2008წ. (<http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/archives/downloads/Books/Local%20Elections%202006%20%20Lessons%20learned%20Geo.pdf>);
9. „არჩევნები და საზოგადოება“ (2003 წ.) – მალხაზ მაცაბერიძე;
10. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი—ალვარო პინტო სქოლტბახი და გია ნოდია (2006)
11. „საარჩევნო სისტემები“ – საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი, კანონმემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების კვლევითი მასალები (<http://parliament.ge/ge/saparlameto-saqmianoba/aparati-9/struqtura/60>)
12. BRIDGE-ის (დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების განვითარება) პროგრამის მასალები;
13. Electoral System Design: The New International IDEA Handbook. 2005 – International Institute for Democracy and Electoral Assistance;
14. „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“ – კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“.
15. „დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“. 2014-2016 საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

